ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება

1975 8

ჟურნალი გამოდის
1921 წლიდან

8/1975

# საბჭოთა ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ყოველთვიური ჟურნალი

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ქორეოგრაფია

შინაარსი

ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული . . . . . . 3

არამ ხაჩატურიანი —
ახალგაზრდობას მოვუწოდებ . . . . . . . . 8

პეტრე სავინცევი —
მეგობრობის სითბო! . . . . . . . . . . 11

ტოფიკ ყულიევი —
შეჯიბრი თანასწორთა შორის! . . . . . . . . 14

საუბარი აზერბაიჯანულ მუსიკაზე . . . . . . 16

ედუარდ მირზოიანი —
ჩვენი მეგობრობა გადადის თაობიდან თაობაზე . 28

საუბარი სომხურ მუსიკაზე . . . . . . . . 30

გივი ორჯონიკიძე —
...სიყვარულს უშენებია . . . . . . . . . 41

საუბარი ქართულ მუსიკაზე . . . . . . . 42

მუსიკალური ფოლკლორის კონცერტზე . . . . 62

ტიხონ ხრენიკოვი —
სკკპ XXV ყრილობის მისადგომებთან . . . . . 66

ნათელა ურუშაძე —
„ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ . . . . . . . 70

ედიშერ გიორგაძე —
ძველი ფირფიტების, ნოტებისა და საკრავების კვალ-
დაკვალ . . . . . . . . . . . . . . 76

ინტერვიუ ს. ქობულაძესთან . . . . . . . . 78

ირაკლი ოჩიაური —
ისევ ჭედური ხელოვნების გამო . . . . . . . . 80

გიული გეგელია —
რამაზ კიკნაძე . . . . . . . . . . . . 82

ლია ჯინორია —
ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი და ჰოლივუდი . . . . 88

გივი მარუაშვილი —
მოდა. განვითარების ზოგიერთი სოციოლოგიური ას-
პექტი . . . . . . . . . . . . . . 92

სერგო ზაქარიაძე —
ფიქრები უშანგი ჩხეიძეზე (სერგო ზაქარიაძის დღიურიდან) 106

ქრონიკა . . . . . . . . . . . . . . 113

მთავარი რედაქტორი —
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო კოლეგია:
აკაკი ბაქრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
გივი ბოჯგუა
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ გაბუნია,
ვასილ კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
ზურაბ ნიჟარაძე,
გივი ორჯონიკიძე,
ნათელა ურუშაძე,
რევაზ ჩხეიძე,
ანტონ წულუკიძე,
ნიკო ჭავჭავაძე,
ნოდარ ჯანბერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**გაუმარჯოს**

**საბჭოთა**

**კავშირის**

**ხალხთა**

**ურღვევ**

**მეგობრობას!**



ფესტივალის მონაწილეები გვირ-გვინით ამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

75 თბილისი

# ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული

მოძმე საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობის დიად მატიანეში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფურცელი ჩასწერა „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ ფესტივალმა, რომელიც მაისის დამლევს გაიმართა თბილისში და სიახლის, სილამაზის, სიხარულის სხივი მოჰფინა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას. ამჯერად თანამედროვე საბჭოთა მუსიკის ეს ტრადიციული ფორუმი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირული გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნა, რამაც განუზომლად აამაღლა ფესტივალის როლი და მნიშვნელობა. საბჭოთა ხალხის ჰეროიკული ეპოპეის ხსოვნის შუქზე უფრო მკვეთრად გამოიხატა იმ ინტერნაციონალური, მოქალაქეობრივი, ჰუმანისტური და აღმშენებლური ტრადიციების დინამიკური განვითარების პროცესი, რომლითაც გამსჭვალულია სოციალისტური სინამდვილის ყოველი სფერო. ეს მაღალი ტრადიციები მემკვიდრეობით გადაეცემა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკოსთა თაობებს, რაც დიდად უწყობს ხელს მოძმე ერების იდეური ერთსულოვნების განმტკიცებას, განაპირობებს ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ კომპოზიტორთა შორის შემოქმედებითი თანამშრომლობის შეუნელებელ გაღრმავებას.

„ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ ფესტივალი სწორედ ამ მაღალი ტრადიციების, ამიერკავკასიის ხალხთა ძმური დამოკიდებულებისა და ჩვენი მუსიკოსების სამაგალითო შემოქმედებითი ურთიერთობის რეალურ განსახიერებას წარმოადგენდა. ყოველივე ამან თავიდანვე დაასადგურა კოლეგიალური კეთილმოსურნეობის, ადამიანური სითბოსა და სიახლოვის ატმოსფერო.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ფესტივალი „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 22 მაისს. დიდ სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში თავი მოიყარეს ფესტივალის მონაწილეებმა — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპოზიტორებმა, მუსიკისმცოდნეებმა, შემსრულებლებმა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, მრავალრიცხოვანმა სტუმრებმა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუსიკოსებმა.

საზეიმო საღამო გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ. იგი ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით. ო. ჩერქეზიამ თქვა:

„დღეს ჩვენს დედაქალაქში იწყება ამიერკავკასიის რესპუბლიკების თანამედროვე მუსიკალური კულტურის მიღწევათა დათვალიერება, რაც საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმობის კიდევ ერთი დადასტურებაა. ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობა საუკუნეებს ითვლის. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ჩვენი ხალხები ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ, ერთად იბრძოდნენ საერთო იდეალებისათვის. მაგრამ მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში, ხალხთა ერთიან მრავალეროვან ოჯახში დაიწყო ყველა ეროვნებათა სხვადასხვა სახის ხელოვნების ნამდვილი აყვავება. მხოლოდ სოციალისტური წყობილების ვითარებაში შევძელით ფორმით ეროვნული და შინაარსით ინტერნაციონალური ხელოვნების განვითარება.

ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ფესტივალები, კონკურსები, დათვალიერებები, ლიტერატურის დღესასწაულები, რომლებიც რეგულარულად იმართება რესპუბლიკების დედაქალაქებში. ყოველივე ეს ჩვენი ხალხების ინტერნაციონალური მეგობრობის შესანიშნავ გამოხატულებას წარმოადგენს, ხელს უწყობს ეროვნულ კულტურათა დაახლოებასა და ურთიერთზემოქმედებას, მაღალი ესთეტიკური იდეალების დამკვიდრებას.

ნიშანდობლივია, რომ ამიერკავკასიის მუსიკოსთა შემოქმედებითი შეხვედრების ამ ჩინებულ ტრადიციას, თანამედროვე საბჭოთა ხელოვნების მიღწევათა ჩვენებას საძირკველი ჩაეყარა დიდი სამამულო ომის წლებში — ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მუსიკის პირველი დეკადა გაიმართა თბილისში 1944 წლის დეკემბერში.

ომის მკაცრ წლებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, საბჭოთა კომპოზიტორების მუსიკა ადამიანებს აღაფრთოვანებდა ახალი მხედრული გმირობისათვის — მისი ხმა ჰეროიკულად, შთამაგონებლად, ამაღელვებლად ჟღერდა. ომის დროინდელ მასობრივ სიმღერებსა თუ დიდ სიმფონიურ ტილოებში აისახა საბჭოთა ხალხის სულიერი ძლიერება, მისი ერთიანობა და შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მისი ურყევი მისწრაფება გამარჯვებისაკენ. ამიტომ არასოდეს არ შენელდება ჩვენი საზოგადოებრიობის ინტერესი ომის წლების ხელოვნებისადმი, იმ საუკეთესო თხზულებებისადმი, რომლებშიც ასახულია საბჭოთა ხალხის გმირული ეპოპეა. დიდი სამამულო ომი ყოველთვის იქნება შთაგონების წყარო ჩვენი კომპოზიტორებისათვის. ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს საპატიო ადგილი ეთმობა მიმდინარე ფესტივალის პროგრამაში.



უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამორბედი ფესტივალის შემდეგ 10 წელმა განვლო. ესაა დაძაბული შრომის, ამიერკავკასიის მუსიკალური კულტურის ჭეშმარიტი აყვავების მთელი ეპოქა. ამ ხნის მანძილზე სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს კომპოზიტორებმა და შემსრულებლებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს მუსიკალური ხელოვნების ყველა დარგში. მათი სახელები ფართოდაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში, მის გარეთაც. ჩვენ სიხარულით ველით შეხვედრას ამიერკავკასიის გამოჩენილ მუსიკოსებთან, ვინც საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების საწყისებთან იდგა, ჩვენ მოუთმენლად მოველით იმ ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდობის გაცნობასაც, რომელსაც წილად ხვდა პატივი გამოვიდეს ესოდენ პასუხსაგებ ფორუმზე. დარწმუნებული ვართ, რომ მრგვალ მაგიდასთან — პრესკონფერენციებსა და დისკუსიებზე, მეგობრული შეხვედრების დროს, ფესტივალის მონაწილენი არ შემოიფარგლებიან მხოლოდ მოსმენილის შესახებ აზრთა გაზიარებით და საქმიანად განიხილავენ თანამედროვე მუსიკის აქტუალურ საკითხებს — თანამედროვეობასთან კომპოზიტორთა შემოქმედების, ტრადიციისა და ნოვატორობის, ინტერნაციონალიზმისა და ეროვნულობის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემებს.

ფესტივალის მონაწილეები და სტუმრები შეხვდებიან რესპუბლიკის მშრომელებსა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, გაეცნობიან ქართული კულტურის თვალსაჩინო ძეგლებს, ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

წლევანდელი „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული" მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს — მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, როცა მთელი ჩვენი ხალხი უმაგალითო შემოქმედებითი აღმავლობით შრომობს პარტიის დიდებულ წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ეგებება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას. დარწმუნებული ვართ, რომ თავიანთი შთაგონებული შემოქმედებითი შრომით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუსიკოსები ღირსეულ წვლილს შეიტანენ საბჭოთა ხალხის სულიერ საგანძურში, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების შესაბამისად ასახავენ მის აღმშენებლობით შრომას, კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის გმირულ მიღწევებს".



სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის სახელით ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი პ. სავინცევი.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აზერბაიჯანის კომპოზიტორთა კავშირის პირველმა მდივანმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ტ. ყულიევმა, სომხეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ე. მირზოიანმა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველმა მდივანმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ორჯონიკიძემ.

ფესტივალის გახსნას დაესწრნენ ამხანაგები: პ. გილაშვილი, შ. კიკნაძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, გ. ჯავახიშვილი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. შარიფოვი, აზერბაიჯანის სსრ კულტურის მინისტრი ზ. ბაგიროვი, სომხეთის სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მ. ხარაზიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჩერქეზიშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი.



პატარძეულის გმირთა სავანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ გახსნისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო კონცერტი ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის ბრწყინვალე გამოხატულებად გადაიქცა. საკონცერტო ესტრადაზე ერთმანეთს სცვლიდნენ აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი შემსრულებლები. მძლავრად ხმოვანებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების თანამედროვე კომპოზიტორთა მუსიკა. ეს კონცერტი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ აქ უმთავრესად წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა დროს შექმნილი, დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი მაღალმხატვრული ნაწარმოებები.

ფესტივალის პირველივე კონცერტმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა. მას მაღალი შეფასება მისცეს ფესტივალის სტუმრებმა. კონცერტის შემდეგ მოსკოველმა მუსიკისმცოდნემ რ. გლეზერმა თქვა:

ამიერკავკასიის მუსიკალურმა ფესტივალმა ბრწყინვალედ აიღო სტარტი. უკვე პირველმა საღამომ თვალსაჩინოდ გამოავლინა მისი დიდი მასშტაბი, ფართო გაქანება. ამის სამაგალითოდ საკმარისია თანამედროვეობის გამოჩენილი კომპოზიტორის ა. ხაჩატურიანის ნაწარმოებთა აღნიშვნა, რომლებიც შეასრულა შემსრულებელთა მთელმა „არმიამ“ და რომლებმაც თავიდანვე საზეიმო ელფერი მისცეს ფესტივალს.

მთავარი კი ისაა, რომ ამ კონცერტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ჭეშმარიტება, რომ დრო ყველაზე ობიექტური შემფასებელია. ყველას კარგად გვახსოვს, თუ რამდენი საწინააღმდეგო აზრი გამოითქვა ჯ. ტერ-თათევოსიანის მეორე სიმფონიის მისამართით, რომელიც 1959 წელს შეიქმნა მ. შოლოხოვის მოთხრობის „ბედი კაცისას“ მიხედვით. დღეს კი სრულიად საპირისპირო სურათის მოწმენი ვართ — ჯ. ტერ-თათევოსიანის მაღალმხატვრული ნაწარმოები ერთხმად იქნა აღიარებული. მან მოგვხიბლა ფსიქოლოგიური სიღრმითა და მკვეთრი სახოვანებით. იგი შესანიშნავად შეასრულა სომხეთის ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიურმა ორკესტრმა.

ფესტივალის აუდიტორია აღაფრთოვანა ა. ბალანჩივაძის პირველმა სიმფონიამ, ამ სამი ათეული წლის წინ რომ შეიქმნა. ა. ბალანჩივაძის სადირიჟორო ოსტატობამ იგი უფრო მეტად დაამშვენა და შესაძლებლობა მოგვცა გავცნობოდით ამ მშვენიერი ქმნილების აუტენტურ შთანაფიქრს. ავტორისეული შესრულება გამსჭვალული იყო ჰარმონიულობით, სისადავით, კეთილშობილებით, რაც აგრერიგად დამახასიათებელია ამ დიდი ხელოვანის ნატიფი სულიერი სამყაროსათვის.

პირველივე კონცერტმა გამოავლინა ის საინტერესო დიფუზია, რომელიც წარმოქმნა განსხვავებული სტილის, ხელწერისა და მიმართულებების კომპოზიტორთა მუსიკის ურთიერთქმედებამ. ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნების განუმეორებელი ეროვნული თავისებურებების ფონზე კიდევ უფრო მკვეთრად გამოვლინდა საბჭოთა მუსიკისათვის დამახასიათებელი საერთო თვისებები, მათ შორის განსაკუთრებით აღვნიშნავ მაღალ მოქალაქეობრივ პათოსს. ამის თვალსაჩინო ნიმუშად იქცა აზერბაიჯანელი კომპოზიტორის რ. მუსტაფაევის მონუმენტური კანტატა „ოქტომბერი“.

ამავე კონცერტის შესახებ აზრი გამოთქვა ბულგარელმა მუსიკისმცოდნემ ღ. ზენგინოვმა:

„ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა დავსწრებოდი ამიერკავკასიის მუსიკის ამ დიდ დღესასწაულს. მით უფრო, რომ განსაკუთრებული სიმპათიით ვარ გამსჭვალული აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი კომპოზიტორების მიმართ, მიტაცებს მათი ფერსავსე და ფრიად ორიგინალური შემოქმედება.

როცა ვიხსენებ ა. ხაჩატურიანის ტრიუმფალურ გასტროლებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, როცა ვისმენ ფ. ამიროვის სიმფონიის ჩანაწერს სტაკოვსკის დირიჟორობით, როცა ვკითხულობ გერმანული პრესის გამოძახილს გ. ყანჩელის სიმფონიაზე, ვრწმუნდები, რომ ამიერკავკასიის მუსიკას არა აქვს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა. ამიერკავკასიის კომპოზიტორები წარმოადგენენ საბჭოთა მუსიკის წამყვან ძალას, ისინი დგანან მიმდინარე საუკუნის მუსიკალური ხელოვნების ავანგარდში. ამასვე ამტკიცებს ფესტივალის პირველი კონცერტი, რომელმაც ამიერკავკასიის მუსიკალური შემოქმედების მთელი მრავალფეროვნება გამოაჩინა. როცა ვუსმენდი ყ. ყარაევის „მეგობრობის ჰიმნს“, ვფიქრობდი, რომ მეტისმეტად ძნელია ისეთი საზეიმო ნაწარმოების შექმნა, რომელსაც არ ექნება ფორმალური ხასიათი. გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის ამ ნაწარმოებმა მომხიბლა სწორედ თავისი სიწრფელითა და შინაგანი სიმართლით, რაც ამ ჟანრის ნაწარმოებებს იშვიათად ახასიათებთ. სამხრეთული ტემპერამენტითაა გამსჭვალული არამ ხაჩატურიანის სადღესასწაულო ნაწარმოებები. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ზეიმისა და სიხარულის სტიქია ახლობელია საბჭოთა მუსიკის ამ რუბენსისათვის.

განუზომლად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ა. ბალანჩივაძის პირველმა სიმფონიამ. ამ ნაწარმოების ფირი ბულგარეთში ომის დამთავრებისთანავე გაჩნდა. მაშინ სტუდენტი ვიყავი და აღფრთოვანებული რეცენზია ვუძღვენი ამ დიდებულ ნაწარმოებსა და მის ავტორს. დღეს მით უფრო გახარებული ვარ, რომ ჩემი ჭაბუკური შთაბეჭდილება უტყუარი აღმოჩნდა: ა. ბალანჩივაძის სიმფონია მიმაჩნია მთელი საბჭოთა მუსიკის დიდ გამარჯვებად“.

მოსკოველმა კომპოზიტორმა ბ. შანტირმა აღნიშნა:

„ამ კონცერტმა შესაძლებლობა მოგვცა კიდევ ერთხელ მოგვესმინა ის ნაწარმოებები, რომელთა უმრავლესობა სამამულო ომის გმირულ ეპოპეას ეძღვნება და შექმნილია დიდი ხნის წინ. ამით ერთგვარად შემოწმდა მათი სიცოცხლისუნარიანობაც. ამ მხრივ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ორმა მონუმენტურმა ნაწარმოებმა — ა. ბალანჩივაძისა და ჯ. ტერ-თათევოსიანის სიმფონიებმა, სრულიად ახ-

ზ. ფალიაშვილის ძეგლთან.

→

პარაკი, რომლის გაშიფვრა დიდ დროსა და ყურადღების მაქსიმალურ დაძაბვას ითხოვს. ცხადია, ნაწარმოების საფუძვლიანი აღქმა შეუძლებელია ერთი მოსმენით, მაგრამ ცხადია ისიც, რომ დიდია მნიშვნელობა სწორედ პირველი შთაბეჭდილებისა, რომელიც ხშირად განსაზღვრავს ხოლმე ნაწარმოების მომავალს.

დღეს, მუსიკის სიცოცხლეზე მინდა ვილაპარაკო. შევაჩერებ ყურადღებას იმ შესანიშნავ ტრიადაზე, ერთმანეთთან აგრე რიგად რომ აკავშირებს კომპოზიტორს, შემსრულებელსა და მსმენელს. ამ ურთიერთკავშირს წარმოქმნის მხოლოდ ნამდვილი ხელოვნება, ის დიდი თვისება, რომელსაც ემოციურ ზემოქმედებას ვუწოდებთ. ამის გარეშე მოსაწყენია მუსიკა, თეატრი, მხატვრობა, მოსაწყენია თვით ცხოვრება. ამიტომ იყო, რომ ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ დაგვეუფლა დაუოკებელი სურვილი მშვენიერების განცდისა... ამიტომაც მივაშურეთ სურათების გამოფენას, მივაშურეთ ქართული ხუროთმოძღვრების დიდებულ ძეგლებსაც... აქ კვლავ ვირწმუნეთ ის დიდი ძალა, მხოლოდ ნამდვილ ხელოვნებას რომ ახასიათებს. აქ დაგვატყვევა სილამაზემ. მასზე ლაპარაკს კი რატომღაც ვერიდებით ხოლმე.

ამასთან დაკავშირებით, მახსენდება ბიზეს ერთადერთი რეცენზია, რომლის გამოქვეყნების შემდეგ მან პრესაში გამოსვლის უფლება დაჰკარგა. ბიზე ტერმინების უარყოფას მოითხოვდა. მას მიაჩნდა, რომ ყველაზე დიდი ზიანი მოაქვთ წესებისა და კანონების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებებს: უსუსური ნაწარმოები თვითონვე მოისწრაფავს სიცოცხლეს. სხვადასხვა სისტემის ფარგლებში მოქცეული მუსიკა კი ეღობება ნიჭიერებასო.

ყოველივე ამაზე ვფიქრობდი ფესტივალის დღეებში... რადგან, როცა მხარს ვუჭერთ ექსპერიმენტულ მუსიკას, როცა ვიცავთ ამა თუ იმ სისტემაში დაწერილ ნაწარმოებს, ამ დროს ჩვენ უკვე აღარ ვანსხვავებთ ერთმანეთისაგან მშვენიერ, ცოცხალსა და შთაგონებულ ხელოვნებას პროფესიულად დაწერილ იმ ნაწარმოებთაგან, რომლებსაც, როგორც წესი, საინტერესო ნამუშევარს ვუწოდებთ ხოლმე.

ჩემი აზრით, ესოდენ ფართო ფორუმზე არ შეიძლება ყველაფრის გამოტანა. სავარჯიშოებისა და ექსპერიმენტებისათვის, ეგზერსისებისა და ცდებისათვის არსებობს ის მყუდრო გარემოცვა, შემოქმედებით ლაბორატორიას რომ უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ჩაიკოვსკის წერილი რიმსკი-კორსაკოვისადმი, სადაც იგი გამოთქვამს თავის კმაყოფილებას ახალგაზრდა ავტორის თვითკრიტიკული დამოკიდებულების შესახებ. იგი წერს: ქედს ვიხრი თქვენი არტისტული სიმკაცრის წინაშე. ამ ზაფხულს 60 ფუგა შეგიქმნიათ, ძალიან ბევრი გივარჯიშიათ. თქვენგან დიდი მხატვარი დადგებაო... გავიხსენოთ ტანეევიც... მანამდე, სანამ საზოგადოება გაეცნობოდა მის სიმფონიას, მან გასწია უზარმაზარი შრომა. ვინ იცის რამდენი ცდა ჩაატარა კონტრაპუნქტის სფეროში, ვინ მოთვლის თემატური მასალის რამდენი ვარიანტი შეიმუშავა! ჩვენ კი ვიცნობთ მხოლოდ ესოდენ დაძაბული მუშაობის შედეგს.

აქ გასართობად როდი ჩამოვედით. ასეთი შეკრებები ხელს გვიწყობენ მომავალი ცხოვრების განსაზღვრაში. მეც დავფიქრდი ჩემს ხვალინდელ დღეზე, — როგორც პროპაგანდისტს, გამიჭირდება ფართო მსმენელის შეზიარება ასეთ მუსიკასთან, ძნელია ამ ნაწარმოებთა გაშიფვრა მათთვის გასაგებ ენაზე.

მაგრამ ყველა კონცერტმა როდი დამაყენა ასეთ პესიმისტურ განწყობილებაზე... სიხარულის განცდა დამეუფლა სომხური მუსიკის იმ საღამოზე, სადაც შესანიშნავად შესრულდა ე. მირზოიანის სავიოლონჩელო სონატა. შემსრულებელმა, რომელიც თავისი თანამედროვის შემოქმედებაზე იზრდება, მიიღო საზრდო სრულყოფისათვის. ეს ნაწარმოები არაერთგზის მოგვისმენია, დღეს კი საბოლოოდ დავრწმუნდით მის სიცოცხლისუნარიანობაში, მის მომავალშიც... მასში ღრმა ფილოსოფიური აზრია გადმოცემული. მისი მუსიკა ცოცხალია, ლამაზიცაა... მოვიხიბლეთ ლ. სარიანის სავიოლინო კონცერტითაც, მასაც სიამოვნებით დაუკრავენ შემსრულებლები, სიამოვნებით მოუსმენენ მუსიკისმოყვარულებიც. ეს კონცერტი საუკეთესო ტრადიციებშია შექმნილი, კეთილშობილებით სუნთქავს მისი მუსიკა, ძალზე შთამბეჭდავია ლირიკული სახეები.

როცა ა. ტერტერიანის მეორე სიმფონია სრულდებოდა, მსმენელთა დარბაზში იდუმალებით დამუხტული ატმოსფერო დამკვიდრდა. მოხდა ის, რასაც აგრე რიგად ველოდით — შევესწარით ჭეშმარიტად შთაგონებული მუსიკის აჟღერებას. სიმფონია თავისი მოცულობით დი-



მუსიკისმცოდნე ლ. შუბერტი (გდრ).



კომპოზიტორი და მუსიკისმცოდნე ჩ. ბოლდიჟარი (რუმინეთი).



მუსიკისმცოდნე დ. ზენგინოვი (ბულგარეთი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეთმო. ამასთან ყოველდღიურად ორი კონცერტი იმართებოდა — კამერული და სიმფონიური მუსიკისა.

ამრიგად, ფესტივალზე, რომელიც 10 დღეს გაგრძელდა (22 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით), გაიმართა 17 კონცერტი და ერთი სპექტაკლი (რ. ლაღიძის ოპერა ,,ლელა"). საკონცერტო პროგრამებში შეტანილი იყო უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შექმნილი სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტული, კანტატა-ორატორიული, საგუნდო და საესტრადო მუსიკის ნაირგვაროვანი ნაწარმოებები, წარმოდგენილი იყო ფრაგმენტები ამიერკავკასიის კომპოზიტორთა ბალეტებიდან. ფესტივალის ესტრადაზე გამოჩენილი კომპოზიტორების ნაწარმოებთა გვერდით სრულდებოდა ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებაც, რაც ქმნიდა ეროვნული მუსიკალური ტრადიციების დინამიკური განვითარების ნათელსა და საინტერესო სურათს. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი საღამო მთლიანად დაეთმო მოძმე რესპუბლიკების ხალხთა მუსიკალურ ფოლკლორს, რაც სიახლეა საფესტივალო ღონისძიებების პრაქტიკაში. ყოველივე ეს თვალსაჩინოდ მეტყველებს ფესტივალის აფიშის მრავალფეროვნებაზე, საკონცერტო პროგრამის ყოვლისმომცველ მასშტაბსა და მოცულობაზე.

,,ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი" საშემსრულებლო ძალების მიღწევათა დათვალიერებასაც წარმოადგენდა. მან მიიზიდა შემსრულებელთა მთელი არმია — 800-ზე მეტი მუსიკოსი. ფესტივალის საკონცერტო ესტრადაზე ერთმანეთის მხარდამხარ გამოდიოდნენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სიმფონიური ორკესტრები, კამერული ანსამბლები, საგუნდო კოლექტივები, საესტრადო ანსამბლე-



სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ა. ხაჩატურიანი.

# ახალგაზრდობას

**ამიერკავკასიის** მუსიკალური ფესტივალი უდიდესი მოვლენაა აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი ხალხების კულტურულ ცხოვრებაში. საკონცერტო პროგრამებიდანაც თვალსაჩინოა თუ რაოდენ სერიოზული და სოლიდურია ეს ღონისძიება. მის მაღალ დონეზე მეტყველებენ იმ გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორებისა და შემსრულებლების სახელები, რომელთა შემოქმედებაც მუსიკის ამ დიდ ზეიმზეა წარმოდგენილი.

პირველი ფესტივალის შემდეგ, 1944 წელს რომ ჩატარდა,

ბი, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრები, ერთმანეთს სცვლიდნენ შესანიშნავი დირიჟორები, ინსტრუმენტალისტები, მომღერლები. „ამიერკავკასიის მუსიკალურ გაზაფხულზე" მთლიანად მონაწილეობდა 1300-ზე მეტი მუსიკოსი, შესრულდა 200-მდე ნაწარმოები.

ერთი სიტყვით, ფესტივალმა ასახა მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ცხოვრების მთელი პანორამა, რომლის შუქზე ნათლად გამოვლინდა თანამედროვე საბჭოთა მუსიკის უდიდესი მხატვრული მონაპოვრები, მისი მაღალი პროფესიული დონე, სიახლეები... თაობათა ცვლის ფონზე მკვეთრად გამოჩნდა ის ძირითადი იდეურ-ესთეტიკური ტენდენციები, რთული ტექნოლოგიური პროცესები, ასე ინტენსიურად რომ ვითარდება ამიერკავკასიის კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

ყოველივე ეს საფუძვლიანად შუქდებოდა ყოველდღიურ პრეს-კონფერენციებზე, რომლებსაც უაღრესად დიდი ადგილი დაუთმო ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა. აქ საბჭოთა თუ უცხოელი კომპოზიტორები და მუსიკისმცოდნეები მსჯელობდნენ საფესტივალო კონცერტებზე, ცალკეულ ნაწარმოებებსა და ავტორებზე, შემსრულებლებზე, კამათობდნენ წინააღმდეგობებსა და იმ აქტუალურ პრობლემებზე, მუსიკის ამ დიდმა ფორუმმა რომ გამოამჟღავნა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის, შთაბეჭდილებათა გაზიარების ამ ფრიად სერიოზულსა და ცხოველმყოფელ ატმოსფეროში ისახებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნების განვითარების გამომხატველი სურათი. მართლაც, მიმდინარე დისკუსიამ, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების შუქზე შეაფასა ფესტივალ-

# მოვუწოდებ...

არამ ხაჩატურიანი

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალურმა ცხოვრებამ უდიდესი წინსვლა განიცადა. იმ ხანად ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ნაწარმოებები თითებზე იყო ჩამოსათვლელი. დღეს კი ამ რესპუბლიკებში მოღვაწეობენ კომპოზიტორთა თაობები, რომელთა შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ამ პერიოდში შექმნილმა მრავალმა ნაწარმოებმა მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა საკონცერტო ესტრადაზე და თავისით გაიკვლია გზა მსმენელისაკენ. დიდი წარმატების მაჩვენებელი ისიცაა, რომ აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი კომპოზიტორები ნაყოფიერად მოღვაწეობენ მუსიკალური ხელოვნების ყველა ჟანრში, რაც ეროვნული მუსიკალური კულტურების მრავალფეროვნებას განაპირობებს. მათ მიერ შექმნილია მაღალმხატვრული ნიმუშები სასიმღერო, კანტატა-ორატორიული და კამერული მუსიკისა, ისინი იპყრობენ მუსიკალური ხელოვნების ისეთ მწვერვალებსაც, როგორიცაა ოპერა და სიმფონია. რა თქმა უნდა, ეროვნული მუსიკალური ხელოვნების ასეთი აყვავება სოციალისტური სისტემის შედეგია, საბჭოთა ხელისუფლების ბრძნული პოლიტიკის მონაპოვარია.

ამიერკავკასიის კომპოზიტორთა დიდ წარმატებებზე მეტყველებს ის ფრიად მნიშვნელოვანი და საინტერესო წიგნიც „ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკა", რომელიც სპეციალურად ფესტივალისთვის გამოიცა თბილისში. ეს დიდტანიანი წიგნი კარგადაა გამოცემული, მასში წარმოდგენილია წერილები კლასიკოსებსა და გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორებზე, ახალგაზრდა ავტორებზე, შემსრულებლებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აქ მოტანილია მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორების აზრი ერთმანეთის შემოქმედებაზე, რაც, თავის მხრივაც, აშკარად მეტყველებს საბჭოთა ხალხების ურყევ მეგობრობაზე, მე ვიტყოდი, რომ ესაა მეგობრობის ამსახველი დოკუმენტი. ასეთი სახის წიგნი პირველადაა საბჭოთა კავშირში. მისმა ავტორებმა და შემდგენლებმა,

ზე შესრულებული ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები, მკვეთრად გამოავლინა ის ძირითადი და წარმმართველი იდეურ-ესთეტიკური პოზიციები, მრავალეროვანი საბჭოთა ხელოვნების პერსპექტივებს რომ განსაზღვრავენ. ფესტივალის ტრიბუნიდან ორატორები მოუწოდებდნენ ეროვნული ტრადიციების განვითარებისაკენ, ორიგინალური შემოქმედებითი სტილისა და ხელწერის გამომუშავებისაკენ, თანამედროვე მუსიკის ტექნიკური სიახლეების შემოქმედებითი ათვისებისა და გადააზრებისაკენ, ინტერნაციონალური სულისკვეთებისაკენ, ჩვენი მგზნებარე სინამდვილის მაღალმხატვრული ასახვისაკენ...

აღნიშნულ სადისკუსიო მასალას ვაქვეყნებთ ჩვენი ჟურნალის ამავე ნომრის ფურცლებზე, რაც უთუოდ აღძრავს ფართო მკითხველის ინტერესს და დაეხმარება ჩვენს კომპოზიტორებსა თუ მუსიკისმცოდნეებს სწორი შემოქმედებითი ორიენტაციისა და მაღალი კრიტერიუმების შემუშავებაში.

ფესტივალის აღსანიშნავად მომზადდა სპეციალური წიგნი „ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკა“, რომლის შედგენაში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მუსიკისმცოდნეები და კომპოზიტორები. იგი თბილისში გამოსცა „ხელოვნებამ“ (რედაქტორები: გ. ორჯონიკიძე, ნ. შახნაზაროვა, გ. გეოდაკიანი, ე. აბასოვა) და ამიერკავკასიის მუსიკოსთა ერთობლივი თანამშრომლობის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. წიგნში განხილულია მოძმე რესპუბლიკების სხვადასხვა თაობის კომპოზიტორთა შემოქმედება — კლასიკოსებიდან ახალგაზრდა ავტორებამდე. აქვე ფართოდაა წარმოდგენილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების საშემსრულებლო ხელოვნება, გაშუქებულია წამყვანი შემოქმედებითი კოლექტივებისა და სახელო-

მართლაც რომ დიდი საქმე გააკეთეს — ასახეს ამიერკავკასიის მუსიკალური სინამდვილე, რაც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს კრიტიკოსებს, მუსიკის ისტორიკოსებს, თეორეტიკოსებს, მკითხველებს. ეს წიგნი ჩვენი მუსიკალური კულტურის ძვირფასი შენაძენია.

ამიერკავკასიის კომპოზიტორებს შორის არიან ნამდვილი ნოვატორებიც, თუმცა დღეს ნოვატორობის მცნება ერთგვარ დაზუსტებას ითხოვს. პირადად მე ნოვატორობა ასე მესმის — წარსულისა და თანამედროვეობის მუსიკალური მემკვიდრეობის კრიტიკული აღქმა, რომლის დროსაც შემოქმედმა უნდა აითვისოს მხოლოდ მისი პროგრესული ელემენტები და შეუთავსოს ისინი საკუთარ გამომგონებლობას. ნოვატორია მხოლოდ ის, ვისაც საკუთარი სახე გააჩნია. ამას კი უპირველესად ქმნის ინტონაცია, რომელიც საფუძვლად ედება კომპოზიტორის ორიგინალურ მელოდიურ აზროვნებას, ორიგინალობით უნდა იყოს გამსჭვალული ჰარმონიული ენა და აზრის გამოთქმის მანერაც. ნოვატორია ის, ვინც ამ სამ სფეროში ახალ „სიტყვას“ იტყვის და დაამკვიდრებს.

ზოგიერთს ჰგონია, რომ ნოვატორობა გამორიცხავს მემკვიდრეობითობას. ეს მცდარი აზრია, რასაც მუსიკის მთელი ისტორია ამტკიცებს — ადრინდელ ბეთჰოვენში ადვილად აღმოაჩენთ მოცარტს, ადრინდელ შუბერტსა და შუმანში — ბეთჰოვენს და ა. შ. ჭეშმარიტი ხელოვნება ვერ იარსებებს ასეთი ურთიერთკავშირების გარეშე.

დღეს ძალზე ბევრს ლაპარაკობენ სხვადასხვა მუსიკალურ სისტემაზე — ატონალურზე, პოლიტონალურსა თუ დოდეკაფონიაზე, ალიატორიკაზე, სონორისტიკასა და სხვა. ზოგიერთს ნოვატორობა ესახება ამ სისტემათა დაუფლებაში. არც ესაა სწორი. ყველაფერი დამოკიდებულია მხოლოდ ტალანტზე! ჭეშმარიტი ხელოვანი წინასწარ არასოდეს არ ფიქრობს იმაზე, თუ რომელ სისტემაში უნდა ჰპოვოს გამოხატულება მისმა შთანაფიქრმა. ნებისმიერი საშუალება გამართლებულია, თუკი იგი ნამდვილი მუსიკის შექმნას ემსახურება.

ნამდვილი მუსიკის უმთავრესი მაჩვენებელია ეროვნულობა. ნურავინ იფიქრებს, რომ ოდესმე მაინც მოხდება მისი ნიველირება. კომუნიზმის ეპოქაშიც ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის სწორედ ეროვნულობა იქნება გადამწყვეტი. ეროვნული მუსიკალური ენა, ეროვნული ინტონაცია, რიტმი, ტემბრი და სხვა თვისებები არასოდეს დაკარგავენ თავის მნიშვნელობას. მათ გარეშე მკვდარია მუსიკა.

დღეს, ინტენსიურად ყალიბდება საბჭოთა მუსიკის საერთო თვისებებიც, რომლებიც გამოხატულებას ჰპოვებენ ისეთ საყოველთაო მცნებებში, როგორიცაა ხალხურობა, ჰუმანურობა, ოსტატობა, პროფესიონალიზმი... მათგან განუყოფელია ეროვნულობა, რომელსაც გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებ კომპოზიტორის შემოქმედებაში. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას ახალგაზრდა ავტორთა მისამართით ვლაპარაკობ, თუმცა არანაკლებ მაღელვებს ახალგაზრდა მსმენელთა ბედიც.

ძალზე ვწუხვარ, რომ საესტრადო მუსიკისადმი ესოდენ მოჭარბებულმა სიმპათიამ შესამჩნევად გაანელა მათი ინტერესი დიდი მუსიკის მიმართ. სიმღერა ძალზე მნიშვნელოვანი ჟანრია, მას შეუძლია ბევრი რამ მნიშვნელოვანი და მაღალიდეური გაუზიაროს მსმენელს, მოუწოდოს მას შრომისა და გმირობისაკენ, ზნეობრივი კეთილშობილებისაკენ. მაგრამ მისდამი სიყვარული არ უნდა ამცირებდეს გემოვნების ამპლიტუდებს. ახალგაზრდობას ასევე უნდა უყვარდეს სხვა ჟანრები, მას უნდა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანი შემსრულებლების შემოქმედება. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წიგნის ის ნაწილი, რომლის რუბრიკაა „კომპოზიტორები კომპოზიტორებზე“.

„ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულისათვის“ სპეციალურად მომზადდა აგრეთვე ცნობარი — ფესტივალი „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“. მასში მოტანილია საკონცერტო პროგრამები და შესასრულებელ ნაწარმოებთა ანოტაციები, რომლებსაც დართული აქვთ მოკლე ცნობები კომპოზიტორთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. იგი გამოაქვეყნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სარეკლამო გამოცემის დირექციამ (რედაქტორები: ე. აბაშოვა, მ. ბერკო, გ. ტორაძე).

„ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ ფესტივალმა ჭეშმარიტად სახალხო ხასიათი მიიღო. ამას მოწმობდა ის ხალხმრავალი აუდიტორია, დიდ ინტერესს რომ იჩენდა საფესტივალო კონცერტების მიმართ და მხურვალედ ეგებებოდა არა მარტო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელგანთქმულ კომპოზიტორებსა თუ შემსრულებლებს, არამედ ახალბედა მუსიკოსებსაც. ამასვე ადასტურებდნენ ფესტივალის მონაწილეთა მღელვარე შეხვედრები ჩვენი რესპუბლიკის საწარმოო დაწესებულებებისა და სოფლის მეურნეობის მშრომელებთან, მუშებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, მეომრებთან, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან...

დიდი წარმატებით ჩატარდა კონცერტები თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანასა და ჩაის საწონ ფაბრიკაში საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით (დირიჟორი ს. კორკოტაშვილი), აგრეთვე შეხვედრა დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან ამიერკავკასიის სამხედრო

# მეგობრობის სითბო!

პეტრე სავინცევი

**ბედნიერად** ვთვლი თავს, რომ მომეცა საშუალება სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოსა და გამგეობის სახელით მივესალმო ფესტივალ „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ ორგანიზატორებსა და მონაწილეებს. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემოქმედებითი კავ-



სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი პ. სავინცევი.

აჩნდეს ოპერისა და სიმფონიის, კამერული მუსიკის მოსმენის მოთხოვნილება, ნურავინ იტყვის, რომ ძნელია სერიოზული მუსიკის გაგება. ნამდვილ მუსიკას გაგება კი არა, შეგრძნება სჭირდება. მსმენელს არ მოეთხოვება ჩაიკოვსკისა თუ ფალიაშვილის ნაწარმოებთა გაანალიზება. თუ ნაწარმოები მაღალმხატვრულია, მისი სიდიადე და მშვენიერება ააღელვებს თვით ყველაზე „არაკვალიფიცირებულ“ მსმენელსაც კი.

ახალგაზრდობას მოვუწოდებ — შეიყვარეთ დიდი მუსიკა! იგი გაამდიდრებს, გაალამაზებს თქვენს სულიერ სამყაროს.

ამიერკავკასიის მუსიკალურ ფესტივალზე შესრულდება ჩემი ორი ახალი ნაწარმოები: „დაფდაფები“, რომელიც ვუძღვენი დიდი სამამულო ომის 30 წლისთავს. იგი ჩავიფიქრე, როგორც ერთგვარი მუსიკალური პრიამბულა, საზეიმო მოვლენებს რომ გვაუწყებს. „დაფდაფები“ დაწერილია 32 საყვირისა და 10 დოლისათვის... საზეიმო ხასიათისაა მეორე ნაწარმოებიც, რომელსაც „სიხარულის ოდა“ შევარქვი. იგი დაწერილია სიმფონიური ორკესტრის, მევიოლინეთა და არფისტთა ანსამბლებისათვის, დიდი გუნდისა და მეცო-სოპრანოსათვის და ეძღვნება სამშობლოს სიყვარულის მაღალ თემას. ბედნიერი ვიქნები, თუკი ეს ნაწარმოებები, რომლებიც თბილისში პირველად შესრულდება, მოეწონება მსმენელს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქის ოფიცერთა სახლში, სადაც შესრულდა სამი რესპუბლიკის კომპოზიტორთა მიერ დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები.

ფესტივალის მონაწილენი და სტუმრები დიდი ინტერესით გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. ისინი ესტუმრნენ თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრს, სადაც ნახეს კომპოზიტორ შ. მილორავას ახალი ოპერეტა „ჯარში მიდის დედისერთა“, ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაეცნენ ნორჩი მუსიკოსების თვითმოქმედებას, თბილისის კინოს სახლში ნახეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რამდენიმე ნაწარმოები, ეწვივნენ ფირმა „მელოდიის“ თბილისის გრამფირფიტების ჩამწერ სტუდიას და ჩანაწერებით მოისმინეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ფესტივალის მონაწილეებმა დაათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლები თბილისსა და მცხეთაში, ჯვრის ტაძარში მოუსმინეს გორის მუსიკალური სასწავლებლის გოგონათა ანსამბლს (შ. მოსიძის ხელმძღვანელობით), შეხვდნენ სოფელ მანავის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს, პატარძეულში დაათვალიერეს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალი — „გმირთა სავანე“, საქართველოს მწერალთა კავშირის თაოსნობით ფესტივალის მონაწილეებმა თავი მოიყარეს საიათნოვას საფლავთან და პატივი სცეს ამიერკავკასიის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ამ გულმხურვალე მომღერლის ხსოვნას...

„ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“ წარმოადგენდა არა მარტო წარმატებათა დემონსტრაციას, იგი სოციალისტური შეჯიბრის შესანიშნავი გამოვლინებაც გახლდათ. ჯანსაღი შემოქმედებითი პაექრობა სტიმულს აძლევდა მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორებს, მუსიკისმცოდნეებსა და შემსრულებლებს, რამაც განუზომლად აამაღლა ფესტივალის პროფესიული დონე და მხატვრული ხარისხი. მართლაც, ამ დიდი ფორუმის ყოველი მონაწილე მთელი შემართებით იღვწოდა, ყოველნაირად ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა მშობლიური მუსიკალური კულტურის ამ დიდ შემოქმედებით ანგარიშში და ამით უფრო მეტად გაელამაზებინა ამიერკავკასიის ხალხთა საერთო ზეიმი.

შირების ხელმძღვანელებმა უდიდესი ღვაწლი დასდეს მუსიკის ამ დიდი ფორუმის ჩაგარებას, რისი ინიციაგივაც ჩვენს შესანიშნავ მასპინძლებს — ქართველ კოლეგებს ეკუთვნით.

დღეს უკვე ნათელია, რომ ფესგივალი „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. ესაა ჩვენი საერთო ზეიმი, მრავალეროვანი საბჭოთა მუსიკის ნამდვილი დღესასწაული. ძნელია სხვა ასეთი ღონისძიების დასახელება, რომელსაც საბჭოთა ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ასეთი რამ მხოლოდ კომპოზიგორთა საკავშირო ყრილობებზე ხდება ხოლმე. უკვე ეს ფაქგი თვალსაჩინოდ მეგყველებს მიმდინარე ფესგივალის მასშგაბზე, მისდამი ფართო ინგერესზე, რაც სავსებით კანონზომიერია.

ფესგივალის კონცერგებზე გამოჩნდა ამიერკავკასიის ეროვნული მუსიკალური სკოლების მთელი მრავალფეროვნება. მათ ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებთ ერთიანი იდეური მიზანსწრაფვა, სოციალისგური რეალიზმისა და კომუნისგური პარგიულობის მაღალი პრინციპები. ყოველივე ამან ამიერკავკასიის მუსიკალური შემოქმედების ჭეშმარიგი ხალხურობა განაპირობა. სწორედ ეს უდევს საფუძვლად თანამედროვე ქართულ, სომხურსა და აზერბაიჯანულ მუსიკას, ერთმანეთისაგან ასე მკვეთრად რომ განირჩევიან განუმეორებელი ეროვნული თვითმყოფადობით.

ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკა საუკუნეთა მანძილზე ვითარდებოდა, მაგრამ ამ ეროვნულმა კულგურებმა ჭეშმარიგ აყვავებას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიაღწიეს. დღეს მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ამიერკავკასიის ეროვნული პროფესიული მუსიკალური სკოლების ფუძემდებლები — ქართული, სომხური და აზერბაიჯანული მუსიკის კლასიკოსები: ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი და მ. ბალანჩივაძე, ს. კომიგასი და ა. სპენდიაროვი, უ. ჰაჯიბეკოვი. მათ მიერ ჩანერგილი გრადიციები არათუ დღეს, არამედ მომავალშიც მოისხამენ ნაყოფს.

მეგობრული გაპაექრების ცხოველმყოფელი ატმოსფერო სუფევდა განსაკუთრებით იმ სამ ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ კონცერტზე, რომელზედაც ერთად მონაწილეობდნენ სამივე რესპუბლიკის წარგზავნილები. ასეთ ვითარებაში ჩატარდა „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ გახსნისადმი მიძღვნილი კონცერტი, ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური ფოლკლორის კონცერტი და ფესტივალის დახურვის აღსანიშნავად გამართული დიდი საზეიმო საღამო, რომელზედაც მგზნებარედ ახმოვანდა საესტრადო სიმღერები თანამედროვე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი კომპოზიტორებისა.

ფინალური კონცერტის კულმინაციად იქცა „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულისადმი“ მიძღვნილი კომპოზიტორ ნოდარ მამისაშვილის სიმღერა „მაისი, მეგობრობა და სიყვარული“, რომელიც შეასრულა სომხეთის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, ქართველ მევიოლინეთა ანსამბლმა, საქართველოს სახელმწიფო კაპელამ, ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ორერამ“, საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრმა „რეროს“, საქართველოს სახალხო არტისტის ნანი ბრეგვაძისა და აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რესპუბლიკის ლენინური კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატის ფოლად ბიულ-ბიულ ოღლის მონაწილეობით.

„ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ დასკვნით კონცერტს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, ესწრებოდნენ ამხანაგები: Ჯ. ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ვ. ᲡᲘᲠᲐᲫᲔ, Ო. ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲐ, Გ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი Ტ. ᲮᲠᲔᲜᲘᲙᲝᲕᲘ, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე Ა. ᲨᲐᲠᲘᲤᲝᲕᲘ, აზერბაიჯანის კულტურის მინისტრი Ზ. ᲑᲐᲒᲘᲠᲝᲕᲘ, სომხეთის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე Მ. ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲐᲜᲘ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე Ნ. ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი Ო. ᲗᲐᲥᲗᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

მათი დამსახურებაა, რომ დღეს ამიერკავკასიაში აქტიურად მოღვაწეობენ მაღალპროფესიული მუსიკალური სკოლები, რითაც ამაყობს მთელი ჩვენი საკომპოზიტორო ორგანიზაცია. აქ ნაყოფიერად მუშაობენ შესანიშნავი კომპოზიტორები, რომელთა შემოქმედება გასცდა საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს და საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა. ამიერკავკასიის თანამედროვე კომპოზიტორთა მუსიკა დიდი წარმატებით სრულდება მთელ მსოფლიოში, რაც საამაყოა საერთოდ საბჭოთა კულტურისათვის.

ამიერკავკასიის მუსიკალური სკოლების უდიდესი დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ მათ მშობლიური მუსიკალური ხელოვნება ვიწრო ეროვნული ფარგლებიდან გაიყვანეს მაღალმხატვრული პროფესიული ხელოვნების ფართო სარბიელზე. აქსიომაა, რომ ვიწრო ეროვნული ჩარჩოები აფერხებენ პროფესიული ხელოვნების განვითარებას. მის წინსვლას ფართო შემოქმედებითი კონტაქტები აძლევენ ბიძგს. ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული ამ მხრივაც მისასალმებელია. იგი არა მარტო წარმატებების დემონსტრაციაა, არამედ ურთიერთზემოქმედების შესანიშნავი სტიმულიც გახლავთ.

ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალის დღეები გამთბარია მუსიკითაც და ნამდვილი მეგობრობითაც, რაც საბჭოთა კომპოზიტორების იდეურ ერთსულოვნებაზე მეტყველებს. დიახ, მეგობრობა აძლევს გეზს მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის მუსიკის განვითარებას.

ვიმედოვნებ, რომ ამიერკავკასიის კომპოზიტორები კვლავაც ასეთი თავდადებით ემსახურებიან კომუნისტური პარტიის მაღალ იდეალებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



უ. ჰაჯიბეკოვის სახელობის აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, სახელმწიფო საგუნდო კაპელა, ტელევიზიისა და რადიოს გუნდი.

# შეჯიბრი თანასწორთა შორის!

ტოფიკ ყულიევი

**ამიერკავკასიის** რესპუბლიკების კომპოზიტორები ღირსეულად აგრძელებენ და ანვითარებენ ეროვნული მუსიკალური სკოლების ფუძემდებელთა დიდ დანატოვარს, მათ მიერ ჩანერგილ მაღალმხატვრულ ტრადიციებს. დიახ, დღეს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მთელი შემართებით ილვწიან ჩვენი კლასიკოსების — ზაქარია ფალიაშვილის, ალექსანდრე სპენდიაროვის, უზეირ ჰაჯიბეკოვის შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები. ისინი წინამორბედთა კვალდაკვალ, დღენიადაგ ამდიდრებენ და ანაყოფიერებენ, როგორც მშობელი ხალხის სულიერ საუნჯეს, ისე მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის საგანძურს. ამის ნათელი დადასტურებაა მიმდინარე მუსიკალური ფესტივალიც, სადაც ესოდენ ფართოდაა წარმოდგენილი ყველაფერი საუკეთესო, რაც კი უკანასკნელი 10 წლის მანძილზე შეუქმნიათ ქართველ, სომეხსა და აზერბაიჯანელ კომპოზიტორებს. დღეს აქ გამომზეურებულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების სხვადასხვა თაობის კომპოზიტორთა ნამოღვაწარი — შთაგონებული მაღალი იდეალებით, ფრთაშესხმული ოსტატობით, ტალანტით. სასიხარულოა, რომ ჩვენი კომპოზიტორების შემოქმედება წარმოსახულია ჩვენივე შესანიშნავი შემსრულებლების მიერ...

გაზაფხულის, მეგობრობისა და მუსიკის ამ დიდ ზეიმზე გამართულია შეჯიბრი ტალანტებისა, შეჯიბრი დიდოსტატებისა. ესაა შეჯიბრი თანასწორთა შორის. ამ დიდებულ პაექრობაში იმარჯვებს მხოლოდ ძმობა, მეგობრობა და სიყვარული... იმარჯვებს მხოლოდ მაღალი სულისკვეთებით გამსჭვალული მუსიკა!

ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპოზიტორებს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აქვთ დამყარებული. ჩვენ ფესტივალის გარეშეც ხშირად ვხვდებით ხოლმე ურთიერთს, დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს ერთმანეთის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

მართლაც, ამიერკავკასიის კომპოზიტორები არა ერთხელ შეკრებილან ერევანში, ბაქოსა და თბილისში ამა თუ იმ სპექტაკლსა თუ კონცერტზე. ამის შედეგად ერთ-ერთ რესპუბლიკაში შექმნილი მაღალმხატვრული ნაწარმოები გზას იკვლევს მოძმე ქალაქების სცენებსა თუ ესტრადებზე. იგი ჩვენი საერთო კუთვნილება ხდება. ასე იყო მიმდინარე წლის ზამთარში; სომეხი და აზერბაიჯანელი კომპოზიტორები ჩამოვიდნენ შესანიშნავი კომპოზიტორის რ. ლაღიძის ოპერა „ლელას" პრემიერაზე. იმ დღეს ჩვენ მხურვალედ თანავუგრძნობდით ავტორს, სპექტაკლის დამდგმელებსა და შემსრულებლებს. ქართველი კოლეგის წარმატებამ ძალზე გაგვახარა. ბაქოს საოპერო თეატრი უკვე ფიქრობს ოპერა „ლელას" დადგმაზე, რაც ჩვენი ურყევი ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთი დადასტურება იქნება.

ბედნიერად ჩავთვლით თავს, თუკი ფესტივალზე წარმოდგენილი აზერბაიჯანული მუსიკის ნაწარმოებებს მოიწონებენ სომეხი და ქართველი მუსიკოსები, მათგან ველით კეთილსა და მკაცრ შეფასებას, პირუთვნელ განაჩენს. აბა ვისგან უნდა მო-

75

თბილისი

## აზერბაიჯანის სსრ

ველოდეთ მართალსა და წრფელ სიტყვებს თუ არა მახლობელი მეზობლისაგან, ძმისაგან, ნამდვილი გულშემატკივრისაგან.

დაბოლოს, სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ფესტივალზე წარმოდგენილ ყველაფერ ღირსეულსა და საუკეთესოს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის მუსიკოსები უძღვნიან სკკპ XXV ყრილობას, რომელსაც ყოველი ჩვენგანი დიდი მღელვარებით ელის.

აზერბაიჯანის სსრ კომპოზიტორთა
კავშირის პირველი მდივანი
ტ. ყულიევი.



# ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის დღიური

22 მაისს საქართველოს სახელმწიფო დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ფესტივალ „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის" გახსნისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო კონცერტი.

I განყოფილებაში შესრულდა აზერბაიჯანელი კომპოზიტორების სიმფონიური ნაწარმოებები:

ყ. ყარაევის „ჰიმნი მეგობრობას" (რ. რზას სიტყვებზე),

ნიაზის — „ტაგანროგის 416-ე დივიზიის მარში",

ს. რუსტამოვის „ფრონტზე" (ს. ვურღუნის სიტყვებზე),

ი. მამედოვის „საზეიმო უვერტიურა",

რ. მუსტაფაევის ორატორია „ოქტომბერი" (რ. რზას სიტყვებზე).

შემსრულებლები: უ. ჰაჯიბეკოვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი, აზერბაიჯანის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, აზერბაიჯანის ტელევიზიისა და რადიოს გუნდი.

დირიჟორები — რ. მელიქ-ასლანოვი და ი. ალიევი, სოლისტები — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი მ. ბადიროვი და ქ. აზიმოვი.

II განყოფილებაში შესრულდა

ა. ბალანჩივაძის სიმფონია № 1.

საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატმა, კომპოზიტორმა ა. ბალანჩივაძემ.

III განყოფილებაში შესრულდა სომეხი კომპოზიტორების სიმფონიური ნაწარმოებები:

ჯ. ტერ-თათევოსიანის სიმფონია № 2 (შოლოხოვის მოთხრობის „ბედი კაცისას" მიხედვით),

ა. ხაჩატურიანის „საზეიმო დაფდაფები" და „სიხარულის ოდა".

შემსრულებლები: სომხეთის ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრი, სომხეთის საგუნდო საზოგადოების გუნდი, მევიოლინეთა ანსამბლი, მესაყვირეთა და არფისტთა ანსამბლები.

დირიჟორები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, კომპოზიტორი ა. ხაჩატურიანი, სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — რ. მანგასარიანი. სოლისტი — სომხეთის სსრ სახალხო არტისტი გ. გალაჩიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საუბარი აზერბაიჯანულ მუსიკაზე

აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დირიჟორი რ. აბდულაევი.

დირიჟორი ი. ალიევი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რ. შიფრინი.



კომპოზიტორი **ა. შავერზაშვილი** (თბილისი):

აზერბაიჯანული მუსიკის პირველივე კონცერტმა გამოავლინა ბევრი რამ საინტერესო, რაც მსჯელობის საფუძველს იძლევა. ამის გარდაც, ჩვენ იმდენად კარგად ვიცნობთ ერთმანეთის შემოქმედებას, რომ ნაწარმოებთა საგულდაგულო მოსმენის გარეშეც შეგვიძლია აზრის გამოთქმა. მით უფრო, რომ ჩვენი რესპუბლიკების მუსიკალურ ცხოვრებაში მიმდინარეობენ ის საერთო პროცესები, რომლებმაც ამ 10-15 წლის წინ, შეიძლება უფრო ადრეც, იჩინეს თავი, არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. მხედველობაში მაქვს მუსიკალური აზროვნების განმაახლებელი ტენდენციები, გამოხატულება რომ ჰპოვეს მუსიკალური ფოლკლორისადმი ახლებურ მიდგომაში, ახალი გამომსახველობითი საშუალებების ათვისებასა და დამკვიდრებაში. ამ მხრივ, ჩვენს რესპუბლიკებში, ესოდენ განსხვავებული ეროვნული სპეციფიკის მიუხედავად, იდენტურმა პროცესებმა მოიკიდეს ფეხი. ეს არცაა გასაკვირი, ჩვენს ურთიერთობას ხომ მტკიცე ისტორიული საფუძველი აქვს. კავშირი ამიერკავკასიის ხალხებს შორის საუკუნეთა მანძილზე ვითარდება და დღენიადაგ ანაყოფიერებს ჩვენს საერთო კულტურას. ამის ნათელი მაგალითია ფესტივალის პირველი საღამო, რომელზედაც წარსდგა გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორი—სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. ხაჩატურიანი. იგი სწორედ ამ წოდებებით იყო წარმოდგენილი, რაც,

თავის მხრივაც, მეტყველებს იმ შესანიშნავ ურთიერთკავშირებზე, დღესაც აგრერიგად რომ გვაახლოებენ. მართლაც, ა. ხაჩატურიანის შემოქმედებაში ერთგვარად გაერთიანდნენ ის თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია ამიერკავკასიის მუსიკალური კულტურებისათვის. მის მუსიკაში ნათლად იგრძნობა არა მარტო სომხური, არამედ ქართული და აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ინტონაციური თავისებურებები. მას არა ერთხელ მიუმართავს ჩვენი ფოლკლორის ცალკეული ნიმუშებისათვისაც.

დღეს ეს ურთიერთკავშირები სხვადასხვაგვარად მჟღავნდება. ამ მხრივ ფრიად საინტერესო მაგალითს გვაძლევს თორმეტტონიანი სისტემა, სერიული ტექნიკა უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ასე რომ შემოვიდა ჩვენს პრაქტიკაში. ამ სისტემას უმეტესად ახალგაზრდები ეტანებიან, თუმცა მას ზოგჯერ საშუალო თაობის კომპოზიტორებიც მიმართავენ ხოლმე. თორმეტტონიანი სისტემისადმი ინტერესს უმეტესად ვხსნით დასავლეთიდან შემოსული ტენდენციით, რაც არ არის მოკლებული სიმართლეს. მაგრამ არანაკლებ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სერიის საფუძვლები მოცემულია ჩვენი ხალხების მუსიკალურ შემოქმედებაშიც. მრავალხმიან ქართულ ხალხურ სიმღერაში იგი თავისებურ გამოხატულებას პოულობს და მჟღავნდება, ძირითადად, კომპლექსურ-ჰარმონიულ სფეროში. საქმე იმაშია, რომ ჩვენი ხალხური სიმღერებისათვის პოლიტონალობაა დამახასიათებელი, რაც განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს გურული მუსიკალური ფოლკლორის მაგალითზე. პოლიტონალობას ვხვდებით ქართულ პროფესიულ მუსიკაშიც, უფროსი თაობის გამოჩენილი წარმომადგენლების ა. ბალანჩივაძისა და შ. მშველიძის ნაწარმოებებში. ჯერ კიდევ 1939 წელს ა. ბალანჩივაძემ შექმნა საორღანო ფუგა, რომელშიც ქართული ხალხური მუსიკისათვის დამახასიათებელი კილოთა დიატონურობა შეთავსებულია პოლიკილოებრიობასთან, პოლიტონალობასთან. ასევეა შ. მშველიძის „ზვიადაურსა“ და მის სხვა ნაწარმოებებშიც, რომლებიც აღმოცენდნენ ქართული ხალხური მუსიკიდან. შ. მშველიძესთან ვერ შეხვდებით ქრომატიზმებს. მისი სისტემა ხომ დიატონურია, მაგრამ იგი კილოებს აგებს ისე, რომ იქმნება პოლიკილოებრიობა, აქედან გამომდინარე პოლიტონალობაც.

აზერბაიჯანის ხალხურ მუსიკაში კი ყოველივე ეს სხვაგვარად მჟღავნდება. აქ კილოების დიატონურობა პირობითია, რადგან აზერბაიჯანული კილო შვიდის ნაცვლად რვა და ცხრა საფეხურიანია და თავისით მიილტვის თორმეტტონიანი სისტემისაკენ. ამდენად საფიქრებელია, რომ თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკის ხერხები ხალხური მუსიკიდანაც იღებენ სათავეს.

გარკვეულ პერიოდში ამიერკავკასიის კომპოზიტორებს ზედაპირული დამოკიდებულება ჰქონდათ მშობლიურ მუსიკალურ ფოლკლორთან. ქართულ პროფესიულ მუსიკაში წლების მანძილზე აღინიშნებოდა დიატონიკის ერთგვარი სტანდარტიზირება — უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეოლიურ, დორიულსა და მიქსოლიდიურ კილოებს, შედარებით იშვიათად მიმართავდნენ იონიურსა და ფრიგიულ კილოს, რომლის უნიკალურ ვარიანტს წარმოადგენს ფშაური კილო. ერთხანს ყოველივე ეს ლამის დაკანონდა. მაგრამ დროთა განმავლობაში, დაიწყო ახალი ტექნოლოგიური საშუალებების ასიმილირების პროცესი, შეიცვალა ფოლკლორული წყაროებისადმი მიდგომის მეთოდი. ამან ერთხანს ზოგიერთი ნაწარმოების ეროვნულობაშიც კი დაგვაეჭვა. ასეთი მაგალითები გვაქვს არა მარტო საქართველოში, არამედ სომხეთსა და აზერბაიჯანშიც. მაგრამ დღეს, ყოველივე ამას უკვე სავსებით ბუნებრივად მივიჩნევთ.

აზერბაიჯანული კამერული მუსიკის კონცერტზე ჩემი ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა კომპოზიტორი ქალის ა. ჯაფაროვას ვოკალურმა ციკლმა. იგი ფოლკლორულ საფუძვლებთან თავისებური დამოკიდებულების საინტერესო ნიმუშია. ეს თანამედროვე ნაწარმოებია, იგი ლაკონიურადაა გააზრებული და გადაწყვეტილი, ზუსტადაა მიგნებული გამომსახველობითი საშუალებები...

აზერბაიჯანული სიმფონიური მუსიკის პირველივე კონცერტმა გამოავლინა ის ორი ძირითადი შემოქმედებითი მიმართულება, ინტენსიურად რომ ვითარდება ჩვენს რესპუბლიკებში.

კომპოზიტორთა ერთი ჯგუფი არ თმობს თავის პოზიციებს, არ იხრის ქედს სიახლეთა წინაშე... მათ სიახლეთა შესახებ საკუთარი წარმოდგენები აქვთ. რა თქმა უნდა, ასეთი პრინციპულობა მისასალმებელია.

კომპოზიტორთა მეორე ჯგუფმა, რომელშიც ძირითადად ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი, ერთბაშად, უყოყმანოდ მიიღო და აითვისა გარედან მოზღვავებული

ინფორმაცია. ასე ჩამოყალიბდა ჩვენს რესპუბლიკებში ორი მიმართულება, ორი პარალელური ხაზი, რომლებიც დროთა განმავლობაში მიაკვლევენ გადაკვეთის წერტილს. ეს მე სავსებით შესაძლებლად მესახება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი რამ გამორიცხულია მათემატიკაში.

პირველ ხაზს სათავეში უდგას შესანიშნავი აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, უაღრესად პრინციპული მხატვარი, თავისი საქმის ჩინებული მცოდნე ფიქრედ ამიროვი. მისმა სიმფონიურმა მუღამმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფესტივალის აუდიტორიაზე. მან ხალხური შემოქმედების ეს უნიკალური ნიმუში — მუღამი აიყვანა სიმფონიური აზროვნების მაღალ დონეზე და ამით სრულიად ახალი ჰორიზონტები გადახსნა ეროვნული მუსიკალური კულტურის წინაშე. ესაა ნამდვილი მუსიკა, ცოცხალი შემოქმედების უტყუარი ნიმუში.

მეორე გზაზე დგას ცნობილი კომპოზიტორი არიფ მელიქოვი, რომელმაც ფესტივალზე წარმოადგინა II სიმფონია. ეს საინტერესო ექვსნაწილიანი კომპოზიცია ყურადღებას იპყრობს ორიგინალური დრამატურგიით, რომლის ცენტრები მოცემულია I და VI ნაწილებში. ციკლის დანარჩენი ნაწილები უფრო სუიტურ-დივერტისმენტულ ხასიათს ატარებენ. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ შუალედურ ნაწილებს არა აქვთ პირდაპირი კავშირი კიდურა ნაწილებთან, მაგრამ, თუ დავუკვირდებით, ადვილად აღმოვაჩენთ საპირისპირო სურათს — მათი ადგილი ზუსტადაა განსაზღვრული სიმფონიაში. ამდენად, კომპოზიტორმა ეს უჩვეულო ფორმა დამაჯერებლად გადაწყვიტა. განახლებულია ა. მელიქოვის მუსიკალური ენა, მაგრამ მისი ეროვნულობაც არ იწვევს არავითარ ეჭვს, სხვაგვარია მხოლოდ მისი დამოკიდებულება ფოლკლორთან, ეროვნული ინტონაციისა და ჰარმონიის მიმართ.

კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჯ. ჯანგიროვის კანტატამ „ნასიმი“. ეს ნაწარმოებიც გარკვეულ მიმართულებას მიეკუთვნება. ავტორი კარგად იცნობს თავის ადრესატს — ფართო მსმენელს, ამიტომაც ესოდენ ნათელი და ადვილად მისაწვდომია იგი. საყურადღებო ნაწარმოებებია ე. რუსტამოვის სავიოლინო კონცერტი, დადაშოვის სკერცო და სხვა. მთავარი კი ისაა, რომ აზერბაიჯანული მუსიკის პირველივე კონცერტებმა წარმოგვიდგინეს ეროვნული მუსიკის შთამბეჭდავი და მრავალფეროვანი სურათი...



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკისმცოდნე **რ. გლეზერი** (მოსკოვი):

აზერბაიჯანული კამერული მუსიკის კონცერტზე წარმატებით შესრულდა კომპოზიტორ ქალთა ნაწარმოებები. ეს ოთხი ავტორი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან სტილით, ხელწერით, ტემპერამენტით. ჯაფაროვას ვოკალურმა ციკლმა მომხიბლა თავისი ღრმა შთანაფიქრით, პოეტური განცდით. კომპოზიტორი მშვენივრად ფლობს თანამედროვე მუსიკის ტექნოლოგიურ ხერხებს და საფუძვლიანად იცნობს მშობლიური მუსიკის ტრადიციებსაც. ეს ციკლი დრამატურგიულადაც გამართულია, ორიგინალურადაა გამოყენებული ვოკალური ფორმები. ავტორი კამერული ციკლის ფარგლებში აღწევს მასალის სიმფონიურ განვითარებას.

დღეს, აზერბაიჯანელი კომპოზიტორები იმდენად მყარად დგანან ეროვნულ ნიადაგზე, რომ მათ სრული უფლება აქვთ მიმართონ თანამედროვე მუსიკის ნაირგვაროვან საშუალებებს. ამ მხრივ განსაკუთრებული ინტერესი აღძრა ა. მელიქოვის II სიმფონიამ, რომელიც გამოირჩევა ახალი ხერხების საინტერესო გამოყენებით. კარგად ვიცნობ მელიქოვის შემოქმედების პირველ პერიოდს, რომლის დროსაც დაიწერა ეგზომ გახმაურებული ბალეტი „ლეგენდა სიყვარულზე“. ამჟამად კომპო-

აზერბაიჯანის სსრ ტელევიზიისა და რადიოს კამერული ორკესტრი.

# ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის დღიური

23 მაისს საქართველოს ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში გაიმართა აზერბაიჯანული კამერული მუსიკის კონცერტი. პროგრამაში იყო:

ფ. ალი-ზადეს სონატა ფორტეპიანოსათვის,

ო. ნიკოლსკაიას „წელიწადის ოთხი დრო“,

ტ. ბაკიხანოვის სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის,

ტ. მირზოევის სონატა-კაპრიჩიო,

ს. იბრაგიმოვის ვოკალიზი,

ა. ჯაფაროვას ვოკალური ციკლი,

ა. აზიმოვის მუსიკა სიმებიანთათვის.

კონცერტში მონაწილეობდა: აზერბაიჯანის ტელევიზიისა და რადიოს კამერული ორკესტრი აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტის ნ. რზაევის დირიჟორობით.

სოლისტები: ფ. კასიმოვა, ფ. ალი-ზადე, ტ. გაჯიევი, ტ. ახმედოვა, ა. ალახვერდიევი, ა. მელიქოვი, ს. მირზოევა.

23 მაისს საქართველოს სახელმწიფო დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა აზერბაიჯანული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, რომელზედაც შესრულდა:

ა. მელიქოვის სიმფონია № 2,

ნ. მამედოვის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის,

ფ. ამიროვის გიულისტან ბაიათი შირაზ (სიმფონიური მუღამი),

ჯ. ჯანგიროვის კანტატა „ნასიმი“,

ე. რუსტამოვის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის,

ა. დადაშევის სკერცო,

ს. ჰაჯიბეკოვის კონცერტი ორკესტრისათვის.

შემსრულებლები: უ. ჰაჯიბეკოვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი, აზერბაიჯანის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, აზერბაიჯანის ტელევიზიისა და რადიოს გუნდი.

დირიჟორები — რ. მელიქ-ასლანოვი და ი. ალიევი. სოლისტები — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტები — ი. რზაევი და ა. ალიევი, პიანისტი რ. შიფრინი.

24 მაისს საქართველოს სახელმწიფო დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა აზერბაიჯანული სიმღერის კონცერტი.

პროგრამაში იყო: ა. აბასოვის, ვ. ადიგეზალოვის, ა. აზიზოვის, ნ. ალივერდიბეკოვის, ფ. ამიროვის, შ. ახუნდოვის, ზ. ბაგიროვის, ფ. ბიულ-



ზიტორი ძიებებისა და განახლების პროცესშია... დიდი ინტერესით ველი მის შემდგომ პერიოდს, როცა იგი შემოქმედებითად გარდაქმნის თანამედროვე მუსიკის მონაპოვრებს, ჩამოაყალიბებს საკუთარ კონცეფციებსაც.

სიამოვნებით მოვუსმინე ჯანგიროვის კანტატას „ნასიმი". ეს ავტორი თანმიმდევრულად მიჰყვება თავის გზას და კვლავინდებურად ქმნის გულწრფელსა და სახიერ მუსიკას...

მუსიკისმცოდნე **ი. იუზეფოვიჩი** (მოსკოვი):

აზერბაიჯანული კამერული მუსიკის კონცერტი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ აქ წარმოდგენილი 8 ავტორიდან 7 გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის ყარა ყარაევის მოწაფეა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მისი საკლასო კონცერტი—ნაყოფიერი პედაგოგიური პრაქტიკის შედეგი. ყ. ყარაევი-პედაგოგი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ახალგაზრდა კომპოზიტორთა ინდივიდუალური თვისებების ინტენსიურ ფორმირებას, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი მოწაფეები თავიდანვე შეჰყავს თანამედროვე მუსიკალური აზროვნების რთულ სამყაროში. თვალსაჩინოა ისიც, რომ ყ. ყარაევის პედაგოგიური სისტემა ეროვნულისა და თანამედროვე მუსიკის ელემენტთა სინთეზირებას ემსახურება. ამის ნათელი მაგალითია ფ. ალი-ზადეს საფორტეპიანო სონატა (1968 წელი), რომელშიც გამოყენებულია სერიული ტექნიკის ელემენტები, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან სონატა ეძღვნება ალბან ბერგის ხსოვნას. მაგრამ სერიულობა არ წარმოადგენს ალი-ზადეს შემოქმედებით კრედოს. ამას მოწმობენ მისი შემდგომი ოპუსები, გამსჭვალული ლირიკული გულითადობით... ფილოსოფიური ჩაფიქრებულობით გამოირჩევა ჯაფაროვას ვოკალური ციკლი. იგი წარმოადგენს თავისებურ დიალოგს თანამედროვეობისა წარსულთან... ციკლში ზუსტადაა მიგნებული აუცილებლობით ნაკარნახევი გამომსახველობითი საშუალებები, რასაც ვერ ვიტყოდი ამ კონცერტზე წარმოდგენილი კამერული მუსიკის სხვა ნიმუშებზე...

დაბოლოს, სიამოვნებით აღვნიშნავ აზერბაიჯანული მუსიკის მაღალ საშემსრულებლო დონეს. ამაზე მეტყველებენ ის კომპოზიტორ-შემსრულებლები, რომლებიც თვითონვე ასრულებენ საკუთარ ნაწარმოებებს. ქებას იმსახურებს აზერბაიჯანის ტელევიზიისა და რადიოს კამერული ორკესტრი. ეს კოლექტივი აქტიურ როლს თამაშობს რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრების განვითარებაში.

სოლისტი ქ. აზიმოვი.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ბადიროვი.

კომპოზიტორი **ი. სოლოდუხო** (მოსკოვი):

მაინც რითი იპყრობს ჩვენს ყურადღებას თანამედროვე აზერბაიჯანული მუსიკა? ჟანრობრივი მრავალფეროვნებითა და მკვეთრად განსხვავებული შემოქმედებითი ინდივიდუალობებითაც. კონცერტებმა ცხადყვეს, რომ აზერბაიჯანში თანაარსებობენ სხვადასხვა სტილისა და ხელწერის კომპოზიტორები, რაც ამრავალფეროვნებს ეროვნულ მუსიკალურ კულტურას. ამ თვალსაზრისით მისასალმებელია ეგზომ განსხვავებული შემოქმე-



დებითი მიმდინარეობების არსებობა. მთავარი კი ისაა, რომ ამ სხვაობის ფონზე ნათლად მჟღავნდება ის საერთო ტენდენცია, აზერბაიჯანულ მუსიკას ეროვნული თვითმყოფადობისაკენ რომ მოუწოდებს. ამ მხრივ, ძალზე დიდია ფ. ამიროვის დამსახურება. ეს კომპოზიტორი წლების მანძილზე ჯიუტად ანვითარებს მუღამების სიმფონიზაციის პროცესს, რითაც საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ვოკალური ფორმები აჰყავს თანამედროვე მუსიკალური აზროვნების დონეზე.

ყარა ყარაევი კი სრულიად სხვა პრინციპებს ნერგავს — თუმცა ისიც მიმართავს იგივე ფოლკლორულ პლასტებს და გვაძლევს ეროვნული ტრადიციების მაქსიმალური შემოქმედებითი გადააზრების, მათი მოდერნიზების თვალსაჩინო მაგალითს.



რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, დირიჟორი ნ. რზაევი.

მშობლიური მუსიკის კანონზომიერი განვითარების პროცესს მთელი სერიოზულობით ემსახურებოდა აწ განსვენებული კომპოზიტორი სულთან ჰაჯიბეკოვი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ეროვნული მუსიკალური ტრადიციების დამკვიდრებასა და განვითარებაში. ყოველივე ამის მაჩვენებელია აზერბაიჯანული სიმფონიური მუსიკის კონცერტიც, რომელზედაც წარმოდგენილი იყო სტილისტურად მკვეთრად განსხვავებული სამი სიმფონიური ნაწარმოები: ჯ. გაჯიევის სიმფონია № 5, ვ. ადიგეზალოვის პოემა „ეტაპები“ და ჰ. მირზაზადეს ტრიპტიქი (სიმფონია № 2). ეს ავტორებიც სრულიად სხვადასხვაგვარად ანვითარებენ აზერბაიჯანული მუსიკის სპეციფიკურ მხარეებს. ჯ. გაჯიევი — უფ-

# ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის დღიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიულ ოღლის, რ. გაჯიევის, ტ. ყულიევის, ჯ. ჯანგიროვის, ო. ზულფაგაროვის, ტ. ყულიევის, ო. კიაზიმოვის, ჰ. მირზა-ზადეს, რ. მირიშლის, ო. მუსტაფაევის, ო. ნიკოლსკაიას, ა. რზაევის, ს. რუსტამოვის, ე. საბიტ-ოღლის, გ. სანმამედოვის სიმღერები.

შემსრულებლები: ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „გაია“ (ხელმძღვანელი ტ. მირზოევი), ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „სევილი“ (ხელმძღვანელი — ვ. მუსტაფა-ზადე), ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლი (ხელმძღვანელი — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი ა. ყულიევი).

სოლისტები: აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტები — შ. ალეკპეროვა და ლ. იმანოვი, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტები — გ. მამედოვი და ი. რზაევი, ვ. ადიგეზალოვი, ი. ყულიევა, ი. საფაროვი, ე. ახუნდოვი, ო. ალაევი, დ. ალიევი.

24 მაისს საქართველოს სახელმწიფო დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა აზერბაიჯანული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, რომელზედაც შესრულდა:

ჯ. გაჯიევის სიმფონია № 5,

ვ. ადიგეზალოვის „ეტაპები“,

ჰ. მირზა-ზადეს — „ტრიპტიქი“ (სიმფონია № 2).

კონცერტში მონაწილეობდა უ. ჰაჯიბეკოვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რ. აბდულაევის დირიჟორობით.

25 მაისს საქართველოს ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში გაიმართა აზერბაიჯანული კამერული მუსიკის კონცერტი, რომელზედაც შესრულდა:

ა. ალი-ზადეს სიმფონია,

მ. ყულიევის კონცერტი ვიოლონჩელოსა და ორკესტრისათვის,

ი. ჰაჯიბეკოვის კონცერტინო ორკესტრისათვის,

ფ. ყარაევის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

კონცერტში მონაწილეობდა აზერბაიჯანის ტელევიზიისა და რადიოს კამერული ორკესტრი აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტის ნ. რზაევის დირიჟორობით.

სოლისტები: საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ვ. კასტელსკი, ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი რ. აბდულაევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





მუსიკისმცოდნე მ. საბინინა (მოსკოვი).

მუსიკისმცოდნე ი. ნესტიევი (მოსკოვი).

როსი თაობის წარმომადგენელია, მრავალი კომპოზიტორის აღმზრდელიცაა. მით უფრო მისასალმებელია, რომ იგი ასე მხურვალედ გამოეხმაურა ისეთ რთულსა და აქტუალურ პრობლემას, როგორიცაა ადამიანი და კოსმოსი. კომპოზიტორი დიდი პასუხისმგებლობით, ვიტყოდი, მხატვრისეული კეთილსინდისიერებით მიუდგა ამ ამოცანას და საინტერესოდ გადაწყვიტა იგი. მან სიმფონია ცალკეულ ქვეთავებად დაანაწილა. პირადად ჩემზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება იმ ქვეთავებმა მოახდინეს, სადაც, ერთი მხრივ, გამოხატულია მძაფრი დინამიკა, ხოლო, მეორე მხრივ, კი ნათელი ლირიკა. ასეთია I ნაწილის უაღრესად დინამიკური ფუგა, მთელი სიმფონიის კულმინაციას რომ წარმოქმნის. შესანიშნავია II ნაწილის ლირიკული ეპიზოდები, აქვე საინტერესოდაა გააზრებული მარში, რომელიც გამსჭვალულია ეროვნული მუსიკის ელემენტებით. შესაძლოა, მარში განცალკევებით დგას მთელი სიმფონიის კონცეფციიდან, მაგრამ, ამავე დროს, იგი ნაწარმოებს ძალზე ხატოვან კოლორიტს ანიჭებს. დაბოლოს, ოსტატურადაა დაწერილი სიმფონიის ფინალი, რომელშიც ნაწარმოების ძირითადი შთანაფიქრი განზოგადდება.

ადიგეზალოვის სიმფონიურმა პოემამ „ეტაპები“ ყურადღება მიიპყრო მაღალი პროფესიული ტექნიკით და რელიეფურად მკვეთრი თემატიზმითაც. ეს ნაწარმოები ეძღვნება პიროვნების ფორმირების პრობლემას, რომელიც კომპოზიტორმა თავისებურად გაიაზრა და წარმოგვიდგინა ეროვნულ მიმართებაში. აქ ვერ მიაგნებთ ცარიელ, თვითმიზნურ ადგილებს, იგი გამსჭვალულია ეროვნული ნიადაგიდან აღმოცენებული ლირიკით.

მირზა-ზადეს „ტრიპტიქი“ კი ინტერესს აღძრავს თემატური მასალის განვითარების პრინციპებით. ლაკონიურია ამ ნაწარმოების დრამატურგია, თანამედროვეა მისი ფორმაცა და შინაარსიც. ლოგიკურადაა აგებული ნაწარმოების ფინალი, რომელშიც მიღწეულია წინამორბედ ნაწილებში განვითარებული სახეების სინთეზი.

დაბოლოს, ვისურვებდი, რომ ეს შესანიშნავი ღონისძიება — ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი 10 წელიწადში ერთხელ კი არ იმართებოდეს, არამედ უფრო ხშირად და რეგულარულად. ამ ხნის მანძილზე შეიქმნა მრავალი ნაწარმოები. შეუძლებელია ყველაფრის მოსმენა და გაანალიზება. უმჯობესია შევიკრიბოთ 3 ან 4 წელიწადში ერთხელ, რათა საფუძვლიანად განვიხილოთ ჩვენი კოლეგების ნამოღვაწარი.

მუსიკისმცოდნე **მ. ფიჩხაძე** (თბილისი):

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანული სიმღერის კონცერტში მონაწილეობდნენ გამოჩენილი კომპოზიტორები, რომლებიც, ძირითადად, სერიოზული მუსიკის ჟანრებში მოღვაწეობენ. მათი ნიჭი, ოსტატობა და გამოცდილება აკეთილშობილებს საბჭოთა საესტრადო მუსიკას და სწორ გეზს აძლევს მის განვითარებას.

პროფესიონალთა მხარდაჭერა კი განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა ესტრადას აგრე რიგად დაეპატრონენ დილეტანტები. ესაა საერთო სენი, იგი ერთნაირად მჟღავნდება არა მარტო ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც. სწორედ, ამიტომ ჩვენს ესტრადაზე ხშირია მიმბაძველობის მაგალითები. არც ისაა დასამალი, რომ შემოიფარგლა მისი თემატური სფერო, ნაკლებად ვისმენთ მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალულ სიმღერებს, შენელდა ინტერესი პატრიოტული თემატიკისადმი. მსმენელისაკენ თავისუფლად იკვლევენ გზას არა მარტო უიდეო, არამედ ეროვნული თვალსაზრისით უსახური ნაწარმოებები... სწორედ ამ ტენდენციების წინააღმდეგ არის მიმართული თანამედროვე აზერბაიჯანული საესტრადო მუსიკა, რომელიც ფესტივალზე ფართოდ და მრავალფეროვნად იქნა წარმოდგენილი.

ამ კონცერტის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი პოპულარულმა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „გაიამ“. ეს კოლექტივი თავისი ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრებით ბიძგს აძლევს ეროვნული საესტ-

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ა. არუთუნიანი (ერევანი).

მუსიკისმცოდნე ი. კორევი (მოსკოვი).





რადო ხელოვნების განვითარებას. ესაა ჭეშმარიტად პროფესიული ანსამბლი, რომლის შემოქმედება ამოზრდილია ხალხური მუსიკალური ხელოვნებიდან. ისიცაა აღსანიშნავი, რომ „გაია“ ორგანულ კავშირს ამყარებს ეროვნულ მუსიკალურ ტრადიციებსა და თანამედროვე საესტრადო სტილისტიკას შორის. დღეს იგი ქმნის აზერბაიჯანული საესტრადო ხელოვნების ეროვნულ სახეს.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი ანსამბლ „სევილზე“, რომელიც აგრეთვე მონაწილეობდა საფესტივალო კონცერტში. ნაკლებად ჩანდა ამ კოლექტივის ეროვნული თვისებები, მის საშემსრულებლო მანერას აკლდა ბუნებრიობაც.

აუდიტორია მოხიბლა პატარა მომღერლის — ლეილა ზულფაგაროვას გამოსვლამ არა მარტო უტყუარი მუსიკალური ნიჭით, არამედ ასაკისათვის შესაბამისი ქცევით, რეპერტუარით, უშუალობით. იგი მღეროდა მამამისის, კომპოზიტორ ზულფაგაროვის მშვენიერ საბავშვო სიმღერებს, რომელთა მუსიკალური ენა სადა, ნათელი და წრფელია, ხატოვანია მათში წარმოდგენილი სამყაროც.

მამა-შვილის დუეტი ეროვნული საბავშვო მუსიკის კარგ მდგომარეობაზე მეტყველებს...

კომპოზიტორი **ა. არუთუნიანი** (ერევანი):

აზერბაიჯანელმა კომპოზიტორებმა მშვენივრად აიღეს სტარტი და თავიდანვე ფრიად სერიოზული სახე მისცეს ფესტივალს. დიდის ინტერესით მოვისმინეთ ჩვენი სახელოვანი კოლეგების — ყ. ყარაევის, ფ. ამიროვის, ს. ჰაჯიბეკოვის, ჯ. გაჯიევის, ა. მელიქოვის ნაწარმოებები, გავეცანით ნიჭიერ ახალგაზრდებსაც. კიდევ ერთხელ ვირწმუნეთ აზერბაიჯანული საკომპოზიტორო სკოლის მაღალი პროფესიონალიზმი, ცხოველმყოფელობა, დიდი გაქანება...

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე აზერბაიჯანული სიმღერის კონცერტმა. ეს იყო მუსიკის ნამდვილი ზეიმი. გამოჩენილი მომღერლების შ. ალეკპეროვასა და ლ. იმანოვის შესანიშნავმა ხელოვნებამ თავისებური ლაზათი მისცა ამ საღამოს. სასიამოვნოა, რომ ეს შესანიშნავი ოსტატები ჩამოვიდნენ თითო-ოროლა სიმღერის შესასრულებლად, რაც მათ პროფესიულ კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს.

არ ვეთანხმები მ. ფიჩხაძის აზრს ანსამბლ „სევილის“ შესახებ, პირიქით, მე მგონია, რომ ეს კოლექტივი ეროვნულია და გამსჭვალულია ხალხური მუსიკის სულით. შესაძლოა, სხვაგვარია ამ სიმღერათა არანჟირება, მათი მიწოდების მანერა, მაგრამ ესეც ამ ანსამბლის თავისებურების მაჩვენებელია.

განმაცვიფრა ანსამბლ „გაიას“ ოსტატობამ, არტისტიზმმა, მისაბაძმა პროფესიულმა კულტურამ...

კომპოზიტორი **ლ. შუბერტი** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა):

რობერტ შუმანს ერთხელ უთქვამს: „მე არ ვკმაყოფილდები იმ ნაწარმოებთა შემეცნებით, რომლებსაც მაწვდის გარემომცველი სინამდვილე... კარგად ვიცი, რომ მთას იქითაც ადამიანები ცხოვრობენ...“ სწორედ ამიტომ გერმანელი მუსიკოსების დელეგაციამ გადალახა მთები და ესტუმრა საქართველოს. ჩვენ გვამოძრავებდა ინტერესი და იმედი იმ ახალი შთაბეჭდილებების მიღებისა, აგრე რიგად რომ ველოდით ამიერკავკასიის უძველესი და უმდიდრესი კულტურის ხალხთაგან.

იმედი გაგვიმართლდა. შთაბეჭდილებებმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს.

უკვე გავეცანით ჭეშმარიტად ახალ აზერბაიჯანულ მუსიკას, რომელიც ესთეტიკურად ასახავს თანამედროვეობის მრავალ პრობლემას. ამიერკავკასიის კომპოზიტორები მთელი სერიოზულობით, უდიდესი პასუხისმგებლობით ეძებენ გზებსა და საშუალებებს ამ პრობ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლემათა გადასაჭრელად. მივესალმები შესანიშნავ შემსრულებლებსაც, ასეთი გატაცებით რომ ემსახურებიან მშობლიურ კულტურას...

კომპოზიტორი **ნ. მამისაშვილი** (თბილისი):

პროცესი ხალხური და თანამედროვე მუსიკის ელემენტთა შერწყმისა ვითარდება აზერბაიჯანული მუსიკის ყველა ჟანრში, მათ შორის სიმღერის სფეროშიც. ასეთია აზერბაიჯანული ესტრადის მიერ აღებული გეზი, რომე-



აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი ლ. იმანოვი.

ვიოლონჩელისტი რ. აბდულაევი.

ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „სევილი".

ლიც სავსებით პასუხობს საბჭოთა რეალისტური საკომპოზიტორო სკოლის მოთხოვნილებებს...

ჩემის აზრით, საესტრადო მუსიკა ორ ჯგუფად იყოფა: პირველს მიეკუთვნება პროფესიული სიმღერა, რომელშიც შემოჭრილია სერიოზული მუსიკის ელემენტები. მეორე ჯგუფს კი წარმოადგენენ ისეთი სიმღერები, რომელთა ავტორები კომპოზიტორები არ არიან. სწორედ ეს არაპროფესიონალი ავტორები აგრძელებენ იმ ფოლკლორულ ტრადიციებს, რომელთა განვითარების პროცესი უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შენელდა. ასე იბადება თანამედროვე ქალაქური სიმღერა, იგი ფართო მსმენელისაკენაა მიმართული, მას გააჩნია თავისებური ეშხი და მომხიბვლელობა. რა თქმა უნდა, მათ შორის ბევრია სუსტი ნაწარმოები, მაგრამ ამისაგან ხომ არც პროფესიონალები არიან ხოლმე დაზღვეული. ამ ნიშნით დაუშვებელია სახალხო კომპოზიტორების იგნორირება. ჩვენ ხომ მათ მიერ შექმნილ არა ერთსა და ორ მშვენიერ სიმღერას ვიცნობთ. ამიტომაც, ნუ დავძრახავთ იმ საესტრადო კოლექტივებს, პროპაგანდას რომ უწევენ სახალხო კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. მერწმუნეთ, მათ თავისებური არომატი შემოაქვთ საკონცერტო პროგრამებში და ხშირად ნაყოფიერ ზემოქმედებას ახდენენ საკუთრივ პროფესიულ საესტრადო მუსიკაზედაც.

სწორედ ამაზე მეტყველებდა აზერბაიჯანული სიმღერის კონცერტი, ასე მხურვალედ რომ მიიღო ფესტივალის მსმენელმა...

კომპოზიტორი **კ. კაჟამიაროვი** (ყაზახეთი):

ჩვენთვის, შუა აზიის მცხოვრებთათვის, ყოველთვის სამაგალითო იყო და არის ამიერკავკასიის რესპუბლიკების უდიდესი მიღწევები ხელოვნებისა თუ მეცნიერების სფეროში. ბევრს ვსწავლობთ აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი კომპოზიტორებისაგან, რომლებმაც შექმნეს თანამედროვე საბჭოთა მუსიკის მრავალი მაღალმხატვრული ნიმუში. ამაზე მეტყველებს ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალიც, რომელიც ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობს. პირადად ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ქართული საბჭოთა მუსიკის კლასიკოსის ა. ბალანჩივაძის პირველმა სიმფონიამ, იგი წარმოგვიდგა მთელი თავისი მშვენიერებით. წარმატებათა რიგს განეკუთვნება ტერ-თათევოსიანის, მირზა-ზადეს, გაჯიევისა და სხვათა ნაწარმოებები.

განსაკუთრებული ინტერესით ვუსმენდი გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის ფ. ამიროვის სიმფონიურ მუღამს, რადგან მუღამი შუა აზიის ხალხთა მუსიკალური შემოქმედების მწვერვალიცაა. არ დავფარავ, სადღეისოდ ვერც ტაჯიკებმა, ვერც უზბეკებმა და ვერც ყაზახეთის კომპოზიტორებმა ვერ შექმნეს მუღამთა სიმფონიზაციის ასეთი მაღალმხატვრული ნიმუში, რადგან მეტისმეტად ძნელია მუღამთა ეროვნული სპეციფიკის მისადაგება თანამედროვე მუსიკალური აზროვნების პრინციპებთან. ეს დიდი პრობლემა შესანიშნავად გადაჭრა ფ. ამიროვმა. მისი დამსახურება სცილდება აზერბაიჯანული მუსიკის საზღვრებს.

მისასალმებელია, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ვითარდებიან დიამეტრულად საპირისპირო შემოქმედებითი მიმდინარეობანი, მაგრამ მეტისმეტად ხომ არ გვიტაცებს ტექნიკა,ნაირ-ნაირი გამომსახველობითი საშუალებების ძიებისა და მოპოვების სურვილი? ყოველივე ეს ხომ არ უქმნის საფრთხეს ეროვნულ თვითმყოფადობას? სამწუხაროა, რომ ზოგჯერ გამომსახველობითი საშუალებები თვითმიზნურ სახეს იღებენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი შ. ალეკპეროვა.

აფერხებენ მუსიკის არსის გამოვლინებას. მრავალი ჩვენგანი არა ერთხელ დასწრებია ტრადიციულ მუსიკალურ ფესტივალს „ვარშავულ შემოდგომას“, რომელიც ყოველთვის გვანცვიფრებს სწორედ გამომსახველობითი საშუალებების სიუხვითა და სიმდიდრით. მაგრამ შემდეგ აბა რა გვრჩება ხოლმე მეხსიერებაში?

ვისურვებდი, რომ ასეთ გამოვლინებებს არ ჰქონდეს ადგილი ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. კავკასია ყოველთვის უნდა იყოს მხოლოდ ისეთი, როგორიც იგი შეუქმნია განგებას...

მუსიკისმცოდნე **ი. კორევი** (ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკას“ რედაქტორი):

ჩემი პირველი შთაბეჭდილება ასეთია — ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შეუჩერებელია მოძრაობა, რომელიც ტვარდოვსკის თქმით: „ითვისებს სინამდვილის ახალ-ახალ სივრცეებს“. მოძრაობა პროცესია, თანაც რთული და წინააღმდეგობრივი. იგი ყოველთვის იწვევს საპირისპირო შეხედულებებს, რაც ფესტივალის დღეებშიც მჟღავნდება.

აზერბაიჯანის მუსიკის კონცერტებიდან ყველაზე მეტად ჰ. მირზა-ზადეს მეორე სიმფონიამ (ტრიპტიქი) დამაინტერესა. მკვეთრია მისი ფორმა, განვითარების ლოგიკა, ავტორი ამჟღავნებს კოლორიტის შეგრძნების უნარს. სიმფონიაში გამოყენებულია სტრავინსკის საორკესტრო ხელწერისათვის დამახასიათებელი ელემენტები, რომლებიც მირზა-ზადემ ორგანულად დაუკავშირა საკუთარ შთანაფიქრსა და შემოქმედებით ამოცანებს. მისი სიმფონია მთლიანობით გამოირჩევა, რასაც ვერ

ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „გაია“.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიტყვი აზერბაიჯანელი ავტორების სხვა ნაწარმოებებზე (სამწუხაროდ, ვერ მოვუსწარი აზერბაიჯანული კამერული და სიმფონიური მუსიკის პირველ კონცერტებს).

უდავოდ ნიჭიერი კომპოზიტორია ვ. ადიგეზალოვი. მისი სიმფონიური პოემა „ეტაპები“ გამსჭვალულია ტემპერამენტით, ავტორი კარგად ფლობს ტექნიკური გამომსახველობის რესურსებს... სამაგიეროდ, ნაწარმოებში ნაკლებადაა წარმოდგენილი მკვეთრი თემატური მასალა, აქ ვერ შეხვდებით რელიეფურ მუსიკალურ სახეებს. კომპოზიტორი გაუტაცია უფრო რიტმული ფორმულებისა და დინამიკური ფორმების მოძრაობას. შესაძლოა, ამიტომ დამრჩა დაუმთავრებლობის შეგრძნება, ვერ ამოვიკითხე ავტორისეული კონცეფცია, რომელიც უნდა ჩამოყალიბებულიყო მხატვრულ სახეთა განვითარების საფუძველზე. ზოგჯერ პოემაში მოზიდული ტექნიკური საშუალებებიც არ ტოვებენ ორგანულობის შთაბეჭდილებას, ალბათ ამის გამო მიჭირს იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, ამ ნაწარმოების მოსმენამ რომ წამოჭრა.

დიდი პატივისცემით ვარ გამსჭვალული შესანიშნავი ოსტატის ჯ. გაჯიევის შემოქმედების მიმართ, რომელსაც არაერთხელ ავულელვებივარ სიწრფელითა და კეთილშობილებით. ამჯერად მის სიმფონიაში № 5 ბევრია შთამბეჭდავი, ავტორისეული ინდივიდუალობით გამსჭვალული ადგილი, მაგრამ აშკარაა ერთგვარი ფრაგმენტულობაც. სიმფონიის დრამატურგია არ ეფუძნება თანამედროვული განვითარების ლოგიკას. ამის გამოა მისი ფორმა ასე დანაწევრებული.

ა. ალი-ზადეს კამერული სიმფონია 1967 წელს შეიქმნა. იგი აღინიშნა აზერბაიჯანის სსრ ლენინური კომკავშირის პრემიით. იმ დროისათვის იგი გარკვეული სიახლით გამოირჩეოდა. დღეს კი მომეჩვენა, რომ ამ ნაწარმოებში ავტორს აკლია დამოუკიდებლობა. იგი სტრავინსკის შემოქმედების დიდ ზეგავლენას განიცდის. ოღონდ, სწორად უნდა გამიგოთ — კომპოზიტორი უჰაერო სივრცეში როდი ცხოვრობს, ბუნებრივია, რომ იგი ითვისებს თანამედროვეობის მონაპოვრებს. მაგრამ ძლიერი შემოქმედებითი პიროვნებები ბიძგს უნდა აძლევდნენ ხელოვანის ფანტაზიას. ამჯერად ალი-ზადემ თავი ვერ დააღწია გავლენას, ამან კი თავისი დაღი დაამჩნია მის შემოქმედებით ინდივიდუალობას.

ახალგაზრდა ი. ჰაჯიბეკოვი ნიჭიერი კომპოზიტორია. მისი მუსიკალური ენა პლასტიკურია, იგი მშვენივრად გრძნობს საცეკვაო რიტმების სტიქიას. კარგად ფლობს ფორმას. ყოველივე ეს ჩანს მის საორკესტრო კონცერტინოში, რომელიც ნეობაროკოს მოდურ სტილშია დაწერილი. რა თქმა უნდა, კომპოზიტორს სრული უფლება აქვს მიმართოს ამა თუ იმ სტილისტურ მიმდინარეობას, მაგრამ სად არის თვით ჰაჯიბეკოვი? სამწუხაროდ, ამ ნაწარმოებში არ ჩანს თვით ავტორი.



უკეთ ვიცნობ ახალგაზრდა ფ. ყარაევის შემოქმედებას. ვიცი, რომ იგი კარგად გრძნობს თეატრს, მის სპეციფიკას. ეს ნათლად ჩანს მისი ბალეტიდან „კობისტანის ჩრდილები“, რომელიც ნამდვილი შემოქმედებითი ფანტაზიითა და გამომგონებლობით გამოირჩევა. დღეს კი გული დამწყვიტა მისმა საფორტეპიანო კონცერტმა. აქ ფ. ყარაევმა თითქოს განგებ აუარა გვერდი თავის თავს და საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობა ნეობაროკოს ფორმებს ანაცვალა. თავისთავად ეს ფორმებიც სცოდავენ სტილისტური თვალსაზრისით. კომპოზიტორს ნეობაროკოს ატმოსფეროში რატომღაც შეჰყავს გერშვინისეული ელემენტები, ჯაზური მუსიკის საწყისები. იქნებ ასეთი რამ შესაძლებელიცაა, მაგრამ გვაჯერებს კი ყოველივე ეს?

• • •

ეროვნული ბიბლიოთეკა

75 თბილისი

# ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის დღიური

## სომხეთის სსრ

25 მაისს საქართველოს სახელმწიფო დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა სომხური სიმფონიური მუსიკის კონცერტი, რომელზედაც შესრულდა:

ა. აჯემიანის მესამე სიმფონია,

ე. ერკანიანის ფრაგმენტები ბალეტიდან „ორესტეა",

გ. ოვუნცის „საკონცერტო ინვენციები" ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის,

ს. შაქარიანის ფრაგმენტები ბალეტიდან „შური".

კონცერტში მონაწილეობდა სომხეთის ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრი სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რ. მანგასარიანის დირიჟორობით, სოლისტი — საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ს. ნავასარდიანი.

დირიჟორი დ. ხანჯიანი.



# ჩვენი

ედუარდ მირზოიანი

**ამიერკავკასიის** კომპოზიტორთა მეგობრობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მას მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ქართული, აზერბაიჯანული და სომხური მუსიკის კლასიკოსებმა, რომლებიც ერთდროულად ილვწოდნენ შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ სარბიელზე, სამაგალითო თავდადებით ემსახურებოდნენ მშობელ ხალხს, ეროვნულ კულტურას. ისინი მთელი შემართებით ამკვიდრებდნენ ეროვნული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების გზებს. მათ აახლოებდათ ის სამაგალითო ქველმოქმედება, მშობლიური კულტურის აყვავებისკენ რომ იყო მიმართული.

ჩვენმა კლასიკოსებმა ყოველივე ამასთან ერთად გვიანდერძეს ძმობისა და მეგობრობის ურყევი ტრადიციებიც, რომლებიც დღითი დღე ღრმავდებიან და ამდიდრებენ ჩვენს სულიერ ცხოვრებას, შემოქმედებით გამოცდილებას.

ამიერკავკასიის მუსიკოსთა მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა განსაკუთრებით გააქტიურდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ყოველთვის დიდი მღელვარებით ვიხსენებ ჩვენს პირველ შეხვედრას, ამ 30 წლის წინ რომ



სომხეთის სსრ ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორი რ. მანგასარიანი.

# მეგობრობა გადადის თაობიდან თაობაზე

ჩაგარდა თბილისში. მაშინ მრავალი ჩვენგანი ჭაბუკი იყო და პირველად შეხვდა ერთმანეთს. მას შემდეგ ამიერკავკასიის კომპოზიტორთა ურთიერთკავშირი იმდენად გაცხოველდა, რომ დღეს უკვე ურთმანეთოდ წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრება, შრომა, შემოქმედება. სასიხარულოა, რომ დღითი დღე იზრდება და ფართოვდება შემოქმედებითი კონტაქტების გავრცელების არე. ჩვენი მეგობრობა გადადის თაობიდან თაობაზე და ერთსულოვნების შესანიშნავ გამოვლინებაში მჟღავნდება.

ფესტივალი კიდევ ერთი ფორმაა ჩვენი დამოკიდებულების გამოსაცდელად, პროფესიული და ადამიანური კონტაქტების გასაღრმავებლად. მთავარი კი ისაა, რომ მუსიკის ამ დიდ ფორუმზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპოზიტორები და შემსრულებლები შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგნენ არა მარტო ერთმანეთის, არამედ მთელი ქართული საზოგადოების, ქართველი ხალხის წინაშე.

ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების კულტურათა ურთიერთგამდიდრებას.

სომხეთის სსრ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ე. მირზოიანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბარი სომხურ მუსიკაზე

მუსიკისმცოდნე ი. **ნესტიევი** (მოსკოვი):

მოვისმინე სომხეთის სიმფონიური მუსიკის მხოლოდ ერთი კონცერტი, რაც, რა თქმა უნდა, არ იძლევა შთაბეჭდილებათა განზოგადების საშუალებას. მაგრამ უკვე ამ ერთმა საღამომ გამოავლინა ფრიად საინტერესო სურათი — მიმდინარეობს დაოსტატების ინტენსიური პროცესი. სახელმოხვეჭილი კომპოზიტორების გვერდით აქტიურად მოღვაწეობენ ახალგაზრდები, რომელთა შემოქმედებას დღემდე არ ვიცნობდი. ამათგან ყველაზე მეტად ჩემი ყურადღება მიიპყრო გ. ოვუნცის საკონცერტო ინვენციებმა ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. ავტორი კარგად ფლობს თანამედროვე ორკესტრის გამომსახველობით არსენალს, შეიარაღებულია საკომპოზიტორო ტექნიკის ნაირგვაროვანი ხერხებით. მთავარი კი ისაა, რომ ოვუნცი მყარად დგას ეროვნულ ნიადაგზე, რასაც ვერ ვიტყვი სხვათა შესახებ. ნამდვილად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ა. აჯემიანის მესამე სიმფონია. პერსპექტიული კომპოზიტორები არიან ე. ერკანიანი და ხ. შაქარიანი. ოვუნცის ინვენციების მესამე ნაწილში შესანიშნავად გაიხმოვანა უძველესმა ხალხურმა სიმღერამ, რომელმაც სრულიად ახალი ელფერი მისცა იმ რკინის კონსტრუქციებსა და თანამედროვე რიტმებს, აგრე რივად რომ დამკვიდრდნენ ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედებაში. არ დავფარავ, ხშირად ეს საალმშენებლო მასალა სპობს ხოლმე იმ ძვირფას ვიტამინს, რომლის გარეშე ვერ იცოცხლებს ხელოვნება, ვერ განვითარდება მისი ეროვნული პოტენცია.

როგორც ჩანს, სომეხი კომპოზიტორები საფუძვლიანად იცნობენ თანამედროვე მუსიკას, პოლონელი კომპოზიტორების უახლეს პარტიტურებს, იცნობენ ქსენარისისა და ბულეზის შემოქმედებას. ყოველივე ეს მისასალმებელია. ცხადია, კომპოზიტორი შეიარაღებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნიკით, უნდა იცოდეს ყველაფერი ის, რაც დამახასიათებელია ჩვენი დროისათვის.

მაგრამ ჩვენს წინაშე მწვავედ დგას სხვა, უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემებიც. ამიერკავკასიის კომპოზიტორებმა უკვე ბევრი რამ ახალი აითვისეს ტექნიკის სფეროდან, შესამჩნევად ამაღლდა მათი ოსტატობა და პროფესიონალიზმი. სწორედ ამ პროცესებმა მოამწიფეს გარდატეხის მტკივნეული მომენტიც: დროა სერიოზულად დავფიქრდეთ რა მოჰყვება ყოველივე ამას. როგორი იქნება ამ პროცესების შედეგი? რა უნდა ვაკეთოთ ხვალ იმისათვის, რათა შევინარჩუნოთ ის განუმეორებელი შემოქმედებითი თვისებები, აგრერიგად რომ ამშვენებენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უძველეს მუსიკალურ კულტურებს?

დღეს ამ საკითხებზე ფიქრობენ და მსჯელობენ მთელ მსოფლიოში. ყველა სიმპოზიუმსა და კონგრესზე ლაპარაკობენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ტრადიციების შერწყმაზე. ამიტომაც ენიჭება ესოდენ დიდი მნიშვნელობა ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების გამოცდილებას. აქ მიღწეული შედეგები სამაგალითოა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მხოლოდ ახლა ეუფლებიან პროფესიული მუსიკალური აზროვნების ნორმებსა და კანონებს. ამ კულტურათა წინაშე კი ისახება უდიდესი პერსპექტივები. ვინც 21-ე საუკუნემდე მიაღწევს, უთუოდ, გაეცნობა ახალ მუსიკალურ კერებსა და ახალ სახელებს. დროთა განმავლობაში მუსიკალური აზროვნების ცენტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთსა და სამხრეთში გადმოინაცვლებს. ამაზე სერიოზულად ფიქრობენ ევროპაში, აზიისა და აფრიკის მთელ რიგ ქვეყ-

ნებში. ამაზე უნდა ვფიქრობდეთ ჩვენც, რათა თავიდანვე სწორად გავითვალისწინოთ პერსპექტივები, განვსაზღვროთ მომავლის ეგზომ საინტერესო გზები. ამ თვალსაზრისით ფესტივალმა მრავალი სერიოზული პრობლემა წამოჭრა. ჩვენ მხოლოდ კომპლიმენტების გამოსათქმელად როდი შევიკრიბეთ. თუმცა ესეც საჭიროა, რადგან ამ საწვავის გარეშე შემოქმედებითი მოტორი ვერ ამუშავდება. მაგრამ ცხადია ისიც, რომ აქედანვე უნდა შევებათ იმ სირთულეებსა და წინააღმდეგობებს, წინ რომ მოგველის.

გასულ წელს იაპონიაში გახლდით, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ იაპონელი მუსიკოსები ბევრს მუშაობენ, მათ გამოსცადეს ყველა იზმები — სიურეალიზმიცა და ალეატორიკაც. მათ ყველაფერი იციან. და აი, უკვე 10 წელია, რაც იაპონიაში ინტენსიურად ვითარდება მოძრაობა ეროვნული საფუძვლების, მისი უძირო სიღრმეების ასათვისებლად. ისინი დაჟინებით ეძებენ ამ გზებს, აწარმოებენ გაბედულ ექსპერიმენტებს. სხვადასხვაგვარად იყენებენ ხალხურ საკრავებს, წერენ მათთვის მოდერნისტულ მუსიკას. ეს საკრავები შეჰყავთ სიმფონიურ ორკესტრშიც. ჩვენც ამ გზას უნდა მივმართოთ, მოვიხმაროთ უახლესი ტექნიკური საშუალებები ეროვნული სიმდიდრეების ასათვისებლად. ასეთი სინთეზი განსაცვიფრებელ ჰორიზონტებს გადაშლის ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური კულტურის წინაშე...

**ა. სავინცევი** (სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი):

კომპლიმენტები ბევრს არაფერს აძლევენ შემოქმედს. უმჯობესია სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს, სერიოზულად ჩავუკვირდეთ იმ პრობლემებს, ამიერკავკასიის მუსიკალურ ფესტივალზე რომ წამოიჭრა.

აქ არაერთგზის გამოითქვა ასეთი აზრი — ხელოვნება განახლებას საჭიროებსო. ეს ხომ ჭეშმარიტებაა. მაგრამ სამწუხაროა ის, რომ განახლება ხშირად თვითმიზნურ ხასიათს ატარებს, არ იძლევა სასურველ შედეგებს. როგორც ჩანს, საჭიროა განახლებული ხელოვნების საზღვრების დადგენა, მისი არსის გარკვევა და დაზუსტება...

მოვისმინე ფესტივალზე წარმოდგენილი მთელი აზერბაიჯანული მუსიკა, მოვისმინე სომხური კამერული და სიმფონიური კონცერტების ნაწილი, მაგრამ რომ მკითხოთ, რომელი ნაწარმოები ჩაგრჩა მეხსიერებაშიო — პასუხის გაცემა გამიჭირდება.

აღმაფრთოვანა ა. ბალანჩივაძის პირველმა სიმფონიამ. ეს შთაბეჭდილება ერთსულოვანია. ამ ნაწარმოებში ვერ აღმოაჩენთ უახლეს საშუალებებს, მიუხედავად ამისა ეს ნამდვილი მუსიკაა. დიახ, მეხსიერება ითვისებს მხოლოდ იმ ნაწარმოებს, რომლებშიც არაა შებღალული ეროვნული ბუნება, სადაც იგი უფრო განვითარებული და გაღრმავებულია. ამ თვალსაზრისით, მივესალმები ფ. ამიროვისა და ს. ჰაჯიბეკოვის შემოქმედებასაც.

ვეთანხმები კომპოზიტორ ა. შავერზაშვილს, რომ საშუალებების გამოყენების საკითხი ძალზე სერიოზულია, მაგრამ ჩვენს მსჯელობებს მაინც რატომ ვიწყებთ ხოლმე საშუალებების კონსტატაციით? პირველად სწორედ ტექნიკაზე ვამახვილებთ ყურადღებას, საგანგებოდ გამოვყოფთ სერიას... დამერწმუნეთ, როცა ვისმენთ ნამდვილი ოსტატის მუსიკას, მაშინ მის ტექნიკას არ ვადევნებთ თვალყურს, არ ვფიქრობთ სერიაა აქ გამოყენებული თუ ალეატორიკა... ნამდვილი მუსიკა ძალდაუტანებლად სწვდება ადამიანის სულსა და გონებას. იგი მთლიანად გიპყრობს, გეუფლება. კაპიკია იმ მუსიკის ფასი, რომელიც მხოლოდ ტექნიკური საშუალებების ფიქსირებას იწვევს. ასეთი ნაწარმოებების ღირსებებზე ზედმეტია ლაპარაკი. ჩვენ კი ვაქებთ მათ, რაც საზიანოა ახალგაზრდობისათვის. ამის შემდეგ ხომ არც ერთი მათგანი აღარ მიიღებს კრიტიკას, მერე და მერე მათთან ლაპარაკი სულ უფრო მეტად გაგვიჭირდება. ასევე სცოდავენ ანოტაციებიც, სადაც ახალი ტექნიკის გამოყენების მოტივით გამართლებულია ყველაფერი. ყოველივე ამას ვამბობ ამიერკავკასიის კომპოზიტორთა ყველა ორგანიზაციის მისამართით.

კარგადაა ცნობილი, რომ მთელს მსოფლიოში შესამჩნევად შენელდა ინტერესი სერიული მუსიკისადმი. მეტიც — აშკარაა ამ სისტემის იგნორირებაც. სწორედ მისდამი პროტესტმა წარმოშვა ალეატორიკა, სონორისტიკა... უკანასკნელად „ვარშავული ფესტივალიც“ ამ სისტემისადმი პროტესტის ნიშნით წარიმართა. არც ისაა შემთხვევითი, რომ კომპოზიტორები ეგზომ ხშირად სარგებლობენ კოლაჟითა და სტილიზაციით. ესეც ხომ თავისებური გამოსავალია სერიული ტექნიკით გამოწვეული კრიზისისაგან. ეს ფაქტები ცნობილია. ცნობილია ამ სისტემასთან დაკავშირებული წინააღმდეგობანიც: საქმე იმაშია, რომ ხშირად ჩვენი ახალგაზრდები ცდილობენ სერიული ტექნიკის ჩანერგვას კლასიკური მუსიკის ფორმებში, რაც სრულიად გამორიცხულია — ამ სინთეზს ვერ ჰგუობენ კლასიკური ფორმები. ამიტომაც დოგმატურია ამ პრინციპით დაწერილი ნაწარმოებები.

სერიული მუსიკის საფუძველზე ვერ აშენდება დროში ხანგრძლივად განფენილი ნაწარმოები. ამაში დამეთანხმებიან აქ მყოფი კომპოზიტორები ამერიკიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდანაც. სერიული ტექნიკით არც სიმფონია აღარ იწერება, რადგან იგი შლის მის ფორმასა და დრამატურგიას. უფორმო ნაწარმოები მძიმე ტვირთად აწვება მსმენელის ფსიქიკას, მის სულსა და გონებას...

ასევე უპირისპირდება ეს სისტემა ეროვნულობის კატეგორიას, იგი სრულიად შთანთქავს მის სპეციფიკას, რაც მომაკვდინებელია მუსიკისათვის.

დაბოლოს, მეტი სიმკაცრეა საჭირო საკონცერტო პროგრამების შერჩევის დროს. ჩვენ ყოველთვის ვერიდებით კოლეგების განაწყენებას და ამის შიშით, თითქმის ყველაფერი გამოგვაქვს ესოდენ ფართო აუდიტორიის წინაშე. ამიტომაა, რომ ფესტივალზე შესრულდა რამდენიმე მეტისმეტად მოძველებული ნაწარმოებიც.

ერთი სიტყვით, საჭიროა ფიქრი ესოდენ რთულსა და საჭირბოროტო პრობლემებზე, საჭიროა კრიტერიუმების დაზუსტება და ამაღლება...

მუსიკისმცოდნე **მ. საბინინა** (მოსკოვი):

არ შევჩერდები იმ კომპოზიტორთა ნაწარმოებებზე, რომელთა შემოქმედება ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ასეთია, თუნდაც სახელოვანი არნო ბაბაჯანიანი, რომლის წრფელი და ხატოვანი მუსიკა ყოველთვის გვიტაცებს არტისტიზმითა და მხურვალებით. ყურადღებას გავამახვილებ ახალ სახელებზე, ახალ ნაწარმოებებზე. თვალსაჩინოა, რომ უკანასკნელ ხანებში სომხურ მუსიკაში დაწინაურდა კომპოზიტორთა ახალი თაობა, რომლის წარმომადგენლები გატაცებულნი არიან ექსპერიმენტული საშუალებებით, ითვისებენ სხვადასხვაგვარ კოლორისტულ ხერხებს, ფლობენ სონორისტიკას, სერიულ ტექნიკასა და სხვა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მთავარია არა **როგორ**, არამედ **რას** ამბობს კომპოზიტორი, რამდენად ღრმა და მნიშვნელოვანია მისი შთანაფიქრი. მხოლოდ მის შუქზე უნდა ვიმსჯელოთ გამომსახველობით ხერხებზე, მუსიკალური ენის სიახლეებზე, მათ სიზუსტესა და ორგანულობაზე... ერთი მხრივ, მათ შეიძლება მოჰქონდეთ ჭეშმარიტად მხატვრული ინფორმაცია, იყვნენ გამსჭვალულნი ემოციური მუხტით, მაგრამ, მეორე მხრივ, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ხერხებმა და საშუალებებმა ჰპოვონ ფორმალური გამოხატულება, იქცნენ მოდურ კოსტუმად, ფორმალურ-სტილურ მიმიკრიად. ცხადია, პირველი შემთხვევა მისასალმებელია, მეორე კი დასაგმობი. და მაინც ახალგაზრდობას ვერ დავძრახავთ სიახლეთა ათვისების გამო. ეს სავსებით ბუნებრივი პროცესია, იგი არ იწვევს არავითარ ეჭვს. უკანასკნელ ხანებში კომპოზიტორები აწარმოებენ საინტერესო ექსპერიმენტებს იმ ახალი ტიპის ციკლებისა და ფორმების კონსტრუირებისათვის, ნეობაროკოს სტილისტურ სისტემას რომ ახასიათებს. ამ ცდებს მიმართავენ სომხეთის ახალგაზრდა კომპოზიტორები.

ფესტივალზე წარმოდგენილი ნაწარმოებებიდან დამაინტერესა ე. ერკანიანის ფრაგმენტებმა ბალეტიდან „ორესტეა“. აქ ავტორი სონორისტიკასა და პუანტილისტიკას იყენებს. მაგრამ მთავარია ის, რომ ამ მცირე მოცულობის ფრაგმენტებში მოცემულია კონფლიქტური მარცვლები და რომ ავტორისათვის ასეთი მუსიკალური ენა სავსებით ბუნებრივია.

დამაინტერესა ოვუნცის საფორტეპიანო ინვენციებმაც, თუმცა ერთგვარად დამაფიქრა ხალხური სიმღერის შეყვანით გამოწვეულმა კონტრასტმა, რაც წარმოქმნის მოულოდნელ სტილისტიკას. თუმცა უკანასკნელ ხანებში ჩვენ ძალზე ხშირად მივმართავთ ტერმინს „პოლისტილისტიკა“, რომელიც სტილურ კონტრასტს ნიშნავს. დღეს ეს მხატვრული ხერხი სავსებით მიღებული და გავრცელებულია. ოვუნცი ნიჭიერი ახალგაზრდაა, კარგად და საინტერესოდ ფლობს ტექნოლოგიას, პერსპექტიულია...

ა. აჯემიანის მესამე სიმფონია წარმოგვიდგენს სომხური მუსიკის სრულიად სხვა გზას. კომპოზიტორი არ მიმართავს ახალსა და ეგზომ დამაფიქრებელ საშუალებებს. მისი სიმფონიზმი უახლოვდება შოსტაკოვიჩისებურ სიმფონიზმს. აქაც ურთიერთს ერწყმიან ლირიკულ-ფილოსოფიური და ეპიკური საწყისები. ამ ნაწარმოებს ვუწოდებდი „ფიქრებს სამშობლოზე“.

კამერულ ნაწარმოებთა შორის აღვნიშნავ ახალგაზრდა კომპოზიტორის ტ. მანსურიანის სავიოლონჩელო სონატას. ყურადღებას შევაჩერებ საკონცერტო პროგრამების შედგენის სპეციფიკაზე, მის ლიმიტირებაზე. კამერული მუსიკა ფსიქოლოგიური ანალიზების



სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ა. ბაბაჯანიანი.

სფეროში ყალიბდება, იგი წარმოაჩენს ადამიანის მიკრო სამყაროს, ესაა უაღრესად ინტიმური დიალოგი მსმენელთან, გარე სამყაროსთან. ცხადია, ასეთი სულიერი წყობის ნაწარმოების გვერდით არ უნდა სრულდებოდეს ვირტუოზული ტიპის საკონცერტო პიესები ან საესტრადო ხასიათის საგუნდო სიმღერები. ბუნებრივია, რომ ესოდენ ჭრელმა გარემოცვამ ერთგვარად შთანთქა, გააუფერულა ტ. მანსურიანის ინტელექტუალურად ჩაღრმავებული, ემოციურად ნატიფი ნაწარმოები. შესაძლოა, ამიტომაც ამ სონატამ, ადრე რომ მომწონდა, ამჯერად აღარ გამიტაცა.

საყურადღებო ნაწარმოებია გ. ახინიანის სიმებიანი კვარტეტი. მაქსიმალურადაა გააზრებული მისი სტილი, ფორმა, გამომსახველობითი საშუალებანი. კომპოზიტორი მიმართავს ხერხებს, რომლებიც დამახასიათებელია ნეობაროკოს სტილისათვის. ამ კვარტეტში მომხიბლა მკაცრი პოლიფონიური ფორმების შერწყმამ ცოცხალ ლირიკასთან. კარგი შთაბეჭდილება დატოვა გ. ჩიტჩიანის საფორტეპიანო ციკლმა „სომხური ბარელიეფები". მან ყურადღება მიიპყრო თავისი ფართო და მრავალფეროვანი ტემბრულ-კოლორიტული პალიტრით.

დაბოლოს, სინანულით აღვნიშნავ, რომ ახალგაზრდა ავტორთა მრავალ ნაწარმოებში შეიმჩნევა ერთგვარი ანემიურობა, ზოგი კი მეტისმეტად „ინტელექტუალიზებულია", რაც ართულებს ავტორისეული აზრის გაშიფვრას! სწორედ ეს „გაუშიფრაობა" ქმნის ბარიერს მსმენელსა და ავტორს შორის...

# ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის დღიური

26 მაისს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში გაიმართა სომხური კამერული და საგუნდო მუსიკის კონცერტი, რომელზედაც შესრულდა:

გ. მელიქიანის სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის,

გ. ჩიტჩიანის საფორტეპიანო ციკლი „სომხური ბარელიეფები",

დ. ასტრიანის ვოკალური ციკლი,

ტ. მანსურიანის სონატა ვიოლონჩელოსა და ფორტეპიანოსათვის,

ა. ბაბაჯანიანის პოემა ფორტეპიანოსათვის,

მისივე „სამშობლო" (ა. გრაშის სიტყვებზე),

გ. არმენიანის „წყარო" (ს. კაპუტიკიანის სიტყვებზე), „შუაღამისას" (ვ. არამუნის სიტყვებზე),

ც. ზექარიანის „მარინეს ტაძარში" (მ. აკოპიანის სიტყვებზე),

მ. მაზმანიანის „თქმულება ძმობაზე" (ო. შირაზის სიტყვებზე) და „ავდექი და წავედი" (სიტყვები ხალხური),

მ. მავისაკალიანის „პასტორალი" (გ. კარაპეტიანის სიტყვებზე),

ე. არისტაკესიანის პოემა „კომუნარების კედელი პარიზში" (ე. ჩარენცის სიტყვებზე).

კონცერტში მონაწილეობდა სომხეთის საგუნდო



სომხეთის სსრ სახალხო არტისტი, დირიჟორი ო. ჩეკიჯიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სომხეთის დამსახურებული არტისტი ა. ციციკიანი.



კომპოზიტორი ე. აბრამიანი.

მუსიკისმცოდნე **ი. კორევი** (ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკას“ რედაქტორი):

სომხეთის სიმფონიური მუსიკის კონცერტზე დიდი ინტერესით მოვუსმინე ა. აჯემიანის მესამე სიმფონიას. ეს სერიოზული ნაწარმოებია. ავტორს ორიგინალურად გადაუჭრია რომანტიკული სიმფონიზმის პრინციპები. მაგრამ აჯემიანი ზოგჯერ მეტისმეტადაა გატაცებული მასალის იმპროვიზებული განვითარებით, რაც არღვევს კონსტრუქციის სიმკვეთრეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველივე ეს აჯემიანმა წარმატებით დასძლია თავის მომდევნო ოპუსებში.

მომხიბლა ე. ერკანიანის ფრაგმენტმა ბალეტიდან „ორესტეა“, სადაც სახოვანებით გამოირჩევიან ინდივიდუალიზებული მუსიკალური სახეები. ავტორი პოულობს ყოველი მათგანისათვის შესატყვის გამომსახველობით საშუალებებს. ცხადია, ეს ფრაგმენტები შთაბეჭდილებას არ გვიქმნის მთლიანად ბალეტზე, მის დრამატურგიულსა და სტილისტურ თავისებურებებზე. საინტერესო ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება გ. ოვუნცის საკონცერტო ინვენციები. სამწუხაროა ოღონდ, რომ ავტორმა თავი ვერ დააღწია სტილისტურ სიჭრელეს, გაუმართლებელია აგრეთვე ის მომენტები, როცა კომპოზიტორი მიმართავს თავისთავად რთული მუსიკალური ქსოვილის გამიზნული გაუბრალოების ხერხს.

ს. შაქარიანის მუსიკას მასშტაბურობა ახასიათებს. იგი დაჯილდოებულია მახვილი საორკესტრო სმენით, ფანტაზიით, ტემბრული ფერების ხატოვანი შეზავების უნარით. ყოველივე ეს გამომჟღავნდა ბალეტ „შურის“ ფრაგმენტებიდან. ისე კი ამ ნიჭიერ ხელოვანს უფრო ინტენსიურ მუშაობას ვუსურვებდი.

რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები მიმდინარეობს სომხეთის კამერული მუსიკის სფეროში. ამ ფონზე განსაკუთრებით გამოირჩევა გ. ახინიანის სიმებიანი კვარტეტი. ესაა ცოცხალი, საფუძვლიანად გააზრებული, სტილისტურად მთლიანი ნაწარმოები. მივესალმები ე. არისტაკესიანის ძიებებს საგუნდო მუსიკის ჟანრში. მის ადრინდელ ოპუსებში ყველაფერი არ იყო ბოლომდე დაყვანილი, ბოლომდე ჩამოყალიბებული. მისი საგუნდო პოემა „კომუნარების კედელი პარიზში“ კი წინ გადადგმული ნაბიჯია. კომპოზიტორის ძიებები საინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერესო პერსპექტივებს სახავენ სომხური საგუნდო მუსიკის წინაშე.

საგანგებოდ გამოვყოფ არნო ბაბაჯანიანის კამერულ ნაწარმოებებს. ეს ნიჭიერი ხელოვანი ესტრადაზე გამოჩენისთანავე ასხივებს მთელ თავის არტისტულ მომხიბვლელობას, ტემპერამენტს. ამიტომაც გვახარებს ხოლმე მასთან შეხვედრა.

ტ. მანსურიანი რომ ნიჭიერი კომპოზიტორია, ეს ყველამ კარგად ვიცით. იგი მასშტაბურად აზროვნებს. ამჯერად კი ეს თვისება არ გამომჟღავნდა მის სავიოლონჩელო სონატაში. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს ნაწარმოები ლაბორატორიული დამუშავების სტადიაში იმყოფება, აქ ჯერ კიდევ ბევრი რამაა დასახვეწი და დასაზუსტებელი.

ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებებს ერთი საერთო ნაკლი ახასიათებთ. იგი დაკავშირებულია თემატური მასალის, მუსიკალური სახეების ორგანიზების პრობლემასთან. ხშირად გარეგნული ეფექტების ძიება თვითმიზნურ ხასიათს ატარებს, საკომპოზიციო ტექნიკის არსენალი იმდენადაა მოზღვავებული, რომ იკარგება ნაწარმოებთა იდეა, არსი, შთანაფიქრი. ყოველივე ამაზე სერიოზულად უნდა იმსჯელონ ამიერკავკასიის კომპოზიტორთა ორგანიზაციებში. საჭიროა პოზიციების გადასინჯვა. აქაური კომპოზიტორები ხომ ყოველთვის გვხიბლავდნენ თავისი ორიგინალური შემოქმედებითი ინდივიდუალობით, ტემპერამენტით, ენერგიით, გამომგონებლობით... დღეს კი ინდივიდუალობათა ნიველირების საშიშროების წინაშე აღმოვჩნდით. აბა რა აქვს საერთო ანემიურობას, ინერტიულობას, მოდუნებას იმ კულტურებთან, აგრე რიგად რომ ასხივებენ სიმხურვალესა და მრავალფეროვნებას?

ამას წინათ რუსეთის ფედერაციის კომპოზიტორთა კავშირმა ჩაატარა სპეციალური პლენუმი თემაზე — ჩვენი თანამედროვის სახე რუსულ მუსიკაში. არ დავფარავ, გაგვიძნელდა ისეთი ნაწარმოების არჩევა, რომელშიც ეს აქტუალური პრობლემა მაღალმხატვრულ გააზრებას ჰპოვებდა. იგივე მდგომარეობის წინაშე აღმოვჩნდით ამჯერადაც. არა და ეს ჩვენი უპირველესი ამოცანაა. იგი ჩვენი მგზნებარე სინამდვილის მიერაა ნაკარნახევი. სწორედ ეს ამოცანა უნდა იდგეს ყოველი საბჭოთა კომპოზიტორის შემოქმედებითი ინტერესების ცენტრში.

მუსიკისმცოდნე **რ. გლეზერი** (მოსკოვი):

ახალს არაფერს ვიტყვი, თუკი აღვნიშნავ, რომ ამიერკავკასიის კომპოზიტორები საფუძვლიანად ფლობენ საკომპოზიციო ტექნიკის მდიდარ არსენალს. მათ ათვისებული აქვთ ყველა სტილისტური სისტემა, მიმართავენ დოდეკაფონიასა და ალეატორიკას, კონკრეტულ მუსიკასა და სონორულ ტექნიკას, მიმართავენ ყველაფერ იმას, რაც დრომ მოიტანა. და მაინც, ფესტივალის კონცერტებზე არაერთხელ დაგვეუფლა მოწყენილობის განცდა.

ძნელია მაღალმხატვრულ ნაწარმოებზე მსჯელობა. მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია ისეთ მუსიკაზე ლა-

# ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის დღიური

საზოგადოების გუნდი სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ე. ცატურიანის ხელმძღვანელობით. ქორმეისტერი — გ. სანდალჩიანი, ინსტრუმენტული ტრიო ვ. ხაჩატურიანის, ი. პაპიანისა და გ. მელიქიანის შემადგენლობით.

სოლისტები: საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ე. შკლიანკო, სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ამბაკუმიანი, ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი — ფ. სიმონიანი, პიანისტები — კ. ბაღდასარიანი და ე. მამაევი.

26 მაისს საქართველოს ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში გაიმართა სომხური კამერული მუსიკის კონცერტი, რომელზედაც შესრულდა:

**ე. ბაღდასარიანის** „შუა საუკუნეების ორი მელოდია" ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის,

**ს. ოგანესიანის** პოემა ფორტეპიანოსათვის,

**ლ. ჩაუშიანის** სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის,

**რ. გალსტიანის** სიმებიანი კვარტეტი № 4,

**გ. მანველიანის** ოქტეტი,

**ე. აბრამიანის** რაფსოდია ფორტეპიანოსათვის,

**ა. არუთუნიანის** სონატა საყვირისა და ფორტეპიანოსათვის,

**გ. ახინიანის** სიმებიანი კვარტეტი.

კონცერტში მონაწილეობდა სომხეთის სახელმწიფო ფილარმონიის სიმებიანი კვარტეტი სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტების — ლ. მამიკონიანის, მ. ერიციანის, ი. მანუკიანისა და ფ. სიმონიანის შემადგენლობით, ინსტრუმენტალისტები — ი. ბალიანი, ე. მამაევი, ა. მინასიანი, ვ. ხაჩატრიანი.

სოლისტები — სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ა. ციციკიანი, ა. ბაირუთიანი, ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი დ. დავთიანი.

კონცერტში მონაწილეობდნენ კომპოზიტორ-პიანისტები ე. ბაღდასარიანი, ე. აბრამიანი, ლ. ჩაუშიანი, ა. არუთუნიანი.

პარაკი, რომლის გაშიფვრა დიდ დროსა და ყურადღების მაქსიმალურ დაძაბვას ითხოვს. ცხადია, ნაწარმოების საფუძვლიანი აღქმა შეუძლებელია ერთი მოსმენით, მაგრამ ცხადია ისიც, რომ დიდია მნიშვნელობა სწორედ პირველი შთაბეჭდილებისა, რომელიც ხშირად განსაზღვრავს ხოლმე ნაწარმოების მომავალს.

დღეს, მუსიკის სიცოცხლეზე მინდა ვილაპარაკო. შევაჩერებ ყურადღებას იმ შესანიშნავ ტრიადაზე, ერთმანეთთან აგრე რიგად რომ აკავშირებს კომპოზიტორს, შემსრულებელსა და მსმენელს. ამ ურთიერთკავშირს წარმოქმნის მხოლოდ ნამდვილი ხელოვნება, ის დიდი თვისება, რომელსაც ემოციურ ზემოქმედებას ვუწოდებთ. ამის გარეშე მოსაწყენია მუსიკა, თეატრი, მხატვრობა, მოსაწყენია თვით ცხოვრება. ამიტომ იყო, რომ ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ დაგვეუფლა დაუოკებელი სურვილი მშვენიერების განცდისა... ამიტომაც მივაშურეთ სურათების გამოფენას, მივაშურეთ ქართული ხუროთმოძღვრების დიდებულ ძეგლებსაც... აქ კვლავ ვირწმუნეთ ის დიდი ძალა, მხოლოდ ნამდვილ ხელოვნებას რომ ახასიათებს. აქ დაგვატყვევა სილამაზემ. მასზე ლაპარაკს კი რატომღაც ვერიდებით ხოლმე.

ამასთან დაკავშირებით, მახსენდება ბიზეს ერთადერთი რეცენზია, რომლის გამოქვეყნების შემდეგ მან პრესაში გამოსვლის უფლება დაჰკარგა. ბიზე ტერმინების უარყოფას მოითხოვდა. მას მიაჩნდა, რომ ყველაზე დიდი ზიანი მოაქვთ წესებისა და კანონების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებებს. უსუსური ნაწარმოები თვითონვე მოისწრაფავს სიცოცხლეს. სხვადასხვა სისტემის ფარგლებში მოქცეული მუსიკა კი ელობება ნიჭიერებასო.

ყოველივე ამაზე ვფიქრობდი ფესტივალის დღეებში... რადგან, როცა მხარს ვუჭერთ ექსპერიმენტულ მუსიკას, როცა ვიცავთ ამა თუ იმ სისტემაში დაწერილ ნაწარმოებს, ამ დროს ჩვენ უკვე აღარ ვანსხვავებთ ერთმანეთისაგან მშვენიერ, ცოცხალსა და შთაგონებულ ხელოვნებას პროფესიულად დაწერილ იმ ნაწარმოებთაგან, რომლებსაც, როგორც წესი, საინტერესო ნამუშევარს ვუწოდებთ ხოლმე.

ჩემი აზრით, ესოდენ ფართო ფორუმზე არ შეიძლება ყველაფრის გამოტანა. სავარჯიშოებისა და ექსპერიმენტებისათვის, ეგზერსისებისა და ცდებისათვის არსებობს ის მყუდრო გარემოცვა, შემოქმედებით ლაბორატორიას რომ უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ჩაიკოვსკის წერილი რიმსკი-კორსაკოვისადმი, სადაც იგი გამოთქვამს თავის კმაყოფილებას ახალგაზრდა ავტორის თვითკრიტიკული დამოკიდებულების შესახებ. იგი წერს: ქედს ვიხრი თქვენი არტისტული სიმკაცრის წინაშე. ამ ზაფხულს 60 ფუგა შეგიქმნიათ, ძალიან ბევრი გივარჯიშიათ. თქვენგან დიდი მხატვარი დადგებაო... გავიხსენოთ ტანეევიც... მანამდე, სანამ საზოგადოება გაეცნობოდა მის სიმფონიას, მან გასწია უზარმაზარი შრომა. ვინ იცის რამდენი ცდა ჩაატარა კონტრაპუნქტის სფეროში, ვინ მოთვლის თემატური მასალის რამდენი ვარიანტი შეიმუშავა! ჩვენ კი ვიცნობთ მხოლოდ ესოდენ დაძაბული მუშაობის შედეგს.

აქ გასართობად როდი ჩამოვედით. ასეთი შეკრებები ხელს გვიწყობენ მომავალი ცხოვრების განსაზღვრაში. მეც დავფიქრდი ჩემს ხვალინდელ დღეზე, — როგორც პროპაგანდისტს, გამიჭირდება ფართო მსმენელის შეზიარება ასეთ მუსიკასთან, ძნელია ამ ნაწარმოებთა გაშიფვრა მათთვის გასაგებ ენაზე.

მაგრამ ყველა კონცერტმა როდი დამაყენა ასეთ პესიმისტურ განწყობილებაზე... სიხარულის განცდა დამეუფლა სომხური მუსიკის იმ საღამოზე, სადაც შესანიშნავად შესრულდა ე. მირზოიანის სავიოლონჩელო სონატა. შემსრულებელმა, რომელიც თავისი თანამედროვის შემოქმედებაზე იზრდება, მიიღო საზრდო სრულყოფისათვის. ეს ნაწარმოები არაერთგზის მოგვისმენია, დღეს კი საბოლოოდ დავრწმუნდით მის სიცოცხლისუნარიანობაში, მის მომავალშიც... მასში ღრმა ფილოსოფიური აზრია გადმოცემული. მისი მუსიკა ცოცხალია, ლამაზიცაა... მოვიხიბლეთ ლ. სარიანის სავიოლინო კონცერტითაც, მასაც სიამოვნებით დაუკრავენ შემსრულებლები, სიამოვნებით მოუსმენენ მუსიკისმოყვარულებიც. ეს კონცერტი საუკეთესო ტრადიციებშია შექმნილი, კეთილშობილებით სუნთქავს მისი მუსიკა, ძალზე შთამბეჭდავია ლირიკული სახეები.

როცა ა. ტერტერიანის მეორე სიმფონია სრულდებოდა, მსმენელთა დარბაზში იდუმალებით დამუხტული ატმოსფერო დამკვიდრდა. მოხდა ის, რასაც აგრე რიგად ველოდით — შევესწარით ჭეშმარიტად შთაგონებული მუსიკის აჟღერებას. სიმფონია თავისი მოცულობით დი-

მუსიკისმცოდნე ლ. შუბერტი (გდრ).



კომპოზიტორი და მუსიკისმცოდნე ჩ. ბოლდიჟარი (რუმინეთი).



მუსიკისმცოდნე დ. ზენგინოვი (ბულგარეთი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკისმცოდნე ი. სავა (რუმინეთი).

მუსიკისმცოდნე ი. სტეშევსკი (პოლონეთი).





დი როდია, მაგრამ რაოდენ ღრმაა და მღელვარე მისი სამყარო. შესაძლოა, კამათი გამოიწვიოს ამ სიმფონიის ფორმამ და გამომსახველობითმა საშუალებებმაც. მაგრამ, უდავოა — ესაა ნამდვილი მუსიკა!

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა სიმფონიის II ნაწილმა. აქ წარმოდგენილია ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული შესანიშნავი მონოდია. მას ექვსი წუთის მანძილზე ასრულებს მომღერალი, ყოველგვარი თანხლების გარეშე. ვოკალური პარტია ატარებს ეთიკურ-ფილოსოფიურ ხასიათს. სიმფონიაში კომპოზიტორმა დიდი ოსტატობით გამოიყენა შუა საუკუნეების სომხური საგალობლები — შირაკანები, რომლებიც სუნთქავენ მარადიული მშვენიერებით. ამასთან ერთად, ტერტერიანი მიმართავს თანამედროვე მუსიკის ხერხებსაც — მას გამოყენებული აქვს გუნდის სტერეოფონური ეფექტები, სონორისტიკის ელემენტებიც, მაგრამ ყოველივე აღბეჭდილია ავტორისეული ორიგინალობით, უტყუარი ნიჭიერებით...

ე. ოგანესიანის კანტატა „ერებუნი" მიეძღვნა მშობლიური ქალაქის დაარსების 2750 წელს. კანტატის ტექსტს საფუძვლად უდევს შემდეგი სიტყვები: ერებუნი მტრის შესარისხად და ხალხის სასიკეთოდ აშენდაო. ეს მონუმენტური ნაწარმოები გამსჭვალულია ეპიკური სიდიადით, აღმშენებლობის პათოსით. როცა მას უსმენ, გჯერა, რომ სომხეთის უკაცრიელ მიწაზე დღეს წალკოტია გაშენებული. მკვეთრია ამ ნაწარმოების დრამატურგია, ამაღლებული და კეთილშობილია მისი სახეები.

მუსიკისმცოდნე **ი. იუზეფოვიჩი** (მოსკოვი):

სომხეთის სიმფონიური მუსიკის კონცერტმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა თითოეულ ჩვენგანზე. მის კულმინაციას წარმოადგენდა ა. ტერტერიანის მეორე სიმფონია, რომელმაც უდიდესი ემოციური ზემოქმედება მოახდინა და დაიპყრო ფესტივალის აუდიტორია.

მივესალმები ამიერკავკასიის მუსიკალურ ფესტივალს ესოდენ მაღალმხატვრული ქმნილების წარმოჩენისთვის. ტერტერიანის ნაწარმოები თანამედროვე ფილოსოფიური სიმფონიის შესანიშნავი ნიმუშია. იგი ძალზე ლაკონიურია ფორმით, ტევადია მოცულობით, დატვირთულია აზრით. ავტორმა შედარებით მოკლე დროში უამრავი ინფორმაცია მიაწოდა მსმენელს, როგორც ემოციური, ისე იდეური თვალსაზრისით. სიმფონიაში დიდი აზრობრივი მნიშვნელობა ენიჭება ყოველ ბგერას, ყოველ ინტონაციას, თითოეულ პაუზას. აქ განსაცვიფრებელი სიზუსტითაა არჩეული ყოველი გამომსახველობითი ხერხი და საშუალება. ამიტომაც აგრე რიგად იყო ჩართული მსმენელი სიმფონიის სამყაროში, მისი მუსიკის უაღრესად დაძაბულ ატმოსფეროში. ძალზე საინტერესოა ეს ნაწარმოები ფოლკლორული სახეების ორიგინალური გადააზრების მხრივაც. იგი გამსჭვალულია შირაკანების ინტონაციებით, ხალხური საშემსრულებლო სტილის სპეციფიკური თავისებურებებითაც.

დიდ ზემოქმედებას ახდენს სიმფონიის II ნაწილი, რომლის სოლო ვოკალური პარტია შთაგონებით შეასრულა გუნდის სოლისტმა. იგი პროფესიით არქიტექტორია და ბევრს მუშაობს შირაკანების გაშიფვრაზე. საინტერესოა ის, რომ ამ ნაწარმოებში ერთმანეთს დაუკავშირდა ფოლკლორის ორი შემეცნება — მეცნიერული, მომღერლის სახით, და ინტუიტური, კომპოზიტორის სახით, რამაც შესძინა მას განსაკუთრებული მთლიანობა.

ა. ტერტერიანის სიმფონია გამსჭვალულია ეთიკური პათოსით. ამიტომაც ჩვენ ანალიტიკოსებისაგან სულგანაბულ მსმენელებად ვიქეცით, რაც, სამწუხაროდ, იშვიათად გვემართება ხოლმე.

ე. ოგანესიანის კანტატა „ერებუნი" თემატიკურად უკავშირდება ა. ტერტერიანის სიმფონიას. მაგრამ იგი სრულიად სხვა სტილშია დაწერილი, სხვაგვარია ოგანესიანის მსოფლშეგრძნებაც და ხელწერაც. კანტატა „ერებუნი" გვხიბლავს თავისი შინაგანი ძლიერებით, ეროვნული, დემოკრატიული სულისკვეთებით. და მაინც ვფიქრობ, რომ კონცერტის პროგრამა სწორად არ იყო აგებული. ა. ტერტერიანის სიმფონიის შემდეგ შეუძლებელი იყო რაიმეს, თუნდაც მაღალმხატვრულის, მოსმენა. ამიტომ ერთგვარად წააგო მის ფონზე ოგანესიანის მშვენიერმა ნაწარმოებმა.

კომპოზიტორი **გ. შანტირი** (მოსკოვი):

სომხური მუსიკის კონცერტებმა, ერთი მხრივ, გამახარეს, ხოლო, მეორე მხრივ, დამაფიქრეს. გამახსენდა 40-იანი წლების მიწურული, როცა შემოქმედებით ას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სომხეთის სახელმწიფო სიმებიანი
კვარტეტი.

სომხეთის საგუნდო საზოგადოე..
ბის გუნდი.



პარეზზე გამოჩნდნენ დღეს უკვე სახელოვანი კომპოზიტორები — ე. მირზოიანი, ა. ბაბაჯანიანი, ა. არუთუნიანი და სხვები. მათ მალე მოიპოვეს წამყვანი კომპოზიტორების ავტორიტეტი. სულ მალე დაწინაურდნენ მომდევნო თაობის კომპოზიტორები — ოგანესიანი, ტერტერიანი, ჩიტჩიანი, ორბელიანი... დღეს ესენი ქმნიან თანამედროვე სომხური მუსიკის სახეს. ამ ორმა თაობამ თავისებურად განავითარა ის მაღალი ტრადიციები, რომლებიც დამკვიდრდნენ ა. ხაჩატურიანისა და გ. ეგიაზარიანის შემოქმედებაში. შემდეგ კვლავ გამოჩნდა კომპოზიტორთა ახალი ჯგუფი — ჩაუშიანი, მანსურიანი, შაქარიანი, ისრაელიანი და სხვები. დღეს, მათ მოჰყვებიან უფრო ახალგაზრდა ავტორები... ერთი სიტყვით, სომხურ მუსიკაში მიმდინარეობს თაობათა ცვლისა და განვითარების პროცესი. ბუნებრივია, რომ ახალგაზრდობა ეძებს თავის გზას, შემოაქვს რაღაც ახალი. მაგრამ არსებობს ის ორი ძირითადი თვისება, რომელიც უნდა აითვისოს და დაამკვიდროს ყველა პერიოდისა თუ მიმდინარეობის კომპოზიტორმა... პირველია — მუსიკის ეროვნულობა, მეორეა — მისი შინაარსიანობა. ეს თვისებები ამჯერადაც ნათლად იყო გამოხატული ე. მირზოიანის, ლ. სარიანის, ა. ტერტერიანის, ე. ოგანესიანის, ა. ბაბაჯანიანის, გ. ჩიტჩიანის ნაწარმოებებში. ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებაში კი ეგზომ გართულებული ტექნოლოგიური ამოცანების გამო, მათ ვერ ჰპოვეს გამოსავალი. ჩვენ გავეცანით მათ მიერ ჩატარე-

ბულ მუშაობას, მაგრამ ვერ დავინახეთ შედეგი, — ის, რასაც შემოქმედებითი წვის ნაყოფს უწოდებენ ხოლმე.

ყურადღება მიიპყრეს ფესტივალისათვის გამოცემულმა ანოტაციებმა, სადაც ჩვენი მუსიკისმცოდნეები განიხილავენ ამიერკავკასიის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. განმაცვიფრა ერთმა გარემოებამ — ანოტაციების ავტორები წარამარა მიმართავენ ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა „ფილოსოფიური სიღრმე“, „ფილოსოფიური ლირიკა“, „ფილოსოფიური შინაარსი“... სპეციალისტები ამ მაღალ კატეგორიებს მეტად ფრთხილად, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში უნდა ხმარობდნენ. პირადად მე, ბეთჰოვენის, ბრამსისა და რამდენიმე სხვა გამოჩენილი კომპოზიტორის გარდა, გამიჭირდებოდა ფილოსოფიურ სიღრმეზე ლაპარაკი. ანოტაციების მიხედვით კი ყველა ახალგაზრდა კომპოზიტორი თურმე ამჟღავნებს ფილოსოფიურ სიღრმეს. დამეთანხმებით ალბათ, რომ ამ სიღრმეებს ხელოვანი მხოლოდ ბრძნულად განვლილი ცხოვრების მიწურულში აღწევს, ისიც ყველა და ყოველთვის არა...

დამაჯერა ა. ტერტერიანის სიმფონიის შთანაფიქრმა. იგი ფლობს იმ ხერხებს, რომლითაც ესოდენ გატაცებულია ჩვენი ახალგაზრდობა. მაგრამ მათთვის ესაა მიზანი, ტერტერიანისთვის კი იდეის გამომხატველი საშუალება. ამიტომაც აგრე რიგად აგვაღელვა და დაგვაჯერა მისმა სიმფონიამ...

მუსიკისმცოდნე **ა. წულუკიძე** (თბილისი):

ძალიან გამახარა სომხეთის სიმფონიური მუსიკის კონცერტმა, უპირველესად, იმ პრინციპული სიმპტომებით, რომელთა მოლოდინში იმყოფება ყოველი ჩვენგანი: ესაა ის ორგანული სინთეზი, მჭიდრო კავშირს რომ ამყარებს ახალ გამომსახველობით საშუალებებსა და ეროვნულ ტრადიციებს შორის. სწორედ ასეთი ერთიანობაა მიღწეული სომხური სიმფონიური მუსიკის მთელ რიგ ნაწარმოებებში. ჩვენ კარგად ვიცნობთ ლ. სარიანს, როგორც ღრმად ერუდირებულ პროფესიონალს, როგორც მაღალი გემოვნების ხელოვანს, რომელსაც განსაკუთრებით აქვს გამახვილებული ფაქტურის ნატიფი შეგრძნება. ყოველივე ეს ნათლად გამოვლინდა მის სავიოლინო კონცერტშიც.

განსაკუთრებული იყო ამ საღამოს II განყოფილება, რომელზედაც შესრულდა ორი შესანიშნავი ნაწარმოები. ე. ოგანესიანის კანტატაში „ერებუნი“ ჩვენ შევხვდით ჭეშმარიტად თანამედროვე ხელოვანს, რომლის მუსიკა ეროვნულია მთელი თავისი არსებით.

დიდად ამაღელვა ა. ტერტერიანის II სიმფონიამ. მას ვანიჭებ ფრიად პრინციპულ მნიშვნელობას. იგი თავიდანვე იწყება თანამედროვე საშუალებების ხატოვანი გამოყენებით. უკვე მის დასაწყისს უმალვე შევყავართ კომპოზიტორის მაღალ სულიერ სამყაროში. დასარტყამ საკრავთა იდუმალი კაკუნი, ერთი მხრივ, მოასწავებს არქაული რიტუალის დასაწყისს, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი ნაირგვაროვანი რიტმებით თანამედროვე მუსიკალურ ხერხებზე მიგვანიშნებს. ავტორს ღრმადა აქვს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალის დღიური

27 მაისს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში გაიმართა სომხური კამერული მუსიკის კონცერტი, რომელზედაც შესრულდა:

გ. ჩებოტარიანის რვა პიესა „პოლიფონიური ალბომიდან ყმაწვილთათვის“,

მ. ვართაზარიანის „შექსპირის ორი სონეტი“,

რ. სარგსიანის ოთხი პიესა (ელეგია) ვიოლონჩელოსა და ფორტეპიანოსათვის,

ა. არუთუნიანის „საღამოს სამი სიმღერა“ (ჩინელი პოეტის ლი ბოს სიტყვებზე),

რ. ამირხანიანის სიმებიანი კვარტეტი,

ე. მირზოიანის სონატა ვიოლონჩელოსა და ფორტეპიანოსათვის,

ი. კაზარიანის პოემა „თვალები“ (რ. ოლშანსკის სიტყვებზე),

ჯ. ტერ-თათევოსიანის სიმებიანი კვარტეტი № 2.

კონცერტში მონაწილეობდნენ: სომხეთის სახელმწიფო ფილარმონიის სიმებიანი კვარტეტი სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტების — ლ. მამიკონიანის, მ. ერიციანის, ი. მანუკიანის, ფ. სიმონიანის შემადგენლობით, ინსტრუმენტული ტრიო — ს. ალავერდიანის, გ. მელიქიანის, გ. სიმონიანის შემადგენლობით.

სოლისტები: ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი ფ. სიმონიანი, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ვ. სარაჯიანი, ა. ბეირუთიანი, ს. დავთიანი, ა. მანსურიანი.

27 მაისს საქართველოს სახელმწიფო დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა სომხური სიმფონიური მუსიკის კონცერტი, რომელზედაც შესრულდა:

ლ. სარიანის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის,

მ. ისრაელიანის „მუსიკა“ ორკესტრისათვის,

ა. ტერტერიანის მეორე სიმფონია,

ე. ოგანესიანის კანტატა „ერებუნი“.

კონცერტში მონაწილეობდნენ სომხეთის სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი დ. ხანჯიანის დირიჟორობით, სომხეთის საგუნდო საზოგადოების გუნდი სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ე. ცატურიანის ხელმძღვანელობით.

სოლისტი — ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი — ს. ახნაზარიანი.

აზრებული თანამედროვე მუსიკის საშუალებები, იგი ასევე ღრმად გრძნობს მშობლიური მუსიკის თავისებურ ბუნებას. ამ სიმფონიაში სახიერი ლიტურგიულობა (რომელსაც ეპიკური სტატიურობა და სიდიადე ახასიათებს ხოლმე) შერწყმულია შინაგან დინამიკასთან, მის შეუწყვეტელ ძგერასთან. ასე დამყარდა კავშირი თანამედროვეობასა და არქაულ სინამდვილეს შორის. დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს, ერთი მხრივ, ბგერათა რთული, წმინდა თანამედროვე კომპლექსები, ხოლო, მეორე მხრივ, არქაული ეროვნული რეჩიტაცია, საბოლოოდ — მათი მთლიანი არქიტექტონიკა. ამიტომ ცხოვრობს მსმენელი ამ დიდებული მუსიკის სამყაროთი.

ა. ტერტერიანის II სიმფონიაში მე შევიგრძენი სომხური მუსიკა, სომეხი მხატვარი, შევიგრძენი მთელი სომხეთი, რომლის დიადი სული ტრიალებს უნიკალურ ისტორიულ ძეგლებში, ეჩმიაძინის დიდებულ კედლებში.



• • •

ვიოლონჩელისტი დ. დავთიანი.

სომხეთის ფილარმონიის ინსტრუმენტული ტრიო. სოლისტი — ა. მანსურიანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

75
თბილისი

საქართველოს სსრ

# ...სიყვარულს უშენებია!

გივი ორჯონიკიძე

**ამიერკავკასიის** მუსიკალური ფესტივალის დღეებში ძალზე ხშირად ისმის ჩვენი მისამართით გამოთქმული მეგობრობისა და ძმობის გამომხატველი წრფელი სიტყვები. ბევრს გვავალებს ასეთი ნდობა. ვიმედოვნებ, რომ ქართველი მუსიკოსები თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე იქნებიან ყოველთვის. ოღონდ, სამწუხაროა, რომ ამინდი გაგვიჯიუტდა, იგი რატომღაც ჩვენთან არ უშვებს გაზაფხულს. მუსიკამ კი თავისი გული გადაგვიშალა. იგი სილამაზესა და სიკეთეს ასადგურებს, ამკვიდრებს ჭეშმარიტი მეგობრობისა და ნამდვილი თანამშრომლობის მშვენიერ ატმოსფეროს.

ჩვენი დედაქალაქი ინტერნაციონალური მეგობრობის სიმბოლო იყო და არის. იგი იმთავითვე მჭიდროდ დაუკავშირდა მოძმე ქალაქების ცხოვრებას, კულტურას, მათ ავ-კარგს.

ქართველებს გვეამაყება, რომ სწორედ თბილისში იწყებდა თავის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ჩვენი უახლოესი მეზობელი ხალხების მრავალი შესანიშნავი წარმომადგენელი. ვამაყობთ იმითაც, რომ მოძმეთა ნამოღვაწარი ჩვენთან ყოველთვის მხურვალე გამოძახილსა და ნამდვილ გაგებას პოულობს. ამას ხომ ამიერკავკასიის მიმდინარე მუსიკალური ფესტივალიც ადასტურებს. ამიტომ იქცა იგი ჩვენი ხალხების ჭეშმარიტი მეგობრობის ზეიმად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების შემოქმედებითი მონაპოვრების ბრწყინვალე დემონსტრაციად. მან გვაზიარა ნამდვილი ხელოვნების სილამაზეს.

დღეს, ჩვენ კიდევ ერთხელ ვირწმუნეთ თანამედროვე სომხური, აზერბაიჯანული და ქართული მუსიკის ძალა, მისი დიდი ღირსებები. დიახ, მაღალი რანგისაა ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკა, დიდია მისი ავტორიტეტი, იგი მრავალათასიან მსმენელთა გულებს იპყრობს.

მჯერა, რომ მიმდინარე ფესტივალზე წარმატებით შესრულებული მუსიკა, ათწლიანი დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფს რომ წარმოადგენს, ახალ-ახალი ნაწარმოებებით უფრო მეტად გაამდიდრებს მთელი საბჭოთა მუსიკის საგანძურს.

ჩემი მისალმება მსურს კარგად ცნობილი ქართული სიმღერის იმ ფრთიანი სიტყვებით დავამთავრო, აგრე რიგად რომ ესადაგება ამიერკავკასიის ხალხთა დიდებულ სინამდვილეს:

წუთისოფელი ასეა —
დღეს ღამე უთენებია,
რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია!

საქართველოს კომპოზიტორთა
კავშირის პირველი მდივანი
გ. ორჯონიკიძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული კვარტეტი.

 სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე.



კომპოზიტორი **ვ. უსპენსკი** (ლენინგრადი):

იმ მრავალფეროვან პროგრამებს შორის, რომელსაც ვისმენთ ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალის დღეებში, განსაკუთრებით გამოვყოფდი ა. ტერტერიანის II სიმფონიას, ე. ოგანესიანის კანტატას „ერებუნი“, ე. მირზოიანის სავიოლონჩელო სონატას, ლ. სარიანის სავიოლინო კონცერტსა და რ. ლაღიძის ოპერა „ლელას“. სწორედ ამ უკანასკნელ ნაწარმოებზე მსურს რომ შევჩერდე. ახალ ქართულ ოპერას განსაკუთრებული ინტერესით ველოდი, რადგან ვმუშაობ ამ ჟანრში და გამაჩნია მოკრძალებული გამოცდილებაც. რ. ლაღიძის მუსიკამ განმაცვიფრა მხურვალე ემოციურობით, ხატოვნებით, განუზომელი სიწრფელითა და გულითადობით. მან განმაცვიფრა მშვენიერი მუსიკალური დრამატურგიითაც. აღვნიშნავ, აგრეთვე, იმ დიდ საშემსრულებლო კულტურას, რომელიც გამოვლინდა ფესტივალის ყოველ კონცერტზე და განსაკუთრებით ოპერა „ლელას“ სპექტაკლზე. მან დამატყვევა სოლისტების მშვენიერი სიმღერით, ორკესტრისა და გუნდის მაღალი მუსიკალური გამომსახველობით...

კომპოზიტორი **გ. შანტირი** (მოსკოვი):

თავიდანვე მინდა გამოვხატო ის დიდი სიამოვნება, რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელას“ მოსმენის დროს რომ განვიცადე. მის მაგალითზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ საოპერო ჟანრის პრობლემებს, რომელთა შესახებ ბევრს ვმსჯელობთ ხოლმე სხვადასხვა სახის დისკუსიებზე, ჩვენ თვითონვე ვართულებთ.

მრავალთა აზრით თანამედროვე ოპერა უნდა მიუახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბარი ქართულ მუსიკაზე

ლოვდეს კინოს, დრამატულ თეატრს, ხელოვნების სხვა ჟანრებსაც... მაგრამ ჩვენ თითქმის მივივიწყეთ ის, რომ ოპერა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი. რ. ლაღიძემ, სხვათა შორის, ისიც შეგვახსენა, რომ ოპერა უნდა იყოს გამსჭვალული სიმღერით, მელოდიური სილამაზით, ემოციურობით. ეს თვისებები ხომ ყოველთვის იპყრობენ და აღელვებენ მსმენელს, ვისთვისაც განკუთვნილია ყველა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოები. დიახ, ჩვენი შემოქმედება მკვდარია ადამიანთა თანაგრძნობის გარეშე, რაც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მუშაობის პროცესში.

მუსიკისმცოდნეები ალბათ გააანალიზებენ ამ პარტიტურას. შესაძლოა ვინმემ რაიმე ნაკლიც აღმოაჩინოს ან მიუთითოს ერთგვარ სტატიურობაზე, მაგრამ ასეთი განცხადების დროსაც უნდა გვახსოვდეს: არსებობენ სხვადასხვა ტიპის ოპერები. ჩვენ ვიცნობთ ისეთ ოპერებს, რომლებშიც თითქმის არ ჩანს გარეგნული მოქმედება, მაგრამ გახსნილია ხასიათები, სახეები, განწყობილებანი. ასეთ რიგს განეკუთვნება ორი თანამედროვე სომხური ოპერა: ა. არუთუნიანის „საიათ-ნოვა“ და ა. ტერტერიანის „ცეცხლოვანი ბეჭედი“. ამ ნაწარმოებთა ღირსებები კარგადაა ცნობილი... ერთი სიტყვით, არსებობის უფლება აქვს ყოველნაირ მუსიკას მოსაწყენისა და უსახურის გარდა.

მსურს უღრმესი მადლობა მოვახსენო შესანიშნავ კომპოზიტორს რევაზ ლაღიძეს, ასე გულწრფელად, ასე სადად და მხურვალედ რომ გამოხატა თავისი სათქმელი...

მუსიკისმცოდნე **ზ. კაფაროვა** (ბაქო):

ამიერკავკასიის მუსიკალურმა ფესტივალმა თავის დამამთავრებელ ფაზას მიაღწია. დადგა ქართული მუსიკის დემონსტრირების მომენტიც, თუმცა უკვე ჩამოსვლისთანავე ვიმყოფებით მის ატმოსფეროში. თბილისის პიონერთა სასახლეში დიდი ინტერესით მოვუსმინეთ მოსწავლეთა ძალებით გამართულ კონცერტებს, აღგვაფრთოვანა გორის მუსიკალური სასწავლებლის გოგონათა გუნდის შესანიშნავმა გალობამ, დაგვიპყრო უნიჭიერესი კომპოზიტორის რ. ლაღიძის ოპერა „ლელას“ მუსიკამ თავისი სიწრფელით, გულითადობით, სითბოთი.

კამერული და სიმფონიური მუსიკის პირველმა კონცერტებმა ცხადყვეს განვითარების ის უაღრესად ინტენსიური პროცესი, თანამედროვე ქართული მუსიკის ჟანრულ, თემატურსა და სტილისტურ მრავალფეროვნებას რომ განაპირობებს. კამერულ კონცერტზე დიდი წარმატებით შესრულდა საგუნდო და ინსტრუმენტული მუსიკის მრავალი საინტერესო ნაწარმოები. მათ შორის წარმოდგენილი იყო აფხაზი კომპოზიტორების საგუნდო მუსიკა, რომელიც მშვენივრად შეასრულა აფხაზეთის კაპელამ სუდაკოვის ხელმძღვანელობით. ამ კოლექტივს ახასიათებს პროფესიონალიზმი, ინტონაციური წყობის სიწმინდე და სიზუსტე, სტილის შეგრძნება. ყოველივე ეს დამსახურებაა დირიჟორ სუდაკოვისა, რომელიც გულრადღებას იპყრობს ტემპერამენტით.

ქართული კამერული მუსიკის კონცერტზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა საკვარტეტო ხელოვნების გამოჩენილი ოსტატის სულხან ცინცაძის მერვე კვარტეტმა, რომელშიც გამოჩნდა ის დიდი შემოქმედებითი ენე-

რგია, ბიძგს რომ აძლევს მის გაბედულ ძიებებსა და აღმოჩენებს. ეს ფსიქოლოგიურად ღრმა ნაწარმოები ვეებერთელა შინაგან დრამატიზმს შეიცავს, მასში გრძელდება სიმფონიური აზროვნების იმ პრინციპთა განვითარება, ს. ცინცაძის შესანიშნავ საკვარტეტო შემოქმედებას რომ ახასიათებს. მერვე კვარტეტის ერთნაწილიანი ფორმა შედგება კონტრასტული მონაკვეთებისაგან, მათ მსჭვალავენ ძირითადი თემის ელემენტები, რომლებიც განიცდიან მრავალნაირ ვარიაციულ ტრანსფორმაციებს, რაც თვალსაჩინოდ მეტყველებს ს. ცინცაძის დიდ გამომგონებლობასა და ოსტატობაზე. მერვე კვარტეტი ჭეშმარიტად თანამედროვე ნაწარმოებია თავისი მკვეთრი რიტმულ-დინამიკური გრადაციებით, ფორმით, შთანაფიქრით, სახეებით...

მაღალმხატვრული ნაწარმოებია ქართული მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენლის სულხან ნასიძის კამერული სიმფონია. მკაცრი და ამაღლებულია ამ სიმფონიის ხატოვანი სამყარო, ორიგინალურია ფორმა, ეროვნულია მისი სახეები. ეს ნაწარმოები მშვენივრად შესრულა საქართველოს ფილარმონიის კამერულმა ორკესტრმა.

მომხიბლა ნ. მამისაშვილის კონცერტინომ საფორტეპიანო კვინტეტისათვის. ამ ჟანრს მეტისმეტად იშვიათად მიმართავენ ხოლმე კომპოზიტორები, მით უფრო აღსანიშნავია ნ. მამისაშვილის ნაწარმოების ღირსებები — მან მიაღწია ალეატორული დრამატურგიისა და ეროვნული ინტონაციის ორგანულ კავშირს. აღსანიშნავია, რომ ნ. მამისაშვილი თანამედროვე სისტემათა გამოყენებით მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს. კონცერტინო გვიპყრობს სიხალისითა და გონებამახვილობით.

ერთგვარი უკმარისობის გრძნობა დამრჩა ქართველი კომპოზიტორების საგუნდო მუსიკის ნაწარმოებთაგან. პროგრამა მეტისმეტად იყო გადატვირთული ერთგვაროვანი ხასიათის მუსიკით. ამათგან გამოირჩეოდა ი. კეჭაყმაძის გუნდები ციკლიდან „ფშაური იდილიები", მან ყურადღება მიიპყრო საგუნდო ინსტრუმენტობის ორიგინალობით, ნატიფი ეროვნული სტილით. ი. კეჭაყმაძის ხატოვანი გუნდები წარმატებით შეასრულა საქართველოს საგუნდო საზოგადოების კამერულმა გუნდმა ქორმეისტერ ლ. ლომიაშვილის ხელმძღვანელობით.

ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტიდან უპირველესად აღვნიშნავ ალექსი მაჭავარიანის მეორე სიმფონიას. იგი შესანიშნავად შესრულდა მაღალნიჭიერი მუსიკოსის ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით. ა. მაჭავარიანმა გამოამჟღავნა თანამედროვეობის მახვილი შეგრძნება. მან თავისებურად გადაწყვიტა დრამატურგიული კონცეფცია. სიმფონიის ორი ნაწილი მთლიანია და მოიცავს სახეებისა და განწყობილებების ფართო წრეს. სიმფონიის დრამატურგიული განვითარების სტიმულიატორს წარმოადგენს კონტრასტული ეპიზოდების ცვლა. ნაწარმოები გამსჭვალულია დინამიკური ძაბვით, კოლორისტული ეფექტებით, რიტმული საწყისის ნაირგვაროვნებით. ყველაფერ ამასთან შენაცვლებულია საფორტეპიანო პარტიაში ჩაქსოვილი ხალხური მუსიკის მინამღერები. სიმფონიის ლეიტმოტივები საინტერესო რიტმულსა და პოლიფონიურ ვარირებას განიცდიან.

ხალისიანად, მჩქეფარედ აჟღერდა ვაჟა აზარაშვილის კონცერტი ალტისა და ორკესტრისათვის. კომპოზიტორი რაციონალურად და ზუსტად ირჩევს გამომსახველობით საშუალებებს, პოეტურად შთაგონებულია ამ კონცერტის მუსიკალური სახეები, რომლებიც ზემოქმედებენ მსმენელზე თავისი ემოციური უშუალობით.

დიდი შთაბეჭდილება დატოვა მაღალნიჭიერი კომპოზიტორის, ცნობილი ქართველი სიმფონისტის გია ყანჩელის მეოთხე სიმფონიამ. მის წინამორბედ სიმფონიებს კარგად იცნობს ჩვენი მუსიკალური საზოგადოება. ამჯერად, გ. ყანჩელის ახალმა ოპუსმა დიდი სიამოვნება მოჰგვარა მსმენელს თავისი სულიერი ძლიერებით, ტემბრული ეფექტებით, ვეებერთელა დინამიკური აღმაფრენებით. სიმფონია დამუხტულია ენერგიით, დიდ ზემო-

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრი.



ქმედებას ახდენენ განმუხტვის წუთები, ენერგიის მოულოდნელი აფეთქებანი. მღელვარეა გ. ყანჩელის მუსიკალური მეტყველება. ასე გგონია, რომ ისმენ ადამიანთა ხმებს, ხალხის ღაღადისსაც. ეს მშვენიერი ნაწარმოები ღირსეულად იქნა წარმოდგენილი და გააზრებული შესანიშნავი დირიჟორის ჯ. კახიძის მიერ...

მუსიკისმცოდნე **ი. სავა** (რუმინეთი):

ფესტივალმა ცხადჰყო, რომ ამიერკავკასიის მუსიკალური სკოლები დგანან თანამედროვეობის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე. ამას მოწმობს აქ წარმოდგენილი მუსიკის ხარისხი, საშემსრულებლო ხელოვნების მაღალი დონე, თვით ფესტივალის ორგანიზაციისა და ჩატარების კულტურა.

პირადად ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ე. მირზოიანის სავიოლონჩელო სონატამ, ა. ტერტერიანის მეორე სიმფონიამ და გია ყანჩელის მეოთხე სიმფონიამ. გ. ყანჩელის ნაწარმოები მთლიანად გიპყრობს თავისი დრამატიზმით, მძაფრი შინაგანი პულსაციით, ორიგინალური ფორმით, დახვეწილი და მახვილი საორკესტრო სმენით...

ამიერკავკასიის კომპოზიტორთა შემოქმედება იმითაა სამაგალითო, რომ მასში ჰუმანიზმის უდიდესი ტრადიციები ჰარმონიულად ერწყმიან თანამედროვე მუსიკალური აზროვნების მაღალ პრინციპებს...

კომპოზიტორი **ტ. ყულიევი** (აზერბაიჯანის სსრ კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი):

ფესტივალის სახელზე მოვიდა აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტის ა. ბადალბეილის წერილი კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძისადმი. მისი ნებართვით გაგაცნობთ ამ წერილის შინაარსს: „ძვირფასო ანდრია მელიტონის ძევ! ავადმყოფობის გამო ვერ ვესწრები ამიერკავკასიის მუსიკალურ ფესტივალს. მაგრამ თქვენი სიმფონია აქ, ბაქოში, მოვისმინე ტელევიზიით. მშურდა იმათი, ვინც იმყოფებოდა დარბაზში და მას უშუალოდ უსმენდა, თუმცა სატელევიზიო გადაცემაც ხარისხიანი იყო. მე ყოველთვის აღმაფრთოვანებდა თქვენი მუსიკალური სიბრძნის სიდიადე, მასშტაბურობა, მხატვრული მსოფლაღქმის სიღრმე და მთლიანობა. თქვენ ნამდვილი მებრძოლი, ნოვატორი ბრძანდებით, მთელი შემართებით ემსახურებით სოციალისტური რეალიზმის მაღალ იდეალებს. ამ დიდებული სიმფონიით თქვენ უძვირფასესი წვლილი შეიტანეთ მთელი საბჭოთა მუსიკის საგანძურში. ჩემთვის, როგორც დირიჟორისათვის, ნამდვილი აღმოჩენა იყო თქვენი სადირიჟორო ოსტატობა, ის საოცრად ემოციური მანერა, ესოდენ დიდ ზემოქმედებას რომ ახდენს მსმენელზე. თქვენ, როგორც ჭეშმარიტი მუსიკოსი, სულ არ ფიქრობდით დირიჟორობის გარეგნულ, მოჩვენებით მხარეებზე, მთელი თქვენი ყურადღება მთლიანად იყო მიმართული ორკესტრისაკენ, რომელთანაც დაამყარეთ ნამდვილი შემოქმედებითი კონტაქტი. ამიტომ უკრავდნენ ორკესტრის მუსიკოსები ასეთი შთა-

# ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 ᲛᲐᲘᲡᲡ ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა წარმოადგინა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, კომპოზიტორ რ. ᲚᲐᲚᲘᲫᲘᲡ ოპერა „ლელა“.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ სსრკ სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები მ. ამირანაშვილი და თ. მუშკუდიანი, მომღერალი ჯ. მდივანი და სხვები. სპექტაკლს დირიჟორობდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. აზმაიფარაშვილი.

29 ᲛᲐᲘᲡᲡ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქართული კამერული და საგუნდო მუსიკის კონცერტი, რომელზედაც შესრულდა:

ს. ᲜᲐᲡᲘᲫᲘᲡ კამერული სიმფონია № 3.

ა. ᲨᲐᲕᲔᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ სონატა-ფანტაზია ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის,

ს. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲘᲡ სიმებიანი კვარტეტი № 8,

ნ. ᲛᲐᲛᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ კონცერტინო საფორტეპიანო კვინტეტისათვის,

ო. ᲒᲝᲠᲓᲔᲚᲘᲡ ბალადა „პატარა მეომარზე“ (გ. ლეონიძის სიტყვებზე),

შ. ᲛᲘᲚᲝᲠᲐᲕᲐᲡ „სამშობლო“ (გ. ლეონიძის სიტყვებზე), „შენი თვალები“ (ნ. ბარათაშვილის სიტყვებზე),

ა. ᲩᲘᲛᲐᲙᲐᲫᲘᲡ „ბორჯომის საღამო“ (ლ. დანელიას სიტყვებზე),

ლ. ᲨᲐᲕᲔᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ვინც დამიძახებს“ (მ. ფოცხიშვილის სიტყვებზე),

ი. ᲑᲝᲑᲝᲮᲘᲫᲘᲡ სამი გუნდი ციკლიდან „იშრიალე, იგუგუნე“ (ა. კალანდაძის სიტყვებზე),

ი. ᲙᲔᲭᲐᲙᲛᲐᲫᲘᲡ ორი გუნდი ციკლიდან „ფშაური იდილიები“ (ა. კალანდაძის სიტყვებზე).

კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრი ე. სანაძის ხელმძღვანელობით, საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტების კ. ვარდელის, თ. ბათიაშვილის, ნ. ჟვანიასა და ო. ჩუბინიშვილის შემადგენლობით, საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული გუნდი ი. დადიანის ხელმძღვანელობით, ქორმეისტერი ლ. ლომიაშვილი, კონცერტმეისტერი ტ. სიმვულიდი.

სოლისტები — საქართველოს სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსებისა და ზ. ფალიაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა





კომპოზიტორი კ. კუჟამიაროვი (ყაზახეთი).

კომპოზიტორი ვ. ბარკაუსკასი (ლიტვა).

გონებით. ორკესტრს ერთბაშად გადაედო თქვენი მგზნებარე შემოქმედებითი ენთუზიაზმი. უღრმესი მადლობა ესოდენ დიდი სიხარულისათვის“.

კომპოზიტორი **ა. შავერზაშვილი** (თბილისი):

აღსანიშნავი და მისასალმებელია, რომ ესოდენ ფართო ფორუმზე წარმოდგენილ იქნა აფხაზეთის პროფესიული მუსიკა, რაც პირველი შემთხვევაა აფხაზი კომპოზიტორების შემოქმედებით პრაქტიკაში. აფხაზეთის მუსიკალური კულტურა ახალგაზრდაა, მას მხოლოდ ახლა ეყრება საძირკველი, ეს გასათვალისწინებელი ფაქტია.

დღეს აფხაზეთში აქტიურად მოღვაწეობს სიმფონიური ორკესტრი, რომელიც სისტემატურად მართავს კონცერტებს და თანდათან სრულყოფს თავის ხელოვნებას. დღითიდღე ფართოვდება მისი რეპერტუარი, რომელიც შეიცავს როგორც კლასიკური, ისე საბჭოთა მუსიკის ნაწარმოებებს. მთავარი კი ისაა, რომ ეს კოლექტივი ხელს უწყობს აფხაზი კომპოზიტორების ცდებს, ბიძგს აძლევს მათ ძიებებს.

ამიერკავკასიის მუსიკალურ ფესტივალზე წარმატებით გამოვიდა აფხაზეთის საგუნდო კაპელა, რომელმაც თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა. დღეს იგი მრავალ ნაწარმოებს ასრულებს და გასტროლებსაც მართავს. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ სოხუმის მუსიკალური თეატრის დაარსებაზეც — აღნიშნული საშემსრულებლო კოლექტივებისა და მუსიკალური სასწავლებლის ბაზაზე. ეს აუცილებელია, რადგან სოხუმი საკავშირო მნიშვნელობის კურორტია. აქ მთელი წლის მანძილზე ჩამოდიან მრავალრიცხოვანი დამსვენებლები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, საზღვარგარეთიდანაც.

აფხაზეთში წარმატებით მოღვაწეობენ კომპოზიტორები — ჩიჩბა, გუმბა, აჯაპუა, ჩენგელია, ბერიკაშვილი, მუსიკისმცოდნეებიც, რომელთა შორისაა ს. კეცბა — აფხაზეთის კომპოზიტორთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ეჭვგარეშეა, რომ აფხაზეთის კომპოზიტორები მშობლიური მუსიკალური ფოლკლორის საფუძველზე შექმნიან ჭეშმარიტად მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, გააფართოებენ ეროვნული მუსიკის ჟანრულ ფარგლებს, აიმაღლებენ პროფესიონალიზმს და თავის წვლილს შეიტანენ მრავალეროვანი საბჭოთა მუსიკის განვითარებაში.

მიმდინარე ფესტივალზე მრავალ საინტერესო ნაწარმოებს მოვუსმინეთ, გავეცანით ახალ ავტორებსაც. მე, როგორც ქართველ კომპოზიტორს, ძალიან მახარებს ის დიდი გამოძახილი, რ. ლაღიძის ოპერა „ლელამ“ რომ გამოიწვია. იგი ერთნაირად მოიწონეს სხვადასხვა კატეგორიის მსმენელებმა, სხვადასხვა რანგის პროფესიონალებმა. როგორც ჩანს, იმდენად ძლიერია ამ ოპერის ემოციური ზემოქმედება, რომ იგი ერთნაირად აღელვებს ყველას.

დაბოლოს, გამოვთქვამ სურვილს, რომ მომდევნო ფესტივალებზე წარმოდგენილ იქნას ამიერკავკასიის კომპოზიტორთა საოპერო და საბალეტო ნაწარმოებები. ცხადია, მეტისმეტად რთულია ამის ორგანიზება. მაგრამ სავსებით შესაძლებელია მათი ჩვენება საკონცერტო შესრულებით ნაწყვეტების ან მონტაჟის სახით. ეს შექმნის მოძმე რესპუბლიკების თანამედროვე მუსიკალური კულტურების მთლიან სურათს...

მუსიკისმცოდნე **დ. ზენგინოვი** (ბულგარეთი):

კულუარებში დიდი კამათი მიმდინარეობს ფესტივალზე წარმოდგენილ მთელ რიგ ნაწარმოებთა ირგვლივ. ეს კარგი სიმპტომია. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ინგლისური ანდაზა — „მრავალფეროვნება ცხოვრების შესაკაზმიაო“...

მართლაც, მრავალფეროვნებით გამოირჩევა ფესტივალის ყოველი კონცერტი. ასეთი იყო ქართული კამერული და სიმფონიური მუსიკის საღამოებიც. ს. ნასიძის კამერულ სიმფონიაში ორიგინალურადაა გამოყენებული ფშაური ხალხური მუსიკის ელემენტები. ეს ნაწარმოები მხიბლავს თავისი სიწმინდითა და განწყობილებათა სიუხვით. ნ. მამისაშვილის საფორტეპიანო კვინტეტში კი დამაინტერესა ხალხური და პროფესიული მუსიკის იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკისმცოდნე ა. კლოტინი (ლატვია).



*კომპოზიტორი ლ. სუმერა* (ესტონეთი).



პროვიზაციული საწყისების სინთეზმა. მიძნელდება იმ დიდი შთაბეჭდილების გამოთქმა, საკვარტეტო ხელოვნების დიდოსტატის ს. ცინცაძის მერვე კვარტეტმა რომ მოახდინა. ამ შესანიშნავ კომპოზიტორს დიდ პატივს სცემენ ჩვენთანაც — ბულგარეთში.

შეუნელებელი ინტერესით მოვუსმინე ქართული მუსიკის ოთხ სიმფონიურ ნაწარმოებს. ძალიან მომეწონა ა. მაჭავარიანის II სიმფონია, ავტორი მშვენივრად, თანაც ორიგინალურად იყენებს საორკესტრო ფაქტურას, იგრძნობა მისივე სცენური მუსიკის ზეგავლენა, რაც სიმფონიას სახიერებას ანიჭებს.

ბ. კვერნაძის ქორეოგრაფიული პოემა „ბერიკაობა" ასოციაციებს აღძრავს სტრავინსკის შემოქმედებასთან, რომლის სტილისტური ელემენტები ავტორს გადმოუქართულებია.

ვ. აზარაშვილმა შექმნა კონცერტი ისეთი არა ეფექტური ინსტრუმენტისათვის, როგორიცაა ალტი. ეს სარისკო ამოცანა მან წარმატებით გადაწყვიტა. აჟურულია ამ კონცერტის მუსიკალური ქსოვილი, მასში ხატოვნადაა ჩაქსოვილი თანამედროვე ქართული საესტრადო მუსიკის ელემენტებიც. ეს კონცერტი ძალიან მოიწონეს ჩემმა კოლეგებმაც, რომელთა შორის ალტისტებიც არიან. ვიმედოვნებ, რომ ვ. აზარაშვილის ნაწარმოები მალე შესრულდება ბულგარეთშიაც.

საგანგებოდ მინდა გამოვყო გ. ყანჩელის IV სიმფონია. მანცვიფრებს, როგორ შესძლო კომპოზიტორმა 21 წუთის მანძილზე ასეთი ნელი ტემპის შენარჩუნება და ასეთი დიდი ძაბვის მიღწევაც. ესაა შთაგონებით დაწერილი მუსიკა, მასში არაფერია ფორმალური. როცა მას უსმენ, ისეთი შთაბეჭდილება გეუფლება, თითქოს მიცურავ და მიაპობ მუსიკის უნაპირო სივრცეებს.

გ. ყანჩელი თანმიმდევრულად ანვითარებს თავის წინამორბედ სიმფონიებში ჩასახულ გზას. თავისი ახალი სიმფონია მან აღორძინების ეპოქის გენიალურ ოსტატს მიქელანჯელოს უძღვნა. ამიტომაა იგი დაწერილი ესოდენ ფართო ეპიკურ სტილში.

ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტმა დაგვანახა, რომ საქართველოში მოღვაწეობენ არა მარტო ჩინებული პროფესიონალები, რომლებიც კარგად ფლობენ თავის ხელობას, არამედ დიდი მასშტაბის მხატვრები, რომლებიც ქმნიან ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშებს. ქართველ კომპოზიტორებს ჯ. კახიძის სახით ჰყავთ შესანიშნავი ინტერპრეტატორი. ვისურვებდი, რომ იგი ჩვენთანაც მართავდეს ხოლმე კონცერტებს.

დაბოლოს, სინანულით აღვნიშნავ ერთ მომენტს: ძალიან მაკვირვებს, რომ საქართველოში მრავალხმიანი სიმღერის ამ შესანიშნავ კერაში, პროფესიული საგუნდო მუსიკა ჩამოუვარდა კამერულსა და სიმფონიურს, როგორც შემოქმედებითი, ისე საშემსრულებლო ხელოვნების თვალსაზრისით.

მუსიკისმცოდნე **გ. ორჯონიკიძე** (საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი):

ამჯერად არ გავამახვილებ ყურადღებას ფესტივალზე წარმოდგენილ კონკრეტულ ნაწარმოებებზე, ვილაპარაკებ იმ საერთო პრობლემებზე, რომლებმაც მკვეთრად იჩინეს თავი ამიერკავკასიის მუსიკალური კულტურის ათწლიანი განვითარების შუქზე, მისი ესოდენ მრავალფეროვანი პანორამის ფონზე.

მუსიკის მიმართ დასაშვებია სხვადასხვაგვარი მიდგომა: ვიწრო — წმინდა პროფესიული, ტექნოლოგიური. იგი შეიძლება შემოფარგლული იყოს მხოლოდ ერთი ეროვნული კულტურის საზღვრებითაც, როცა ესა თუ ის მხატვრული მოვლენა განიხილება ლოკალურ კონტექსტში.

მაგრამ არსებობს უფრო ფართო მიდგომაც, რომელსაც განაპირობებს საბჭოთა ხელოვნების ესთეტიკა, მისი მსოფლმხედველობა, იდეური პოზიციები. ჩვენ სწორედ ასეთი ფართო მიდგომით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ვინაიდან ამიერკავკასიის თანამედროვე მუსიკალური ხელოვნება ეგზომ განვითარებული ტრადიციებით, დონით, მასშტაბით სცილდება ეროვნული კულტურების საზღვრებს. დღეს იგი მთელი საბჭოთა მუსიკის დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

ტრადიციებთან დამოკიდებულების პრობლემა უაღ-





რესად აქტუალურია. მოგეხსენებათ, ტრადიციებიც მრავალნაირი არსებობს — ხალხური, კლასიკური [illegible]მანტიკული მუსიკისა, რუსული რეალისტური სკოლისა და თანამედროვე მუსიკალური ხელოვნებისა... ბუნებრივია, რომ კომპოზიტორი თავის შემოქმედებაში ამა თუ იმ ტრადიციას მიმართავს. მაგრამ საკითხავია — რამდენად აქტიურად, რა ნიშნით ითვისებს იგი ამ მონაპოვრებს. როგორია მისი ორიენტაცია ტრადიციათა მიმართ.

ზოგჯერ ტრადიციების გამოყენება ნაკარნახევია საკუთარი ერუდიციის გამჟღავნების სურვილით ან მოდური ტენდენციის შეთვისების ცდუნებით. საპირისპირო შემთხვევაში კი ტრადიციებთან დამოკიდებულება განპირობებულია შინაგანი მოთხოვნილებით, ახალი ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობით. ცხადია, რომ ესოდენ განსხვავებული დამოკიდებულება სრულიად სხვადასხვაგვარ ეფექტს იძლევა.

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტრადიციების პასიურ გამოყენებასთან, მათ რეპროდუქცირებასთან, რაც არ იძლევა არავითარ შედეგს. ამ დროს ტრადიციები არ განიცდიან განახლებასა და განვითარებას. ცხადია, ასეთ ნაწარმოებებს არავითარი მხატვრული ღირებულება არა აქვთ.

ტრადიციებთან აქტიური დამოკიდებულების შემთხვევაში კი ვრწმუნდებით, რომ თანამედროვე მუსიკისათვის, ამ შემთხვევაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალური კულტურებისათვის, არ არსებობს უცხო ტრადიციები. სწორედ ამ თვალსაზრისით ძალზე მაღელვებს ჩვენი ახალგაზრდობის ბედი. დღეს, ახალგაზრდა კომპოზიტორები ტექნიკურად კარგად არიან გაწვრთნილნი, შეიარაღებული არიან ნაირგვაროვანი ტექნოლოგიური საშუალებებით, ამჟღავნებენ ინტერესს სხვადასხვა ჟანრის მიმართ, იცნობენ მთელ რიგ თანამედროვე მიმდინარეობებსა და სისტემებს. და მაინც მგონია, რომ ჩვენ ახალგაზრდა კომპოზიტორებს არ ვუთმობთ საკმარის დროსა და ყურადღებას იმისათვის, რომ მათგან აღვზარდოთ ჭეშმარიტი მხატვრები.

ამ საკითხს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა უკავშირდება: ესაა ახალგაზრდა კომპოზიტორებში



საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შ. მშველიძე და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დირიჟორი ლ. კილაძე.

ესტონეთის სსრ სახალხო არტისტი, დირიჟორი ნ. იარვი.

სომხეთის სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ლ. სარიანი და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ს. ცინცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნების საზოგადოებრივი ფუნქციისა და აუდიტორიის შეგრძნების აღზრდა. ამ პრობლემების სტიქიურად გადაჭრა შეუძლებელია. ცნობილია, რომ ყოველგვარი ხელოვნება რაღაცისკენაა მიმართული. ამას მოწმობენ ისეთი კომპოზიტორებიც, რომელთა შემოქმედება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით განიზომება. თავის დროზე მათი ხელოვნებაც გარკვეული საზოგადოებრივი ფუნქციის გათვალისწინებით იქმნებოდა. იქმნებოდა საზოგადოებისათვის, იმ ადამიანთათვის, ვისაც აღელვებდა მათი მუსიკა. და ეს ხდებოდა მიუხედავად იმ დიადი შინაარსისა, რომელიც ანგრევს ეპოქებს, ანგრევს საზოგადოებრივი ცხოვრების საზღვრებს და ცოცხლობს ყოველ დროში, როგორც კაცობრიობის უდიდესი და მარადიული მონაპოვარი. ერთი სიტყვით, ახალგაზრდებში საჭიროა აუდიტორიის შეგრძნების აღზრდა. ამის გარეშე ვერ იარსებებს ნამდვილი ხელოვნება.

ჩვენს ახალგაზრდობას არც ყოფითი ჟანრების შეგრძნების უნარი გააჩნია. ის არ ამჟღავნებს საზოგადოებრივი ურთიერთობების მოთხოვნილებას. შესაძლოა, მათი მუსიკა მსმენელთა მეტისმეტად ვიწრო წრისათვის იქმნება, ან იქნებ სულაც არავისთვის? მე კი მგონია, რომ ახალგაზრდებს უბრალოდ ამოძრავებთ მათთვის ახლობელი ჩანაფიქრის გამოხატვის სურვილი. არ კი ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სხვებისთვის ის, რაც მათ აღელვებთ.

ყოველივე ამასთან მჭიდრო კავშირშია ცოცხალი, ქმედითი, ადამიანური ინტონაციის აღზრდის საკითხიც. ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ მაღალმხატვრულ ნაწარმოებს, ეს ამოცანა რომ არ ყოფილიყოს გადაჭრილი. ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ისეთ ნაწარმოებს, რომლის ინტონაციური მხარე მოწესრიგებულია და იგი მაინც ვერ ახდენს შთაბეჭდილებას. ყველაფერი სხვა სწორედ ინტონაციურ სფეროს უნდა ესადაგებოდეს, ემსახურებოდეს, რადგან უპირველესად მუსიკის ინტონაციური შინაარსი განსაზღვრავს ნაწარმოების ღირსებას.

ასევე მწვავედ დგას ეროვნულისა და ინტერნაციონალურის თანაფარდობის საკითხიც. ჩვენ ხშირად ვმსჯელობთ ხოლმე ამ კატეგორიებზე, რომელთა შესახებ ვეებერთელა ლიტერატურაც არსებობს. მაგრამ, ზოგჯერ, ამ ორ მცნებას სრულიად უსაფუძვლოდ და გაუმართლებლად ვუპირისპირებთ ხოლმე ერთმანეთს. ზოგს ჰგონია, რომ ეროვნული ნაწარმოები ვერ მოიპოვებს ინტერნაციონალურ ჟღერადობას, ამიტომაც, ამ მოსაზრების ავტორები ცდილობენ ეროვნულობის ნეიტრალიზაციას.

სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს დიდი საბჭოთა მუსიკა, რომელიც გამსჭვალულია ერთიანი მიმართულებით, მაღალი მიზნებით, ღრმა შინაარსით... სწორედ იგი მოითხოვს მუსიკის ყველა შემადგენელი ნაწილის მკვეთრ ეროვნულ თვითმყოფადობას. ჩვენც უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ახალგაზრდობას განუვითარდეს ეროვნული სპეციფიკის შეგრძნების უნარი. როცა ეს დიდი ამოცანა მხატვრული ტაქტით, ცოდნით, გემოვნებით გადაიჭრება, მაშინ ბუნებრივად გადაწყდება ინტერნაციონალურობის საკითხიც.

სწორედ ამ კრიტერიუმებიდან უნდა განვიხილოთ

# ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის დღიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელობის პრემიის ლაურეატი მ. იაშვილი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი ნ. ხუბუტია. კონცერტმეისტერი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. დიმიტრიადი.

ამავე კონცერტზე წარმოდგენილი იყო აფხაზეთის ასსრ კომპოზიტორთა ნაწარმოებები:

ტ. აჯაპუას „შენ გიმღერი აფხაზეთო",

ა. ჩიჩბას „უარადა",

მ. ბერიკაშვილის „მაძა-მაძა",

რ. გუმბას „ქუაჩალა",

კ. ჩენბელიას „ნანიკერა",

ა. ჩიჩბას „შრომის სიმღერა".

კონცერტში მონაწილეობდა აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა ვ. სუდაკოვის ხელმძღვანელობით. სოლისტები: ა. ბებია, ი. აბახუა, ე. ჯიკირბა, ტ. აჯაპუა.

29 მაისს საქართველოს სახელმწიფო დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, რომელზედაც შესრულდა:

ა. მაჭავარიანის სიმფონია № 2,

ვ. აზარაშვილის კონცერტი ალტისა და ორკესტრისათვის,

ბ. კვერნაძის ქორეოგრაფიული პოემა „ბერიკაობა",

გ. ყანჩელის სიმფონია № 4.

კონცერტში მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ჯ. კახიძის დირიჟორობით. სოლისტი — ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი ა. ხარაძე.

31 მაისს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, რომელზედაც შესრულდა:

თ. ბაკურაძის სიმებიანი კვარტეტი „ფშაური ნატირილები",

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის სახალხო არტისტი
ზ. ანჯაფარიძე.

ფესტივალზე წარმოდგენილი ნაწარმოებები. მაშინ ყველაფერი დალაგდება, მათ შუქზე კიდევ უფრო მკვეთრად გამოვლინდება ეროვნულად ნეიტრალური, მშობლიური ნიადაგისაგან მოწყვეტილი, ანემიური ნაწარმოებების უსაფუძვლობა.

კომპოზიტორი **ი. სოლოდუხო** (მოსკოვი):

არ შემიძლია არ გამოვთქვა ჩემი და ჩემი კოლეგების აღფრთოვანება რ. ლაღიძის ოპერა „ლელას“ მისამართით. კომპოზიტორმა ამჯერადაც დიდი სიამოვნება მოგვანიჭა მისთვის ესოდენ დამახასიათებელი გულუხვი მელოდიზმით, მოგვცა იმ ნამდვილი კანტილენის ნიმუშები, რომელსაც აგრე რიგად დანატრებულია საოპერო თეატრის მსმენელი. ოპერა „ლელა“ შესანიშნავად წარმოადგინეს მომღერლებმა, ორკესტრმა, გუნდმა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ქართული კამერული და სიმფონიური მუსიკის პირველმა კონცერტებმა, აქ წარმოდგენილმა ყველა ნაწარმოებმა. მათ შორის გამოვყოფდი სულხან ნასიძის კამერულ სიმფონიასა და ს. ცინცაძის მერვე კვარტეტს. ეს ორი კომპოზიტორი სრულიად განსხვავებული ხელწერისა და მსოფლაღქმის ხელოვანია. მაგრამ მათ აკავშირებთ ეროვნულობის ნატიფი და თავისებური შეგრძნება, რომლითაც გამსჭვალულია თანამედროვე მუსიკის ის გამომსახველობითი საშუალებები, ასე ბუნებრივად რომ ექსოვებიან ამ ნაწარმოებთა მუსიკალურ ფაქტურას. ამ ორ კომპოზიტორს ახასიათებს აგრეთვე მაღალი ოსტატობა, ფორმის შეგრძნება, ლაკონიზმი და ლოგიკურობა.

სამწუხაროა ოღონდ, რომ კამერული მუსიკის კონცერტზე თითქმის არ იყო წარმოდგენილი სოლო ვოკალური ნაწარმოებები. საერთოდაც, მთელ ფესტივალზე რატომღაც არ შესრულებულა ვოკალური მუსიკის ისეთი მნიშვნელოვანი ჟანრი, როგორიცაა რომანსი. გამონაკლისია მხოლოდ ახალგაზრდა კომპოზიტორის გ. ჩლაიძის ვოკალური ციკლი.

ქართული კამერული მუსიკის ყოველი ნაწარმოები მაღალ დონეზე შესრულდა, შესანიშნავი კოლექტივია საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი, რომელმაც ბრწყინვალედ დაუკრა ს. ცინცაძის კვარტეტი. იგივეს გავიმეორებ საქართველოს ფილარმონიის კამერულ ორკესტრზედაც. მრავალფეროვანი იყო ქართული სიმფონიური მუსიკის პირველი კონცერტიც. კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს მისი მეორე სიმფონია. ავტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი.

რი აქ ახლებურად წარმოგვიდგა. მშვენიერია სიმფონიის საწყისი სახე, რომლის საფუძველზედაც გაიშალა ესოდენ ფართო სიმფონიური ტილო. მსმენელის ყურადღებას იპყრობს სიმფონიის თეატრალური სახიერება.

გ. ყანჩელის მეოთხე სიმფონიაზე უკვე ბევრი რამ ითქვა. ძალზე თავისებურია ამ ნაწარმოების სახეობრივი სამყარო, მისი მუსიკალური ენა. ავტორი ძუნწი, მეტად მკაცრი საშუალებებით აღწევს დიდ ემოციურ ზემოქმედებას. მართლაც, კომპოზიტორი ესოდენ ლაკონიური სიმფონიის პირველი ბგერიდანვე იპყრობს მსმენელს, რომელიც თავიდანვე იმსჭვალება მისი მუსიკის დაძაბულობით. ამაზე ნათლად მეტყველებდა აუდიტორიაში დასადგურებული განწყობილება. მხოლოდ ერთს ვუსურვებდი გ. ყანჩელს — მომავალ სიმფონიაში მან ასეთივე მაღალი ოსტატობით, შემოქმედებითი მგზნებარებით ილაპარაკოს ჩვენს სინამდვილეზე, ყველაფერ იმაზე, რაც ახასიათებს ჩვენს მრავალფეროვან გარემოს...

მუსიკისმცოდნე **კ. საკვა** (მოსკოვი):

საინტერესოდ მიმდინარეობს ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მაქვს რამდენიმე კრიტიკული მოსაზრება: საკონცერტო პროგრამები მეტისმეტადაა გადატვირთული მუსიკით, რის გამოც ფიზიკურად შეუძლებელია ყველა ნაწარმოებთა აღქმა. აქ წარმოდგენილია ბევრი შემთხვევითი ნაწარმოებიც, რომელთა ესთეტიკური ღირებულება საეჭვოა. ესოდენ მაღალი ტრიბუნისათვის რეპერტუარი უფრო მკაცრად და უკომპრომისოდ უნდა ყოფილიყო შერჩეული. მთავარი კი ისაა, ფესტივალზე, რომელიც დიდი სამამულო ომის 30 წლისთავს ეძღვნება, უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ამ თემისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები, საბჭოთა პატრიოტიზმით შთაგონებული ქმნილებები.

ფესტივალის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალა. ამ დღეებში ჩვენ მოვისმინეთ მაღალი ესთეტიკური ღირებულების ნაწარმოებები — ა. ტერტერიანის მეორე სიმფონია, ე. ოგანესიანის კანტატა „ერებუნი“, რ. ლაღიძის ოპერა „ლელა“, გ. ყანჩელის მეოთხე სიმფონია. ეს ნაწარმოები ერთხმად იქნა აღიარებული.

შევჩერდები ქართული მუსიკის სამ ნაწარმოებზე: შესაძლოა ვიკამათოთ ა. მაჭავარიანის მეორე სიმფონიის თემატიზმზე — იგი იქნებ მეტისმეტად ლაკონიურია, შეიძლება ვიკამათოთ მის ფორმაზეც — შესაძლოა იგი მართლაც არ არის დაზღვეული გრძლიობებისაგან, მაგრამ, უდავოა, — ესაა მაღალმხატვრული მუსიკა, იგი დაწერილია დიდი ოსტატობით, ორკესტრის ჩინებული ცოდნით. ავტორი მკვეთრად და ტემპერამენტულად გადმოსცემს თანამედროვეობის დრამატულ სახეებს. იგი პროგრამულ ნაწარმოებად მესახება. ა. მაჭავარიანის სიმფონია შესანიშნავად შეასრულა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა ჯ. კახიძის დირიჟორობით.

პოეტურად ნატიფი, მღელვარე და შთაგონებული ნაწარმოებია ს. ნასიძის კამერული სიმფონია, რომელიც მაღალ დონეზე წარმოადგინა საქართველოს ფილარმონიის კამერულმა ორკესტრმა.

შესაძლოა, ვ. აზარაშვილის საალტო კონცერტი არ გამოირჩეოდეს ეფექტურობით, მაგრამ იგი გამოირჩევა ღრმა შინაარსით. მკვეთრია მისი რეჩიტატიული

# ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის დღიური

**გ. ჩლაიძის** ვოკალური ციკლი „სიყვარულის საგალობელი“,

**ნ. გაბუნიას** სონატა ფორტეპიანოსათვის № 2,

**ნ. სვანიძის** კამერული ორატორია „ფიროსმანი“ (ვ. ანტაკოლსკის, ბ. პასტერნაკისა და ტ. ტაბიძის სიტყვებზე).

კონცერტში მონაწილეობდნენ: საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტების კ. ვარდელის, თ. ბათიაშვილის, ნ. ჟვანიასა და ო. ჩუბინიშვილის შემადგენლობით, ხალხური მუსიკის ექსპერიმენტული ანსამბლი დ. პოკროვსკის ხელმძღვანელობით. სოლისტები — ნ. ხუბუტია, თ. ჩაჩავა, მ. ეგაძე, კონცერტმეისტერი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვ. ჩაჩავა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. საღარაძე.

**31 მაისს** საქართველოს სახელმწიფო დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, რომელზედაც შესრულდა:

**შ. მშველიძის** სიმფონია № 4,

**დ. თორაძის** სიმფონია № 2 „ქებათა ქება ნიკორწმინდას“,

**ო. თაქთაქიშვილის** ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“.

კონცერტში მონაწილეობდნენ: საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს სახელმწიფო კაპელა გ. მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „გორდელა“ თ. ქევხიშვილის ხელმძღვანელობით.

დირიჟორები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. კილაძე, ესტონეთის სსრ სახალხო არტისტი ნ. იარვი.

სოლისტები სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თ. ქევხიშვილი.

წყობის თემატიზმი, რომელიც გამსჭვალულია ხალხური მუსიკის სასიმღერო საწყისებით. ავტორს ფოლკლორული წყაროები საფუძვლიანად გადაუმუშავებია. ს. ნასიძისა და ვ. აზარაშვილის ნაწარმოებები გვიზიდავენ ეროვნული კოლორიტითა და თანამედროვეობის სუნთქვითაც...

მუსიკისმცოდნე **ს. კატონოვა** (ლენინგრადი):

კარგად მახსოვს წინამორბედი ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი, რომელიც ჩატარდა თბილისში 1965 წელს. ამდენად შესაძლებლობა მაქვს ერთმანეთს შევადარო მუსიკის ეს ორი დიდი ფორუმი და მათ ფონზე განვსაზღვრო ის დიდი ძვრები, ის ინტენსიური შემოქმედებითი პროცესები, ამ ათწლიან შუალედში რომ განვითარდნენ და აგრე რიგად წასწიეს წინ ამიერკავკასიის მუსიკალური კულტურა. სწორედ ამ პერიოდში აღიზარდა ის აქტიური შემოქმედებითი ახალგაზრდობა, დღეს რომ ასეთი დაჟინებით ცდილობს თვითდამკვიდრებას. ახალბედა ავტორებისათვის აუცილებელია ასეთ ფართო აუდიტორიასთან შეხვედრა. ამ ვითარებაში მოწმდება მათი ძიებები, აქ ხდება მათი ნაწარმოებების აპრობაცია. მთავარი კი ისაა, რომ ეს სერიოზული და მაღალპროფესიული ატმოსფერო თითოეულ მათგანს დაეხმარება უტყუარი გზის მიკვლევაში. ამიტომაც არ ვიზიარებ იმ პოზიციას, რომელიც მთელი კატეგორიულობით ითხოვს საფესტივალო რეპერტუარის მკაცრ ფილტრაციას. პირიქით, რაც უფრო მეტი იქნება სხვადასხვა სტილის, ხარისხისა და ორიენტაციის მუსიკა, მით უფრო მეტი მასალა მოგვეცემა მსჯელობისა და სათანადო დასკვნების გამოტანისათვის.

მიმდინარე ფესტივალმა ცხადყო ისიც, რომ ამიერკავკასიის კომპოზიტორებმა განამტკიცეს საკუთარი პოზიციები. ამის ნათელი დადასტურებაა ა. ტერტერიანის მეორე სიმფონია, რომელიც გამოირჩევა ეროვნული ტრადიციებისა და თანამედროვე მსოფლშეგრძნების ორგანული სინთეზით, და გ. ყანჩელის მეოთხე სიმფონია, რომელშიც აღბეჭდილია კომპოზიტორის შემოქმედებითი ცხოვრების მაღალნიჭიერი წამიერებანი.

ქართული მუსიკის პირველი კონცერტებიდან განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ა. მაჭავარიანის მასშტაბურმა სიმფონიამ, ს. ნასიძის პოეტურად ამაღლებულმა და შინაგანი სიწმინდით გამსჭვალულმა კამერულმა სიმფონიამ და საკვარტეტო ხელოვნების დიდოსტატის ს. ცინცაძის უაღრესად შინაარსიანმა მერვე სიმებიანმა კვარტეტმა.

ახალგაზრდა ავტორთა უმრავლესობა იმყოფება თანამედროვე ტექნიკური საშუალებების ათვისების სტადიაში. დღეს ამით უკვე ვერავის ვერ გააკვირვებ. ეს მეოცე საუკუნის მუსიკოსის ბუნებრივი მოდუსია. მაგრამ ბევრი რამ, რასაც ახალგაზრდები ეტანებიან, ვერ ჰპოვებს ხოლმე შემოქმედებით რეალიზაციას. მათ უნდა ირწმუნონ, რომ საშუალებათა მანიპულირებით ყოველთვის არ წარმოიქმნება საკუთრივ მუსიკა. ნამდვილი მუსიკა იბადება მხოლოდ მაშინ, როცა საშუალებები ორგანულად ეთვისებიან ხელოვანის ინდივიდუა-

ლობას, როცა ესა თუ ის ხერხი მისი ორიგინალური შემოქმედებითი სტილის განუყოფელი ნაწილია.

მოვისურვებდი, რომ ახალგაზრდა კომპოზიტორები უფრო გაბედულად, უფრო აქტიურად დაეპატრონონ ესოდენ განსაცვიფრებელ ხალხურ მუსიკას. ფოლკლორულმა კონცერტმა კიდევ ერთხელ ცხადყო ის ამოუწურავი სიმდიდრე, ხელთ რომ უპყრიათ ამიერკავკასიის კომპოზიტორებს.

განმაცვიფრა ამიერკავკასიის მუსიკოსების მაღალმა საშემსრულებლო დონემ. შესანიშნავია სომხეთის საგუნდო კაპელა, საქართველოს სიმებიანი კვარტეტი, საქართველოს საგუნდო საზოგადოების კამერული გუნდი... წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს მევიოლინეებმა მ. იაშვილმა და ა. ციციკიანმა, პიანისტმა ნ. ხუბუტიამ და სხვ.

დაბოლოს, მივესალმები ფესტივალისათვის გამოცემულ წიგნს „ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკა“, რაც უაღრესად სერიოზული და რთული მუშაობის შედეგია. ჩვენ ხშირად ვივიწყებთ ხოლმე, რომ მუსიკისმცოდნეთა ნამოღვაწარიც შემოქმედებაა, მასაც ჭირდება თავისი „მსმენელი“, შემფასებელი...

მუსიკისმცოდნე **ი. ნესტიევი** (მოსკოვი):

მიიწურა ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი. დღეს საღამოთი გაიმართება ქართული სიმფონიური მუსიკის უკანასკნელი კონცერტი, რომელზედაც მოვისმენთ შ. მშველიძის, ო. თაქთაქიშვილისა და დ. თორაძის ნაწარმოებებს. ამდენად, ჩვენი მუშაობის, მისი შედეგების შეჯამების დროც მოახლოვდა.

ფესტივალის დღეებში მოვისმინეთ ბევრი რამ საინტერესო, გავეცანით რამდენიმე ჭეშმარიტად მაღალმხატვრულ ნაწარმოებსაც, რომელთა გამო ნამდვილად ღირს და ესოდენ დიდი ღონისძიების ჩატარება. ამ მხრივ ფესტივალი, მართლაც რომ, მოსავლიანი იყო.

მსოფლიოში მრავალი ფესტივალი არსებობს. ჯერ მარტო ევროპაში ყოველწლიურად 70-მდე მუსიკალური ფესტივალი იმართება. მაგრამ საკითხავია — რა რჩება ხოლმე მუდმივ რეპერტუარში იქ წარმოდგენილი მუსიკიდან? მაჩვენებლები უმეტესად მათ სასარგებლოდ არ მეტყველებენ. ამიერკავკასიის მუსიკალურ ფესტივალზე კი შესრულდა რამდენიმე ისეთი ნაწარმოები, რომელთა მომავალი გარკვეულია, ისინი უთუოდ შევლენ რეპერტუარში.

არაერთხელ დავსწრებივარ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალებს ვარშავაში, ბრატისლავასა თუ ზალცბურგში... დავრწმუნდი, რომ მიმდინარე ფესტივალი არ ჩამოუვარდება მათ არც მასშტაბით, არც თანამედროვე მუსიკის რაოდენობითა და ხარისხით, არც საშემსრულებლო ოსტატობითა და კულტურით. მგონია, რომ დირიჟორი ჯ. კახიძე, მომღერლები ზ. ანჯაფარიძე და მ. ამირანაშვილი სხვადასხვა სახის საშემსრულებლო კოლექტივებთან ერთად, ნებისმიერ ფესტივალს დაამშვენებენ.

ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი რეგულარულ და ტრადიციულ ღონისძიებად უნდა ვაქციოთ. იგი უფრო ფართოდ უნდა იყოს რეკლამირებული არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. მას უნდა ესწრებოდნენ მუსიკოსები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ესოდენ მრავალფეროვანი და ორიგინალური მუსიკალური კულტურების გაცნობის მიზნით.

მიმდინარე ფესტივალის ლიდერები არიან: გ. ყან-



საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დირიჟორი ჯ. კახიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული გუნდი. დირიჟორი — ი. დალიანი.

ჩელი თავისი მეოთხე სიმფონიით, ა. ტერტერიანი თავისი მეორე სიმფონიით და რ. ლაღიძე, აგრე რიგად რომ გაგვახარა თავისი ოპერით. ეს ნაწარმოებები საფუძველს გვაძლევენ სერიოზული და საინტერესო მსჯელობისათვის.

გ. ყანჩელის შემოქმედება მოულოდნელი და ახალი მოვლენაა. მე თვითონაც მიკვირს — კომპოზიტორმა რითი გამიტაცა ისე, რომ ვერ ვიგრძენი დრო (22 წუთი), რომელიც მისი სიმფონიის შესრულებას მოუნდა. გ. ყანჩელი იყენებს განვითარების თავისებურ ხერხებს, მიმართავს კონტრასტებს, რომლის დროსაც მის ლამაზსა და ჩუმ მუსიკაში შემოიჭრება ხოლმე მძაფრი და ძლიერი სახიერება. სიმფონია გამსჭვალულია ქორალური ხმოვანებით, ბურდონების ტექნიკით, დიდხანს და ნელა მჟღერადი ბანებით. ყოველივე ეს ეროვნული საფუძვლებიდან მოდის. ეს ნაწარმოები მიქელანჯელოს ხსოვნას ეძღვნება, მაგრამ მასში ასახულია ჩვენი ეპოქის სულისკვეთება. იგი დაწერილია დროის მახვილი შეგრძნებით.

უაღრესად საინტერესო ნაწარმოებია ა. ტერტერიანის მეორე სიმფონია, სადაც კომპოზიტორმა გონივრულად და ეკონომიით გამოიყენა თანამედროვე ორკესტრობისა და ჰარმონიის უახლესი ხერხები. მთავარი კი ისაა, რომ მან ეს ხერხები მოიხმარა ეროვნული და ორიგინალური შემოქმედებითი ამოცანების გადასაჭრელად. ა. ტერტერიანის სიმფონიის ესოდენ დიდი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მასში ნატიფადაა ჩაქსოვილი ხალხური სასიმღერო სტილი, მისი საშემსრულებლო მანერა. მგონია, რომ მსმენელი აგრე რიგად სწორედ ხალხური მუზიცირების არომატმა გაიტაცა.

სხვათა შორის, ხშირად იმაზეც ვფიქრობ ხოლმე, რომ ჩვენი დიდი და სერიოზული მუსიკიდან სრულიად გაქრა ვოკალიზაციის სპეციფიკური ეროვნული მანერა. ეს ნამდვილად გულდასაწყვეტია. გავიხსენებ იაპონიას, სადაც კომპოზიტორთა საშუალო თაობის ერთ-ერთმა პროგრესულმა წარმომადგენელმა მიტიო მამიამ შექმნა ოპერა ეროვნული ეპოსის საფუძველზე. სპექტაკლში მთავარ როლს ასრულებდა ახალგაზრდა იაპონელი ქალი, რომელსაც ხმა კარგად, იტალიურად ჰქონდა დაყენებული მილანის „ლა სკალას“ საოპერო თეატრში. მიტიო მამია საათობით წვალობდა, იგი ავარჯიშებდა მომღერალს, რათა როგორმე შეეხსენებინა მისთვის სიმღერის ის განუმეორებელი იაპონური მანერა, ეროვნული ვოკალიზაციის ის უნიკალური ტრადიცია, რომელიც ცოცხლობს ხალხში და არ ვითარდება პროფესიულ მუსიკაში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს უხვად აქვთ ხალხური მუზიცირების ვოკალური და ინსტრუმენტული ფორმები, რომლებიც უნდა აითვისონ კომპოზიტორებმა. ამ მხრივ, ზოგი რამ უკვე მოპოვებულია. მაგალითისათვის აღვნიშნავ ნ. გაბუნიას იგავს სულხან-საბას მიხედვით, სადაც ფაქიზად და დიდი იუმორითაა გამოყენებული კრიმანჭულის ეფექტი. აღვნიშნავ აგრეთვე რ. ლაღიძის „საჭიდაოს“ და ს. ცინცაძის „საჭიდაოს“, სადაც მახვილგონივრულად ხდება ზურნის ტემბრის, მისი ტექნიკის იმიტირება. ერთი სიტყვით, ამ სფეროში შეიძლება მივაგნოთ ბევრ საინტერესოსა და მნიშვნელოვანს.

ცხადზე უცხადესია, რომ ქართული ხალხური საგუნდო მუსიკა, თავისი განსაცვიფრებელი პოლიფონიით, საორლანო პუნქტებითა და მახვილგონივრული ფალცეტებით გაცილებით უფრო თვითმყოფადია, ვიდრე ქართველ კომპოზიტორთა მიერ პროფესიული კულტურით შექმნილი საგუნდო ნაწარმოებები. ქართველი ხალხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესაც შესანიშნავად მღერის. მის დიდებულ სიმღერებში ათასნაირი ნიუანსია ჩაქსოვილი. ხშირად ვიხსენებ ხოლმე დიდებულ „ხასანბეგურას“, რომელსაც ხალხური მუსიკალური აზროვნების უმაღლეს ნიმუშად ვთვლი. თქმა არ უნდა, ქართული ხალხური სიმღერის ეს ნაირგვაროვანი სიმდიდრე, მისი უნიკალური მიგნებები უნდა ანაყოფიერებდნენ ქართულ პროფესიულ მუსიკას.

საინტერესოა და დამაფიქრებელი, რატომ არ წერენ ჩვენი კომპოზიტორები ახალ პროფესიულ მუსიკას ხალხური ინსტრუმენტებისა და შემსრულებლებისათვის? რა თქმა უნდა, ეროვნული მუსიკალური კულტურის გამდიდრება ამ მხრივაც შეიძლება. ვინ იცის ამ სფეროში რამდენი რამ ახალი შეიძლება აღმოვაჩინოთ.

დიდი რეზონანსი გამოიწვია რ. ლაღიძის ოპერამ. ამ სპექტაკლზე ჩვენ ყველამ განვიცადეთ დიდი სიხარული. ეს გასაგებიცაა. თანამედროვე ოპერაში ხომ მეტისმეტად იშვიათად ვისმენთ ხოლმე კანტილენის ესოდენ ლაღსა და ბუნებრივ დინებას, რომელიც დიდ სიამოვნებას ჰგვრის არა მარტო მსმენელს, არამედ შემსრულებლებსაც. როცა რ. ლაღიძის ოპერას უსმენ, ასე გგონია, რომ მომღერლები მის მელოდიურ სიმდიდრეში დაცურავენ. დიახ, ეს ისეთი ოპერაა, რომელშიც ყოველ მომღერალს შეუძლია თავისი თავი საუკეთესო მხრიდან გამოაჩინოს. „ლა სკალას“ თეატრის სპექტაკლების შემდეგ, მე არ განმიცდია ასეთი რამ. მართლაც, რა შეედრება იმ დიდ სიხარულს, რომელსაც გვანიჭებს ადამიანის ხმის მშვენიერება. ამის დაკარგვა არ შეიძლება.

ბედნიერია რ. ლაღიძე, ეს უძვირფასესი თვისება დღემდე რომ შეინარჩუნა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბევრმა გამოჩენილმა თანამედროვე კომპოზიტორმა, რომელიც მშვენივრად ფლობს დახვეწილ საორკესტრო ბგერწერას, დაჰკარგა ბუნებრივი ვოკალიზაციის საიდუმლოება. ისინი უკვე ვეღარ წერენ ისეთ მუსიკას, რომელიც მომღერლის ხმას მთელი სისავსითააჟღერებს, მთელ მის სიმდიდრეს გამოაჩენს.

რ. ლაღიძემ ყოველივე ამას სიმღერის წყალობით მიაღწია. მან ამ ჟანრში გამოწვრთნა თავისი მელოდიური ნიჭი და პროფესიული ოსტატობა. სამწუხაროდ, ჩვენი კომპოზიტორები, ასე ნაყოფიერად რომ მოღვაწეობენ სიმღერის სფეროში, იფარგლებიან მცირე ჟანრებით, არ მუშაობენ დიდ ვოკალურ ფორმებზე, არ წერენ ოპერებს, კანტატებსა და ორატორიებს. ვფიქრობ, რომ სიმღერის ჟანრში მომუშავე ნამდვილ პროფესიონალებს ხელეწიფებათ ეს ამოცანები. ამას ამტკიცებს რ. ლაღიძის ოპერა. ამას მოვუწოდებ არნო ბაბაჯანიანს — მრავალი შესანიშნავი სიმღერის ავტორს. დარწმუნებული ვარ, რომ მისი მელოდიები მშვენივრად ახმოვანდებოდნენ ოპერასა თუ ოპერეტაში, ან სულაც, მიუზიკლში. ზოგს ასეთი რჩევა-დარიგებანი უტაქტობად მიაჩნია, მაგრამ მე, როგორც მსმენელი, ამას მაინც მოვისურვებდი.

ფესტივალზე ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი ახალგაზრდა ავტორები. ეს მისასალმებელია. ისინი გააკრიტიკეს, ესეც სასარგებლოა. იმედია, რომ ახალგაზრდა კომპოზიტორები ყოველივე აქედან სათანადო დასკვნებს გამოიტანენ. სამწუხაროა, თუკი ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენ ახალი ტექნიკის წინააღმდეგ ვმოქმედებთ. ნურავინ იფიქრებს ამას. პირიქით, ყოველივე ეს აუცილებელია. დარწმუნებული ვარ, რომ ა. ტერტერიანისა და გ. ყანჩელის წარმატება იმანაც განაპირობა, რომ ისინი ტრადიციებთან ერთად, კარგად იცნობენ და ფლობენ ახალ საშუალებებსაც. ახალგაზრდა ავტორებმა უნდა განაგრძონ ძიებები, მაგრამ ისიც უნდა დაიჯერონ, რომ წარმატებას არ განაპირობებს მხოლოდ ტექნოლოგია, მხოლოდ ხერხები. ვუსურვებ მათ, რომ ჭაბუკური გა-

ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „გორდელა“.



ტაცების ეს პერიოდი სწრაფად დაეძლიოთ. თითოეულმა მათგანმა თავის მუსიკაში უპირველესად საკუთარი მე უნდა დაამკვიდროს და არა გარედან ათვისებული მზა ფორმულები.

აქ რამდენჯერმე აღინიშნა, რომ ჩვენი კომპოზიტორები არ მიმართავენ თანამედროვე თემატიკას. ეს მთლად სწორი არაა, ვინაიდან თანამედროვეობის შეგრძნება ახასიათებს იმასაც, ვინც თავის შემოქმედებაში წარსულს, მის ეპოსსა და პოეზიას მიმართავს. და მაინც დამაფიქრებელია, რატომ ეძღვნება ნაწარმოებთა უმრავლესობა შორეულ წარსულს, მაშინ, როცა არსებობს თანამედროვე პოეზიისა და პროზის მაღალმხატვრული ნიმუშები. მათ ხომ ასევე შეუძლიათ კომპოზიტორის აზრისა და გრძნობის წარმართვა.

სვირიდოვისა და შჩედრინის წარმატება სხვათა შორის, მაიაკოვსკის, ვოზნესენსკისა და სხვათა პოეზიამაც განაპირობა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპოზიტორებმა უნდა დაამყარონ მტკიცე კავშირი თანამოღვაწე მწერლებთან, პოეტებთან, რაც თანამედროვე მუსიკალური ნაწარმოებების შექმნას განაპირობებს.

ძალზე მახარებს, რომ ფესტივალის სტუმრებმა ასე მღელვარედ შეიგრძნეს არა მარტო ამიერკავკასიის კომპოზიტორთა შემოქმედება, არამედ ქართული მიწის მშვენიერება, მისი წარმტაცი ბუნება, სულიერი კულტურის დიდებული ძეგლები.

არ დავფარავ, ჩემზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა ჯვრის უძველეს კედლებში გამართულმა კონცერტმა, გორის მუსიკალური სასწავლებლის გოგონათა გუნდის შესანიშნავმა გალობამ. აქ ვიგრძენი ის შეუწყვეტელი მემკვიდრეობითობა, რომლის გარეშე არ არსებობს ცხოვრება, ხელოვნება, შემოქმედება... დიახ, ამ უძველეს ტაძარში გამოდიოდნენ საბჭოთა საქართველოს ახალი თაობის წარმომადგენლები, ისინი გატაცებით ასრულებდნენ იმ უძველეს სიმღერებსა და საგალობლებს, აგრე რიგად რომ ამშვენებს და აკეთილშობილებს საქართველოს კულტურას. თითოეული მათგანი შემდგომში თავის შვილებსა თუ მოწაფეებს ასწავლის ამ დიდებულ ჰანგებს, და ამით მომავალ თაობებს სამშობლოს სიყვარულის გრძნობას გაუღვივებს.

დაბოლოს, ვისურვებდი, რომ საბჭოთა ქვეყნის ყოველ რესპუბლიკაში ასე ვზრდიდეთ ჩვენს ახალგაზრდებს. თავიდანვე ვუნერგავდეთ მათ მშობლიური კულტურის სიყვარულს. მისაბაძია ქართველ მუსიკოსთა ის ოსტატობა და ტალანტი, ეროვნული მუსიკის პროპაგანდას ასეთი მგზნებარებით რომ წარმართავს...

მუსიკისმცოდნე **ფ. ყულიევა** (ბაქო):

ქართული კამერული მუსიკის მეორე კონცერტზე პიანისტმა ნ. ხუბუტიამ მშვენივრად შეასრულა კომპოზიტორ ნ. გაბუნიას საფორტეპიანო სონატა № 2, რომელიც დაწერილია პიანისტურად, ინსტრუმენტის განუსაზღვრელი შესაძლებლობების საფუძვლიანი ცოდნით. კომპოზიტორ ნათელა სვანიძის კამერული ორატორია „ფიროსმანი“ შთაგონებულია დიდი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ტრაგიკული ცხოვრებით. ეს დრამატული ნაწარმოები თეატრალიზებულია. მასში ურთიერთს ერწყმიან ქართული მუსიკის ფოლკლორული საწყისები და თანამედროვე მუსიკის გამომსახველობითი საშუალებები. აქ ექსპერიმენტული ხერხები მხატვრული სახის გამოკვეთის ამოცანას ემსახურებიან. კამერული ორატორია „ფიროსმანი“ ღრმა შთაბეჭდილებას ტო-



აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა. დირიჟორი — ვ. სუდაკოვა.



ვებს. ექსპერიმენტული ნაწარმოებია თ. ბაკურაძის სიმებიანი კვარტეტი, რომელშიც გამომსახველობითი ეფექტების მიღმა არ იკითხება ავტორის აზრი და შთანაფიქრი.

მღელვარედ ახმოვანდა შალვა მშველიძის მეოთხე სიმფონია. ფერადოვნებით გაგვიტაცა დ. თორაძის მეორე სიმფონიამ „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, რომელიც გამსჭვალულია ნაირგვაროვანი ტემბრული ეფექტებით, მკვეთრი რიტმული საწყისებით, სახეთა ხშირი ცვალებადობით. ეს სიმფონია გამსჭვალულია საცეკვაო პლასტიკით. მის ქმედით მუსიკას საბალეტო ხასიათი აქვს. იგი უთუოდ გამოიწვევს ბალეტმეისტერთა ინტერესს.

კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის შესანიშნავი ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ ახმოვანდა, როგორც დიდებული ჰიმნი ადამიანობისა, გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორმა მასში ჩააქსოვა მთელი თავისი ტალანტი. მისი მუსიკა იმდენად სახიერია, რომ ბადებს დიდი სპექტაკლის შთაბეჭდილებას. ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ მაღალი ოსტატობით იქნა წარმოდგენილი.

ფესტივალი დასასრულს მიუახლოვდა. მის შუქზე აშკარად გამოჩნდა ერთი საერთო ხარვეზი — ამიერკავკასიის კომპოზიტორები დიდ დროსა და ყურადღებას უთმობენ ისტორიულ თემატიკას და ნაკლებად მიმართავენ თანამედროვეობას. ჩვენ ვალში ვართ საბჭოთა ადამიანების წინაშე, რომლებიც მთელი შემართებით აშენებენ მგზნებარე და მრავალფეროვან ცხოვრებას...

მუსიკისმცოდნე **მ. არუთუნიანი** (ერევანი):

ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს ეროვნული საფუძვლების ნაირგვაროვანი გამოვლინებით. ამას მოწმობს ფესტივალზე წარმოდგენილი მთელი მუსიკა, დაწყებული ო. თაქთაქიშვილიდან დამთავრებული თ. ბაკურაძით. არ ვიზიარებ ფ. ყულიევას მოსაზრებას თ. ბაკურაძის სიმებიანი კვარტეტის შესახებ. იგი საინტერესო ნაწარმოებად მესახება, რადგან მასში თავისებურადაა შერწყმული ქართული ხალხური მუსიკის უძველესი პლასტები (ფშაური ფოლკლორის სახით) თანამედროვე მუსიკის გამომსახველობით პრინციპებთან. შესაძლოა, კვარტეტი ვერ არის დრამატურგიულად გამართული, იგი მეტისმეტად გახანგრძლივებულია, მაგრამ თუკი მოხერხდება მისი შეკუმშვა, კუპიურების გზით, მაშინ თ. ბაკურაძის ნაწარმოები გაცილებით უფრო მთლიანსა და დამაჯერებელ სახეს მიიღებს.

მიმდინარე ფესტივალი საშუალებას გვაძლევს ჩავუკვირდეთ იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალურ ცხოვრებაში აღინიშნება. როგორც ჩანს, უკანასკნელ წლებში შენელდა ინტერესი მცირე ფორმების მიმართ. არადა სწორედ მათ გააჩნიათ მსმენელთა ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი. ამდენად, მცირე ფორმებისაგან განდგომა მიუტევებელია.

ამასთან ერთად, ჩვენი კომპოზიტორები ნაკლებად ზრუნავენ ეროვნული საშემსრულებლო რეპერტუარის გამდიდრებაზე. მეტისმეტად ცოტა მუსიკა იწერება ჩვენი პიანისტებისათვის, მევიოლინეებისა და სხვა სახის ინსტრუმენტალისტებისათვის. ამიტომაც, მიმდინარე ფესტივალი, ამ მხრივ, მეტისმეტად ღარიბი იყო. ა. ბაბაჯანიანის შემოქმედებითი პრაქტიკა მოწმობს, თუ რა დიდი შედეგი მოაქვს მცირე ფორმების საკონცერტო ნაწარმოებებს. ისინი უმალვე მკვიდრდებიან შემსრულებელთა რეპერტუარში და თავისუფლად იკვლევენ გზას მსმენელისაკენ.

ფესტივალზე სრულიად არ იყო წარმოდგენილი მუსიკა ბავშვთათვის, მაშინ როდესაც ჩვენ ამდენს ვლაპარაკობთ და ვფიქრობთ მოზარდთა ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე. გაუგებარია მაინც რატომ იქნა ასე

უგულისყუროდ მიტოვებული მუსიკალური შემოქმედების ესოდენ მნიშვნელოვანი უბანი. ეს ძალზე სამწუხარო ფაქტია.

მიმდინარე ფესტივალმა თვალსაჩინოდ გამოავლინა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საშემსრულებლო ხელოვნების მაღალი დონე, საკონცერტო ესტრადაზე ბრწყინვალედ გამოდიოდნენ არა მარტო შესანიშნავი სოლისტები, არამედ სხვადასხვა შემადგენლობის საშემსრულებლო კოლექტივები (კამერული და სიმფონიური ორკესტრები, სიმებიანი კვარტეტები და სხვა), რომლებსაც დღეს უკვე სრული უფლება აქვთ მოითხოვონ მუსიკოს-შემსრულებელთა საზოგადოების დაარსება. ასეთი ორგანიზაცია დიდად შეუწყობს ხელს შემსრულებლებისა და კომპოზიტორების შემოქმედებითი კონტაქტების განმტკიცებას თანამედროვე საბჭოთა მუსიკის პროპაგანდის მიზნით.

დადგა იმის დროც, რომ ჩვენს რესპუბლიკებში დაარსდეს ფოლკლორული პროფილის სპეციალური ინსტიტუტები. ეს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები მოუვლიან ამიერკავკასიის ხალხების მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ მემკვიდრეობას, რომლის უნიკალურ ნიმუშებს ემუქრებათ მივიწყების საფრთხე.

ასევე საჭიროა სპეციალური ყოველკვირეული მუსიკალური გაზეთის დაარსება, რომელიც საფუძვლიანად და სისტემატურად გააშუქებს ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებას, შეფასებას მისცემს ყოველ სპექტაკლსა თუ კონცერტს, რაც მსმენელთა აღზრდაშიც დაგვეხმარება.

ჩვენ სრულიად არ ვიცნობთ მოძმე რესპუბლიკებში გამოცემულ მუსიკალურ ლიტერატურას — კომპოზიტორთა ნაწარმოებებსა და მუსიკისმცოდნეთა შრომებს. უნდა დავნერგოთ გამოცემათა აქტიური გავრცელებისა და დინამიკური ურთიერთგაცვლის პრაქტიკა. ეს აუცილებელია შემოქმედებითი კონტაქტების განმტკიცებისათვის...

მუსიკისმცოდნე **მზია იაშვილი** (თბილისი):

დადგა ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალის ფინალური აკორდების მომენტიც. უკან დაგვრჩა მხატვრული თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებო დღეები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით უტოლდებიან წლებს. ჩვენ გავეცანით იმ უდიდესი მუშაობის შედეგებს, რომელიც უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მიმდინარეობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საკომპოზიტორო ორგანიზაციებში.

მიმდინარე ფესტივალმა ცხადყო, რომ მომწიფდა უამრავი თეორიული პრობლემა, რომელიც საფუძვლიან მეცნიერულ გაანალიზებას მოითხოვს. საჭიროა სერიოზული მსჯელობა ეროვნული მუსიკალური კულტურების განვითარების გზებსა და გზაჯვარედინებზე. ამიერკავკასიის მუსიკისმცოდნეებმა უნდა შეისწავლონ ის შემოქმედებითი პროდუქცია, რომელმაც აგრე რიგად გააფართოვა ეროვნული მუსიკის საზღვრები და რომელმაც ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკა ესოდენ ფართო საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე გამოიყვანა.

უკანასკნელად, ამ 20 წლის წინ ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკისმცოდნეთა პლენუმი, რომელმაც ძალზე სერიოზული შედეგები გამოიღო. ეს ფართო სხა-ბაასი აისახა კრებულში „ამიერკავკასიის მუსიკისმცოდნეობა და მუსიკალური კრიტიკა“, რომლის ღირებულება უდავოა.

მიმდინარე ფესტივალიც დიდ საფუძველს იძლევა დისკუსიისათვის. იგი უნდა ჩატარდეს ამიერკავკასიის




კონცერტი ელმავალმშენებელ ქარხანაში. სოლისტი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. იაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გორის მუსიკალური სასწავლებლის გოგონათა გუნდი. ხელმძღვანელი შ. მოსიძე.

მუსიკისმცოდნეთა ფორუმზე, რომლის ორგანიზება ნაკარნახევია იმ ფრიად სერიოზული შემოქმედებითი ტენდენციებით, ასე ინტენსიურად რომ ვითარდებიან ჩვენს რესპუბლიკებში...

დირიჟორი, მუსიკისმცოდნე, გამომცემელი **მარიო დი ბონავენტურა** (ამერიკის შეერთებული შტატები):

პირველ რიგში, მინდა გამოვხატო ფესტივალის ორგანიზაციით გამოწვეული ჩემი აღტაცება: იგი ჩატარდა მაღალ დონეზე. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, როგორც თვით ფესტივალზე წარმოდგენილმა ნაწარმოებებმა, ისე მათი შესრულების ხარისხმა.

ერთ-ერთ ყველაზე უფრო შთამბეჭდავ მომენტად იქცა ჩემთვის ო. თაქთაქიშვილის ორატორიის „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ შესრულება. ეს ნაწარმოები მოწმობს ავტორის არაჩვეულებრივ ტალანტს, ნაწარმოები გამსჭვალულია ჭეშმარიტი ჰუმანიზმით. ხელოვნებაში იმარჯვებს მხოლოდ ის, ვინც შეძლებს გამომსახველობითი საშუალებებით გადმოსცეს როგორც ნაწარმოების ფორმა, ისე მისი შინაარსიც. ამ თვალსაზრისით ო. თაქთაქიშვილის მუსიკამ შეისისხლხორცა ყველა ელემენტი, რომელიც უნდა ახლდეს ხელოვნების ნამდვილ ქმნილებას.

ჩემი ძირითადი მიზანია — გავაცნო ამერიკელ მსმენელებს ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი კომპოზიტორების ნაწარმოებები. მე მინდა გამოვცე ისინი და ამით ვუჩვენო ფართო აუდიტორიას ის საწაულმოქმედი მუსიკა, რომელსაც ქმნის საბჭოთა ხალხი.

მუსიკისმცოდნე **ი. კორევი** (ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკას“ რედაქტორი):

განვლილმა კონცერტებმა წარმოსახეს ამიერკავკასიის მუსიკის უაღრესად მრავალპლანოვანი და რელიეფური პანორამა, გამოაჩინეს ნაირგვაროვანი შემოქმედებითი მიმდინარეობანი, გამოამჟღავნეს მკვეთრად განსხვავებული ტენდენციები. ამ ფონზე კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოვლინდა სულიერი მთლიანობა იმ ორგანიზმისა, რომელსაც საბჭოთა მუსიკას ვუწოდებთ. ამას მოწმობენ მაღალი იდეალები, თანამედროვეობასთან მყარი კავშირები, სხვადასხვაგვარად რომ მჟღავნდებიან ამიერკავკასიის კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

ცხადია, ეს მრავალპლანოვანი რელიეფურობა შექმნილია ამიერკავკასიის კომპოზიტორთა ინდივიდუალური თვისებებით, მკვეთრად განსხვავებული შემოქმედებითი მონაპოვრებითაც, აგრე რიგად რომ ამდიდრებენ და ამრავალფეროვნებენ საბჭოთა მუსიკის მთლიან ორგანიზმს. მიუხედავად ამისა, დღეს მაინც მეტისმეტად ძნელია მომავლის განსაზღვრა, ძნელია განჭვრეტა იმისა, თუ რომელი ნაწარმოები მოიპოვებს საყოველთაო მნიშვნელობას და რომელი დარჩება ეროვნული კულტურის ფარგლებში. მეტიც — ძნელია თქმა, რა ადგილს დაიჭერს ნაწარმოები კომპოზიტორის შემოქმედებაში.

უკვე ბევრი რამ ითქვა ტერტერიან-ოგანესიანის იმ ტანდემზე, რომელიც წარმართავს თანამედროვე სომხური მუსიკის განვითარებას. მკვეთრია ამ ორი კომპოზიტორის შემოქმედებითი სახე, თვალსაჩინოა მათი მიღწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვები და შედეგებიც. ძალზე პერსპექტიულად მესახება ე. ოგანესიანის გზა, იგი მომავალშიც გამოიღებს ნაყოფს. ჩვენ ბევრს მოველით მისგან. ასევე ბევრს ველით ტერტერიანისაგან. გამოგიტყდებით — მისმა პირველმა სიმფონიამ სუმბურული შთაბეჭდილება დატოვა. ეს უფრო განაცხადი იყო იმ დიდ თემებსა და იდეებზე, რომელიც ტერტერიანმა თავის მეორე სიმფონიაში დაამკვიდრა და განავითარა. მართლაც, მეორე სიმფონიაში ავტორის შთანაფიქრი გადმოცემულია ლოგიკურად, დამაჯერებლად. ეს ნაწარმოები იმყოფება თანამედროვე მუსიკის პროგრესული ტენდენციების სფეროში. ამაზე მეტყველებს ტერტერიანის ღრმა კავშირი ხალხური მუსიკის უძველეს პლასტებთან. ამ სიმფონიაში ყურადღებას იპყრობს, ერთი მხრივ, ახალი ხერხებით ტრადიციული სურათების წარმოსახვის ცდა, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი სახეების გადმოცემის ცდა ტრადიციული საშუალებებით.

სწორედ წარსულისა და თანამედროვეობის, ძველისა და ახლის მთლიან ნაერთშია ტერტერიანის სიმფონიის მთელი არსი.

ამ კუთხით ტერტერიანს ერთგვარად უკავშირდება გ. ყანჩელი, რომელიც აგრეთვე ეძებს ახლისა და ძველის სინთეზს. გ. ყანჩელს მიზნად დაუსახავს ეროვნული ხელოვნების ტრადიციული სახეების გამოხატვა ახალი საშუალებებით და თანამედროვე შინაარსის გადმოცემა ტრადიციული ხერხებით. ამასთან ერთად, როგორც მსმენელსა და მუსიკოსს, ამჯერად მომეჩვენა, რომ მეოთხე სიმფონიაში ერთგვარად მოლბა გ. ყანჩელის ნიჭიერება. შერბილდა მისი მუსიკის ის ასკეტური თვისებები, რომლებიც დამახასიათებელი იყო წინამორბედი ნაწარმოებებისათვის. გ. ყანჩელის შემოქმედებაში უფრო ლირიკული, უფრო გულღია ინტონაციები გაჩნდა.

რას გააკეთებს გ. ყანჩელი მომავალში? ეს კითხვა ადრეც მაფიქრებდა, მერეც, როცა მის მესამე სიმფონიას ვუსმენდი, რადგან ვგრძნობდი მისი მუსიკის ერთგვარ კონსტრუქციულ მიზანდასახულობას. დიახ, გ. ყანჩელს ყოველთვის მკვეთრად აქვს განსაზღვრული და რაციონალისტურად ჩაფიქრებული კონსტრუქციული ამოცანა. ამ სიმფონიაშიც ვიგრძენი ეს რაციონალისტური კონსტრუქციული მიზანდასახულობა. ამიტომ მაინტერესებს ამ შესანიშნავი ოსტატის მომავალი. გ. ყანჩელი მიმდინარე დისკუსიის ცენტრში დგას, ისევე როგორც კომპოზიტორთა მეხუთე საკავშირო ყრილობის დროს, როცა შესრულდა მისი მესამე სიმფონია. ეს მოწმობს გ. ყანჩელის დიდ ტალანტზე, ოსტატობაზე, მიღწევებზე.

ჩემთვის ახლობელია ს. ნასიძის მესამე სიმფონია. ეს ძალზე მთლიანი ნაწარმოებია. ამ სიმფონიაში, ისევე როგორც ვ. აზარაშვილის საალტო კონცერტში განსაკუთრებით მომხიბლეს ლირიკულმა სტრიქონებმა. ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ჩვენს ხელოვნებას ხშირად აკლია ხოლმე ლირიკა, გვაკლია სადა, გულითადი მუსიკა. სწორედ ამიტომ მოგვხიბლა და გაგვახარა რ. ლაღიძის ოპერამ. აქ დასადგურებულია ნათელი, დემოკრატიული, გულთბილი ინტონაციებისა და დაუოკებელი ლირიკული განცდების დაუშრეტელი წყარო. მელოდიათა ეს წყარო მოედინება სილამაზითა და ძლიერებით.

ჩვენ ხშირად და ბევრს ვკამათობთ კომპოზიტორთა ინდივიდუალური თვისებების განვითარების თაობაზე. როცა ხელოვანი წლების მანძილზე გარკვეული მიმართულებით ვითარდება, მაშინ მსმენელი და კრიტიკა მის ყოველ ნაწარმოებს მხოლოდ ამ მიმართულების პრიზმიდან აღიქვამს. და აი, კომპოზიტორი მოულოდნელად იცვლის სახეს, რაც საბაბს იძლევა ეჭვებისათვის. ამ დროს, ზოგიერთი ამ სახეცვლას მოდური გატაცებით ხსნის, ზოგი — ახალი შემოქმედებითი ეტაპის ჩასახვით. ცხადია, ყოველივე ამაზე სწორ პასუხს გაგვცემს მხოლოდ დრო, მხატვრული შედეგი. ასეა თუ ისე, შემოქმედებითი გზიდან მოულოდნელ გადახვევებს უნდა მოვეკიდოთ ფრთხილად, მოთმინებით, ყურადღებით. ჩვენ კი ამა თუ იმ კომპოზიტორისათვის ხშირად გვითქვამს საყვედური. მერე ირკვევა, რომ საქმე გვქონდა არა სახეცვლასთან, არამედ კომპოზიტორის ბუნებრივსა და კანონზომიერ ევოლუციასთან. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უკვე მის მრავალფეროვნებაზე ვიწყებთ ხოლმე ლაპარაკს.

კომპოზიტორთა ორგანული განვითარების მოწმენი გავხდით ფესტივალზე წარმოდგენილ მთელ რიგ ნაწარმოებებში. დიდი ინტერესით მოვისმინე ა. მაჭავარიანის მეორე სიმფონია, რომელსაც მანამდეც ვიცნობდი. არ დავფარავ, პირველი მოსმენის დროს მომეჩვენა, რომ მასში გაცილებით უფრო მეტი იყო მოულოდნელი, ვიდრე ავტორისათვის დამახასიათებელი. მაშინ თურმე ვცდებოდი. დიახ, ამჯერად ამ ნაწარმოებში აღმოვაჩინე ა. მაჭავარიანის შემოქმედების განმსაზღვრელი თვისებები. კომპოზიტორი იგივეცაა და განახლებულიც. აქ კვლავ შევხვდი ძალზე საინტერესო ხელოვანს აღვსილს დაუხარჯავი ცხოვრებისეული ძალებით, ენერგიით, გამომსახველობითი საშუალებებით. მაგრამ ისიც მენიშნა, რომ კომპოზიტორი სიმფონიის მეორე ნაწილში ზედმეტად იმეორებს იმ სახეობრივ სფეროს, რომელიც დამკვიდრდა და განვითარდა პირველ ნაწილში. ასეთი განმეორებების გამო კლებულობს მსმენელის ინტერესი. II ნაწილში ვერ აღმოვაჩინე განვითარების ახალი თვისება. ასეა თუ ისე, ეს სიმფონია ეკუთვნის ალექსი მაჭავარიანს — გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს, რომლის შემოქმედებაში ევოლუციის ბუნებრივი პროცესი მიმდინარეობს. იგივეს ვიტყოდი დ. თორაძის მეორე სიმფონიის შესახებ. თუმცა ამ ნაწარმოებს ჩემზე არ მოუხდენია დიდი შთაბეჭდილება. ამ სიმფონიაში ბევრია ილუსტრაციული, გარეგნული. იგი უფრო საბალეტო სუიტის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე მყარად ნაგები, მსხვილი სიმფონიური ფორმისა. მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს სიმფონია კომპოზიტორის ნიჭიერების ნაყოფია, მისი ინდივიდუალობის გამოვლინებაა.

ერთგვარი სირთულის წინაშე დამაყენა ბ. კვერნაძის ქორეოგრაფიულმა პოემამ „ბერიკაობა“. ძალიან მიყვარს ამ უნიჭიერესი კომპოზიტორის მუსიკა. იგი ჩემთვის ახლობელი ხელოვანია. ძალზე საინტერესოა ის, რასაც ბ. კვერნაძე აქამდე აკეთებდა. „ბერიკაობა“ კი, ჩემი აზრით, კომპოზიტორის შემოქმედებაში გარდამავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მნიშვნელობის ნაწარმოებია, რადგან მისი მუსიკის სამოსელში, მის საორკესტრო ჩაცმულობაში, ხერხებში ყველაფერი არ უნდა იყოს ავტორისეული. ვფიქრობ, რომ ბ. კვერნაძის შემოქმედებაში არ დამთავრებულა ახალი საშუალებებით შეიარაღების პროცესი. დიდი ინტერესით, მოუთმენლად ველი მის ახალ ნაწარმოებებს.

ჩემზე ყოველთვის ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკა. თუმცა მგონია, რომ ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ დრამატურგიული მთლიანობის თვალსაზრისით ერთგვარად ჩამოუვარდება მისსავე ორატორიას „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელიც მისი შემოქმედების ერთ-ერთი ეტაპის მწვერვალად მიმაჩნია. როცა ო. თაქთაქიშვილზე ვლაპარაკობ, არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთიანი მიზანსწრაფვის ის იდეა, დიდ საბჭოთა მუსიკას რომ ამოძრავებს. ესაა მისწრაფება მაღალი, კეთილშობილი იდეალებისაკენ, სილამაზისაკენ. იგი მხურვალედ უმღერის სილამაზეს, ყოველთვის პოულობს რაღაც ახალს ხალხურ შემოქმედებაში და ამ ახალს დიდი ოსტატობით აერთიანებს პროფესიულთან.

რაოდენ ნათელი, შუქფენილი, ცოცხალი მუსიკაა შალვა მშველიძის მეოთხე სიმფონიაში, როგორი სიყვარულითაა მასში აღბეჭდილი მშობლიური საქართველოს ხატოვანი სურათები. ავტორი აქ კვლავ ამკვიდრებს თავისი ორიგინალური შემოქმედებითი ბუნებისთვის დამახასიათებელ თვისებებს. სამწუხაროა, რომ შ. მშველიძის მეოთხე სიმფონია აქამდე არ შესრულებულა მოსკოვში.

დიდი ხანია ვიცნობ შესანიშნავი მუსიკოსის, კომპოზიტორ ნოდარ გაბუნიას მეორე საფორტეპიანო სონატას. იგი მშვენივრად უკრავს ამ ნაწარმოებს, რომელშიც ყურადღებას იპყრობს ის სინაზე და ლირიზმი, ზემოთ რომ ვლაპარაკობდი. მაგრამ აღვნიშნავ იმასაც, რომ მეტისმეტად ერთტიპიურია მისი კონტრასტები, რაც ერთგვაროვნების შთაბეჭდილებას ქმნის, თუმცა ავტორისეულ შესრულებაში ყოველივე ეს ნაკლებად ჩანს ხოლმე.

საინტერესო ნაწარმოებია გ. ჩლაიძის ვოკალური ციკლი, მაგრამ არა მგონია, რომ აქ მიღწეული იყოს ორგანული მთლიანობა საფორტეპიანო თანხლებასა და ვოკალურ პარტიას შორის. ვფიქრობ, რომ საფორტეპიანო თანხლება ზედმეტად ასკეტურია, მეტისმეტად გაშიშვლებულია მისი გრაფიკა. ყურადღებას იპყრობს ვოკალურ პარტიაში ჩაქსოვილი ცოცხალი ინტონაცია.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა კრიტიკაზე. მიმდინარე დისკუსია თანდათან გაცხოველდა, რაც იმას მოწმობს, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დაწინაურდნენ კრიტიკოსთა ახალი ძალები. ისინი ასაბუთებენ თავის მსჯელობას მუსიკაზე, მეტნაკლები სიზუსტით ხვდებიან მიზანში. და მაინც, კრიტიკის მდგომარეობა ჩემს მღელვარებას იწვევს. ამ სფეროში ბევრი რამ გულდასაწყვეტია. გაკეთდა შესანიშნავი საქმე, გამოიცა წიგნი „ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკა“. ქედს ვიხრი გ. ორჯონიკიძის ენერგიის, მისი თავდადებული გმირობის წინაშე. სხვაგვარად ეს წიგნი ვერ შეიქმნებოდა, რადგან კარგად ვიცი, რაოდენ ძნელია ამიერკავკასიის მუსიკოსთაგან მასალის „გამოძალვა“. ეს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. ერთი სიტყვით, წიგნის შემდგენლებმა და ავტორებმა ნამდვილად დიდი საქმე გააკეთეს. მაგრამ, როცა ამ წიგნს გაეცნობით, მის კარგ მხარეებთან ერთად, კომპლიმენტური და აღწერითი ხასიათის მასალასაც აღმოაჩენთ. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავს წიგნის ის ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია რუბრიკით „ახალი სახელები“. აქ სრულიად არ ჩანს ცდა ახალგაზრდა ავტორის შემოქმედებითი სახის დადგენისა. კომპოზიტორის მუსიკას რომ არ იცნობდე, იფიქრებ, რომ საქმე გაქვს პატარა კლასიკოსთან და სიხარულით განიმსჭვალები არა მარტო მისდამი, არამედ მთელი ჩვენი მუსიკის მომავლის მიმართაც. მართლაც, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ახალგაზრდა ავტორთა წინაშე არავითარი პრობლემა არა დგას. ყველაფერი გადაჭრილია, ყველაფერი ნათელია. მაგრამ, როცა ამ კომპოზიტორთა მუსიკას ისმენ, გესახება სრულიად სხვა მდგომარეობა. ავიღოთ, მაგალითად, ნარკვევი თ. ბაკურაძეზე, რომელიც მართლაც იმსახურებს ყურადღებასა და პატივისცემას. მაგრამ ნარკვევში თ. ბაკურაძის მუსიკა მიღებულია არა თუ უყოყმანოდ, არამედ აღტაცებითაც. მჯერა, რომ თ. ბაკურაძის კვარტეტის ასეთი აღქმაც შესაძლებელია. დიახ, ამ ნაწარმოებში ბევრი რამაა საინტერესო, განსაკუთრებით მის II და III ნაწილებში. მაგრამ ხომ არსებობს სხვა თვალსაზრისიც. განა შეიძლება, რომ კრიტიკამ ეს გარემოება არ გაითვალისწინოს, მაშინაც კი, როცა კრიტიკოსი დარწმუნებულია საკუთარი პოზიციისა და დამოკიდებულების სისწორეში. მან უნდა დაასაბუთოს და დაგვარწმუნოს, რომ ბაკურაძის კვარტეტი, რომელიც 45-50 წუთს გრძელდება, მართლაც გამსჭვალულია ცოცხალი და დინამიკური მუსიკით. სხვაგვარად კრიტიკა კარგავს თავის დანიშნულებას. ჩემი აზრით კი, თ. ბაკურაძის კვარტეტი ძალზე გახანგრძლივებულია, რაც წერილში არ აისახა.

წიგნის ამავე რუბრიკაში ყურადღებას იპყრობს ერთა კარგი სტატია ახალგაზრდა კომპოზიტორების ვოკალურ ციკლებზე, რომელიც გ. ორჯონიკიძეს ეკუთვნის. აქ ყურადღებითაა განხილული ნაწარმოებები და ის ამოცანები, რომლებიც დგანან კომპოზიტორთა წინაშე. ესაა თვალსაჩინო ნიმუში ახალგაზრდა ავტორებისადმი ფრთხილი და საღი დამოკიდებულებისა.

დიახ, დიდი სირთულეებია ჩვენი კრიტიკის წინაშე. იგი უნდა გახდეს შემოქმედებითი პროცესების აქტიური მონაწილე, მისი განუყოფელი ნაწილი...

● ● ●

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუსიკალური ფოლკლორის კონცერტზე

ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სტუდიის მოცეკვავეთა ანსამბლი.



მუსიკისმცოდნე ი. სტეშევსკი (პოლონეთი):

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იმ შესანიშნავმა კონცერტმა, რომელზედაც ასე ფართოდ იყო წარმოდგენილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალური ფოლკლორი. პროფესიით ფოლკლორისტი გახლავართ და კარგა ხანია, რაც ვსწავლობ და ვიკვლევ ამიერკავკასიის ხალხთა უძველესსა და უნიკალურ მუსიკალურ კულტურებს. ამდენად, ამ კონცერტზე პირადად ჩემთვის არაფერი იყო უჩვეულო და მოულოდნელი. და მაინც, თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით ვუსმენდი მეზობელი ხალხების ეგზომ განსხვავებულ მუსიკალურ მემკვიდრეობას. დასანანია ოღონდ, რომ ასეთი ნაირგვაროვანი პროგრამა წარმოდგენილი იყო კომენტარების გარეშე. ფართო მსმენელს, უთუოდ, უნდა მიეღო ინფორმაციები იმ განუმეორებელი ეროვნული სპეციფიკის შესახებ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხალხთა შემოქმედებით აზროვნებას, მის სტრუქტურას ერთიმეორისაგან აგრე რიგად რომ განასხვავებს.

კომენტარები სტიმულს მისცემდნენ მსმენელთა შემეცნების აქტივიზებას. ეს კი აუცილებელია სწორედ დღეს, როცა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის, შენელებულია ინტერესი აუტენტური ხალხური ხელოვნების მიმართ. ამიტომაც, ფოლკლორული შემოქმედების კომენტირების ტრადიციას, მისი პროპაგანდის მიზნით, ყველგან უნდა ჩაეყაროს მყარი საფუძველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი. ხელმძღვანელი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბაქრაძე.

კონცერტში მონაწილეობდნენ თვითმოქმედი შემსრულებლები და პროფესიული ვოკალური ანსამბლები, აქ წარმოდგენილი იყო ხალხური მუსიკის ნამდვილი ნიმუშები და სტილიზაციებიც. კარგი იქნებოდა, სხვათა შორის, აუდიტორიისათვის აგვეხსნა თუ რა განასხვავებს ერთმანეთისაგან ფოლკლორული მუსიკისა და შემსრულებლობის ამ ფორმებს.

ძალიან მაღალი იყო ამ კონცერტის საშემსრულებლო დონე. განმაცვიფრა უნიკალურ ხალხურ საკრავებზე დაკვრის ვირტუოზულმა ტექნიკამ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქამანჩისა და დუდუკის დამკვრელები. განმაცვიფრა იმ პატარა ბიჭუნამ, ასეთი გატაცებით და შთაგონებით რომ მღეროდა ურთულეს აზერბაიჯანულ მუღამებს. ეროვნული თვითმყოფადობით მომხიბლა სომეხმა მომღერალმა ქალმა მანსურიანმაც. დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვეს საქართველოს საგუნდო კოლექტივებმა, მათ შორის იმ უხუცესმა მომღერლებმა, ასეთი ოსტატობით რომ მღეროდნენ დიდებულ მრავალხმიან გურულ სიმღერებს. ყოველივე ეს ხალხური პროფესიონალიზმის შესანიშნავი გამოვლინებაა. სასიხარულოა, რომ ამიერკავკასიაში, მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ შეწყვეტილა ზეპირი სასიმღერო ტრადიციების განვითარების პროცესი.

მსოფლიოში ცნობილია ხალხური მრავალხმიანობის უამრავი მაღალმხატვრული ნიმუში. ქართული მრავალხმიანობა ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და მშვენიერია. დიდი ხანია გასარკვევი და დასადგენია მისი დამოკიდებულება ევროპულ პოლიფონიასთან, რის შესახებაც მრავალი ჰიპოთეზა არსებობს.

ჩემი აზრით, ქართული პოლიფონია ევროპული პოლიფონიის დედაა, მისი მშობელია...

მუსიკისმცოდნე პ. არნოლდი (ლატვია):

ამიერკავკასიის მუსიკალურ ფესტივალზე განსაკუთრებულ მოვლენად იქცა ფოლკლორული მუსიკის კონცერტი. მან მოგვხიბლა თავისი მრავალფეროვნებით, ამოუწურავი ხალხური სიბრძნის ნაირგვარობით. ამ ფონზე უფრო მკვეთრად გამოჩნდა ის სირთულე და თავისებურება, რომელიც ფოლკლორული ხელოვნების ექსპონირებას ახასიათებს. ჩემი აზრით, არაა მიზანშეწონილი ფოლკლორული მასალის მიწოდების სხვადასხვაგვარი ფორმების აღრევა. ვგულისხმობ ხალხური შემოქმედების აუტენტური ნაწარმოებებისა და პროფესიულად სახეშეცვლილი ნიმუშების თანაარსებობის პრაქტიკას, რაც ერთგვარ დეზორიენტაციას იწვევს მსმენელში. ეს ამ კონცერტზეც გამოჩნდა.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ამ საღამოს ორგანიზატორებმა განგებ გაავლეს ზღვარი ფოლკლორული ხელოვნების ამ ფორმებს შორის. პირადად მე, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს დიდი მღელვარებითა და ინტერესით ვუსმენდი და ვუყურებდი, გამიძნელდა გადართვა ფოლკლორული მასალის მიწოდების ერთი სახეობიდან მეორეში. მთავარი კი ისაა, რომ პროფესიონალი შემსრულებლების გვერდით არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ თვითმოქმედების წარმომადგენლები. საქმე იმაშია, რომ მსმენელზე უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენენ სწორედ პროფესიულად გაწვრთნილი მომღერლები თუ მოცეკვავეები, რადგან ისინი კარგად ფლობენ არტისტული გამომსახველობის ჩვევებს, საგანგებოდ გავარჯიშებულ ხმასა თუ სხეულს. ამაზე მეტყველებდა მაყურებელთა და მსმენელთა რეაქ-

ცია, მათი სიმპათიები სწორედ აქეთკენ იყო მიმართული.

სინამდვილეში კი სცენური პრაქტიკით შეძენილი საკონცერტო პროფესიონალიზმი ერთგვარად ანეიტრალებს ხალხური მუსიკისა თუ ქორეოგრაფიის პირველქმნილ ბუნებრიობას. ამიტომაა, რომ სპეციალისტთა სიმპათიები ყოველთვის მიმართულია თვითმოქმედებისაკენ, რომელიც უბრალოდ გვაწოდებს ფოლკლორული მასალის უტყუარ ფორმებს.

ამგვარად, ჩვენ მივედით იმ ფრიად საჭირბოროტო საკითხთან, რომელიც ნათელს ჰფენს ფოლკლორის მდგომარეობას თანამედროვე პირობებში და მთელი აუცილებლობით ითხოვს მის აქტიურსა და სწორ პროპაგანდას.

ყველამ კარგა ვიცით, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სრულიად არ იცნობს მშობლიური ხალხური შემოქმედების უძველეს შრეებს. ამის გამო უჭირს მას ფოლკლორული სპეციფიკის აღქმა და შეთვისება. ჩვენ ისიც ვიცით, რომ მუსიკალური შემეცნება სტიქიურად არ ყალიბდება. მას გამომუშავება სჭირდება. ეს დიდი მისია უპირველესად მუსიკისმცოდნეებმა უნდა დაივალონ. მათ უნდა შექმნან ატმოსფერო ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციისათვის რადიოსა და ტელევიზიის, აგრეთვე ქმედითი საკონცერტო პრაქტიკის საშუალებებით. ოღონდ, ისე, რომ მისი სიწმინდე და პირვანდელი სახე არ შეილახოს. შესაძლოა, ზოგიერთის აზრით, ამ სახის ფოლკლორი განკუთვნილია მუზეუმისათვის, მაგრამ მუზეუმი ხომ ხელოვნების შესანიშნავი კერაა, სადაც ჩვენ ვიღებთ არა მარტო დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას, არამედ ვეუფლებით ცოდნასაც.

ასეა თუ ისე, ამ დიდ განძს მოვლა-პატრონობა სჭირდება. ეს აუცილებელია მისი დაცვისათვის, მოსახლეობაში მაღალი ზნეობის, გემოვნებისა და კულტურის დამკვიდრებისათვის...

მუსიკისმცოდნე Ე. ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲔᲕᲘ (მოსკოვი):

მახარებს, რომ მუსიკის ესოდენ დიდ ფორუმზე პირველად გაიმართა ძალზე მკვეთრი და ნაირგვაროვანი, თუმცა შინაგანად სადავო ფოლკლორული კონცერტი. როგორც იქნა დავრწმუნდით, რომ ხალხური შემოქმედება მშვენებაა ნებისმიერი მუსიკალური ღონისძიებისა. ასეთი კონცერტები საჭიროა არა მარტო ესთეტიკური სიამოვნების მიღების თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ იგი ნათელს ჰფენს თანამედროვე ეროვნული პროფესიული მუსიკალური კულტურების მდგომარეობას. მის ფონზე მკვეთრად ჩანს ყოველი კომპოზიტორის სახე, მშობლიურ ნიადაგთან მისი კავშირი. ამდენად, ფოლკლორული კონცერტი მთელი ფესტივალის ბარომეტრად იქცა.

მაგრამ მე, ფოლკლორისტი, ყველაფერმა როდი დამაკმაყოფილა. მომავალში ასეთი კონცერტი უფრო სხვაგვარად უნდა იყოს წარმოდგენილი. ფოლკლორული მუზიცირება განსაკუთრებული ჟანრია, მას ვერ მივუ-



მომღერალი მ. აზოვიანი მედუდუკეთა თანხლებით.



სომხეთის სსრ სახალხო არტისტი გ. შაგენი.

სომხეთის საგუნდო საზოგადოების გუნდი. ხელმძღვანელი — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. ცატურიანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



დგებით საესტრადო-საკონცერტო პრაქტიკაში ჩამოყალიბებული სტანდარტებით. უპირველესად, ვფიქრობ, საჭირო იყო ყოველი რესპუბლიკის წარმოდგენა დამოუკიდებლად. ე. ი. უნდა გამართულიყო სამი ფოლკლორული კონცერტი, რომელიც, ერთი მხრივ, აგვაცდენდა იმ სტილისტურ სიჭრელეს, აგრე რიგად რომ გამოსჭვიოდა და, მეორე მხრივ, შესაძლებლობას მოგვცემდა, წარმოგვეჩინა ამ კულტურების სხვადასხვა ასპექტი. ამას მოითხოვდა ამ ეროვნული ხალხური კულტურების მოცულობა, ხარისხი, მდგომარეობა.

ყოველი კონცერტი ისე უნდა ყოფილიყო აგებული, რომ შექმნილიყო ფოლკლორული სინამდვილის მკვეთრი სურათი. ხალხური შემოქმედების ცნობილ ნიმუშებთან ერთად გამოვიტანდით ფოლკლორული ექსპედიციების უახლეს შედეგებს, ხალხურ მასალაზე შექმნილ სხვადასხვა სტილისა და ჟანრის ნაწარმოებებს, უფრო ფართოდ წარმოვადგენდით ფოლკლორის პროპაგანდისტებსაც— ეთნოგრაფიულსა და პროფესიულ კოლექტივებს და სხვა.

ყოველივე ეს მსმენელსაც უფრო გაათვითცნობიერებდა და მუსიკოსებსაც დიდ საზრდოს მისცემდა.

არ დავფარავ, ამ კონცერტზე გული დამწყვიტა მსმენელის რეაქციამ. როგორც ჩანს, აუდიტორია არ იყო მზად, მან ვერ გაიგო ფოლკლორული კონცერტის მნიშვნელობა და დანიშნულება. როცა ესტრადაზე გამოვიდნენ უნიკალური გურულ-აჭარული მრავალხმიანი სიმღერების შემსრულებლები — შესანიშნავი მოხუცები, დარბაზში აქა-იქ სიცილი გაისმა. ესეც იმ დიდ ხარვეზებზე მოწმობს, ფოლკლორის პროპაგანდის საქმეს აგრე რიგად რომ ახასიათებს. ჩვენს საზოგადოებას არ გააჩნია ეთნოგრაფიულ კონცერტებზე დასწრების ტრადიცია, რადგან ასეთი კონცერტები ათასში ერთხელ იმართება ხოლმე.

სწორედ ესაა მიუტევებელი დანაშაული, რომელიც სწრაფად უნდა გამოვასწოროთ...

● ● ●

აზერბაიჯანის ხალხური ინსტრუმენტული ანსამბლი. ხელმძღვანელი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ქულიევი.



რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. ალიევი.



ხალხურ საკრავთა ტრიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის დღიური

28 მაისს საქართველოს სახელმწიფო დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური ფოლკლორის კონცერტი. I განყოფილებაში შესრულდა აზერბაიჯანული მუღამები და სიმღერები.

კონცერტში მონაწილეობდნენ: აზერბაიჯანის ხალხური ინსტრუმენტების ტრიო აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტის გ. მამედოვის (თარი), აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტის ტ. ბაკიხანოვის (ქამანჩა) და გ. ალიევის (დაირა) შემადგენლობით; აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი შ. ალეკპეროვა, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტები ა. ბაბაევი და მ. ალიევი, ნორჩი მომღერალი ი. ფაშაევი.

II განყოფილებაში წარმოდგენილი იყო სომხური ხალხური მუსიკა. კონცერტში მონაწილეობდნენ: სომხეთის სახელმწიფო აკადემიური საგუნდო კაპელა სომხეთის სსრ სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატ ო. ჩეკიჯიანის დირიჟორობით, ქორმეისტერი — სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ხ. მეიხანჯიანი, კონცერტმეისტერი — კ. თოფჩიანი.

სოლისტები — ა. მანსურიანი, მ. აბოვიანი, გ. შაგენი, ე. სარქისიანი, პ. ოგანესიანი, ა. კაზარიანი, ა. ხაჩატრიანი, ვ. შახნაზარიანი, ჯ. გასპარიანი, გ. გიურჯიანი, კ. სარგსიანი.

III განყოფილებაში შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. კონცერტში მონაწილეობდნენ: საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით (ქორეოგრაფი — რ. ჭოხონელიძე), ჩოხატაურის რაიონის კულტურის სახლის ფოლკლორული ანსამბლი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ო. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, საერთაშორისო კონკურსისა და საქართველოს სსრ ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „გორდელა“.

**ამიერკავკასიის** მუსიკალური ფესტივალი მაღალ დონეზე ჩატარდა. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემოქმედებითმა კავშირებმა, მათმა ხელმძღვანელებმა დიდი შრომა გასწიეს ესოდენ მრავალმხრივი და მასშტაბური ღონისძიების ორგანიზაციისათვის. ცხადია, ყველაზე მეტი სიმძიმე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა იტვირთა, მაგრამ ქართველმა ამხანაგებმა ამ სირთულეებს მშვენივრად გაართვეს თავი. მათი თავდადება, ენერგია, ენთუზიაზმი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გამოსჭვიოდა. ამიტომ გამოირჩეოდა ფესტივალი ასეთი ფართო გაქანებით, მთელი მისი განრიგი განხორციელდა განსაცვიფრებელი სიზუსტით. ჩვენ ყველამ დიდი მადლობა უნდა გამოვუცხადოთ საქართველოს კომპოზიტორთა ორგანიზაციას, მთელ მის აქტივს.

რა თქმა უნდა, ეს დიდი საქმე მარტო მათ არ უკეთებიათ. ფასდაუდებელია ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის წვლილი. ამ მხრივაც ყველაზე დიდი ღვაწლი საქართველოს პარტიულსა და საბჭოთა ხელმძღვანელობას მიუძღვის. მათი მხარდაჭერისა და აქტიური დახმარების გარეშე ჩვენ ყოველივე ამას ვერ გავწვდებოდით. სსრკ კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოს სახელით, ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალის ყოველი მონაწილის სახელით უღრმეს მადლობას მოვახსენებ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

მადლიერებით ვარ გამსჭვალული ამიერკავკასიის საშემსრულებლო ხელოვნების იმ მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების მიმართ, ესოდენ მაღალმხატვრული სახე რომ მისცეს მიმდინარე ფესტივალს, ჩვენ მოვუსმინეთ ჩინებულ სიმფონიურ, კამერულსა და საგუნდო კოლექტივებს, თბილისის საოპერო თეატრის ნიჭიერ დასს, შესანიშნავ დირიჟორებს, ინსტრუმენტალისტებს, მომღერლებს. სწორედ შემსრულებელთა წყალობით ბრწყინვალედ ჩატარდა ფესტივალის ყოველი კონცერტი, შესანიშნავად შესრულდა ამიერკავკასიის კომპოზიტორთა თითოეული ნაწარმოები.

ჩვენი შემსრულებლები ამ დღეებში, კომპოზიტორთა შემოქმედებითი „თვითნებობის“ გამო, არაერთხელ აღმოჩენილან რთულ ვითარებაში, მაგრამ მათ ღირსეულად დააღწიეს თავი ამ მდგომარეობას. გამოამჟღავნეს დიდსულოვნება, ტაქტი, საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება. შემსრულებლები რომ ჩვენი უპირველესი და უახლოესი მეგობრები არიან, ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს. უიმათოდ ფუჭია ჩვენი შემოქმედება. ხალხთან მათ მიაქვთ ჩვენი ნამოღვაწარი. ამჯერადაც სწორედ შემსრულებლებმა წარმოსახეს ამიერკავკასიის მუსიკალური კულტურის ესოდენ ფერსავსე პანორამა.

მიმდინარე ფესტივალმა დიდი ყურადღება მიიპყრო. მან მოიზიდა 200-ზე მეტი მუსიკოსი საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, სტუმრები საზღვარგარეთიდან. ასეთი დიდი ინტერესი შემთხვევითი როდია. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მუსიკას სახელი მოუხვეჭეს იმ გამოჩენილმა კომპოზიტორებმა, რომელთა შემოქმედება ყოველთვის პოულობს ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს. მათი დამსახურებაა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკა წარმოადგენს მთელი საბჭოთა მუსიკალური კულტურის ერთ-ერთ ყველაზე მკვეთრსა და თვითმყოფად უბანს. დღეს ამიერკავკასიის მუსიკალური ხელოვნება საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაცაა. ამიტომ აუცილებელია ამ ფესტივალის ჩატარება რეგულარულად 3 ან 4 წელიწადში ერთხელ.



სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, კომპოზიტორი ტ. ხრენიკოვი.

# სკკპ XXV ყრილობის მისადგომებთან

ტიხონ ხრენიკოვი

ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნა. სამწუხაროა, რომ საკონცერტო პროგრამებში არ იყო შეტანილი ის ნაწარმოებები, რომლებიც უშუალოდ ეხმიანებიან საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ამ უდიდეს თარიღს. ამდენად, ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი, ამ მხრივ, თითქოს სიმბოლური უფრო იყო.

ჩვენ ვიმყოფებით სკკპ XXV ყრილობის მისადგომებთან. ამ დიდ ისტორიულ მოვლენას პირნათლად უნდა შეხვდნენ საბჭოთა კომპოზიტორებიც. ჩვენ უნდა მკაცრად და მთელი სერიოზულობით ჩავუკვირდეთ არა მარტო საკუთარ შემოქმედებას, არამედ ჩვენი რესპუბლიკების მუსიკალურ ცხოვრებას, რათა საფუძვლიანად შევისწავლოთ მისი ავ-კარგი. ამ მხრივ, ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი წარმოადგენს იმ პირველ შემოქმედებით დათვალიერებას, XXV ყრილობის შესახვედრად რომ გაიმართა.

ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი ყოველმხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. კომპოზიტორთა საკავშირო პლენუმებსა და ყრილობებზე, სადაც 15-ვე რესპუბლიკის მუსიკაა ხოლმე წარმოდგენილი, ვეცნობით შემოქმედებითი მიღწევების იმ უმცირეს ნაწილს, რომელიც ვერ ასახავს რესპუბლიკების მუსიკალური ცხოვრების საერთო სურათს. მიმდინარე ფესტივალმა კი გაგვაცნო ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის მუსიკალური სინამდვილე, საშუალება მოგვცა ერთმანეთთან შეგვედარებინა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესები, ტენდენციები, რათა ყოველივე ამის საფუძველზე სათანადო დასკვნები გამოგვეტანა.

ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალის მაგალითს უნდა მიბაძონ ბალტიისპირეთისა და შუა აზიის რესპუბლიკებმაც.

მიმდინარე ფესტივალზე ყველაზე ფართო და მრავალფეროვანი სურათი წარმოაჩინეს ქართველმა კომპოზიტორებმა. მათ წარმოადგინეს ყველა ჟანრის ნაწარმოები — ოპერა, ბალეტი, ორატორია, სიმფონია, სხვადასხვა სახის კამერული ნაწარმოები, საგუნდო მუსიკა... აქ წარმოდგენილი იყო კომპოზიტორების ყველა თაობა, დაწყებული ქართული საბჭოთა მუსიკის კლასიკოსებიდან — ა. ბალანჩივაძიდან და შ. მშველიძიდან და დამთავრებული ახალგაზრდა ნიჭიერი ი. კეჭაყმაძით.

შ. მშველიძემ კვლავ გამოავლინა მაღალი ოსტატობა და უბერებელი შემოქმედებითი ძალები. მისმა IV სიმფონიამ გაგვიტაცა ბარაქიანი და ცოცხალი მუსიკით, ბრწყინვალე ჟღერადობით. ქართული საგუნდო მუსიკის კონცერტზე მშვენივრად აჟღერდა... 

მიმდინარე ფესტივალზე წარმოდგენილი იყო უკვე ფართოდ ცნობილი და საზოგადოების მიერ აღიარებული ის ნაწარმოებებიც, რომლებიც შესულია საბჭოთა მუსიკის ოქროს ფონდში. ასეთია ო. თაქთაქიშვილის ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი". წარმატებით შესრულდა ა. მაჭავარიანისა და დ. თორაძის სიმფონიები, რომელთა შესახებ ბევრი რამ შეიძლება ითქვას.

ფესტივალმა თვალსაჩინოდ გამოავლინა ქართველი კომპოზიტორების ინტენსიური შემოქმედებითი ზრდა და განვითარება. ამ მხრივ განმაცვიფრა და აღმაფრთოვანა კომპოზიტორ რ. ლაღიძის წინ-



სვლამ. ჩვენი საზოგადოებრიობა ყოველთვის თაყვანს სცემდა რ. ლაღიძის დიდ ტალანტს, მის სასიმღერო შემოქმედებას, რომელიც გვიპყრობს სიწმინდით, გულითადობით, ადამიანობით... მაგრამ მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი იმას, რომ მისი ნიჭი ასე გამოანათებდა საოპერო ფორმაშიც. რ. ლაღიძის შესანიშნავ ოპერას ფესტივალის მთელი აუდიტორია სულგანაბული უსმენდა. მისმა მუსიკამ გაგვიტაცა, დაგვატკბო, ცრემლებამდე აგვაღელვა. საქმე იმაშია, რომ ჩვენი კომპოზიტორები თითქოს ველარ აგებენ და ანვითარებენ იმ დიდ ვოკალურ სცენებს, რომლებსაც ოპერა „ლელაში" მიაღწია მინიატურის, სიმღერის ოსტატმა რ. ლაღიძემ. მისი ოპერა გამსჭვალულია მძაფრი ვნებებით, არტისტიზმით... იგი ჰიპნოზივით მოქმედებს მსმენელსა და მაყურებელზე. კომპოზიტორი შესანიშნავად იცნობს და გრძნობს ადამიანის ხმას, მის შესაძლებლობებს. ესეც იშვიათი ნიჭია. ამიტომაც მღერიან მომღერლები ასეთი სიამოვნებით, გატაცებით, მთელი არსებით. დიდ მადლობას ვუხდი რ. ლაღიძეს ამ მაღალი ხელოვნებისათვის, იმ დიდი სიამოვნებისათვის, ამ სპექტაკლზე რომ განვიცადეთ. ამით რ. ლაღიძემ დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარებაში.

ინტერესით ველოდი გ. ყანჩელის მეოთხე სიმფონიას. ამ უნიჭიერესმა კომპოზიტორმა ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ თავისი პირველი სიმფონიით, მაშინვე ვირწმუნეთ მისი ტალანტი. მას შემდეგ ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობა თვალყურს ადევნებს გ. ყანჩელის შემოქმედებას. მან ამჯერადაც აღგვაფრთოვანა. მისი მეოთხე სიმფონია იმდენად სახიერია, რომ მსმენელისთვის არაფერი რჩება გაურკვეველი. ამ ნაწარმოებში გ. ყანჩელმა დაამკვიდრა შუა საუკუნეების კოლორიტი, რაც მიღწეულია სადა და უბრალო, მაგრამ მკვეთრი და შთამბეჭდავი საშუალებებით. სიმფონია ყურადღებას იპყრობს მჟღერადი მასივებისა და თითქოს გულუბრყვილო ბგერადობის დაპირისპირებებით, ესოდენ მძაფრი კონტრასტებიდან ამოზრდილი სილამაზით. მეოთხე სიმფონია გ. ყანჩელის დიდი გამარჯვებაა. ვუსურვებ მას შემდგომ წარმატებებსა და წინსვლას.

ბევრი რამ კარგი შეიძლება ითქვას ვ. აზარაშვილის საალტო კონცერტზე. ამ ნაწარმოებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მით უფრო, რომ ალტი რთული ინსტრუმენტია, რის გამოც საალტო ლიტერატურა მეტისმეტად ღარიბია მაღალმხატვრული ნაწარმოებებით. ვ. აზარაშვილის კონცერტი ყურადღებას იპყრობს ნამდვილი, ცოცხალი მუსიკით, პოეტურობით... იგი მშვენივრადაა ჩაფიქრებული და გადაწყვეტილი.

ფესტივალზე ქართული მუსიკა ერთიან მონოლითად წარმოგვიდგა. ეს მონოლითი ძალზე მრავალფეროვანიცაა, რადგან გამსჭვალულია მკვეთრი ინდივიდუალობებით, ნაირგვაროვანი მუსიკით. ამიტომაა თანამედროვე ქართული მუსიკა ესოდენ მდიდარი. დიახ, ჩვენს წინაშე მთელი სისავსით გამოიკვეთა ქართული საბჭოთა მუსიკის ძალა, მისი ამოუწურავი პოტენცია. ყოველივე ამაზე ხმამაღლა უნდა ვილაპარაკოთ...

სამწუხაროდ, ვერ დავესწარი აზერბაიჯანის მუსიკის კონცერტებს, რომელთა შესახებ მიმდინარე დისკუსიაზე ბევრი რამ საინტერესო და საყურადღებო ითქვა. აღინიშნა წინააღმდეგობებიც. თავისი არსებობის მანძილზე აზერბაიჯანული პროფესიული მუსიკალური კულტურა გიგანტური ნაბიჯებით განვითარდა. დღეს ამ რესპუბლიკაში აქტიურად მოღვაწეობს უნიჭიერესი კომპოზიტორების მთელი რაზმი, რომელიც საბჭოთა მუსიკის საგანძურს დღენიადაგ ამდიდრებს ახალ-ახალი მიღწევებით.

საფუძვლიანი მსჯელობის საგნად იქცა ფესტივალზე წარმოდგენილი სომხური მუსიკაც. მაღალი შეფასება დაიმსახურა გამოჩენილი კომპოზიტორების:



შეხვედრა თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში.

მანავის საბჭოთა მეურნეობაში.

ა. ტერტერიანის, ე. ოვანესიანის, ა. აჯემიანის, ლ. სარიანის, ე. მირზოიანის, ა. ბაბაჯანიანისა და სხვათა ნაწარმოებებმა. მათ შუქზე თვალსაჩინოა თანამედროვე სომხური მუსიკის შეუნელებელი წინსვლა. იგი დღითი დღე მდიდრდება მაღალმხატვრული შემოქმედებითი მონაპოვრებით. მაგრამ ამ ფონზე უფრო მკვეთრად გამოჩნდა ის ფრიად სერიოზული წინააღმდეგობაც, რომელშიც აღმოჩნდნენ ახალგაზრდა სომეხი კომპოზიტორები.

ჩვენ მხურვალედ ვესალმებით ახალგაზრდა კომპოზიტორთა წინსვლასა და დაოსტატებას, ტექნიკური ხერხების შეიარაღების ინტენსიურ პროცესსაც. მაგრამ ზოგიერთი ახალგაზრდა კომპოზიტორის შემოქმედებაში მეტისმეტად გახანგრძლივდა ტექნიკური შეიარაღების ეს პროცესი. მეტად უცნაურია აგრეთვე ესოდენ მოჭარბებული ინტერესი თორმეტტონიანი სისტემისადმი.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ნიშანდობლივი შემთხვევა. 1959 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა საბჭოთა კომპოზიტორების ერთი ჯგუფი: დ. შოსტაკოვიჩი, დ. კაბალევსკი, ფ. ამიროვი, ე. დანკევიჩი. მათ შორის მეც გახლდით. ვეცნობოდით ახალგაზრდა ამერიკელი კომპოზიტორების შემოქმედებას. ამ მისიით ვეწვიეთ ცნობილ უნივერსიტეტებს. ახალგაზრდა მუსიკოსები აქ გატაცებული იყვნენ თორმეტტონიანი სისტემით. მოვუსმინეთ ამ სისტემით დაწერილ სხვადასხვა ავტორთა მრავალ ნაწარმოებს. მაგრამ მათი მუსიკა იმდენად ერთნაირი იყო, რომ გეგონებოდათ მთელი ეს უზარმაზარი პროდუქცია ერთ პიროვნებას შეუქმნიაო. ეს იყო ძალზე მოსაწყენი, ერთფეროვანი მუსიკა. მთავარი კი ისაა, რომ ამ ახალგაზრდა ავტორებმა თხოვნით მოგვმართეს — დახმარება აღმოგვიჩინეთ ჩვენი ნაწარმოებების შესრულებაშიო. ასეთმა ვითარებამ დაგვაინტერესა. მათვე აღიარეს, რომ ამდაგვარ მუსიკას ამერიკაში არა აქვს გასავალი, არა ჰყავს შემსრულებელიო. ბუნებრივია, რომ ჩვენ ამ ახალგაზრდებს საკუთარი შემოქმედებითი პალიტრის გაფართოება ვურჩიეთ. მივუთითეთ იმ ღირსეულ ტრადიციებზე, რომლებსაც ამკვიდრებენ და ანვითარებენ გამოჩენილი ამერიკელი კომპოზიტორები. სხვაგვარად ისინი ვერ გამოვიდოდნენ ესოდენ ფუჭი მდგომარეობიდან.

თხოვნით მივმართავ ჩვენს ახალგაზრდებს — სერიოზულად ჩაუკვირდნენ საკუთარ შემოქმედებით პრაქტიკას, დაფიქრდნენ თავიანთ იდეალებზე, არ უარყონ კაცობრიობის უდიდესი მონაპოვრები, არ დაგმონ მშობლიური ტრადიციები. მათ გააჩნიათ მრავალი მისაბაძი მაგალითი, როგორც მსოფლიოს მუსიკალური პრაქტიკიდან, ისე საბჭოთა მუსიკისა და ცალკეული ეროვნული სკოლების დიდი გამოცდილებიდან. შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს თუნდაც პროკოფიევის შემოქმედება, რომელიც დიდ პერსპექტივებს სახავს ყოველი კომპოზიტორის წინაშე მელოდიზმის, რიტმიკის, ჰარმონიის, კოლორიტისა და ა. შ. სფეროში. სამაგალითოა ყოველ რესპუბლიკაში მოღვაწე უფროსი თაობის გამოჩენილი კომპოზიტორების შემოქმედება...

საბჭოთა მუსიკა ყველაზე პროგრესულია მთელ მსოფლიოში. ამას აღიარებენ ყველგან, და არა მარტო ჩვენი მეგობრები. დარწმუნებული ვარ, რომ წარსულის უდიდესი მუსიკალური კულტურიდან ამოზრდილი საბჭოთა მუსიკის შესანიშნავი ჰუმანისტური ტრადიციები, მისი დიადი მონაპოვრები, შექმნილი საბჭოთა კომპოზიტორების ტალანტით, შრომით, ოსტატობით, კვლავაც შეუნელებლად განვითარდება. საბჭოთა მუსიკალური კულტურა მომავალშიც იქნება ყველაზე მოწინავე, ყველაზე პროგრესული, ყველაზე მშვენიერი...

● ● ●

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის დღიური

1 ივნისს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ფესტივალ „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის" დახურვისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო კონცერტი. პროგრამაში იყო აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი კომპოზიტორების საესტრადო სიმღერები. პირველ განყოფილებაში შესრულდა აზერბაიჯანული ხალხური და საესტრადო სიმღერები. კონცერტში მონაწილეობდნენ: აზერბაიჯანული ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი ა. დადაშევის ხელმძღვანელობით, ინსტრუმენტული ანსამბლი „ოპტიმისტები" აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რესპუბლიკის ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის ფ. ბიულ-ბიულ ოღლის ხელმძღვანელობით, სოლისტები — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი ზ. ხანლაროვა და ფ. ბიულ-ბიულ ოღლი.

მეორე განყოფილებაში შესრულდა ა. ბაბაჯანიანის, ე. ბაღდასარიანის, ა. არუთინიანის, ა. აჯამიანის, ე. ოგანესიანის, კ. ორბელიანისა და სომხეთის სხვა თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებები. კონცერტში მონაწილეობდნენ: სომხეთის ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო ორკესტრი მ. მავისაკალიანის ხელმძღვანელობით, სომხეთის სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი დ. ხანჯიანის ხელმძღვანელობით, სომხეთის საგუნდო საზოგადოების გუნდი ე. ცატურიანის ხელმძღვანელობით, სოლისტები — ავეტისიანი, ზ. ტონიკიანი, ლ. ხომიანცი, ა. აბრამიანი.

მესამე განყოფილებაში შესრულდა ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერები — გ. ცაბაძის, ჯ. კახიძის, ვ. აზარაშვილისა და სხვათა ნაწარმოებები. კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი გ. გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა" რ. ბარძიმაშვილის ხელმძღვანელობით, სოლისტები — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ბრეგვაძე და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვ. კიკაბიძე.

კონცერტის დასასრულს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საესტრადო კოლექტივებისა და სოლისტების ერთობლივი მონაწილეობით შესრულდა კომპოზიტორ ნ. მამისაშვილის მიერ ამ ფესტივალისთვის დაწერილი საესტრადო სიმღერა „მაისი, ძმობა და სიყვარული" (მ. ფოცხიშვილის სიტყვებზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“

რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტის მე-4 კურსის სპექტაკლი*, რომელიც მათ 1974-75 სასწავლო წლის დასასრულს წარმოადგინეს, როგორც სადიპლომო ნამუშევარი, მიეძღვნა დიდ სამამულო ომში დაღუპულ ახალგაზრდებს.

თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე განხორციელებული ეს წარმოდგენა თავისი ჟღერადობით გასცდა ინსტიტუტის ფარგლებს და მოვლენად იქცა ქართული თეატრის მიმდინარე სეზონის ცხოვრებაში.

თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე არაერთი შესანიშნავი წარმოდგენა დადგმულა, მაგრამ ასეთი აღიარება არც ერთს არ რგებია. შთაბეჭდილება განსაკუთრებულია, ეს ნათელი იყო პირველსავე საჯარო წარმოდგენაზე, სადაც პროფესიონალი მაყურებლის საათ-ნახევრიან სულშეგუბებულ და ცრემლიან თანაშემოქმედებას მოჰყვა სხვადასხვა სახელოვნო დაწესებულებიდან მომდინარე წინადადებები იმის შესახებ, რომ ჯგუფის დაშლა არ შეიძლება, არ შეიძლება სპექტაკლის მხოლოდ რამდენჯერმე ჩვენება, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, რომ მ. თუმანიშვილის ხელმძღვანელობით მომუშავე ჯგუფის მიერ შექმნილი ეს წარმოდგენა უნდა ნახოს მრავალმა ადამიანმა, განსაკუთრებით — ახალგაზრდობამ. მართლაც, სპექტაკლი რამდენჯერმე დაიდგა ინსტიტუტში (დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივთან შეხვედრაზე ინსტიტუტს გარეთ, ძერჟინსკის სახელობის კლუბში, ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში ომის ვეტერანებთან შეხვედრაზე და თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლების კვირეულზე).

ფართო საზოგადოების წინაშე გამოსვლამ კიდევ უფრო მეტად გაუთქვა სახელი ახალგაზრდების ნამუშევარს. ქართული თეატრის ცხოვრებით დაინტერესებულნი კითხულობდნენ — სად და როდის შეიძლება ვნახოთ თეატრალური ინსტიტუტის ეს სპექტაკლიო.

რა მოხდა? რით დაიპყრო წარმოდგენამ „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ ძნელად მოსანადირებელი პროფესიონალები, რიგითი მაყურებელი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენი ახალგაზრდობა? ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ სასწავლო დანიშნულების წარმოდგენაა, მოსწავლეთა ნამუშევარი?

ჯგუფი, რომელმაც სპექტაკლი წარმოადგინა, მსახიობ-რეჟისორთა მეორე ე. წ. ექსპერიმენტული ჯგუფია, რომელიც სცენის ხელოვნებას ინსტიტუტში მ. თუმანიშვილის ხელმძღვანელობით სწავლობდა. ექსპერიმენტის მიზანია სამსახიობო და სარეჟისორო ჯგუფების ერთობლივი აღზრდა, რათა ისინი ერთობლივად დაეუფლონ იმას, რაც განმსაზღვრელი მნიშვნელობისაა ხელოვნების ამ დარგისათვის — სცენური სიცოცხლის უწყვეტი პროცესის შექმნის საიდუმლოს.

სცენის ხელოვნების შესწავლა სტანისლავსკის ე. წ. ქმედითი ანალიზის მეთოდის მომარჯვებით მიმდინარეობდა. ეს მეთოდი სიტყვის დაბადების საწყისს ეძებს და ადგენს, ქმნის მომავალი სცენური სიცოცხლის მთლიან კონსტრუქციას. ის მოითხოვს ყოველი ცალკეული ქმედითი ელემენტის ამ მთლიანი კონსტრუქციის ასპექტში გააზრებას.

---

* მ. გეგიას სცენური კომპოზიცია ა. ფადეევის რომანის მიხედვით. მონაწილეობენ: ზ. ანთელავა, მ. არაბული, ნ. ბაგრატიონი, პ. ბარათაშვილი, ნ. გაგნიძე (II კურსის სტუდენტი), გ. გუგუჩია, ქ. დოლიძე, ი. იანტბელიძე, რ. იმნაიშვილი, ა. იმნაძე, ბ. კაკაბაძე, ნ. კოპაძე, ნ. მამულაიშვილი, ზ. მინდიკაური, ზ. მიქაშავიძე, გ. ნიკოლაიშვილი, ლ. რეხვიაშვილი, მ. სურმავა, მ. ქარჩავა, მ. ჯინორია, დ. ჯოჯუა.

რეჟისორები: ქ. დოლიძე, ნ. ბაგრატიონ-გრუზინსკი, ა. იმნაძე, ც. ნაკაშიძე. პედაგოგები: ნ. ლორთქიფანიძე, გ. ჩერქეზიშვილი. მხატვარი: თ. გომელაური (სამხატვრო აკადემიის მე-4 კურსის სტუდენი). მეტყველების პედაგოგები: დოც. ბ.ნიკოლაიშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. საღარაძე, საქართველოს სსრ დამსახ. არტისტი ზ. კვერენჩხილაძე.

მუსიკალური გაფორმება — ი. ბობოხიძის (ხელ. დამს. მოღვ) და გ. ჩუბინიძისა.

სპექტაკლის წამყვანი — ზ. მინდიკაური.

დადგმის მხატვრული ხელმძღვანელი — საქ. სსრ სახ. არტ, პროფ. მ. თუმანიშვილი.

სადადგმო ნაწილის გამგე — ა. პირტახია. სცენის მთავარი მემანქანე — კ. თაბუაშვილი. გამნათებელი— შ. გეგელაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამიტომ დასაწყისი დასასრულითაა განპირობებული და კონსტრუქციის ყველა საყრდენი ცნობიერია.

მ. თუმანიშვილის აზრით, სათეატრო სასწავლებელი უნდა ზრდიდეს არა ცალკეულ მსახიობებსა და რეჟისორებს, არამედ სცენის ხელოვანთა კოლექტივს, რომლის წევრებსაც აქვთ გარკვეული შემოქმედებითი რწმენა, გარკვეული მხატვრული პოზიცია. ამიტომ შეუძლიათ შექმნან საკუთარი თეატრი, შესაძლოა, პატარა, მაგრამ მაინც საკუთარი, რადგან საკუთარი სიტყვა აქვთ სათქმელი ცხოვრებაზე. აქედან გამომდინარე შეარჩევენ ნაწარმოებს დასადგმელად.

სცენის ხელოვნება არ არსებობს მწერლობის გარეშე. რადგან თავისი სათქმელი სცენის ხელოვანებმა მწერლის მიერ დაწერილის სცენაზე გაცოცხლებით უნდა თქვან, ავტორის ჩანაფიქრის ამოხსნა და მისი მწერლური ინდივიდუალობის შენარჩუნება აუცილებელი თეატრალური ამოცანაა. რადგან შრომის შედეგი მხატვრული ნაწარმოებია (მოწაფური, მაგრამ მაინც მხატვრული, რადგან მას სახელოვნო სასწავლებლის მოსწავლე ქმნის!) — მასში ყველაფერი გააზრებული უნდა იყოს. ლოგიკისა და ჰარმონიის გარეშე არ არსებობს მხატვრული მოვლენა. უნდა იყოს ოსტატური — დამუშავებული, დახვეწილი, ზედმეტობისგან თავისუფალი. დღევანდელი სტუდენტი მომავალში ხომ მხატვრულად სრულქმნილი ნაწარმოების შემქმნელი უნდა იყოს! მაშასადამე, სწავლების პროცესიც ამ მიზნით უნდა იყოს წარმართული — მომავალი ხელოვანი თავიდანვე უნდა ისწრაფვოდეს იდეალისკენ.

როგორ გამოვლინდა ეს ყოველივე სადიპლომო სპექტაკლში „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“?

ამ დადგმას წინ უძღოდა აღნიშნული კურსის მიერ წარმოდგენილი ცოცხალი სურათები („რომეო და ჯულიეტა“, „მაკბეტი“, „ტარტიუფი“) და სპექტაკლები: „მსხვერპლი“, „სისხლიანი ქორწილი“ და „კარებს აჯახუნებენ“. ეს ხომ გააზრებული რეპერტუარია, განსხვავებულ მწერალთა განსხვავებული ხელწერა! როგორც ვხედავთ, მ. თუმანიშვილი სცენის მომავალ ხელოვანებს სწავლების პროცესშივე აჩვევს ლიტერატურული მასალის თავისებურებათა ძიებას. ამიტომ ამოცანებიც ასეთი განსხვავებული იყო — შექსპირის, მოლიერის, კლდიაშვილის, გარსია ლორკას, ფერმოს, ფადეევის პოეტური სამყაროს წვდომა და განსხეულება სპექტაკლის ყველა კომპონენტში.

მ. გეგიას კომპოზიცია არაა ფადეევის რომანის ინსცენირება, ამიტომაც ეწოდება არა „ახალგაზრდა გვარდია“, არამედ „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“. სათაური არაა შემთხვევითი. ამაზე პირდაპირ მიგვითითებს წარმოდგენის დასაწყისი: ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი ჰფიცავს სამშობლოს. მაყურებლისთვის ნათელია — ეს ახალგაზრდები ერთი რწმენით არიან გამსჭვალულნი, ისინი ერთად იბრძოლებენ იმისთვის, რაც სწამთ: ისიც ნათელია, რომ ეს არაა სპექ-

სცენა სპექტაკლიდან „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“.



ნათელა ურუშაძე

ტაკლი წარსულის შესახებ — ამ სპექტაკლით ახალგაზრდებს საკუთარი სიტყვა აქვთ სათქმელი დღევანდელსა და ხვალინდელზე, იმაზე, თუ როგორ წარმოუდგენიათ საკუთარი ცხოვრების აწმყო და მომავალი.

წარმოდგენა ერთ საათსა და ოც წუთს მიმდინარეობს. მისი ლიტერატურული საყრდენი არ მოიცავს რომანის გმირთა ამბავს მთლიანად, მის სიუჟეტს. მას სურს გადმოგვცეს ა. ფადეევის რომანში აღწერილი დროისა და მოვლენების სულისკვეთება, მისი კავშირი და ნათესაობა დღევანდელობასთან.

ა. ფადეევის რომანი მტერთან ხელჩართული ბრძოლის წლებში იწერებოდა. იგი გამსჭვალულია მტრისადმი სიძულვილით და თავგანწირვის, აუცილებელი გამარჯვების რწმენით. არავითარი ნიუანსები და ქვედინებანი, უჩინარი სვლები და გადასვლები—ყველაფერი უნდა ითქვას პირდაპირ, აშკარად, უყოყმანოდ.

სპექტაკლი პლაკატურია. ყოველი ეპიზოდი პირდაპირი, ყველასათვის ერთნაირად დასანახი და გასაგები აზრითაა დატვირთული, ყოველი ეპიზოდი ცალკეული პლაკატია, ფერადი სლაიდი, რომელიც საპროექციო აპარატის წყალობით წყვეტილად, მაგრამ თანმიმდევრულად წარმოგვიდგენს ახალგაზრდა გვარდიელთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებს. ამგვარ ასოციაციას იწვევს სპექტკლის თავისებური სტრუქტურა, მისი მსვლელობის არქიტექტონიკა, ყოველი ეპიზოდი სიბნელეში იბადება და სიბნელეში ქრება, თითქოს ფერად სლაიდებად ქცეულ გმირთა ცხოვრების ეპიზოდებს ვიღაც საპროექციო აპარატში აწყობს და იღებს, აწყობს და იღებს...

სპექტაკლის ეს მხატვრული პრინციპი, როგორც ჩანს, რომანის ლიტერატურული კომპოზიციის წყვეტილობითაა განპირობებული. ბელეტრისტული ნაწარმოების ყოველნაირი გადაკეთებისთვის დამახასიათებელი წყვეტილობა და ფრაგმენტულობა ამ გზითაა დაძლეული. მ. თუმანიშვილს არ უცდია კომპოზიციის დრამატურგიული გამოსწორება — მან კომპოზიციის ფრაგმენტულობა დადგმის პრინციპად აქცია: ფერად სლაიდებად წარმოგვიდგინა წამიერი სიბნელით გატიხრული ახალგაზრდა გვარდიელთა ცხოვრების დაძაბული ეპიზოდები. მაგრამ თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე წარმოდგენილი სპექტაკლის ცალკეული სურათი, ჩვეულებრივი სლაიდისაგან განსხვავებით, უაღრესად დინამიკურია. დინამიკის საფუძველია კონფლიქტი, რომელსაც ეპიზოდი ეფუძნება, სურვილები, რომელთა განხორციელებისთვისაც იბრძვის ყველა პერსონაჟი და პრინციპი ეპიზოდის რიტმული აგებისა, რომელსაც მიმართავს დადგმის ხელმძღვანელი. ყოველი ეპიზოდი იწყება ხაზგასმით მშვიდად და მთავრდება უკიდურესი სიძლიერის გამოვლინებით — სიტყვიერად, პლასტიკურად, მუსიკალურად... ამავე პრინციპს ემორჩილება სპექტაკლის დასაწყისი და დასასრული: სიბნელეში ჯგუფად ჩაჩოქილი ბავშვების ჩუმი ფიცი და ერთ[illegible] ჯგუფად შეკრულ ფეხზე მდგარ გვარდიელთა „ინტერნაციონალი"... და ზარები, ზარები... მათი რწმენის გამარჯვების მაუწყებელი ზარები.

ამ რომანტიკული სპექტაკლის ყოველი ეპიზოდი ცხოვრებისეულად მართალი, ადამიანური გრძნობებით გამთბარი და ნიუანსებით გაფაქიზებულია. ასე წაიკითხეს დღეს ა. ფადეევის რომანი მ. თუმანიშვილმა და მისმა სტუდენტებმა.

ა. ფადეევის რომანის გმირები დღეს უკვე ქრესტომათიულად არიან ცნობილნი. ალბათ ამიტომაცაა, რომ წარმოდგენა „ახალგაზრდა გვარდიის სახელით" არ ისახავს მიზნად ამ თემატიკის ხელახალ ჩვენებას ან შეხსენებას. სპექტაკლის შემქმნელებისათვის მთავარია არა ცალკეულ გმირთა ცხოვრების ჩვენება, არამედ ის, თუ როგორ გადაიქცა მათი ბავშვური მონაწილეობა სამამულო ომში ახალგაზრდების ერთობლივ, შეგნებულ ბრძოლად სამშობლოსათვის, საკუთარი რწმენისათვის. აქედან გამომდინარე, მთავარია არა ახლგაზრდების დაღუპვა, არამედ მათი მოქალაქეობრივი პოზიციის, ცხოვრებისეული მრწამსის ჩამოყალიბების პროცესი. ამავე დროს ყოველ პერსონაჟს აქვს ცხოვრების საკუთარი ხაზი, ზუსტად დადგენილი და გააზრებული დამოკიდებულება ერთმანეთისა და იმ მოვლენისადმი, რომელიც ხდება. სპექტაკლის დედააზრი — ბავშვების შეგნებულ, თავგანწირულ ადამიანებად გადაქცევა — მაყურებლის თვალწინ მიმდინარეობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იდეა ქმედითად, თეატრალურადაა მოწოდებული. ამიტომაც ეს სპექტაკლი თეატრალურადაა პლაკატური და არა გრაფიკულად, ან ფერწერულად. რომანის ავტორის სულისკვეთებასთან დაახლოების სურვილს გამოხატავს ორი გოგონა (მ. არაბული, ნ. კოპაძე), რომლებსაც ერთი სიტყვაც არა აქვთ საქმელი, მაგრამ მთელი სპექტაკლის მეგზურებად გვევლინებიან და ომის დროის პლაკატებს მოგვაგონებენ. გმირთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებში ისინი პლასტიკურად გამოხატავენ იმას, რაც ხდება: სახეშეშლილნი, საზარელი ყვირილით პირველები შემოვარდებიან სცენაზე და კრასნოდონში გერმანელების შემოსვლას გვაუწყებენ... როცა პერვომაიკის ქუჩაზე მდებარე სახლის სარდაფში ფაშისტების არაადამიანური გულქვაობით შეძრწუნებული გვარდიელები ქვითინით ჰფიცავენ და ქვითინით მღერიან ინტერნაციონალს, — კიბის თავზე მდგარი, ხელაპყრობილი გოგონები ფიცის სიმტკიცეს პლასტიკურად გამოხატავენ, თავგანწირვისკენ მოგვიწოდებენ... გვარდიელების ჩავარდნაც ყველაზე ადრე მათ გვაუწყეს მუხლზე დაცემითა და უხმო გოდებით...

სპექტაკლის მხატვრული გადაწყვეტა განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება დეკორაციულ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმებაში (მხატვარი ო. გომელაური, თბილისის სამხატვრო აკადემიის მე-4 კურსის სტუდენტი). სცენა ცარიელია, თეთრი ეკრანის ფონზე ჟანგმოკიდებული რკინის ვიწრო, კლაკნილი მილებისგან შეთხზული უჩვეულო ნახატი აღმართულა. არაფერს კონკრეტულს ის არ გამოხატავს, მხოლოდ მოგვაგონებს ყუმბარებისგან დანგრეული ხიდებისა და შენობების არმატურას — რკინის ღობეს, საკონცენტრაციო ბანაკების მავთულხლართებს, ხის ტოტებს... ამდენი ასოციაციის გამომწვევი ჟანგიანი რკინის მილები წვრილია, მაგრამ განსაცვიფრებლად მყარი და გამძლე... როგორც ის გოგონები და ჭაბუკები, გაუგონრად ძლიერნი რომ აღმოჩნდნენ მტერთან ბრძოლაში. ეს დანადგარი არაა ილუსტრაცია, ეს არის სახე, მხატვრული განზოგადება იმისა, რაც უნახავთ და განუცდიათ ადამიანებს ომის დროს.

მცირე დეტალის მოშველიებით ეს უცვლელი დანადგარი მრავალი საჭიროებისთვისაა გამოყენებული: როგორც ტოტი, რომელზედაც ჩამოსკუპებულა ვალია ბორცი (მ. სურმავა) და გასცქერის გზას, საიდანაც გერმანელები უნდა შემოვიდნენ. პატარა კიბე, სარკმლის ჩარჩო — და ეს დანადგარი უკვე სარდაფია... თასმით დამაგრებული თეთრი ფარდა — და დანადგარი სონიას ოთახად იქცევა... როცა ბრუკნერი (ნ. ბაგრატიონი) თავის ტანსაცმელს ჩამოკიდებს ზედ — დანადგარი გერმანელთა შტაბად გადაიქცევა, ხოლო როცა ზემნუხოვი (მ. ჯინორია) მის კუთხეში მოკალათდება — ციხის საკნად. ეკრანზე კი დროდადრო ბავშვის ნახატები ჩნდება: 1942 წელი... გოგონა იისფერ ფონზე... ხელჩაკიდებული ბავშვები... პაწაწინა ხელის ანაბეჭდი... მზე...

თეთრი ეკრანის ფონზე რკინის კლაკნილი დანადგარი განსაკუთრებით დინამიკურია. შავი, სამუშაო რეიტუზებით მოსილი სხეულები ხან ცალკეულ ფიგურად (ლიუბკა — დ. ჯოჯუა), ხანაც ჯგუფურ ფიგურებად იკვეთებიან. როცა სერიოჟკა ტიულენინის (ბ. კაკაბაძე) მიერ აფეთქებული გერმანელთა შტაბი ცეცხლის ალში გახვევა, ალი ეკრანსაც ედება. ალისფერი ეკრანის ფონზე ბავშვების შავი ფიგურები კიდევ უფრო მუქდება. ისმის ულიანა გრომოვას (ქ. დოლიძე) გულიდან ამონახეთქი სიტყვები: „...საშინელია, რომ ამაში ჩვენი ხელი არ ურევია"... ეს ჯგუფიც ყუმბარების ცეცხლის ჭვარტლით ირუჯება და ერთი წამით ომში დაღუპული ახალგაზრდების სკულპტურად იქცევა.

სპექტაკლის ნახატში, რომელსაც ერთად ქმნიან რეჟისორები, მხატვარი და მსახიობები, თავიდან ბოლომდე დაცულია შტრიხებით გამდიდრებული პლაკატის პრინციპი — არა საჩინო, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალებით გამდიდრებული პლაკატისა. ასე მაგალითად, წითელი ალამი, აბრეშუმის დიდი ნაჭერი, რ.ომელიც გვარდიელთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტში გერმანელთა შტაბის თავზე აფრიალდება, მცირე ზომის ნაჭრის სახით სპექტაკლის პირველივე წუთიდანაა გაბმული დანადგარის ერთ ხლართში. ის თავიდან ყურადღებას არ იპყრობს, მაყურებელმა მხოლოდ შენიშნა იგი. ეს საკმარისია იმისთვის, რომ მაყურებელი შემზადებულად ჩაითვალოს წითელი ფერის გაბატონებისთვის სპექტაკლის უმნიშვნელოვანეს ეპიზოდში.

როცა ახალგაზრდები სარდაფში იკრიბებიან და კულეშოვის განდევნის მღელვარე ეპიზოდი მიმდინარეობს, მიზანსცენის მიხედვით, ყველანი ღუმელის გარშემო სხედან. ეს ბუნებრივია და ცხოვრებისეული, მაგრამ რკინის მრგვალი ღუმელი დაბალია და ამის გამო კომპოზიციის შუაგული ჩავარდნილი აღმოჩნდებოდა, რეჟისორებსა და მხატვარს ღუმელიდან მბჟუტავი ცეცხლის კვამლის ვიწრო, ხვეული ზოლი რომ არ ამოუშვათ. ეს სუსტი ზოლი, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება გაწყდეს, მიზანსცენის კომპოზიციური ცენტრიცაა და ამავე დროს ფაქიზი შეხსენება იმისა, რაც დაკავშირებულია ცეცხლთან, სითბოსთან, სიმყუდროვესთან, მშვიდობიან ცხოვრებასთან, რაც ასე უსამართლოდ წაართვეს ახალგაზრდებს. ასეთივე ფაქიზია ვანიას (მ. ჯინორია) და კლავას (ნ. გაგნიძე) ცრემლიანი, გულუბრყვილო სამიჯნურო სცენის ერთი დეტალი — ორი ახლომხედველი ბავშვის ძირს დავარდნილი სათვალე.

...ბავშვებმა გადაწყვიტეს 7 ნოემბერს გერმანელთა შტაბის თავზე წითელი დროშა ააფრიალონ. იციან, რომ შეიძლება უკან ცოცხლები ვეღარ დაბრუნდნენ... გვესმის გამიჯნურებულ წყვილთა ხმამაღალი ფიქრები — ის სიტყვები, რომლებსაც მხოლოდ ერთმანეთს ეუბნებიან ჩუმად და იშვიათად. შემდეგ ყველა თავის წილ დროშის ნაჭერს უბეში იკეცავს და შტაბისკენ მიმავალ გზას მიჰყვება.

...ახალგაზრდები გარს ახვევიან სასიკვდილოდ დაჭრილ ლევაშოვს. როდესაც სერგეი ეკითხება ლიუბკას, გიყვარდი თუ არაო, ნახევარრკალად შეკრული ამხანაგები ზურგშექცევით დადგნენ — მათ მიჯნურები მარტო დატოვეს. შეძრწუნებული ლიუბკა ფეხზე ვერ დგება, ჩოქვით მიდის მომაკვდავისკენ, თან ზურგშექცევით მდგარი მეგობრების გამოწვდილ ხელებს ეყრდნობა.

...რკინის დანადგარი აქ ციხის კედელია. ამ კედელს ნაწამები ბავშვები მიყრდნობიან. კედლის წინა მხარეს, კუთხეში ვანია ზემნუხოვი ზის. ისინი ვერ ხედავენ ერთმანეთს... შემდეგ ისმის კაკუნი — რკინის კედელმა ხმა ამოიღო, ის ხმა, რომლითაც პატიმრები ერთმანეთს ელაპარაკებიან. ამ მცირე ხმოვანი დეტალით ბავშვთა საპყრობილეს ხატი შეიქმნა.

ახალგაზრდა გვარდიელთა უაღრესად დაძაბუ-

ლი ცხოვრება იუმორითაცაა შეფერადებული, ძუნწად, მაგრამ სახიერად: „უზრდელო“ — დიდი პაუზის შემდეგ გამოუტანა განაჩენი ვალიამ სერიოჟკას, რომელიც აშკარად მოეწონა. „ყველაფერი ამის აფეთქებულია“ — ამაყად განუცხადა ვალიამ ოლეგს (ზ. ჩიქაშავიძე) და ხელი მოჰხვია გმირ სერიოჟკას, რომელიც უკვე დაისაკუთრა. იუმორითაა დატვირთული ვალიას და ულიანას დიალოგი ეპიზოდში, სადაც მათ დამსწრეთა ყურადღება უნდა მიიპყრონ, რომ ოლეგმა შეძლოს საბრძოლო დავალების შესრულება.

ეს ეპიზოდები გვარდიელთა ცხოვრების პირველ ნახევარს განეკუთვნება. შემდგომ ასეთი ელემენტები აღარ გვხვდება. იუმორისტული შტრიხები, ერთი მხრივ, ცხოვრებისეულად ახლობელს ხდიან იმას, რაც ხდება, მეორე მხრივ, კი თავისებურად შეგვახსენებენ, რომ ეს გმირები ბავშვები არიან. მათ ზოგჯერ ისეთ რამეზე ეცინებათ, რაქვითინით თქმული ეს ფიცი „ინტერნაციონალში“ გადაიზრდება. მტკიცეა იგი, ამაღლებული, ცრემლის მომგვრელი. მესამედ — სპექტაკლის ფინალში, სიცოცხლეს რომ ეთხოვებიან. ერთ მტკიცე ჯგუფად შეკრული ახალგაზრდები ჯერ „ინტერნაციონალის“ სიტყვებს ამბობენ, შემდეგ კი გულიდან ამოსული ეს სიტყვები სიმღერაში გადაიზრდება. მისი ძალა თანდათან მატულობს და გადაეცემა ზარებს, რომლებიც ამთავრებენ ამ უაღრესად ემოციურ წარმოდგენას.

...ყვირიან. ყვირილით შემოცვივდნენ სახეშეშლილი ბაშვები, როცა მარშის ხმამ ფაშისტების შემოსვლა შეატყობინა. შეშფოთებული, შეშინებული ბავშვები ერთმანეთს ეხეთქებიან. ყველა ერთ წერტილს მიაჩერებია. ეს წერტილი მაყურებელთა დარბაზის სიღრმეა — გამოჩნდნენ ფაშისტები. მერე ეკვრიან ერთმანეთს. მათ ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებიათ რა მოხდა, მაგრამ მაყურებელი



სცენები სპექტაკლიდან „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“.



ზეც უფროსი არ გაიცინებდა. ასე რომ, სპექტაკლის დრამატულ ქსოვილში აქა-იქ ჩართული იუმორიც იდეის გამოვლინებას ემსახურება თავისებურად.

სპექტაკლი „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ ხმოვანებითაც მდიდარია:

...მღერიან. გვარდიელები სამჯერ მღერიან „ინტერნაციონალს“. პირველად პროლოგში, როდესაც სიბნელეში ჯგუფად შეკრული ქართველი ახალგაზრდები სამშობლოს ერთგულების ფიცს აძლევენ, მღერიან ხმადაბლა, მშვიდად, პოლიფონიურად. მეორედ — სპექტაკლის პირველი ნაწილის დასასრულს, სარდაფში, პატიმართა ცოცხლად დამარხვის ამბავს რომ შეიტყობენ ტიულენინისგან და ყველა ერთად საბრძოლო ფიცს დებს.

ხედავს, რომ ისინი გაერთიანდნენ... ყვირიან მაშინაც, როცა ნაცემ-ნატანჯებს თითო-თითოდ აგდებენ საკანში და გაბოროტებით იატაკზე ანარცხებენ.

...ქვითინებენ, როდესაც სარდაფში მყოფნი ვალია ბორცის და სერიოჟკა ტიულენინის ნაამბობს შეიტყობენ.

...რეკენ ზარები. ქვითინით დადებული ფიცი „ინტერნაციონალითა“ და ზარების რეკვით მთავრდება. რეკავენ ხანგრძლივად. ასე სრულდება წარმოდგენის პირველი ნაწილი. იხურება ფარდა. ზარების ხმა მაინც გრძელდება. მას ფარავს ტაში, რომელიც ყველა სპექტაკლზე იბადება აუცილებლად. სპექტაკლსაც ზარები ამთავრებენ.

...შიგადაშიგ ისმის აფეთქების ხმა, მტრის

თვითმფრინავის ხმაური, უცნაური, შესაზარი ხმები, რომლებიც მოიცავენ მშფოთვარე ზღვის მიმოქცევას, სატვირთო მანქანებისა და საგანგაშო სირენის ხმათა ნარევს, ღმუილს, კივილს... ასეთ წუთებში სცენაზე ისადგურებს ღამის უკუნი, რაღაც მეტად მნიშვნელოვანი მოლოდინის ატმოსფერო.

...ისმის რკინის ჟღარუნი — ნაწამებ ბავშვებს რკინის კედელს ახეთქებენ.

...საბეჭდი მანქანის ხმა— ფაშისტები დაკითხვას აწარმოებენ და დოკუმენტს ქმნიან.

...ფენბონგის ტაბურეტის იატაკზე დახეთქების ხმა. ეს ადამიანის ცემის ხმაა. ამიტომაც ყოველი ამ ხმის საპასუხოდ კულეშოვი ტკივილისაგან იკლაკნება.

სპექტაკლი მუსიკალურადაც მდიდარია: მარში, ორატორია, ლირიკული მელოდია ორკესტრში, საბავშვო პიესა ფორტეპიანოსთვის, ქსილოფონით



აღებული რამდენიმე ტაქტი... ყველაფერი თანადროული. მუსიკის თანადროულობაც, თავის მხრივ, ახალგაზრდების სპექტაკლის დღევანდელობაზე მიგვითითებს. ეს მუსიკა არაა თანმხლები აკომპანემენტი სპექტაკლისა, იგი ჩანაფიქრის, იდეის ნაწილია. ამიტომ ეს სპექტაკლი წარმოუდგენელია ამ მუსიკის გარეშე.

ყოველი ეპიზოდი სპექტაკლისა თავისი სტრუქტურით კონფლიქტურია, მაგრამ ყველაზე თვალსაჩინოდ კონფლიქტური მაინც ორი, დიამეტრულად განსხვავებული იდეოლოგიის წარმომადგენელთა შებმაა ფინალში. ფაშიზმის ამ ორსახეობას პერსონიფიცირებულად ქმნიან შეუნიღბავი პირუტყვი ფენბონგი (რ. იმნაიშვილი) და კეთილშობილი გარეგნობის, ლამაზი „ინტელიგენტი“ ბრუკნერი (ნ. ბაგრატიონი). მშვიდი, გამოზომილი ნაბიჯით შემოდის ბრუკნერი სცენაზე. მას მართლა აინტერესებს ზემნუხოვის პიროვნება. ჯერჯერობით ეს უბრალო ცნობისმოყვარეობაა და მეტი არაფერი. აი, ჭკვიანი და ნიჭიერი ვანია ზემნუხოვი პირისპირ ხვდება მასავით ახალგაზრდა, მაგრამ საშინელი იდეებით გამსჭვალულ ფაშისტს. იწყება ორთაბრძოლა, კაცთმოყვარე და კაცთმოძულე იდეოლოგიას შორის — ერთი მხრივ, რწმენა იმისა, რომ სიმართლე ძალაა, მეორე მხრივ, კი იმის რწმენა, რომ ძალა სიმართლეშია.

ბრუკნერი თანდათან კარგავს სიმშვიდეს. როცა ზემნუხოვს დანარჩენი გვარდიელები მიემატებიან, ბრუკნერს სურს გაერკვეს მათი ერთსულოვნებისა და თავგანწირვის საიდუმლოებაში. ოლეგ კოშევოისთან შეხვედრამ კი დააბნია იგი. ფსიქოლოგიურად გამართლებული ამ დაბნეულობის შემდეგ გაბრაზების, თითქმის გაცოფების პარალელურად იკვეთება გვარდიელთა გაერთიანება — ისინი უკვე ერთმანეთს მიხუტებულნი სხედან, შემდეგ კი ერთ ჯგუფად შედუღაბებულნი დგანან და ასე ისმენენ მეთაურის უკანასკნელ სიტყვას. ორმა მეგზურმა, ომის დროის პლაკატებივით თან რომ გასდევენ მათ ცხოვრებას, წითელი დროშა სუდარასავით შემოახვია ერთ პიროვნებად ქცეულ ახალგაზრდებს და ამით მთლიან, ბავშვური, ჭაბუკური სულით გამსჭვალულ მონუმენტად შეკრა ისინი. ეკრანზეც ბავშვის მიერ დახატული მზე კიაფობს. ამაშია იმ მონუმენტის თავისებურება, რომელიც დაუდგეს სცენაზე თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა კრასნოდონელი გვარდიელების თავგანწირვას.

ამ სპექტაკლის ძალა იმაშია, რომ იგი გვიჩვენებს არა იმას, რაც ოდესღაც მოხდა, არამედ იმას, რაც დღესაც უაღრესად ღირებულია — შეგნებული რწმენა, მყარი პოზიცია, თავგანწირვისთვის მზადყოფნა. ეს ყველაფერი სახიერად, თანაც სწორედ თეატრალურად სახიერადაა გამოვლენილი სცენაზე — გმირთა არსებობის უწყვეტ, ცოცხალ პროცესებში.

ეს იმდენად არსებითია, რომ სპექტაკლმა სცენისა და მაყურებელთა დარბაზის გამოცვლასაც გაუძლო — არ დაიკარგა უფრო დიდ სცენაზე და უფრო დიდ დარბაზში (როცა ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გადაიტანეს). თუმცა სცენისა და დარბაზის შეცვლა გამოცდილი პროფესიონალებისთვისაც არაა ადვილად დასაძლევი წინააღმდეგობა. რასაკვირველია, დიდ სცენაზე ზოგი მეტად ფაქიზი დეტალი (რომელიც სცენისა და დარბაზის ისეთ სიახლოვეზეა გათვალისწინებული, როგორც ეს თეატრალურ ინსტიტუტშია) გაფერმკრთალდა, დაიკარგა, რეაქცია არ დაიბადა, მაგრამ არც ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი არ დაზიანებულა. იმიტომ, რომ უმთავრესი — ამ ხალგაზრდების, ერთმანეთის მართლა მოსიყვარულე და საკუთარი რწმენის-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვის მართლა თავგანწირული ახალგაზრდების მღელვარე, შინაარსით დატვირთული ცხოვრება — არ დაკარგულა.

სპექტაკლი იმდენად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, იმდენად გააზრებული, დახვეწილი და ზედმეტობისგან თავისუფალია, რომ უმცირესი ხინჯიც საჩოთიროა — ზოგი ეპიზოდის აზრობრივი წერტილის ნაკლებ თვალსაჩინოება, სიტყვა, რომელიც არ ისმის, მეტყველების დეფექტი, პლასტიკური ნახატის უზუსტობა... ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ სტუდენტურმა წარმოდგენამ მხატვრულ მოვლენას გვაზიარა და დაგვავიწყა, რომ სცენაზე არიან ჯერ გამოუცდელი ახალგაზრდები, რომ ეს სასწავლო წარმოდგენაა.

სასწავლო სპექტაკლზე მუშაობის მიზანი, პირველ ყოვლისა, პედაგოგიურია. ეს მიზანი შეიძლება ექსპერიმენტულიც იყოს. სასწავლო სპექტაკლისთვის წარმატება უმთავრესი არაა, უმთავრესია — რა ისწავლეს მომავალმა რეჟისორებმა და მსახიობებმა.

სპექტაკლმა „ახალგაზრდა გვარდიის სახელით" კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ სასწავლებელში არ შეიძლება სცენის ხელოვანის პროფესია ცხოვრებისგან მოწყვეტით წარმოიდგინო, რომ აღზრდის პრობლემის გადაწყვეტა შენი ქვეყნის ცხოვრების უმთავრეს არხში უნდა მიმდინარეობდეს და ეხმიანებოდეს იმას, რაც უმნიშვნელოვანესია, რომ საჭიროა ახალგაზრდა ხელოვანში მოქალაქის გაღვიძება, გულწრფელი და თავის სიმართლეში დარწმუნებული შემოქმედის აღზრდა. ამნაირად აღზრდილი ახალგაზრდები მებრძოლები იქნებიან, ცხოვრებით დაინტერესებულნი, მისთვის საჭირონი — ზოგი გმირად, მეთაურად, ზოგი შავ მუშად, მაგრამ ყველა საჭირო. ეს კი უმთავრესია.

ამ სპექტაკლის მონაწილეებმა დაგვანახეს, რომ მათ იციან მუშაობა, მაშასადამე, სწორად აზროვნებენ. იციან, რომ, პირველ ყოვლისა, ცხოვრების შესახებ უნდა გქონდეს რამე სათქმელი, იმის მიუხედავად, თუ ამჯერად რა გეკისრება — წამყვანი როლი, მცირე ეპიზოდი, თუ უსიტყვო გამოსვლა ჯგუფურ სცენაში; იციან, რომ სპექტაკლის დედააზრისათვის ყველაფერს თავისი მნიშვნელობა აქვს. აქედან დაიბადა ამ წარმოდგენისთვის განკუთვნილი სამკუთხა ფრონტული წერილის ფორმის მოსაწვევი ბარათი. მომდევნო სპექტაკლებზე კი — სისხლისფერი ნაჭრით გამორჩეული პროგრამა... მაშასადამე, სპექტაკლზე მუშაობა გრძელდება.

მათ იციან, რომ სცენაზე წამიერი გამოჩენისთვისაც კი შინაგანი უფლება უნდა გქონდეს მოპოვებული, რომ ყოველნაირი შემთხვევითობა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, რომ სცენაზე მწერლის ნაწარმოების განსახორციელებლად გამოდიხარ, რომ მის გარეშე არ არსებობს შენი ხელოვნება, მაშასადამე, მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ერთგული უნდა იყო — სცენის ხელოვნება კოლექტიურია და თანაშემოქმედება ბუნებაა მისი.

იციან, რომ სცენის ენა—ცოცხალი ქმედების

# ძველი ფირფიტების, ნოტებისა და საკრავების კვალდაკვალ

ედიშერ გიორგაძე

თბილისის მუსიკალურ კულტურას ღრმა ფესვები და დიდი ტრადიცია აქვს. ამ აქსიომურ ჭეშმარიტებაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიგვაჩნია.

ერთი რამ კი გვინდა აღვნიშნოთ: შესაძლოა, სწორედ ასეთ ქალაქში იპოვებოდეს უნიკალური ნოტები, ფირფიტები, საკრავები. თბილისში ხომ მრავალი მელომანი ცხოვრობს და მრავალი კოლექციონერი!

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ დღესდღეობით ქალაქს არ გააჩნია არც ერთი მაღაზია, რომელიც ძველი ნოტებისა და ფირფიტების თავმოყრის ცენტრი იქნებოდა.

ნუ დავივიწყებთ, რომ თბილისში არსებული ორი ბუკინისტური მაღაზია ფასდაუდებელ სამსახურს უწევს როგორც მწერლებს, მეცნიერებს, ხელოვნების მოღვაწეებს, ასევე ბიბლიოთეკებს, კვლევით და სხვა კულტურულ დაწესებულებებს.

ეს მაღაზიები რომ არა, ალბათ უამრავი ძვირფასი, ღირებული წიგნი თუ ხელნაწერი, ანდა უნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენაა, თვალსაჩინო სანახაობის ენა და არა დაზეპირებული სიტყვების ლაპარაკი, რომ უწყვეტი სცენური ქმედება მაყურებლის ყურადღების დაპყრობის ყველაზე უტყუარი საშუალებაა, რომ მხურვალე გული და ცხოვრებისადმი ინტერესი მაყურებლის ინტერესის გამოწვევის უძლიერესი საშუალებაა.

ამ სპექტაკლმა გვიჩვენა, რომ სცენის ხელოვანთა აღზრდის დროს მათი მასწავლებელი მიხეილ თუმანიშვილი ყველაზე დიდ ყურადღებას საბოლოო მიზანს უთმობს — მისთვის მთავარია მოწაფეების სწორ გზაზე დაყენება.

მ. თუმანიშვილი ისეთი ხელოვანია, რომელიც მხოლოდ იმას ამტკიცებს, რაშიც თვითონაა დარწმუნებული. ასეთია იგი როგორც მასწავლებელიც. ამიტომ სწავლის პროცესში ყველა მისი მოწაფე მისი რწმენის ერთგულია.

მ. თუმანიშვილის გაკვეთილი არასდროს არაა გაკვეთილი ჩვეულებრივი გაგებით — ესაა სასცენო ნიჭიერებით დაჯილდოებული ხელოვანის ძიება, რომელსაც ან ესწრები, ან მონაწილეობ.

თვითონ მუდმივი პროფესიული დაოსტატების გზაზე მდგომი, მოწაფეებისგანაც იმავეს მოითხოვს. იგი მუდამ გატაცებულია სცენის ხელოვნების კანონების შესწავლით. გულითაა მოწადინებული თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვასაც გადასცეს. უყვარს სადა, ნათელი და ზუსტი ფორმულა. თუ მოწაფე ნიჭიერია და საქმისათვის თავდადებული, მასწავლებელი მას განსაცვიფრებელ განძს გადასცემს უხვად, დაუზოგავად. რეჟისურა და პედაგოგიკა მუდამ ერთდროულადაა მასში, ოღონდ ერთი პირველ ადგილს უთმობს ხოლმე მეორეს ხან თეატრში, ხან ინსტიტუტში. მ. თუმანიშვილი, პირველ ყოვლისა, სცენის ხელოვნების მასწავლებელია, შემდეგ კი მსახიობის ოსტატობის ან რეჟისორის. არც რეჟისურის, არც პედაგოგიკის გარეშე არსებობა არ შეუძლია. თავისი დიდი ნიჭის წყალობით, გამოცდილებიდან სწორედ იმის მოშველიება იცის, რაც დღეს ჭირდება გაკვეთილზე. აქვს იშვიათი უნარი, ადამიანები საკუთარ შემოქმედებით რწმენას აზიაროს. განუსაზღვრელია მისი პედაგოგიური ავტორიტეტი. თუ კურსი აიყვანა, მისი ინტერესებით ცხოვრობს ინსტიტუტში და მის გარეთაც. ათასნაირ საშუალებას მიმართავს იმისათვის, რომ ახალგაზრდების ცხოვრება დატვირთული იყოს საინტერესო დავალებებით, ამოცანებით, რომლებიც თვითონ უნდა ამოხსნან და გადაწყვიტონ. ის ზრდის არა ცალკეულ მსახიობებს და რეჟისორებს, არამედ კოლექტივს, რომელიც დაინტერესებულია ცხოვრებითა და ხელოვნებით. შეიარაღებულია სათეატრო ხელოვნების უმთავრესი კანონების ცოდნით, იმის შეგნებით და სურვილით, რომ მაღალმხატვრული სცენური ნაწარმოებებით მაყურებელს ელაპარაკონ იმაზე, რაც უმნიშვნელოვანესად მიაჩნიათ.

..ხვალ ისინი არ იქნებიან მოსწავლეები. იქნებიან სცენის ხელოვანები. შეღავათები აღარ ექნებათ. ეს კარგად უნდა ახსოვდეს ყველას.

---

კალური გამოცემა სამუდამოდ დაიკარგებოდა.

ანალოგიურად ამისა, მრავალი მუსიკალური სიძველე — ფირფიტა თუ საკრავი აღმოჩნდებოდა, ასეთი ტიპის მუსიკალური მაღაზია რომ არსებულიყო.

ხშირად ხდება, მემკვიდრეობით გადმოსულ განძეულს ახალი მფლობელი არარად მიიჩნევს და არამცთუ არ უვლის, ასე გასინჯეთ, ყრის კიდეც.

ფირფიტების შემგროვებელმა, ინჟინერმა ნოდარ დვალმა, რომელსაც შესანიშნავი კოლექცია აქვს (ერქომაიშვილების, პაჭკორიების, სვიმონიშვილის ანსამბლების, დები იმხნელების, დედას ლევანას ფირფიტები და სხვა), გვიამბო თუ როგორ გადაარჩინა ბევრი ფირფიტა (აქაც და საქართველოს რაიონებშიც, სადაც მივლინებით უხდებოდა ყოფნა) განადგურებას. მას აქვს ჩვენი ძველი გუნდებისა თუ ცალკეული მომღერლების მიერ დამღერებული მრავალი ფირფიტა, რომლებიც მათ ძველ მეპატრონეებს ან მოუვლელად ეყარათ, ანდა თავიდან მოცილებას უპირებდნენ, სხვა მართლაცდა არასაჭირო, ყავლგასულ, გაცვეთილ ნივთებთან ერთად. ასევე დიდი რუდუნებით აქვთ შეგროვილი ფირფიტების კოლექცია მათემატიკოს ნიკო გამყრელიძეს, ქიმიკოს გიორგი ჭირაქაძეს, ინჟინერ ნოდარ ჭანტურიას, უნიკალური ფირფიტების დიდი კოლექცია ჰქონდა ვექილ რევაზ მაჭავარიანს.

ვინ იცის, რამდენი ჯერაც უცნობი ჩანაწერი აღმოჩნდებოდა, ასეთი მაღაზია რომ არსებობდეს, რამდენი სანოტო ლიტერატურა, რამდენი საკრავი, რამდენი მუსიკალური დოკუმენტი, რომლებიც გაამდიდრებდა ჩვენი კონსერვატორიის, მუსიკალური სასწავლებლების, სპეციალისტებისა და მოყვარულების ბიბლიოთეკებს.

იქნებ მართალიც გამოდგეს მოარული ლეგენდა ვანო სარაჯიშვილის უცნობი ფირფიტების არსებობის შესახებ.

მუსიკალურ სიძველეთა მაღაზია ერის კულტურას უდავოდ გაუწევდა საჭირო სამსახურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგო ქობულაძე.

# ინტერვიუ

**დიდი** ხანი არ არის, რაც თბილისში გაიხსნა ქართული ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის სპეციალიზებული ლაბორატორია. ჩვენი ჟურნალის კორესპონდენდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა ამ ლაბორატორიის შექმნის ინიციატორსა და მის მუდმივ სამეცნიერო კონსულტანტს, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ **სერგო ქობულაძეს.**

კ ი თ ხ ვ ა: *რა მიზნით შეიქმნა ლაბორატორია და რა ამოცანებს ისახავს იგი?*

პ ა ს უ ხ ი: ქართული ხელოვნების მდიდარ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კედლის მხატვრობას. ხელოვნების ამ დარგის ნიმუშების მხატვრული ღირებულება ფასდაუდებელია.

სამწუხაროდ, ეს ეროვნული საუნჯე, რომელიც რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ხშირად ძნელად მისადგომ ადგილას აგებულ ძეგლებშია, ძირითადად მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისთვის არის ცნობილი.

კედლის მხატვრობის ნიმუშების არსებული ფოტორეპროდუქციები, შესრულებული მოძველებული ფოტოაპარატურით, უმეტესად შავ-თეთრი გამოსახულებისაა და ბეჭდვის პოლიგრაფიული ხარისხით დაბალ დონეზე დგას. სწორედ ამის გამო ეს მასალა ასე თუ ისე სრულყოფილად ვერ ასახავს ორიგინალს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფრესკების მაღალი მხატვრული ღირსებები და

პროფესიული დონე, ფაქტიურად, თითქმის უცნობია როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე მსოფლიოს მონუმენტური ხელოვნების ისტორიაში.

კედლის მხატვრობის ბევრი ნიმუში კარგად არის დაცული და ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ უფრო მეტია ისეთი, რომელთა დღევანდელი სახე მისი პირვანდელი მშვენიერების მხოლოდ მკრთალი ანარეკლია.

ამჟამად კულტურის ძეგლები განსაკუთრებული მზრუნველობის საგნადაა ქცეული. ყოველწლიურად მიმდინარეობს მათი კონსერვაცია და შეკეთება. მაგრამ აღდგენითი სამუშაოები გარკვეულ დროს მოითხოვს. დროს კი თავისი გააქვს — ძეგლები ზიანდება.

ამ გარემოებამ წამოჭრა სპეციალური ავტონომიური გადამღები ჯგუფის ორგანიზებისა და აგრეთვე ფერადი სლაიდების, ფერადი და შავ-თეთრი ნეგატივების დამამზადებელი ლაბორატორიის შექმნის საკითხი.

როცა აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილისთვის (სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე) ცნობილი გახდა გადაწყვეტილება ლაბორატორიის გახსნის შესახებ, მეცნიერი დიდად გაახარა ამ ფაქტმა და მეტად საყურადღებო რჩევა და რეკომენდაციები მოგვცა, რაც განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის.

ახალი ლაბორატორია, რომლის მუშაობასაც ხელმძღვანელობს ლ. წილოსანი, აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. სპეციალური აპარატები განსაზღვრავს სლაიდის ხარისხს, იზომება განათების ფერითი ტემპერატურა, რაც ფოტოფირის მონაცემების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ფერის ზუსტ გადმოცემასა და პროდუქციის მაღალ ხარისხს.

კედლის მხატვრობის ნიმუშების გარდა, ფიქსირებული იქნება აგრეთვე მატერიალური და სულიერი კულტურის სხვა ძეგლები — არქიტექტურა, ქვის რელიეფები, ოქრომჭედლობის ნიმუშები, ხელნაწერთა მინიატურები, არქეოლოგიური ექსპონატები და ა. შ.

გადაღებული და ლაბორატორიაში დამუშავებული მასალის საფუძველზე შეიქმნება ფოტოთეკა ქართული ხელოვნების ძეგლების შემდგომი რეპროდუქცირებისა და პოპულარიზაციისთვის.

კ ი თ ხ ვ ა: *რა სახის სამუშაოები ტარდება ამჟამად ლაბორატორიაში? როგორია მისი მუშაობის პრინციპი?*

პ ა ს უ ხ ი: ამჟამად მიმდინარეობს XI საუკუნის მეორე ნახევრის კედლის მხატვრობის ერთ-ერთი ძეგლის ფოტოფიქსაცია. სამუშაოებს ატარებენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები — ო. ქობალიანი და ო. ცქვიტინიძე.

სამუშაოს დაწყებამდე ლაბორატორიის პავილიონში შეიმუშავებენ ხოლმე გადაღების რე-



ატენის სიონის ფრესკის ფრაგმენტი.



გადაღების მომენტი.

ჟიმს, აქვე სრულდება სინჯები და მხოლოდ ამის შემდეგ მიემგზავრება ფოტოსპეციალისტთა ჯგუფი გადასაღებ ობიექტზე.

ლაბორატორიაში ყველა სამუშაო სრულდება გარკვეული სამეცნიერო გეგმის მიხედვით. კედლის მხატვრობის ნიმუშების ფიქსაციასთან დაკავშირებულ საქმიანობას კონსულტაციას უწევს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფერწერის და ქანდაკების განყოფილების გამგე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი თ. ვირსალაძე. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ლაბორატორიის მუშაობაში აქტიურად ჩაებმებიან სხვა მეცნიერები, სათანადო სამეცნიერო დაწესებულებები.

კ ი თ ხ ვ ა: *კედლის მხატვრობის ფოტოფიქსაცია გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მოხატულობა ხშირად მოთავსებულია მაღალი ტაძრების გუმბათებში. როგორ არის გადაჭრილი ეს პრობლემა?*

პ ა ს უ ხ ი: ინჟინერ-კონსტრუქტორ ს. პოჩეპკოვის მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით დამზადდა სპეციალური ხარაჩოები ფოტოგადაღებისა და სარესტავრაციო სამუშაოებისთვის. დღეს ეს უნიკალური ხარაჩოები აღმართულია ატენის ტაძარში. ამგვარად, ეს პრობლემა გადაჭრილია.

კ ი თ ხ ვ ა: *როგორია ახალი ლაბორატორიის მუშაობის პერსპექტივები?*

პ ა ს უ ხ ი: ლაბორატორიაში შექმნილი ფოტოარქივი შემდგომში ხელს შეუწყობს ქართული კედლის მხატვრობის მაღალმეცნიერულ დონეზე შესწავლას. კედლის მხატვრობის ნიმუშების რეპროდუქციები შევა წიგნებსა და მონოგრაფიებში, გამოიცემა ალბომებისა და ღია ბარათების სახით.

ქართული ფრესკული მხატვრობის ალბომების გამოცემით დაინტერესებულია მოსკოვის გამომცემლობა ,,ისკუსტვო" და ლენინგრადის საკავშირო გამომცემლობა ,,ავრორა", რომლის პროდუქციაც საექსპორტოა.

გამოცემების დიდ ნაწილს განახორციელებს რესპუბლიკის პოლიგრაფია.

დაწყებულია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმე რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ჟურნალ ,,საბჭოთა ხელოვნების" მიმდინარე წლის № 3-ში დაიბეჭდა ამირან ჩხარტიშვილის სტატია: ,,თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნების მტკივნეული საკითხები".

რამდენადაც ქართულ ჭედურ ხელოვნებასთან მეც მაქვს კავშირი, ასეთი წერილები გარკვეულ ინტერესს აღმიძრავენ ხოლმე. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღებით წავიკითხე იგი. შევეცადე ჩავწვდომოდი, რა ამოცანას ისახავს ავტორი და რამდენად დამაჯერებლად ახერხებს თავისი მოსაზრებების დასაბუთებას. შევეცადე აგრეთვე პასუხში კონკრეტულად ჩამომეყალიბებინა ჩემი შეხედულება იმ შენიშვნებისა დ დასკვნების შესახებ, რომლებიც ავტორს მოჰყავს თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნების ოსტატთა და აგრეთვე ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა მისამართით.

თუ შევაჯამებთ ავტორის მოსაზრებებს, ასეთ დასკვნამდე მივალთ: დღეს ქართული ჭედური ხელოვნების განვითარება შეჩერდა, იგი მცდარ გზაზე დგას. ჭედური ხელოვნების ოსტატებს არ ესმით, ან უგულებელყოფენ ამ ხელოვნების ძირითად პრინციპებს. არ ეყრდნობიან და არ იყენებენ ძველი ქართული ჭედური ხელოვნების მონაპოვრებს.

ხელოვნებათმცოდნეთა მიმართ საყვედური ასეთია: უპრინციპობა, ინერტული დამოკიდებულება ჭედური ხელოვნების მიმართ.

მე არ ვაპირებ რაიმეს მტკიცებას, მინდა მხოლოდ თვალი გავადევნო ავტორის მსჯელობას და აღვნიშნო — შეიძლება თუ არა მის საფუძველზე ამგვარი დასკვნების გამოტანა.

როცა ძველი ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების ექსკურსს აკეთებს, ა. ჩხარტიშვილი აღნიშნავს აყვავების პერიოდში ამ ხელოვნებისთვის დამახასიათებელ მთავარ ნიშანზე და წერს: ,,ამ დროს ყველაზე მთავარი მაინც ფიგურათა სკულპტურულობაა (ამ მომენტს საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი)". შემდეგში იგი შენიშნავს, რომ თანამედროვე ჭედური ხელოვნება მოკლებულია სკულპტურულობას, სამაგიეროდ, ,,გრაფიკული" და ,,ფერწერულია", ,,მთლიანად ემორჩილება სიბრტყეს" და, მაშასადამე, აღარც არის ჭედურობა. ავტორის აზრით, თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნება ,,გარკვეულ დონეზე" ავიდა, მაგრამ შემდეგ წინსვლა აღარ მოხდა, ,,ეს აღმავლობა შეფერხდა, შეჩერდა". მისი ,,ღრმა რწმენით", ამის მიზეზია ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ,,უპრინციპობა და ინერტულობა".

ქართული ჭედური ხელოვნების ოსტატებს ,,აღარ აინტერესებთ მხატვრული სახეების შექმნა" და ,,მოცულობის გადმოცემაც აღარ მიაჩნიათ აუცილებლად" ( ასეთ შემთხვევებში ურიგო არ იქნებოდა საილუსტრაციო მასალის მოშველიება). თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნების წამყვან მოტივად იგი მიიჩნევს ,,ქართველ ქალთა

# ისევ ჭედური ხელოვნების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ოჩიაური

ქრთფეროვან სახეებს" (ავტორი ალბათ თვლის, რომ თანამედროვე ქართულ ჭედურ ხელოვნებას სუვენირების მაღაზიებსა და სალონებში გამოტანილი ნიმუშები განსაზღვრავს). „გაქრა რელიეფი, იგი მთლიანად სიბრტყეს დაემორჩილა." ამის დასტურად კ. მაჩაბლის ნაშრომიდან ასეთი ფრაზები მოაქვს: „შესრულებულია დაბალი რელიეფით", „რელიეფი ძალიან დაბალია", „ფიგურა ფონიდან გამოიყოფა კონტურის თავისებური შესრულებით". ამ უკანასკნელ ფრაზაში ლაპარაკია კონტურის თავისებურებაზე და არა რელიეფის სიმაღლე-სიდაბლეზე და საერთოდ გულუბრყვილობაა სკულპტურულობისა და მხატვრულობის ხარისხის დადგენა რელიეფის სიმაღლითა და სიდაბლით.

ავტორი გვისაყვედურებს, რომ ჩვენ ოქრომჭედლის სახელი გვეთაკილება, „რომ არც ერთი ძველი ოსტატი იუველირი არ ყოფილა" (ეს მტკიცება საკმაოდ კატეგორიულად ჟღერს) და იქვე დასძენს: „აღსანიშნავია, რომ ეს ორი დარგი მაშინ მკვეთრად გამიჯნული არ ყოფილაო".

ძნელი გასაგებია — თვლის თუ არა თვითონ ავტორი ახალ ქართულ ჭედურ ხელოვნებას ოქრომჭედლობად.

პირადად მე ა. ჩხარტიშვილი მომაწერს ერთგვარ დაბნეულობას, რის შედეგადაც თურმე ხანდახან „სუსტ ნაწარმოებს მაღალმხატვრულ ძეგლად გთავაზობთ" (სუსტი ნამუშევრები ალბათ საკმარისი მაქვს, მაგრამ მე მათ არავის „ვთავაზობ", როგორც მაღალმხატვრულ ძეგლებს).

ავტორი ღია კარს ამტვრევს და ამტკიცებს, რომ ჭედური ხელოვნება ფაქტიურად სკულპტურული რელიეფია (ეს, ჯერჯერობით, მგონი არავის გაუხდია სადავოდ) და თან გვიხსნის: „რელიეფი რაც უფრო მაღალია, მით უფრო მეტია მისი რთული დამუშავების საშუალება". რას ნიშნავს რთული დამუშავება? მოქანდაკეებს თუ ვკითხავთ რას თვლიან უფრო რთულ სკულპტურულ ამოცანად — ბარელიეფს თუ ჰორელიეფს — პასუხი ბარელიეფის სასარგებლოდ იქნება. გაუგებარია რას ნიშნავს „გაბერილი რელიეფი (თუმცა ძალზე დაბალი)". სტატიაში ვკითხულობთ, რომ ჭედურ ხელოვნებაში სახეების შექმნის საკითხი გადაუჭრელია და თუ ამას ვერ მივაღწიეთ, „მაშინ მზად არ ვყოფილვართ დიდი ხელოვნების შესაქმნელად". საინტერესო რეცეპტია „დიდი ხელოვნების" შესაქმნელად, ანდა რა პრეტენზიაა „დიდ ხელოვნებაზე".

ა. ჩხარტიშვილს „აწუხებს" მდარე ხარისხის ჭედურობათა მოზღვავება და ჩემს გულგრილობას ამ მოვლენისადმი „გულდაჯერებულობით" ხსნის. მდარე მხატვრული ღირებულების ნაწარმოებები ხელოვნების ყველა დარგში იქმნება. ეს მოვლენა ბუნებრივად მიმაჩნია. საქართველოში ათასზე მეტი მხატვარი მუშაობს. დიდ მხატვართა რიცხვი მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში ალბათ ათასს ბევრით როდი გადააჭარბებს. ამიტომ ვთქვი ამ საკითხზე ერთ წერილში: „ვფიქრობ, საშიში და საგანგაშო არაფერია-მეთქი". უგემოვნო ნამუშევრები ხელოვნებაში ყოველთვის შეიქმნება, ოღონდ ყოველთვის კომპეტენტურად რომ ითქვას მათ ავკარგზე, აი, ეს არის აუცილებელი და საჭირო.

ორიოდე სიტყვა ა. ჩხარტიშვილის წერილის კიდევ ერთ თავისებურებაზე: იგი თანამედროვე ჭედურ ხელოვნებაზე წერს და ფაქტიურად მთელი სტატია აგებულია ამ ხელოვნების შესახებ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ წერილებზე. ავტორს ამ წერილებიდან თუ მონოგრაფიებიდან მოაქვს მისთვის ხელსაყრელი ციტატები, რათა დამაჯერებლობა მიანიჭოს საკუთარ დებულებებს. ხომ არ აჯობებდა დღევანდელი ჭედური ხელოვნების პირველწყაროებში შესწავლა და მათი ანალიზი? სტატიაში საილუსტრაციოდ ერთი ჭედური ნიმუშიც არ არის მოხსენიებული, მაშინ როცა მთელი წერილი ამ დარგის „მტკივნეული საკითხებისადმია" მიძღვნილი.

წერილი ავტორისავე სიტყვებით მინდა დავამთავრო: ხელოვნების „არსს ზოგადი ფრაზებითა და გაზეპირებული ციტატებით ვერ ახსნი".

□ □ □

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამაზ კიკნაძე

გიული გეგელია

„ჩვენ გვინდა ახლებური არქიტექტურული ანსამბლის ქალაქი, ამავე დროს გვინდა შევუნარჩუნოთ თბილისს მისი ფასეული წარსული, შევუთანხმოთ იგი აწმყოს, გავითვალისწინოთ მომავალი... ფაქტორთა არაჩვეულებრივი სიმრავლე ართულებს არქიტექტორის შემოქმედებითი სვლის გეზს. თვით ჩვენ, არქიტექტორები, რომლებიც უნდა ვიცავდეთ არქიტექტურის, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგის პრესტიჟს, ვეგუებით უხეშ პრაქტიციზმს, თითქმის უბრძოლველად მივდივართ დათმობაზე დამკვეთთა, მშენებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ჟამს და, ამგვარად, ხშირად თვით არქიტექტორებიც ხელს ვუწყობთ არქიტექტურის დამარცხებას ჩვენს პრაქტიკაში" — ასე წერდა ახალგაზრდა არქიტექტორი რამაზ კიკნაძე ჟურნალ „ცისკრის" 1968 წლის მერვე ნომერში.

უკვე ამ პატარა ციტატიდან აშუქებს შემოქმედის, მოქალაქის, თავისი საქმის მცოდნე და მოყვარული პროფესიონალის სული. როცა ეს სტატია დაიწერა, რამაზ კიკნაძეს მხოლოდ შვიდიოდე წლის ხუროთმოძღვრული ბიოგრაფია გააჩნდა (1961 წელს მან წარმატებით დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი), მაგრამ ეს ბიოგრაფია უკვე მოიცავდა მრავალ თვალსაჩინო შემოქმედებით მონაპოვარს და აღსავსე იყო ინტენსიური, გატაცებული, მრავალმხრივი შრომითა და ძიებით, დაუძლეველის გადალახვის დაუცხრომელი სურვილით.

და როდესაც დღეს იმ სტატიას და იმ წელს ვიხსენებთ, უნებურად შეგძრავთ გაფიქრება: თურმე ეს იყო მეტად ნაადრევად დამდგარი შემოქმედებითი შუა გზა — კიდევ შვიდიოდე წელი და რამაზ კიკნაძე მოულოდნელად მოწყდებოდა საყვარელ საქმეს, დიდი ამოცანებისაკენ, ახალ ჩანაფიქრთა განხორციელებისაკენ ლტოლვას და იმ თვალსაჩინო შემოქმედებით ნაყოფთან ერთად, რისი გაკეთებაც მოასწრო, დატოვებდა ღრმა გულისტკივილს ჭეშმარიტი მოქალაქის, დიდი მომავლის შემოქმედი-ხელოვანის დაკარგვის გამო.

ხუროთმოძღვრების სირთულეებსა და სპეციფიკას თუ გავითვალისწინებთ, გვაკვირვებს რამაზის შემოქმედებითი პროდუქტიულობა: თოთხმეტი წელი მუშაობდა იგი შთაგონებით, დაუღალავად და რამდენი აგებული თუ მშენებარე შენობა, პროექტი და ესკიზი შექმნა, რომლებშიც თვალნათლივ ჩანს ძიება, პროფესიული ოსტატობა, სწრაფვა ჭეშმარიტი, დიდი ხუროთმოძღვრული ხელოვნებისაკენ. საამისოდ კი რამაზს ხელს უწყობდა პიროვნული თვისებები: მაღალი პროფესიონალიზმი და ერუდიცია, საქმის სიყვარული და დაუშრეტელი ენერგია, პრინციპულობა და თავმდაბლობა, რაც მას საოცრად მრავალმხრივსა და ჰარმონიულს ხდიდა.

რამაზ კიკნაძემ ჯერ კიდევ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლისას მიიქცია ყურადღება ამ თვისებებით. სტუდენტურ პროექტებშივე გამოჩნდა მისი არქიტექტურული აზროვნების სიღრმე, ფორმისა და სივრცის გრძნობა, გრაფიკული შესრულების ბრწყინვალე ტექნიკა და დიდი სიფაქიზე, რაც მის შემოქმედებას მუდამ თან ახლდა. მისი საკურსო ნამუშევრები რამდენჯერმე იქნა აღნიშნული ჯილდოებით რესპუბლიკურ გამოფენებზე. „კურორტ რიწის რეკონსტრუქციისა და დაგეგმარების" სადიპლომო პროექტმა კი 1962 წელს მოსკოვში, სტუდენტთა დიპლომების საკავშირო დათვალიერებაზე, პირველი პრემია დაიმსახურა.

ინსტიტუტის კედლებიდან იწყება მისი დაძაბული შემოქმედებითი შრომა, შემდგომში „თბილქალაქპროექტის" მე-4 არქიტექტურულ სახელოსნოში რომ გაგრძელდა. სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რედ ამ კოლექტივში შექმნა რამაზ კიკნაძემ მთელი რიგი ნამუშევრებისა, რომელთაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს ბოლო წლების ქართულ არქიტექტურაში.

ქორწინების სასახლის ინტერიერის პროექტმა — რამაზ კიკნაძის თანაავტორობით განხორციელებულმა პირველმა ნამუშევარმა, იმთავითვე მიიპყრო ყურადღება მაღალი მხატვრული და პროფესიული დონით.

ამაღლებული განწყობილება, ზეიმისა და სიხარულის ატმოსფერო — ასეთია ამ ნაგებობიდან მიღებული პირველივე შთაბეჭდილება.

ლაკონიურობა და სისადავე მთლიანობასა თუ დეტალებში, ინტერიერის საინტერესო სივრცობრივი გადაწყვეტა, კარგად მიგნებული მხატვრული აქცენტები, პლასტიკური ხელოვნების ნაწარმოებთა საინტერესოდ ჩართვა—ინტერიერს მაღალ მხატვრულ გამომსახველობას ანიჭებს.

პირველი წარმატება და საკუთარ შესაძლებლობებში რწმენის განმტკიცება დიდი სტიმულია დამწყები შემოქმედისათვის, და კვლავ გამარჯვება მოჰყვა რამაზ კიკნაძის პროექტს თბილისის მეტროპოლიტენის სადგურებზე გამოცხადებულ კონკურსში. ჩვენს დედაქალაქს შეემატა მეტრო „ოქტომბრის“ ზედა და ქვედა სადგურების არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესოდ გადაწყვეტილი ნაწარმოებები.

მიზანდასახული შემოქმედებითი შრომა, ურთიერთგაგება კოლექტიურ მუშაობაში — იყო ის განმსაზღვრელი ძალა, რამაც განაპირობა ეს წარმატება.

არქიტექტურული პროექტის შექმნა არქიტექტორებისა და სხვა სპეციალისტთა ჯგუფის ერთობლივ მუშაობას გულისხმობს. ეს კი, თავის მხრივ, სირთულეებს წარმოქმნის შემოქმედთა წინაშე: თვალსაზრისის, პოზიციებისა და შესაძლებლობების სხვადასხვაგვარობა ზოგჯერ არასასურველ ატმოსფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-როს ქმნის, იწვევს ცალკეული შემოქმედის ინდივიდუალობის ნიველირებას.

რამაზ კიკნაძე სწორედ იმიტომ უყვარდათ და აფასებდნენ კოლეგები, რომ მას გააჩნდა უნარი — საკუთარი ნიჭიერებითა და პიროვნული თვისებებით გაეერთიანებინა ისინი, შეეცნო მათი ხასიათი, შესაძლებლობანი, განეზოგადებინა და მიზანდასახულად წარემართა საერთო საქმის სასარგებლოდ. ჭეშმა- ქმნიდა ახალ პროექტებს, კოლეგებთან ერთად ხორცს ასხამდა ახალ იდეებს.

შეიქმნა სპორტული ზონის საინტერესო პროექტი „რიყეზე“ — ბარათაშვილის ხიდთან, საცურაო აუზი სანაპიროზე (ეს პროექტები ჯერჯერობით არ განხორციელებულა).

რამაზ კიკნაძე კარგად ხედავდა ხელისშემშლელ მიზეზებს, როდესაც სტატიაში „სინამდვილე და მოთხოვნა“ (ჟურნალი „ცისკარი“)



ავტოსადგური ორთაჭალაში. ავტორები რ. კიკნაძე, შ. ყავლაშვილი, ვ. ქურთიშვილი.

რესტორანი „მარაბდა“. ავტორები რ. კიკნაძე, თ. მიქაშავიძე.

რესტორანი „მარაბდა“. ინტერიერი.

საცხოვრებელი სახლი ვაკეში. ავტორები რ. კიკნაძე, შ. ყავლაშვილი.

რიტი შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელსაც იგი ქმნიდა ირგვლივ, საინტერესოს და სასიამოვნოს ხდიდა მასთან მუშაობას.

ასეთი ახსოვთ იგი კოლეგებს კუბის რესპუბლიკის მიერ პლაიახირონზე მიღწეული გამარჯვების აღსანიშნავი მემორიალის პროექტზე გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობისას. ასეთი იყო ვაჟაფშაველას ძეგლსა და ბიჭვინთის მხატვრული გაფორმების გენერალური გეგმის პროექტზე მუშაობის დროს. ასეთი იყო მუდამ... აანალიზებდა ხუროთმოძღვრებაში მიმდინარე პროცესებს; კარგად ესმოდა, თუ რა ფასად უჯდება არქიტექტორს ყოველი ნამუშევრის ბოლომდე მიყვანა. სწორედ ამიტომ მოითხოვდა მეტი პრინციპულობის, სიმტკიცის გამოჩენას პროექტის სათანადო ხორცშესხმისათვის.

„ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“, — ამბობდა მისი თანატოლი გურამ რჩეულიშვილი. რამაზისთვისაც მთავარი იყო არა უკვე შექმნილით კმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილება, არამედ სურვილი ახლის შენებისა, ახლის ძიებისა.

იქმნება ავტოსადგურის პროექტი. უამრავი ესკიზი, პროექტის რამდენიმე ვარიანტი გაკეთდა, ვიდრე ავტორთა ჯგუფი საბოლოო გადაწყვეტამდე მივიდა. ამ პროექტის საფუძველზე აშენდა ავტოსადგურის თანამედროვე ნაგებობა ორთაჭალაში, ერთხელ კიდევ გამოჩნდა მის შემქმნელთა პროფესიული ოსძისა და მისი კოლეგების ნამუშევრებში.

ღია და დახურული სივრცეების ორგანული ურთიერთკავშირი, მინის ჰაეროვნებასა და ქვისა და ბეტონის ფაქტურის კონტრასტული დაპირისპირება, სასიამოვნო ტონალური გამა, დეტალების მაღალპროფესიული დამუშავება და შიდა სივრცის მხატვრულად გააზრება ის შემოქმედებითი ხაზია, რითაც ხასიათდება ამ კოლექტივის მუშაობა.







ტატობა, ლაკონიური გამომსახველი საშუალებებით არქიტექტურული ეფექტის მიღწევის უნარი.

ამ ნაწარმოებში შესანიშნავად გადაწყდა მთელი რიგი რთული ტექნოლოგიური, ტექნიკური და ფუნქციური საკითხი, რამაც ძირითადი როლი ითამაშა შენობის სივრცობრივ-მოცულობითი სახის შექმნაში.

ავტოსადგურის პლასტიკური სახე გაგრძელებაა იმ ძიებებისა და შემოქმედებითი ხაზისა, ადრევე რომ გამოიკვეთა რამაზ კიკნაპირველ ყოვლისა შენობის ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინება და მისი დამორჩილება მხატვრული ამოცანებისადმი იყო რამაზ კიკნაძის შემოქმედებითი კრედო. „ის აზრი, რომ ნაწარმოებმა ფორმაში უნდა გამოხატოს მხოლოდ თავისი დანიშნულება, რომ საგანი უნდა შეფასდეს მხოლოდ გამოსადეგობის თვალსაზრისით, სრულიად უგულებელყოფს მხატვრულ-ესთეტიკურ მიდგომას და მის აღკვეთას მოასწავებს. ამგვარი მიდგომა ძირს უთხრის არქიტექტურას, რო-



პლაიახირონზე (კუბა) გამარჯვების აღსანიშნავი ძეგლის პროექტი. ავტორები რ. კიკნაძე, გ. მირიანაშვილი, ა. ყრუაშვილი, თ. მიქაშავიძე.

გორც ხელოვნებას, არქიტექტორს აქცევს ხელოსნად“. — ამბობდა იგი.

რამაზ კიკნაძეს სწამდა, რომ მხოლოდ ის ხუროთმოძღვრული ქმნილებანი გაუძლებენ დროის გამოცდას, რომელთაც ადამიანზე დიდი ზემოქმედების ძალა გააჩნიათ. იგი აანალიზებდა, სწავლობდა, ცდილობდა მრავალსაუკუნოვანი არქიტექტურის წიაღში აღმოეჩინა, შეეცნო ის საინტერესო მარცვალი, რომელიც თანამედროვე ცხოვრების პირობებში, დღევანდელი ადამიანის პოზიციიდან დანახული და ახლებურად ტრანსფორმირებული ჰპოვებდა გამოყენებას.

წიგნები და მოგზაურობა, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობა, უამრავი ანაზომი და ჩანახატი საშუალებას აძლევდა შეეგრძნო წინაპართა ხელოვნება, მათი მხატვრული ალღო და ოსტატობის საიდუმლოება.

ყოველივე ეს უთუოდ ამდიდრებდა რამაზის შემოქმედებით წარმოსახვას, უკვლევდა ახალ გზებს და კრიტიკულად, მომთხოვნელობის გრძნობით განაწყობდა საკუთარი შრომისადმი, მით უმეტეს, რომ თანამედროვე არქიტექტურული ენის გადახალისების პროცესი დღეს საერთოდ მიმდინარეობს.

ღვინის სარეალიზაციო დარბაზი „საჭაშნიკე“, ლუდის დარბაზი „შატილი“, რესტორანი „მარაბდა“ — ამ ნაწარმოებებში უკვე შეიმჩნევა არქიტექტურულ-პლასტიკური ამოცანებისადმი ახლებური მიდგომა, ერთგვარი რომანტიკული განწყობილების შექმნის ცდა.

ამ თვალსაზრისით სამაგალითოა რესტორანი „მარაბდა.“ ჩალისფერი ქვით ნაგები შენობა შერწყმია შემოჯარულ ბორცვებს, მთებს და თითქოს მათ გაგრძელებას წარმოადგენს. პირველი ნახვისთანავე იქმნება ფერისა და ფორმის გარემოსთან ჰარმონიის შთაბეჭდილება, იბადება წარსულის თანამედროვეობასთან გადაძახილისა და კავშირის შეგრძნება, გიჩნდებათ სიღრმიდან გამომდინარე ჩანჩქერთან ჩამოჯდომის სურვილი...

მიმზიდველია „მარაბდის“ შიდა სივრცე, ინტერიერში ორგანულად შემოჭრილი კლდის ნაწილი ბუნებრივ რელიეფზე ტერასულად განლაგებულ დარბაზებს აერთიანებს, უფრო სახიერს ხდის არქიტექტურულ ჩანაფიქრს.

პროექტირების მაღალი პროფესიული დონისა და ხარისხისათვის, როგორც ბოლო წლებში შექმნილი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები, 1972 წელს მოსკოვში ამ ნამუშევრისთვის რამაზ კიკნაძესა და მის კოლეგებს საკავშირო არქიტექტორთა კავშირის პრემია მიენიჭათ.

საზოგადოებრივი, უნიკალური ნაგებობების პროექტირებასთან ერთად, რამაზ კიკნაძე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობდა საცხოვრებელ კომპლექსებზე.

ორთაჭალის საცხოვრებელი კომპლექსის დეტალური დაგეგმარების პროექტმა ყურადღება მიიქცია სწორად გადაწყვეტილი ფუნქციონალური ზონირებით და ტრანსპორტისა და ქვეითად მიმავალთა მოძრაობის დახვეწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სქემით, შენობათა საინტერესო პლასტიკური გადაწყვეტით...

ისახებოდა მომავალ შენობათა ტიპები. მიზანი ერთი იყო — შექმნილიყო „ცხოვრების ისეთი პირობები, როდესაც ადამიანი უზრუნველყოფილი იქნება ჟანგბადით, მზით, როდესაც მოიხსნება მისი დასვენების, მყუდროებისა და ადამიანთა თანაცხოვრების ხელისშემშლელი ფაქტორები, როდესაც თვალი დატკბება საგანთა ფორმით და არაფერი შეაფერხებს ფაქიზ განცდათა წარმოშობას“.

დასრულებული პროექტი სწორედ ამ ნიშნებით გამოირჩეოდა.

არა ხელაღებით ნგრევა, არამედ ფასეულობათა შენარჩუნება და ახალთან მისი ცოდნითა და ტაქტით შეთანხმება იყო ამოსავალი პრინციპი ბალნეოლოგიური კურორტის მიმდებარე ძველი თბილისის რაიონის რეკონსტრუქციის პროექტზე მუშაობის დროს.

საზოგადოებრივი შენობები იქნებოდა ეს თუ სპორტული ნაგებობები, ქალაქგეგმარებითი პროექტები თუ საგამოფენო ექსპოზიციები, ყველა ნამუშევარში ჩანდა რამაზ კიკნაძის — შემოქმედი ადამიანის ფართო დიაპაზონი და მრავალმხრივობა. უცხოეთის მრავალ ქვეყანაში წარმატება ხვდა მისი თანაავტორობით საინტერესოდ გადაწყვეტილ ექსპოზიციებს (პარიზში, ბაზელში, კაიროში, დასავლეთ ბერლინში, პლოვდივში), ოქროს დიდი მედალი მოიპოვა ლიონის გამოფენაზე.

ემოციურად გამომსახველია ცხრა ძმა ხერხეულიძის მემორიალური ძეგლი მარნეულის მისადგომებთან. ბორცვზე მდგარი ბეტონის რვა სვეტს — რვა ძმას ჰაერში აუტაციათ მეცხრე ძმა და მძლავრად შეკრულნი დგანან, გაუტეხელნი და ამაყნი.

არქიტექტურულ-კომპოზიციური ხერხებით მიღწეულ ფსიქოლოგიურ ეფექტს აძლიერებს გაშლილი სივრცე, ბორცვიანი ველი—დაღუპული ვაჟკაცების საბრძოლო ადგილები.

პირველი პრემია დაიმსახურა ლანდშაფტში და ისტორიულ ნაგებობათა გარემოცვაში მასშტაბურად ჩასმულმა, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საკონკურსო პროექტმა. ეს პროექტი დღეს მუშავდება იმ სახელოსნოში, რომელსაც ორიოდე წლის წინ რამაზ კიკნაძე ჩაუდგა სათავეში და სადაც ნათლად გამოჩნდა მისი ორგანიზატორული და პიროვნული ღირსებები. ახალგაზრდობას, რომელიც მან ირგვლივ შემოიკრიბა, შემოქმედებითად საინტერესო, ურთიერთგაგების ატმოსფერო შეექმნა. ისინი მთელი გატაცებით მუშაობდნენ რამაზ კიკნაძესთან ერთად, სწავლობდნენ და გამოცდილებას იძენდნენ მისგან, ენდობოდნენ.

ქუთაისის ცენტრის განაშენიანების პროექტი, ობიექტები მესტიასა და გაგრაში — იყო ორი წლის მუშაობის შემოქმედებითი ანგარიში, რომლითაც რამაზ კიკნაძე წარსდგა საზოგადოების წინაშე საქართველოს არქიტექტორთა ყრილობასთან დაკავშირებით მოწყობილ გამოფენაზე.

ამ პროექტებით რამაზ კიკნაძემ კვლავ განიმტკიცა ნიჭიერი არქიტექტორისა და ჩამოყალიბებული შემოქმედის რეპუტაცია.

რამაზ კიკნაძის ინტერესების არეალი არ იფარგლებოდა მარტო არქიტექტურით. მას უყვარდა და იტაცებდა ლიტერატურა და მუ-

თეატრალური ესკიზები.







სიკა, კინო და თეატრი, ამ უკანასკნელს კი თავისი შემოქმედების არცთუ მცირე ნაწილი დაუთმო, როგორც თეატრალურმა მხატვარმა.

თოჯინების თეატრის, მუსკომედიის, გორის და ცხინვალის დრამატული თეატრების მაყურებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ რამაზ კიკნაძეს — ნიჭიერ თეატრალურ მხატვარს. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო თოჯინების თეატრში მუშაობა, სადაც მხატვრულად გააფორმა ათამდე სპექტაკლი.

არქიტექტურული სკოლა იქცევა ხოლმე ერთგვარ ლაბორატორიად, სადაც მოწმდება შემოქმედის ძიებები. აქ გამოცდილება თანხვდება ახალგაზრდულ სულისკვეთებას, ამდიდრებს მას და თვითონაც იძენს ახალ შემოქმედებით იმპულსს. შესაძლოა, ამიტომაც დაუთმო რამაზ კიკნაძემ თავისი ძალზე გადატვირთული დროის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე პედაგოგიურ მუშაობას და აქაც გამოვლინდა როგორც გამოცდილი პროფესიონალი და ერუდირებული შემოქმედი, მომხიბლავი ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრების მაგალითით ახალგაზრდებს უნერგავდა პროფესიული და ადამიანური სრულყოფის მიზანს. მას ჰქონდა უნარი შთაეგონებინა ახალგაზრდა და ამავე დროს ბიძგი მიეცა მისი შემოქმედების ინდივიდუალური საწყისებისათვის. სტუდენტის ნამუშევრებში პოტენციური შესაძლებლობების, საჭირო მონაცემების აღმოჩენა და მისი განვითარებისათვის ზრუნვა დამახასიათებელი იყო რამაზ კიკნაძისათვის, როგორც პედაგოგისთვის. ამავე დროს, იგი იყო პრინციპული და მომთხოვნი, ვერ ეგუებოდა საქმისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, თვითდამშვიდებას, პროფესიულ უსუსურობას. ამგვარი იყო საკუთარი პიროვნების მიმართაც: ბევრს მუშაობდა, დაუცხრომლად ეძებდა. მისთვის საზოგადოებრივი საქმიანობაც შემოქმედებითი პროცესის გაგრძელება იყო. წლების მანძილზე მონაწილეობდა არქიტექტორთა კავშირის ახალგაზრდა არქიტექტორთა მუშაობაში, იყო მცირე ფორმებისა და ინტერიერის სექციის ხელმძღვანელი, არქიტექტურული საბჭოების წევრი და, ბოლოს, არჩეულ იქნა არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრად.

რამაზ კიკნაძე დამსახურებულად აღიარა არქიტექტურულმა საზოგადოებამ, ახალგაზრდობამ, რომელიც დიდად სცემდა პატივს მის ნიჭსა და გამორჩეულ პიროვნულ ღირსებებს. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო — ხუროთმოძღვრის ხელოვნება, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ახალი ძალით იწყებდა ფრთების გაშლას და დიდ მასშტაბებს იძენდა.

ამერიკული კინოს არსებობის მთელ მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ პროგრესული იდეებით გამსჭვალულ ფილმს ურთულესი წინააღმდეგობები არ შეხვედროდა. ზოგჯერ იმდენად გადაულახავი აღმოჩენილა ეს წინააღმდეგობანი, რომ ამგვარი ხასიათის უკვე დამთავრებულ კინონაწარმოებსაც კი ეკრანი არ ღირსებია. „ოცნებათა ქალაქისა“, თუ „ოცნებათა ფაბრიკის“ სახელწოდებით ცნობილ ჰოლივუდს ყველაზე მეტად იდეები აშინებდა ყოველთვის და განსაკუთრებით ოციანი წლების დასასრულსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა მსოფლიო ეკონომიურ კრიზისს ფულის ნაკლებობასთან, უმუშევრობასა და შიმშილთან ერთად, მორალური დეპრესიები, უნდობლობა, საზოგადოებრივი წესრიგის რღვევა და ანარქიაც დაერთო.

## ხელოვნება საზღვარგარეთ

# ფრენსის სკოტ ჰოლივუდი

დასაწყისში, გარეგნულად, კრიზისი თითქო არც კი შეხებია ჰოლივუდის კინოწარმოებას, სინამდვილეში მისმა სულიერმა ატმოსფერომ იმთავითვე ღრმა კვალი დააჩნია კინორეპერტუარს, შემოქმედებითი თანამშრომლებისა და პროდიუსერების ინტერესების სფეროს, ხოლო საბოლოოდ, — მთელ ამერიკულ კინოხელოვნებას. ადვილი წარმოსადგენია, დიდი ეკონომიური კრიზისის ვითარებაში, რა გასაჭირს განიცდიდნენ პროგრესული მწერლები, რომლებსაც, პროდიუსერების „მაცდუნებელი შემოტევების“ წყალობით, იძულებითი ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ჰოლივუდთან. სწორედ ამ იძულებითმა ცდუნებამ დააკავშირა ჰოლივუდს იმ დროს უკვე პოპულარული ამერიკელი მწერალი ფრენსის სკოტ ფიცჯერალდიც (1896-1940).

საგულისხმოა, რომ ოფიციალურად, ფიცჯერალდი ჰოლივუდში სამუშაოდ მივიდა 1927 წელს, შემდეგ 1931 წელს, ხოლო, საბოლოოდ, 1937 წელს მეტრო-გოლდუინ-მაიერის ფირმასთან დადო კონტრაქტი და სიცოცხლის უკანასკნელ დღე-

ებამდე იქ დარჩა, მაგრამ ჰოლივუდისათვის იგი უკვე ცნობილი იყო ჯერ კიდევ 1923 წელს, როცა მისი რომანის მიხედვით წარმატებით დაიდგა ფილმი „მშვენიერი და შეჩვენებული", რომელსაც ყველასათვის განსაცვიფრებლად ამერიკის ყოველთვიურმა ჟურნალმა „ფოტოპლეიმ" დადებით რეცენზია მიუძღვნა. ისევე, როგორც თავის ძირითად რომანებსა და მოთხრობებში, ფიცჯერალდი ამ რომანშიც 20-იანი წლების ახალგაზრდობის ჩვევებსა და სწრაფვას ასახავდა. ნათლად ხატავდა ამერიკულ სამყაროს, სადაც მაღალი საზოგადოებისაკენ, ბიზნესისაკენ გზის გასაკვლევად ყოველგვარ არაადამიანურ საშუალებებსაც კი იყენებენ, მაგრამ საბოლოოდ, ფარდა ეხდება ამ „ამერიკული ოცნების" უსაფუძვლობას. ფუჭადაა ჩავლილი ბრძოლა, უკვალოდ ქრება ახალგაზრდოპა, სილამაზე

რი აღნიშნავდა — კინოს ინდუსტრია ფიცჯერალდს სთავაზობდა იმას, რაც მას ჩვეულებრივ ცხოვრებაში აკლდა, სთავაზობდა სიმდიდრესა და სამოქმედო ასპარეზსს... მაგრამ ფიცჯერალდი ჭეშმარიტი მწერალი იყო და არა საქმოსანი. ამიტომაც შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლეოდა — ჰოლივუდის მანკიერი არსი რეალისტურად განეჭვრიტა. ამასვე მიუთითებს ბად შულბერგიც, რომელთან ერთად ფიცჯერალდს უნდა დაეწერა სცენარი „ზამთრის კარნავალი": „სკოტი... თავის თავს უპირველეს ყოვლისა რომანისტად თვლიდა და სრულიად არ ჰგავდა ჩემს ნაცნობ მწერლებსა და დრამატურგებს, რომლებიც ფილმზე მარტოოდენ ჰოლივუდის სქელი ჩეკებისთვის მუშაობენ, რათა შემდგომ წყნარად მიუბრუნდნენ თავიანთ



# ფიცჯერალდი და

ლია ჯინორია

და ენერგია, რჩება მხოლოდ სინანული, სასოწარკვეთილება და სულიერი სიცარიელე, იგივე აზრი გამოხატა მწერალმა უფრო ადრე (1920) თავის რამდენადმე ავტობიოგრაფიულ რომანში „სამოთხის ეს მხარე" და შემდეგშიც, როცა ჰოლივუდთან იძულებითი ურთიერთობის სხვადასხვა დროს ეკრანი იხილეს მისმა ცნობილმა ნაწარმოებებმა: „მშვენიერი და შეჩვენებული", „დიდი გეტსბი", „წყნარი ღამე" და სხვ.

კონსერვატიზმი, იაფფასიანი გართობა, სინამდვილისაგან განდგომა, „სექსუალური თავისუფლება", თავისუფლება ყოველგვარი სიახლისა და პოლიტიკური სიმახვილისაგან—ასეთი იყო ამერიკული კინოს ძირითადი კურსი, როცა 1927 წელს ოფიციალურად პირველად მივიდა სამუშაოდ ჰოლივუდში ფიცჯერალდი. შემდეგაც, უმთავრესად მხოლოდ მაშინ მიდიოდა იგი, როცა სულიერ და მატერიალურ კრიზისს, შემოქმედებით უნაყოფობას განიცდიდა. მიდიოდა იმიტომ, რომ ჰოლივუდი საარსებო პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობებს იძლეოდა. როგორც მისი ბიოგრაფი ართურ მაიზინე-

ძველ სამუშაოს. სკოტს უყვარდა კინო და გრძნობდა, რომ მისი ნიჭი მშვენივრად მოერგებოდა ამ გარემოსაც".

თავდაპირველად ფიცჯერალდს ჰოლივუდში მოღვაწეობა რომანტიკულ ფერებში ესახებოდა. თავისი რომანის „წყნარი ღამის" ერთ-ერთი პერსონაჟის შესახებ იგი წერდა, „რომ ყველაზე მეტად ქვეყანაზე მას ფილმების დადგმა უნდოდა. მან მშვენივრად იცოდა, რას ნიშნავდა რეჟისორისათვის ფილმის შექმნა და ეს საქმე საოცრად რომანტიკულად ეჩვენებოდა". ამიტომაც ჰოლივუდში მისვლისთანავე, უკვე სახელმოხვეჭილი, რამდენიმე „ბესტსელერის" ავტორი ფიცჯერალდი არაჩვეულებრივი კეთილსინდისიერებით შეუდგა მოვალეობის შესრულებას, ვიდრე რომელიმე „ვარსკვლავისათვის" სცენარის წერას შეუდგებოდა, იგი საგანგებოდ ნახულობდა ამ მსახიობის მონაწილეობით შექმნილ ყველა ფილმს. უკვირდებოდა მის მოქმედებას და ცდილობდა, რაც შეიძლება ღრმად შეეცნო მთელი მისი შესაძლებლობები. თვისობრივი სიახლით გამოირჩეოდნენ მისი სცენარებიც. მაგრამ ჰოლივუდის გარეგნული

ზღაპრული სამყაროს მიმართ მალე გაუქრა მას ყოველგვარი ილუზია. ფიცჯერალდი დარწმუნდა, რომ მისი გულმოდგინება ფუჭი იყო, ნამდვილი ხელოვნება არავის სჭირდებოდა.

ამაო იყო ფიცჯერალდის აღფრთოვანება დიდი ტექნიკური სიახლის — ხმოვანი კინოს აღმოჩენის გამოც; ძლიერ აწუხებდა მისი თანამედროვე ცნობილი მწერლების მწარე ბედიც. ჰოლივუდი მათ პოპულარულ შემოქმედებას სალაროს შემოსავლის მიხედვით ჯიჯგნიდა და გამოშიგნული იდეებით სთავაზობდა კინომაყურებელს. ცხადია, კინომაგნატებს იდეოლოგიურად არ აწყობდათ როგორც მისი, ასევე პროგრესული კოლეგების: ჰემინგუეის, სინკლერ ლუისისა თუ თეოდორ დრაიზერის მკაცრი კრიტიკული დამოკიდებულება კაპიტალისტური სამყაროსადმი. ამერიკულ მართლმსაჯულებას არასოდეს გაუმართლებია საჩივრით წარმდგარი ესა თუ ის ავტორი. საყოველთაო ტრაგიკულ მაგალითად იქცა თეოდორ დრაიზერის „ამერიკული ტრაგედიის“ ეკრანიზაციაც. სტუდია „პარამაუნტის“ ხელმძღვანელობამ ხსენებული ნაწარმოების ეკრანიზაციისათვის ჯერ საგანგებოდ მიიწვია სერგეი ეიზენშტეინი, შემდეგ კი აღარ დართო ნება დიდ რეჟისორს მისი სცენარის მიხედვით განეხორციელებინა დადგმა — ამერიკული საზოგადოების მახვილი სოციალური კრიტიკის გამო. ხოლო როცა დრაიზერმა ჟოზეფ შტერნბერგის მიერ ჰოლივუდის რეცეპტით დადგმული „ამერიკული ტრაგედია“ გაასაჩივრა, ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.

ჰოლივუდის ამ დახშულ ატმოსფეროში თანდათანობით სულ უფრო უტყდებოდა გული მკითხველის ყურადღებით განებივრებულ მწერალს. იგი მუდმივად შეშინებული ჩანდა, გაურბოდა ხალხს, თავს ზედმეტად გრძნობდა. მის დღიურში გაჩნდა ჩანაწერი: „ჰოლივუდში ხალხი გარეგნულადაც კი არ არის კეთილგანწყობილი, ძალზე ბევრია უსიამოვნო ფამილარობა...“ ფიცჯერალდს იგივე გრძნობა დაეუფლა, რაც ერიხ მარია რემარკს: „იქ, ჰოლივუდში, ასე გგონია, თითქოს თავზე ცელოფანის გამჭვირვალე პარკი ჩამოგაცვეს. ყველაფერს ხედავ, მაგრამ არაფერი გესმის, არაფრისა გჯერა...“

სწორედ იმ დროს, როცა ამარიკის ეკრანებს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მოუზღვავდათ განგსტერული, სექსუალური და მათი მსგავსი მსუბუქი ხასიათის ფილმები, ფიცჯერალდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შექმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი სცენარი, მათ შორის: „იანკი ოქსფორდში“, „მადამ კიური“, „ქარით წაღებული“, „სამი ამხანაგი“. ამ უკანასკნელზე სამუშაოდ იგი მიიწვია მისი შემოქმედების დიდმა თაყვანისმცემელმა, ცნობილმა პროდიუსერმა მანკიევიჩმა.

ფიცჯერალდის საუკეთესო ორიგინალური სცენარი იყო „ღალატი“, რომელიც გვიჩვენებდა ნიუ-იორკის მდიდრულ აპარტამენტებსა და მათ მობინადრეთა ფუქსავატურ, უაზრო ცხოვრებას. ეს სცენარი თავისი განწყობილებით ეხმაურებოდა მისსავე მთავარ რომანს „დიდ გეტსბის“ და მორალური ნორმების რღვევის წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ ცენზურამ აკრძალა ამ ფილმის გადაღება, რადგანაც 30-იან წლებში ამერიკულ ეკრანზე ცოლქმრული ღალატის ჩვენება დაუშვებლად მიაჩნდათ.

ამასთანავე, სხვადასხვა დროს, ჯერ კიდევ მწერლისავე სიცოცხლეში, ეკრანიზებული იყო მისი თითქმის ყველა რომანი („დიდი გეტსბი“, „წყნარი ღამე“, „მშვენიერი და შეჩვენებული“) და მრავალი მოთხრობა. მაგრამ ფიცჯერალდს არ აკმაყოფილებდა მისი ნაწარმოების მიხედვით დადგმული ფილმები, რადგან, საერთო ტენდენციის თანახმად, მხატვრული ნაწარმოებებიდან, სოციალური რომანი იქნებოდა ეს თუ ბიოგრაფიული, იღებდნენ მხოლოდ მოქმედ პირთა სახელებს და ყურადღებას მარტოოდენ სატრფიალო მოტივზე ამახვილებდნენ.

ფიცჯერალდის დამოკიდებულება ჰოლივუდის სამყაროსადმი, მისი მახვილი დაკვირვებანი ნათლად აისახა ბოლო, დაუმთავრებელ რომანში „უკანასკნელი მაგნატი“ და მოთხრობებში, რომელიც პოეტ ჰობის ციკლის სახელითაა ცნობილი.

„უკანასკნელი მაგნატის“ მთავარი გმირის მონრო სტარის პროტოტიპია 20-30-იანი წლების ჰოლივუდის გამოჩენილი პროდუსერი ირვინგ ტალბერგი (1899-1936). ტალბერგი, მაღალი ხელოვნებისა და ჭეშმარიტების მოყვარული კაცი, ცდილობდა აემაღლებინა ამერიკული ფილმის მხატვრული დონე, ეძებდა ახალ-ახალ სერიოზულ სიუჟეტებს, თავად რედაქტორობდა სცენარებს, თანამშრომლობდა მწერლებთან, რეჟისორებთან, მსახიობებს ურჩევდა მათთვის შესაფერის როლებს და ამასთანავე ცდილობდა ჩრდილში დარჩენილიყო. ეს საოცრად მორიდებული ადამიანი, უარს ამბობდა მისი სახელის სადმე მოხსენიებაზე. „სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს გვარს ფირზე ვერ იხილავთო“, — ამბობდა იგი.

სკოტ ფიცჯერალდი ჰოლივუდში მუშაობისას არაერთგზის შეხვედრია ირვინგ ტალბერგს და მოხიბლული იყო მისით. ფიცჯერალდი მოწმე იყო ხელოვნების სიწმინდისათვის, უანგარობისათვის ლუი ბ. მაიერის წინააღმდეგ ტალბერგის ბრძოლისა. ირვინგ ტალბერგმა ფიცჯერალდის თვალწინ აქცია ამერიკული კინო იაფფასიანი გასართობიდან დრამატული ხელოვნების უძლიერეს სახეობად.

მართალია, „უკანასკნელი მაგნატი“ ფიცჯერალდმა ტალბერგს უძღვნა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ რომანი ბიოგრაფიულია თავისი ხასიათით. ეს არის ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწარმოები, რომელშიაც რეალისტურადაა აღწერილი ჰოლივუდის კინოწარმოება და ცხოვრება, საერთოდ. „უკანასკნელი მაგნატი“ უთუოდ საუკეთესოა მათ შორის, რაც კი ჰოლივუდის შესახებ მოგვეპოვება, (თუ მხედველობაში არ მივიღებთ უფრო გვიან ალვა ბესის გახმაურებულ წიგნს „ინკვიზიცია სამოთხეში“), ის ერთადერთი რომანია, რომელსაც მის სამყაროში შევყავართ“. ამერიკის კინოს სამყარო ახლო მანძილიდანაა დანახული, ზედმიწევნითაა შესწავლილი და საოცარი გონებამახვილობითაა წარმოდგენილი“, — წერდა ამერიკელი მწერალი და ამ რომანის გამომცემელი ედმუნდ უილსონი.

რომანში წარმოდგენილია 1935 წლის ჰოლივუდი, მისი სტრუქტურა, მისი ცხოვრების ყოველგვარი წვრილმანი, მწვავე დეპრესიის ის პერიოდი, როდესაც ჰოლივუდი მძაფრ კრიზისს განიცდიდა.

ფიცჯერალდის აღწერით, ჰოლივუდი ბიზნესის სამყაროა, რომელიც არაფრად აგდებს ადამიანს, პიროვნებას. ადამიანებს აქ მანამდე იყენებენ, ვიდრე ისინი ახალგაზრდები და ლამაზები არიან, შემდეგ კი ხელს ჰკრავენ როგორც უსარგებლო ნივთს. ფუფუნებას მიჩვეული „ვარსკვლავები“ უკიდურეს სიღარიბეში ვარდებიან, უმეტესობა ვერ უძლებს განსაცდელს და ცხოვრებას თვითმკვლელობით ამთავრებს. ჰოლივუდში სრული უწესრიგობა სუფევს. იქ მოხვედრილები კარგავენ ადამიანურ სახეს, ეტანებიან ალკოჰოლსა და ნარ-

კოტიკებს, უსულგულო მმართველები არად აგდებენ თავიანთ ხელქვეითებს და მხოლოდ ჯიბის გასქელებაზე ფიქრობენ. ადამიანი თავისთავად გაუფასურებულია. აქ უკიდურესი ინდივიდუალობის კულტია გამეფებული. ჰოლივუდში მომუშავე ადამიანთა უმეტესობა ნერვიულია, ავადმყოფურად დამყარებულია მოძღვრებაზე, რომელიც ადამიანს თავისი ვნებების, ინსტინქტების მონად აქცევს. თითქმის ყველა მარტოობის საოცარი გრძნობითაა შეპყრობილი.

ფიცჯერალდის კრიტიკა პირდაპირი და თამამია. იგი ყოველ ნაბიჯზე აღნიშნავს, რომ ჰოლივუდი ,,არადამაკმაყოფილებელი ბიზნესია‘‘.

უმძიმეს მდგომარეობაში არიან ჰოლივუდში მომუშავე მწერლებიც. ისინი წერენ, მაგრამ არ არიან დარწმუნებულნი, რომ სწორედ მათ ნამუშევარს გამოიყენებენ და არა სხვისას. მათ დაკარგული აქვთ მწერლის ინდივიდუალური სახე და ვალდებულნი არიან სხვისი გემოვნების შესაბამისად წერონ. მარგარეტ მიტჩელის განთქმული რომანის ,,ქარით წაღებულის‘‘ სცენარზე მუშაობისას ფიცჯერალდი აღშფოთებით წერდა თავის მეგობარსა და გამომცემელს მაქსუელ პერკინსს: ,,ქარით წაღებულზე‘‘ მუშაობისას მე სრულიად მეკრძალება ვიხმარო რაიმე სიტყვა, რომელიც მარგარეტ მიტჩელს არა აქვს გამოყენებული. როდესაც ფრაზაა გამოსაგონი, მთელი მისი წიგნი უნდა გადავქექოთ, თითქოსდა ,,საღვთო წერილი‘‘ იყოს, და მისივე ფრაზები ამოვკრიბოთ რაიმე სიტუაციის წარმოსადგენად‘‘.

მწერალს მუშაობაში ხელს უშლის ჰოლივუდში დაწესებული მკაცრი ცენზურაც, რომელიც ,,კომუნისტური იდეების‘‘ დევნაში ახშობს ყოველგვარ ჰუმანურ აზრს. ,,მწერლები ხომ აქ ადამიანებადაც არ მიაჩნიათ‘‘ — გულისტკივილით შენიშნავს ფიცჯერალდი.

თუმცა ,,უკანასკნელი მაგნატი‘‘ ფიცჯერალდს დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ დაწერილი ნაწილიც ცხადყოფს, რომ მწერალი მთელი არსებით ილაშქრებდა უსინდისობის, უსულგულობის წინააღმდეგ და უჩვენებდა რომ ჰოლივუდი ,,ჩვენი დაკარგული ილუზიების ადგილია, დიდი დაცინვაა‘‘.

,,უკანასკნელ მაგნატზე‘‘ მუშაობის პარალელურად ფიცჯერალდი წერდა და აქვეყნებდა მოთხრობებს პეტ ჰობის შესახებ. ისევე, როგორც მანამდე მონრო სტარის, პეტ ჰობის სახითაც სკოტ ფიცჯერალდი წარმოგვიდგენს ხელოვანის ტრაგიკულ ბედს ჰოლივუდში, ადამიანისა, რომელმაც მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, დიდად შეუწყო ხელი კინოხელოვნების განვითარებას. პეტ ჰობიმ, ისევე როგორც თვით სკოტ ფიცჯერალდმა, თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ჰოლივუდს შეალია, წლების მანძილზე თავაუღებლივ შრომობდა და როცა იგი გამოიფიტა, ძალ-ღონე გამოელია, აგრძნობინებენ, რომ ახლა აღარაფერს წარმოადგენს, უსარგებლოა და მხოლოდ სინანული და ლოთობა დარჩენია ცხოვრებაში. ოდესღაც ზღაპრულად მდიდარი, ახლა უსახლკაროდაა დარჩენილი და უნიჭო ,,ვარსკვლავები‘‘ ვეღარც კი ცნობენ. კაცს, რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ჰოლივუდში, თვით აშშ-ის პრეზიდენტსაც კი შეხვედრია, ახლა უფლება არა აქვს თავისი აზრები შეიტანოს რომელიმე სცენარში და მხოლოდ დიალოგთა გამართვა აქვს მინდობილი.

გარდა ჰოლივუდის ობიექტური სურათის წარმოდგენისა, ,,პეტ ჰობის‘‘ ციკლში ფიცჯერალდი ცდილობდა მოეძებნა თავისი დაცემის მიზეზებიც. პეტ ჰობისა და, ნაწილობრივ, სკოტის დეგრადაციის მთავარი მიზეზი უცილობლად თვით მათ პიროვნებებშია, რომლებითაც ისინი თავიანთი საზოგადოების — ბურჟუაზიული ინტელიგენციის — ტიპიურ წარმომადგენლებად გვევლინებიან. პეტ ჰობის არა აქვს მყარი მორალური მრწამსი, იგი უნებისყოფო, სუსტი პიროვნებაა, რომელიც ვერ გაუმკლავდა ცთუნებებსა და გაჭირვებას და პასიურად, ნაკლები წინააღმდეგობის გზით მიჰყვა ცხოვრების დინებას.

იქ, სადაც ჰემინგუეის გმირი კაჟდება და იწრთობა, სწავლობს შეცდომებზე და იძენს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ფიცჯერალდის გმირი სუსტდება, კარგავს სიცოცხლისუნარიანობას და აკეთებს სავალალო დასკვნას, რომ არაფერია ქვეყნად მყარი, საერთოდ, ცხოვრებაში და, კერძოდ, ჰოლივუდში ყოველი წარმატება წარმავალია. საოცრად მგრძნობიარე, ,,წინასწარმეტყველად‘‘ გამოცხადებული სკოტ ფიცჯერალდი თითქოს გრძნობდა, რომ სამი ათეული წლის შემდეგ მის დროს უძლიერესი ,,მეტრო-გოლდუინ-მაიერის‘‘ ფირმა გაკოტრდებოდა და ვალების დასაფარავად დეკორაციებისა და ,,ვარსკვლავთა‘‘ ტუალეტების აუქციონზე გაყიდვა მოუხდებოდა.

ცნობილმა ამერიკელმა რეჟისორმა სიდნეი პოლაკმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა: ,,დრო სპირალისებურად მოძრაობს. 70-იანი წლები ძალზე მოგვაგონებს 30-იანს, ჩაცმულობითაც კი. დღევანდელი ამერიკული ცხოვრების ატმოსფერო იგივეა: მერყეობა, მოუსვენრობა, ისტერია, სულიერი გატეხილობა. ასეთ მდგომარეობაში ადამიანები უაზრობას ჩადიან. მაშინ ბევრი რამ აიხსნებოდა ეკონომიური კრიზისის შედეგებით. დღეს კრიზისი ემოციური, სულიერია... დღეს აუცილებელია 30-იანი წლების გაკვეთილების შეხსენება‘‘. საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი, რომლებიც სკოტ ფიცჯერალდმა ესოდენ ტიპიურად და მკვეთრად წარმოადგინა თავისი შემოქმედებითა და პირადი ცხოვრებით, ჩვენს ეპოქაში კი არ შერბილებულან და გამქრალან, არამედ უკიდურესობამდე გამძაფრდნენ და გამწვავდნენ. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ დღეს ფიცჯერალდის ტრაგიკული ბედიცა და შემოქმედებაც კვლავ ყურადღების ცენტრშია, იღებენ ახალ კინო და ტელეფილმებს მისი ნაწარმოებების მიხედვით.

# მოდა

## განვითარების ზოგიერთი სოციოლოგიური ასპექტი

გივი მარუაშვილი

ჩვენს დროში იშვიათად ნახავთ ვინმეს, მოდის მიმართ გულგრილი რომ დარჩენილიყოს, მოსწონებოდეს, ან არ ეძაგებინოს ესა თუ ის მიმართულება მოდისა. რაკი მოდა ასეთი ემოციური განსჯის ობიექტია, ცხადია, მასზე ბევრი დაწერილა კიდეც. ისტორიულ, სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, თუ ფილოსოფიურ ასპექტში არაერთი დავა და დისკუსია გამართულა, მაგრამ ჩამოყალიბებულ, მტკიცე შეხედულებებს მოდის მიმართ მაინც ვერსად ვერ შეხვდებით...

ამის მიზეზი არა მარტო ის გახლავთ, რომ გემოვნება ყველაზე სუბიექტური მოვლენაა, არამედ ის, რომ თვითონ დავის ობიექტია მეტისმეტად ცვალებადი. როდესაც რაიმე გარკვეული აზრი ჩამოყალიბდება ხოლმე ამა თუ იმ მოდურ მიმართულებაზე, აღმოჩნდება, რომ თვითონ ამგვარი მოდური მიმართულება უკვე აღარ არსებობს — სხვას დაუთმო ასპარეზი.

ამის გამო, ძალზე ბევრია ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრებანი, რომლებიც ხანდახან მეტისმეტად კატეგორიულ ფორმებშია გამოხატული: ზოგი ხელაღებით მოითხოვს მოდის მიყოლას და მას უსიტყვოდ ემორჩილება, ზოგიერთები ასევე კატეგორიულად უარყოფენ მას და ძველ მამაპაპურ ,,უძრაობას‘‘ საფუძველთა საფუძვლად აღიარებენ. ასეთი შეხედულებანი მარტო ერთეულთა კუთვნილება როდია — მათ საზოგადოებრივი ხასიათი ეძლევა, ამიტომ დისკუსიაში აქტიურად მონაწილეობს ხოლმე პრესა. მაგრამ იგი, სამწუხაროდ, ხან ერთ უკიდურესობას ემხრობა, ხან — მეორეს.

მაშ ასე, მოდა — modus — ლათინური სიტყვაა და საშუალებას, მანერას, სახეს ნიშნავს. ჩაცმულობის მიმართ კი იგი გამოიყენება როგორც მანერა. ეს ერთადერთი ურყევი რამ გახლავთ მოდაში და შესავალშივე ასე გულადად იმიტომ მოგახსენეთ. სინამდვილეში კი დავიწყოთ იმით, რომ ჩვენი ქალაქების ქუჩებში გასულ ადამიანს დღეს თვალში მოდის არაჩვეულებრივი სიჭრელე მოხვდება, ეს ითქმის, როგორც ჩაცმულობის, ისე თმების მოზრდის, ვარცხნილობის, თავის დაჭერის, მოქცევის მანერის და სხვათა მიმართ.

ზოგს ჰგონია, თმამოშვებული და წვერმოზრდილი ჭაბუკი, მოკლეკაბიანი, ან ზედმეტად გრძელკაბიანი გოგონა ,,ახირებული ვინმეა‘‘ და მათ მიმართ მთავრობამ სასტიკ აღმკვეთ ღონისძიებებს უნდა მიმართოს. ზოგიერთებს უკვირთ, საიდან უბერავს ეს ,,უცნაური ქარი‘‘? რატომ ,,გაფუჭდა‘‘ ჩვენი ახალგაზრდობა ასე? ვინც საკითხის ისტორიაში ჩახედული არ არის, ამ გარემოებას საზღვარგარეთის კინოფილმების გავლენას აბრალებს, ტურიზმის განვითარებას და ამის შედეგად ჩვენში უცხოური ცხოვრების სტილის შემოჭრას მიაწერს...

რაც ადამმა და ევამ შთამომავლობა გააჩინეს, ახალგაზრდობის, მომავალი თაობის საქციელი, მუდამ ყოფილა დავის საგანი. თითქმის ყველა დროისა და თაობის ,,მამების‘‘ ასაკის ადამიანები წუწუნებენ, რომ ,,შვილები‘‘ თავისებურები, ჯიუტები არიან და ძველ ტრადიციებს არ მისდევენ, ,,რა ახალგაზრდობა გვეზრდება, ჩვენ ასე არ ვცხოვრობდით‘‘, თავის ქნევით ამბობენ ისინი და გულამოსკვნით დააყოლებენ ,,რას იზამ, ახლა ცხოვრების ასეთი მოდა მოვიდაო‘‘.

ასაკით რამდენადმე განსხვავებულ თაობას ავიწყდება, რომ მის სუბიექტურ მოსაზრებებსა და წარმოდგენებს (რომელიც გარკვეულ მყარ ვი-



თარებაში ჩამოყალიბდა) ბუნებრივად არ შეესაბამება უფრო ახალგაზრდა თაობის ნიჭის, სურვილების, მიდრეკილების ინტერესებისა და გემოვნების გამოვლინებანი... მათ მოთხოვნას წინამავალი თაობის სუბიექტური სურვილები კი არა, არამედ კონკრეტული გარემოებანი და ვითარებანი განსაზღვრავენ; ამიტომ ვამბობთ, რომ ერთიდაიგივე შინაარსი, ერთიდაიგივე ფორმით, სხვადასხვა ვითარებაში არ შეიქმნება. უბრალოდ რომ ვთქვათ, ადამიანური ბუნების კონსერვატიულობის გამო, გვგონია: რაც მისაღები და ანბანური ჭეშმარიტება იყო ოცი-ოცდაათი წლის წინათ, აუცილებლად იმ ძველი წარმოდგენის მიხედვით უნდა განმეორდეს, რომელიც ჩვენს გონებაში არსებობს.

ადამიანური ბუნების კონსერვატიულ ხასიათს სწორედ ის განსაზღვრავს, რომ ემოციური გრძნობები წმინდა ფიზიოლოგიური თვალსაზრისით იმდენად სტაბილურია, თითქმის შეუმჩნეველია ცვალებადობა, ისევე როგორც შეუმჩნეველია ადამიანის ანატომიური ცვალებადობა. ადამიანური გრძნობების გამომჟღავნების ფორმები: სიყვარული, სიძულვილი, სიხარული, მწუხარება, ბოროტება, სიკეთე, შური და ათასი სხვა, იცვლება, ადამიანთა მატერიალურ-საწარმოო ურთიერთობის განსაზღვრულ საფეხურზე. ეს ვითარება ქმნის კონკრეტულ სოციალურ გარემოს, რაც თავის მხრივ ზემოქმედებს საზოგადოებრივ განვითარებაზე, ამ ზემოქმედების ძალით ცვლის მას, და ასე, განუწყვეტლივ... ეს არის აღმავალი განვითარების გზა, ისე, რომ არც ერთი რგოლი განვითარების უკვე განვლილ საფეხურს და — ცხადია, შესაბამის წარმოდგენებსაც — აღარ იმეორებს. ცვალებადობას, უფრო სწორად, ცვალებადობის ფორმებს, კონკრეტული, პრაქტიკული გარემო განსაზღვრავს.



ისტორიიდან ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელი თავის არმიაში წვერისა და თმის მოშვებას კრძალავდა. მეტად გასათვალისწინებელ ჰიგიენურ მოთხოვნებს რომ თავი დავანებოთ, ამას სხვა პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა: გრძელწვერიანი თუ გრძელთმიანი მებრძოლისათვის მოწინააღმდეგეს ადვილად შეეძლო წვერში ხელი ჩაევლო, ან გრძელი თმით დაეთრია.

სოციალური ცხოვრების სფერო ძალიან რთულია. თუ ამ სფეროში მოვლენები განპირობებულია კონკრეტული დამოკიდებულებითა და პრაქტიკული გარემოთი, ეს მაინც არ ნიშნავს აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში პრაქტიციზმი და უტილიტარიზმი იყოს გადამწყვეტი. 900 წლის წინათ ეკლესიას არ მოეწონა, რომ მამაკაცები გრძელ თმებს ატარებდნენ და იგი აკრძალა. ამის პასუხად ერთ-ერთმა მეფემ მუხლებამდე ჩამოშლილი კულულებით დაიმშვენა თავი და გრძელი თმის მოწინააღმდეგეებს თავისი ძალაუფლების გამოყენებით პირში ჩალა გამოავლო. მერე კი ამ მეფეს მიმბაძველთა მთელი ჯგუფი გაუჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიბაძვა და მოდა სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენებია, რადგან მოდა საბოლოო ჯამში სტანდარტიზებული მასობრივი ყოფაქცევაა.

ახლა, ვნახოთ, რას გვაძლევს მოდის პრაქტიკული განპირობებულობით ახსნა. თუ ამ საკითხს ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ მოდის ცვლილება არსებითად, დასაბამიდან დღემდე, მაინც მატერიალური ცხოვრების წესთანაა დაკავშირებული. ნათქვამის ნათელსაყოფად ავიღოთ საზოგადოებრივი განვითარების უძველესი ხანა, როცა ადამიანსა და ბუნებას შორის მარტივი საწარმოო იარაღები იდგა და ჯერ კიდევ არ იყო ადამიანის გონებითა და ხელით შექმნილი განმასხვავებელი რთული საზოგადოებრივი მოვლენები. უძველესი ხანის ადამიანმა ნადირობას თანდათან დაუკავშირა რიტუალი — სახისა და სხეულის ნაწილების შეღებვა, ფრთებით მორთვა და სხვ. მთელი რიგი ჩამორჩენილი ხალხები ახლაც მიმართავენ ამგვარ რიტუალს — ბაძავენ ცხოველის თუ ფრინველის მოძრაობას, და ამას წმინდა პრაქტიკული დანიშნულება აქვს. მათი წარმოდგენით ასეთი მსგავსებით მოტყუებული ნადირი თუ ფრინველი ისრის სასროლზე მიუშვებს მონადირეს.

ადამიანი გაჩენის დღიდან ბაძავს ბუნებას, რადგან თვითონაც ბუნების შვილია, ბუნებაზე დიდი მასწავლებელი კი კაცობრიობას არც ყოლია და არც ეყოლება. ეს არის ადამიანის მწარმოებლური დამოკიდებულების გამოვლენა ბუნებასთან. მაგრამ ის, რაც პრაქტიკული მოსაზრებით, პრაქტიკული მოთხოვნილებით, თუ პრაქტიკული ცხოვრებით იყო გაპირობებული თავდაპირველი უბრალო მიბაძვიდან, თუ გულუბრყვილო პრაქტიკული საჭიროებიდან უფრო რთულ გაუცხოებულ სოციალურ მოვლენად გადაიქცევა. ასეთ შემთხვევაში ადამიანს თვითონ არ სჯერა, რომ მთელი რიგი მოვლენები, რომელთაც იგი ვეღარ იმორჩილებს, მის მიერვე იყოს შექმნილი. ეს უკვე ის სფეროა, სადაც გემოვნების განვითარების კანონზომიერებანი და ამასთან დაკავშირებით, თითქოს ულოგიკო კურიოზებიც მოქმედებენ, და თავს იჩენენ.

დღეს გავრცელებული საყურეების ტარების თუ ტუჩების შეღებვის მოდა შორეული საუკუნეებიდან მოდის და ოდესღაც გულუბრყვილო პრაქტიციზმმა და მიბაძვამ განაპირობა. ამაზონკის ჯუნგლებში მცხოვრები ადამიანები დღესაც იხვრეტენ ცხვირის ძგიდესა და ყურის ბიბილოებს... ასევე იქცევიან აფრიკაში მცხოვრები მასაები, ცენტრალური ავსტრალიის ტომები, ახალი გვინეის სანაპიროს მცხოვრებნი და განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი მრავალი სხვა



ხალხი. მათ სჯეროდათ და უმრავლესობას ახლაც სჯერა, რომ მიწაზე არსებობენ მრავალრიცხოვანი მავნე და ბოროტი სულები, რომელთაგანაც დაცვა საჭირო. უფრო სერიოზული დაცვა სჭირდება ისეთ სასიცოცხლო ნახვრეტებს, როგორიც არის ცხვირის ნესტოები, პირი, სმენის ორგანო — ყური, ამ ფუნქციას მათი აზრით წარმატებით ასრულებს ცხვირის ძგიდეში გაყრილი ნიჟარა, ყურის ბიბილოზე ჩამოკიდებული რგოლი, ტუჩების ტატუირება და სხვადასხვა ფერად შეღებვა. ასეთი „პრაქტიკული" დანიშნულება ჰქონდა იმ სამკაულს, რომელსაც ჩვენებური მოდის მიმყოლები ამჟამად დიდი სიამოვნებით ხმარობენ ისე, რომ, ცხადია, არავის არ ახსოვს მათი ადრინდელი გამოყენების აზრი — საყურე წმინდა ესთეტიკურ მოსაზრებას ემსახურება და არა ყურის ღრუს მავნე სულებისაგან დაცვას.

ადამიანს ტანსაცმელი მოთხოვნილებამ, გარემო პირობებმა ჩააცვა, იგი გარემო ბუნებისაგან თავდაცვის საჭიროების გამო შეიმოსა. უძველესი ხანიდან დღემდე, ჩაცმა-დახურვის მუდმივი თანმხლებია მოდა და თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, შეიძლება დავასკვნათ: გემოვნების განვითარება, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იცვლება და განსაზღვრული ეპოქის ნაყოფს წარმოადგენს. როცა სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციები რამდენადმე უახლოვდებიან ერთიმეორეს, მოდის მიმართულებანი და ძირითადი ტენდენციებიც თითქმის მსგავსნი ხდებიან. მაგალითად, ზოგს ჰგონია, რომ მოკლე კაბები ქალებს მხოლოდ XX საუკუნის 60-იანმა წლებმა ჩააცვა. მაგრამ, გავიხსენოთ ძველი ბერძნული ხელოვნების დიდებული ნიმუში პოლიკლეტის „ამორძალი". ამ მეომარ ქალს აცვია დღევანდელ მოკლე კაბაზე კიდევ უფრო მოკლე — ტუნიკა! ასე მარტო მებრძოლს როდი ეცვა, მაშინდელ საბერძნეთში უკუგდებული იყო სხეულის შემბოჭავი ჩაცმულობა, რადგან ადამიანს მეტი მოძრაობა უხდებოდა. მაგალითად, ქალები მამაკაცების თანაბრად სპორტსმენებიც იყვნენ და მეომრებიც. ტანსაცმელი, როგორც მნიშვნელოვანი ყოფითი საგანი, ცხადია, მაშინდელი ეპოქის ისეთ მოთხოვნებსაც ასახავდა, როგორიც არის სტილი და მიმართულება ხელოვნებაში, გემოვნების განვითარების საერთო დონე და სხვ.

არსებობს ასეთი ანტითეზისიც:

ადამიანს ტანსაცმელი სირცხვილის გრძნობამ ჩააცვა, რადგან სიცივე, გარემო ბუნებისაგან დაცვა ერთნაირად როდი განაპირობებს პირველყოფილი ადამიანის მისწრაფებას დაიფაროს შიშველი სხეული. მაგალითად, ცეცხლოვანი მიწის მცხოვრებნი, პოლინეზიელები და ინდონეზიის ზოგიერთი ადგილის მკვიდრნი ნახევრადშიშვლები დადიან, მაშინ, როცა ცეცხლოვან მიწაზე გაცილებით უფრო ცივა, ვიდრე, ვთქვათ, ინდონეზიასა და პოლინეზიაში.



ადამიანის მიერ დამზადებული უპირველესი საგანი, მოკლული ცხოველის ტყავია, რომლითაც სხეული დაიფარა. დღევანდელი მეცნიერება თვლის, რომ ადამიანი ბუნების პროდუქტია. რატომ დასჭირდა ადამიანს დაეფარა სხეული, თუ იგი ბუნების პროდუქტია? განა, ბუნებას რაიმე მიზანშეუწონელი შეუქმნია? (ასეთი ორგანიზმი რომ გაჩენილიყო, ვერ იარსებებდა), თუ ადამიანი მხოლოდ ბუნების პროდუქტია, მაშინ მისი ორგანიზმი ბიოლოგიურად ისე მიზანშეწონილად უნდა განვითარებულიყო, რომ მთლიანად შეგუებოდა არსებულ გარემოს (ისე, როგორც ცხოველს გაუჩნდა ბუნებრივი ბეწვის საფარველი, კანის დასაცავად). ანთროპოლოგების გამოანგარიშებით ადამიანი გაჩენის „დღიდან" ტანსაცმლის ჩაცმამდე ნახევარი მილიონი წელიწადი შიშველი დადიოდა, მაშასადამე, ადამიანს ტანსაცმლის ჩაცმის მოთხოვნა ბუნებრივისაგან — ფიზიოლოგიურისაგან განსხვავებულმა მოვლენამ — სირცხვილის გრძნობამ გაუჩინა.

საწინააღმდეგო მოსაზრება ამტკიცებს: როცა ვამბობთ, რომ ადამიანი ბუნების პროდუქტია, ეს როდი გამორიცხავს სხვა გარემოებასაც, სახელდობრ, იმას, რომ იგი არ არის მხოლოდ ბუნების პროდუქტი. ადამიანი რომ მხოლოდ ბუნების პროდუქტი იყოს, მაშინ გაუჩნდებოდა ბეწვი, როგორც ბუნებრივი განვითარების ბუნებრივი შედეგი. რაგვარი ჰიპოთეტური ახსნაც არ უნდა მიეცეს ტანსაცმლის გაჩენას, იგი უპირველესად სოციალური განვითარების პროდუქტია, ადამიანის მიერ, „თავისი თავის აღზრდის შედეგია". აქედან, ადამიანი არის არა მარტო ბუნების პროდუქტი, არამედ თანაბარწილად „თავისი თავის აღზრდის" ბუნებრივი პროდუქტიც. მაშასადამე, ტანსაცმლის გაჩენა მოთხოვნილებათა მთელმა კომპლექსმა განაპირობა.

მხოლოდ კლიმატური პირობები რომ არ არის ჩაცმულობის შემოღებასა და მოდის განვითარებაში გადამწყვეტი, ამას დღევანდელი მაგალითიც დაადასტურებს. აზიისა და აფრიკის პოლიტიკურად და ეკონომიურად განთავისუფლებული ხალხები უბრძოლველად დანებდნენ ევროპული მოდის შემოტევას. ადვილად წარმოსადგენია პიჯაკი და გრძელი შარვალი აფრიკის პაპანაქება სიცხეში რა ძნელი ჩასაცმელი იქნება, მაგრამ მაინც სხვაგვარ კლიმატურ პირობებში გაჩენილმა ევროპულმა მოდამ წარმატებით დაიპყრო მთელი აზიისა და აფრიკის ცხელი კონტინენტები.

აქლა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოდის განვითარების ისტორიაში კურიოზები და პარადოქსები საკმაოდ ბლომად გვხვდება, ასე რომ ამ გზაზე, მართლაც რაიმე მტკიცედ უცვლელის მოძებნა თითქმის შეუძლებელია. ისევ ისტორიას მივმართოთ.

ქალი და მამაკაცი ყოველ დროსა და ეპოქაში განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან თმით. მამა-

კაცს მუდამ ჰქონდა წვერი, თუმცა უძველეს ხანაშიც თუ ერთი ტომის მამაკაცები წვერს სავალდებულოდ ატარებდნენ, მეზობელი ტომისანი პირტიტველობას ამჯობინებდნენ. ძველი ბერძნები წვერმოშვებულები იყვნენ, რომაელები და ბიზანტიელები გაპარსულები, შუა საუკუნეებში მამაკაცები საყოველთაოდ წვერმოშვებულები დადიოდნენ, ხოლო აღორძინების ხანაში — ასევე საყოველთაოდ წვერგაპარსულები. XVIII საუკუნემაც წვერგაპარსულობას მისცა უპირატესობა. XIX საუკუნის პირველმა ნახევარმა კვლავ წვერულვაშის მოზრდის მოდას დაუთმო ადგილი.

სხეულის გრიმირებასა და შეღებვასაც თავისი ისტორია აქვს. მოდის მიმდევარი ძველი ეგვიპტელი ქალი დიდ ყურადღებას უთმობდა სახისა და სხეულის გრიმირებას. წარბებსა და წამწამებს შავად იღებავდა, თვალის უპეებს მწვანედ, ფრჩხილებს თეთრად. ამ მოდამ რამდენიმე ასწლეულს გაუძლო, მერე მწვანე ნარინჯისფერმა შეცვალა. ბოლოს შემოღებულმა „მოდერნმა" საღებავების კიდევ უფრო მეტი ხარჯი მოითხოვა — ფეხის ტერფებისა და ხელების შეღებვაც დაიწყეს. მამაკაცები დიდ ყურადღებას უთმობდნენ პარიკსა და მისაწებებელ წვერს. ძველი ეთიოპური, შუათითზე ჩამოსაცმელი მოდური ბეჭედი, ხელის მტევნის ნახევარს ფარავდა. ასე, რომ იმდროინდელი მორთულობა არც თუ ისე იოლი შესასრულებელი იყო.



ასირიელებისა და ბაბილონელების ყველაზე საყვარელი ჩასაცმელი გრძელი და განიერი ხიფთანი იყო, სხეულს კისრიდან ქუსლამდე რომ ფარავდა. იგი შესაკერად და ჩასაცმელადაც ძალიან მარტივი და ადვილი იყო, მაგრამ საოცრებას ბაბილონელთა ვარცხნილობა წარმოადგენდა: ბაბილონელის თმა შვეულად წვრილ-წვრილ კულულებად იყო დაყოფილი და ყურებს უკან გადატანილი, ულვაშები, ქილვაშები და ნაწილი თმისა ღაბაბთან დახვეული, წვერის ნაწილი წვრილად დაწნული და ბოლოდაკულულებული. ამგვარად „დამუშავებული" თმა რამდენიმე იარუსად იყო დაყოფილი.

ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ მოდა ჩვენს წელთაღრიცხვამდეც კამათის საგანი იყო. მოდის ჭირვეულობა ზოგჯერ სახელმწიფოებრივ რანგამდე ადიოდა და ხელმწიფე-იმპერატორები დიდძალ დროს კარგავდნენ იმის გადაწყვეტაზე, ნება დაერთოთ ამა თუ იმ ჭირვეული მოდის გავრცელებაზე, თუ აეკრძალათ იგი. პირველი შემზღუდველი კანონი ჩვენი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ეს კანონი, რომელიც მოქალაქეებს თვითნებურად შეკერილი ტანსაცმლის ტარებას უკრძალავდა, კიდევ უფრო მკაცრი გახდა ტიბერიუსისა და ნერონის დროს. მათ დიდი ბრძოლა გააჩაღეს უცნაურობას აყოლილ რომაელ მოდისამყოლ ახალგაზრდებთან, მაგრამ ამ ფრანტების წინააღმდეგობის გატეხვა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე გალების, ინგლისელი და გერმანელი მოლაშქრეების შეჩერება. მოდას არა ერთი და ორი უძლეველი იმპერატორი დაუძლევია. ცნობილია, რომ იულიუს კეისარმა სიკვდილის წინ გასცა ბრძანება დედაქალაქის ფარგლებში აეკრძალათ... შარვლის ტარება!

შემდეგშიც არა ერთი და ორი იმპერატორის კალამი გაცვდა ჭირვეული მოდის ამკრძალავი კანონების წერით, მაგრამ თითქმის ყოველთვის უშედეგოდ. ერთ-ერთი სკანდალური დავა XIII საუკუნეში გაჩაღდა, დავის საგანი იყო შეიძლებოდა თუ არა 65 სანტიმეტრზე მაღალი ყელიანი ფეხსაცმლის ტარება.

თუ ამ ისტორიულ ფაქტებს დავუჯერებთ, გამოდის, რომ ერთ „რიგიან ახირებულს" შეუძლია არა ერთი და ორი ადამიანი აიყოლიოს და, აქედან, „ახირებული მოდის" გავრცელებამდე დიდი გზა როდია. ფრანგები ხომ ამბობენ „მოდას სულელები იგონებენ ჭკვიანების გასატუტუცებლად". ზოგჯერ შეუძლებელია ზოგიერთი მოდის გავრცელებას რაიმე ბრძნული მიზანი და ქვეტექსტები მოუძებნო.

მაგრამ სინამდვილეში მოდა სიცოცხლისუნარიანი და მოქმედია მხოლოდ მაშინ, თუ იგი შეესაბამება და გამოხატავს იმ დროის ქმედით საზოგადოებრივ შეხედულებებს, წამყვან საზოგადოებრივ ტენდენციას, საზოგადოებრივ იდეალს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გემოვნების თანაბარწილად იდეალიც შეიძლება შეფარდებითი იყოს. შეიძლება ხალხთა ერთი ჯგუფისათვის საუკეთესო მეორე ჯგუფისათვის დასაცინიც იყოს. აი, რას მოგვითხრობს XIX საუკუნის გამოჩენილი მოგზაური ლივინგსტონი: ერთ-ერთი აფრიკული ტომის მამაკაცები სიშიშვლის დასაფარავად წინ და უკან წელზე ჩამოკიდებულ გრძელ ნაჭრებს ატარებდნენ. ამ ტომის ქალები კი სრულიად დედიშობილა დადიოდნენ. ლივინგსტონს მეგზურობას უწევდნენ მეზობელი ტომის მამაკაცები, რომლებიც მხოლოდ წინსაფრებით დადიოდნენ. როცა ქალებმა მათ ზურგიდან შეხედეს, დამცინავი ხარხარი ატეხეს...

გემოვნების მიხედვით არა მარტო ხალხთა ეთნიკური ერთეულები განსხვავდებიან, თვით თაობებს შორისაც მნიშვნელოვანი განსხვავებაა. XX საუკუნის დასაწყისამდე არისტოკრატი ჩინელი ქალის ფეხის ტერფი საზოგადოებაში სტანდარტადქცეული იდეალის შესაბამისი 12-14 სანტიმეტრი უნდა ყოფილიყო. ქალი, რომელსაც ასეთი ფეხი ექნება, ბუნებრივად არ იბადება. ამიტომ არისტოკრატიულ ოჯახში, დაიბადებოდა თუ არა გოგონა, იმთავითვე უმახინჯებდნენ ტერფს ფიცარზე დაკვრით. ასეთი „იდეალური" ფეხი ჩლიქსა ჰგავს, ფეხსაცმელიც ჩლიქისებურად აქვს მორგებული და მეტად ამაზრზენი სანახავია. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მოდა საუკუნეებში ბატონობდა, იგი მთელი ჩინელი ხალხისათვის საყოველთაო მაინც ვერ გახდა. თუ

ეს მოდა „საზოგადოებრივი იდეალის" ამსახველი იყო, ცხადია, საყოველთაოც უნდა გამხდარიყო.

ამ საინტერესო ფაქტიდან სწორ დასკვნას მხოლოდ მაშინ გამოვიტანთ, თუ გემოვნების, მოდის განვითარების კლასობრივად შემზღუდველ ზემოქმედებას გავითვალისწინებთ. ჩინელ გლეხს არისტოკრატთა გემოვნებისათვის რომ მიებაძა და მის ქალიშვილს პატარა ფეხი ჰქონოდა, შეუძლებელი იყო. იმიტომ, რომ არისტოკრატის წარმოსახვაში ქალი არაფერს არ უნდა აკეთებდეს, იგი თავისით არც კი დადის, ტახტრევანზე დამჯდარი მიჰყავთ. ჰქონდა, თუ არა, მშრომელი კლასის წარმომადგენელს ამის შესაძლებლობა? რასაკვირველია, არა!

მოდის გავრცელებას სერიოზული ძალდატანება ახლავს, როგორც ცნობიერ, ისე ქვეცნობიერ სფეროში. იმავე XX საუკუნის დასაწყისისათვის ყველა ჩინელი მამაკაცი ნაწნავს ატარებდა. ეს მოდა ნაწნავის ტარებისა ისე იყო დამკვიდრებული, ახლაც შეიძლება ნახო ნაწნავიანი მოხუცი მამაკაცი. ამბობენ, ჩინელებმა მხოლოდ ეს მოდა გადმოიღეს დამპყრობი მონღოლებისაგან და ამით უცხო მოდის მიმართ თავიანთი აღიარებული კონსერვატიული პოზიციები დათმესო. მაგრამ, აბა მივმართოთ ფაქტებს, როგორ გავრცელდა ეს მოდა ჩინეთში. ჩინეთის დაპყრობის შემდეგ მბრძანებლებმა მოითხოვეს ჩინელ მამაკაცსაც მონღოლის მსგავსად ნაწნავი ეტარებინა. მაგრამ ამის გაკეთება ნებით არავის სურდა. მაშინ მონღოლებმა ჩინელ მამაკაცს აუკრძალეს სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობა, თუ მას არ ექნებოდა მონღოლური ნაწნავი. როგორც ჩანს, ეს ბრძანებაც არ აღმოჩნდა საკმარისი და მას უფრო სასტიკი მოჰყვა — ან ატარე ნაწნავი, ან თავსაც დაემშვიდობეო. ასე, ხმლის ძალით დამკვიდრდა ეს მოდა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო.

როცა მოდაზე ლაპარაკობენ, ყველაზე ხშირად ახსენებენ ხოლმე „ახირებული მოდის" კანონმდებელ მეფეს ლუდოვიკო XIV. ლუდოვიკოს დროს შემოიღეს სხეულზე მიტმასნილი შარვალი — სანამ მეფე ახალგაზრდა იყო, სხეულის სილამაზის გამოჩენა სურდა, როცა ხანშიშესული მეფე გამელოტდა, სიქაჩლის დაფარვა გახდა საჭირო და პარიკი შემოიღეს. ლუდოვიკოს ბრძანებითვე კაბას ისე ღრმად დეკოლტირებულს კერავდნენ, თითქმის აშიშვლებდა ქალს. ვერც ერთი ქალი ვერ გაბედავდა მეფესთან სადარბაზოდ მისვლას, თუ გულდახურული კაბა ეცვა. ამ საქმეში უფრო შორს წავიდა პრუსიის მეფე, მან კართან ხელში მაკრატლიანი მსახური დააყენა და თუ სადარბაზოდ მოწვეული მანდილოსნის გულისპირი სიღრმით დადგენილ სტანდარტს არ შეესაბამებოდა, სახელდახელოდ ასწორებინებდა ამ „ნაკლს".



მიუხედავად იმისა, რომ მოდის მეტამორფოზების მთელი ეს პერიოდი მეფე ლუდოვიკოსთან დაკავშირებული, იგი ისტორიაში მოლიერის სახელით შევიდა. ამდროინდელ კულტურას ყოფენ მოლიერამდელ, მოლიერის დროინდელ და მოლიერის შემდგომ პერიოდებად. არა მარტო მოლიერის დროინდელი, არამედ მოლიერის შემდგომი საფრანგეთი, მთელი პერიოდების შემქმნელი და ტონის მიმცემი გახდა მსოფლიოსათვის.

ის, რაც თავიდან ძალდატანებით ხდება, თაობათა ცვლის შემდეგ ძალდატანებად როდიღა აღიქმება. ასე გადადის ხოლმე ზოგჯერ ძალდატანება, თანდათან და შეუმჩნევლად, ტრადიციაში.

სოციალური განპირობებულობა არა მარტო მოდაზე და გემოვნების ჩამოყალიბებაზე ახდენს ზემოქმედებას, არამედ მის დანერგვასა და გავრცელებაზეც. ასეთ დროს წინააღმდეგობანი მოდის დამნერგავთა და მის მიმდევართა შორის ძალდატანებით იზღუდება. XVII საუკუნეში ერთხანს ინგლისის არისტოკრატიაში გავრცელდა დროსტარება, ლოთობა, ქეიფი, ღრეობა, გარყვნილება, ძვირფასი ტანსაცმლით შემოსვისა და გრძელი თმების ტარების მოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ამგვარი სტილი ეწინააღმდეგებოდა ჯანსაღ ჩვევებსა და გემოვნებას, ზოგიერთი თავშეკავებული არისტოკრატი იძულებული გახდა თავისი კლასის წარმომადგენლებისათვის მიებაძა, რათა იგი, როგორც იტყვიან, „თეთრ ყვავად" არ გამოჩენილიყო.

შეიძლება თუ არა აქ გადამწყვეტ როლს თამაშობდეს პიროვნული ნებისყოფა? და საბოლოო ჯამში მასზე იყოს დამოკიდებული ქვეცნობიერი?

იმის დასამტკიცებლად, რომ ქვეცნობიერის მართვა აგრე ადვილი არ არის, შეიძლება ასეთი მაგალითის მოყვანა: ერთ-ერთმა საზღვარგარეთულმა ფირმამ გადაწყვიტა ახალი ტიპის ლუდისათვის გაეკეთებინა რეკლამა და საამისოდ მანამდე უცნობი მეთოდი გამოიყენა. სატელევიზიო გადაცემების დროს ერთი წამით წყდებოდა (ეს თვალისათვის, თითქმის შეუმჩნეველი იყო) გადაცემა და ეკრანზე გაიელვებდა წარწერა, რომ ამა და ამ ფირმის ლუდი ყველაზე საუკეთესოაო. ამან უჩვეულო შედეგი გამოიღო. გადაცემის მნახველი მეორე დღეს ყველა დანარჩენ ლუდს ამგვარად რეკომენდებულს ამჯობინებდა, ისე რომ ვერ გეტყოდა, რატომ აკეთებდა ამას. როცა ქვეცნობიერი ცნობიერად გადაიქცევა, ამასთან დაკავშირებული მიზეზ-შედეგის ციკლი უკვე დამთავრებულია. როგორც იტყვიან გვიანღაა!

უნებლიე საქციელი, თუ მას მართავს რაიმე ზემოქმედებით გამოწვეული მოთხოვნილების აღმძრავი იმპულსი ისევ უნებლიეთ განმეორდება, სანამ ისეთ ცნობიერ მოკავშირეს არ შეიძენს, როგორიცაა მიჩვევა, ან ჩვევა. ამგვარად გახდება იგი ჯგუფური, ან საზოგადო მოვლენა და მატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რიალური ზემოქმედების ძალაშეძენილი კვლავ სუბიექტურ საქციელში გამოვლინდება.

ალბათ ყველას კარგად ახსოვს რამდენიმე წლის წინ გავრცელებული შარვლის ტოტების დავიწროების მოდა. იგი უპირველესად ახალგაზრდებმა შემოიღეს, შემდეგ თანდათან მომდევნო თაობებზეც გავრცელდა. ამ მოდას ყველაზე მეტად ხანდაზმულები გაუჯიუტდნენ. როცა მოდა დამკვიდრდა, განიერტოტებიანი შარვლით ქუჩაში გამვლელი მეტად სასაცილო სიტუაციაში აღმოჩნდა და ჯიუტებმაც დათმეს პოზიციები — მოდა საყოველთაოდ გავრცელდა. ასე, რომ რაც არ უნდა თავგამოდებული დამცველი იყო ძველი მიმართულებისა მოდაში, საზოგადოებრივი გარემო, ფსიქიკის საზოგადოებრივი ხასიათი, იძულებულს გაგხდის მიიღო ესა თუ ის მოდა, ან გარკვეული პოზიცია დათმო მოდის მოთხოვნილების მიმართ.

ახლა შევაბრუნოთ კითხვა, შეუძლია თუ არა პიროვნებამ უკუზემოქმედება მოახდინოს იმით, რომ არ მიიღოს ესა თუ ის მოდა, ან შესთავაზოს მას თავისი ინტერპრეტაცია? ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პიროვნებისგან დაწყებული საქმე ერთეულის ახირება არ იქნება და იგი არსებული მოდის, ან გემოვნების გადახალისების შესახებ საზოგადოების ქვეცნობიერ, თუ ცნობიერ მოთხოვნას შეესაბამება. ცხადია, ყოველი სიახლე როდია მისაღები.

რაკი ბუნებასა და საზოგადოებაში ყველაფერი ცვალებადობას ემორჩილება და ეს ცვალებადობა სამყაროს არსებობის ძირითადი ნიშანია, ადამიანიც, რომელიც ბუნების შვილია, შეეგუა ამ ცვალებადობას, უფრო მეტიც, არა მარტო შეეგუა, არამედ ცვალებადობა მისი ბუნების განმსაზღვრელი და კანონზომიერი მოვლენა გახდა. ამიტომ, ადამიანს ბეზრდება, თუმცა შეჩვეული, მაგრამ ერთიდაიგივე გარემო, ტანსაცმელი, გასართობი და სხვა. რაკი ცვალებადობის მოთხოვნილება საზოგადოების განვითარების არსებით მამოძრავებლად ვაღიარეთ, მაშ, ასევე ბუნებრივია, რომ ადამიანის ირგვლივ არსებული გარემოს დაუსრულებელი, პროგრესული განახლების შესაძლებლობაც არსებობდეს. თუკი ეს ასე არ არის, მაშინ ან იღუპება ადამიანი, საზოგადოება, ან ამსხვრევს და გარდაქმნის ამ შემბორკავ და შემაფერხებელ ძალას.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არა ერთი და ორი გენიოსი გამხდარა თანამედროვეთა დაცინვის საგანი, მხოლოდ იმის გამო, რომ მათ თავისი გენიალური ინტუიციის წყალობით გაუსწრეს დროს, რომელშიც ცხოვრობდნენ. შეუძლია თუ არა ასეთ გენიოსს ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივი გემოვნების განვითარებაზე, დასაბამი მისცეს რაიმე ახალ მოდურ მიმართულებას, თუ ის აღიარებული არ არის? რასაკვირველია, არა! რადგან ყოველგვარი ზემოქმედება გარემოზეა დამოკიდებული. მოდურობის საკითხს ის წყვეტს, თუ რაგვარი და რამდენი მიმდევარი ჰყავს დაწყებულ საქმეს. რაც შეეხება გენიოსებს, ისინი უფრო იჩენენ თავს სხვადასხვა ინტელექტუალურ, ლიტერატურულ თუ პოლიტიკურ სარბიელზე. თუ ჩვენ ამგვარ ახალ მიმართულებებს მოდად ვაღიარებთ, მაშინ ყოველგვარი ზემოქმედება როდი იქნება დადებითი შედეგის მომტანი, იმიტომ რომ, ეს „მატერიალური ძალა“ შეიძლება აღმოჩნდეს პროგრესულ საზოგადოებრივ განვითარებაში უარყოფითი მახასიათებლის მატარებელი.

შეიძლება ითქვას, ამა თუ იმ პერიოდის პოლიტიკური წყობის, ლიტერატურის, ფერწერის, არქიტექტურის, საერთოდ, ხელოვნების განვითარების შესაბამისად მისი განმამტკიცებელი (ან უარმყოფელი) საზოგადოებრივ-ესთეტიკური იდეალები წარმოიშობა და, ცხადია, კონკრეტულად აღებული გემოვნების, მოდის განვითარება არასოდეს არ იქნება განყენებული მოვლენა.

საერთოდ არქიტექტურული სტილი და ანსამბლებიც კი თავისებურ ერთობლიობაშია ჩაცმულობასთან. უფრო სწორად, ჩაცმულობის სტილი ეხმარება არქიტექტურული ანსამბლის სტილსა და მიმართულებას. ხოლო, ვინაიდან ადამიანის შემეცნება მარტივიდან რთულისაკენ, კონკრეტულიდან ზოგადისაკენ მიდის, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში კონკრეტულმა, ვთქვათ, ჩაცმულობის, წესმა გადაინაცვლა უფრო ზოგად ყოფით სახეებში. მაგალითად, აზიაში მომთაბარეთა პირველყოფილი კარვის ზეაქნეული კალთა გახდა თავისებური ზეაქნეული სახურავის შექმნის საბაბი, რადგან პირველყოფილი ადამიანის ფენოტიპის („აღმზრდელის აღზრდის“) ჩამოყალიბების რთული პროცესი უფრო პირუტყვის ტყავისაგან გაკეთებული კარვით დაიწყო და არა კაპიტალური შენობის შექმნით. ახლა უკუზემოქმედების მაგალითი მოვიყვანოთ: დასავლეთ ევროპაში სასწაულებრივი ფეხსაცმელი, რომლის ცხვირი 60 სმ სიგრძისა იყო, გოთური სტილის გაბატონების ნაყოფად ითვლება.

საერთოდ, ურთიერთზეგავლენათა საზღვრის დადგენა ურთულესი საქმეა — გამოკვეთილად იმასაც ვერ იტყვი, ადამიანმა ჯერ თავი შეიმოსა და მერე საცხოვრებელი გაიჩინა, თუ პირიქით. ყოველ შემთხვევაში, ეს პროცესი ურთიერთგაპირობებულია, ისე, რომ ადამიანი თვითონ ქმნის თავის ყოფაცხოვრებით გარემოს, რომელიც შემდეგ მის მიერვე შექმნილ საგანსა თუ მოსაქმეობაში აისახება და კვლავ ზემოქმედებას ახდენს მასზე.

ყოველი ეპოქა, მოდის ცვლილების თვალსაზრისით, დიდი ციკლია, რომლის დროსაც იცვლება არა მარტო გემოვნებანი, მოთხოვნილებანი და მისი დაკმაყოფილების ფორმები, არამედ ხალხის, ადამიანთა დიდი ჯგუფისა თუ ტომის, ერის ტრადიციები და ჩვეულებანი, დროის თვალსაზრისით შედარებითი „უძრაობა“ შეიძლება შე-



მოვსაზღვროთ 15-30 წლით, სადაც განსაკუთრებული ძვრები არ აღინიშნება, ხდება მხოლოდ გემოვნების, მოთხოვნილებების გადახალისება, ერთი და იმავე მიმართულების საზოგადოებრივი განვითარების ხასიათის დაურღვევლად.

ამა თუ იმ დროისა და ეპოქის ხალხის შემოქმედებაში, მოთხოვნილებებსა და გემოვნებაში ყოფაცხოვრების სტილი აისახება და ეს ,,სტილი'' ხან აღორძინდება, ხან მოისპობა, მაგრამ ისევ ხელახლა აღორძინდება, წარსულთან მიმსგავსებული, ან უფრო მძაფრ ფორმებში გამოხატული. მაგალითად, ავიღოთ ფეხსაცმლის მოდა, იგი უკვე IV-VI საუკუნეებიდან არის ცნობილი. ამ პერიოდში მოდაში იყო გრძელწვეტიანი უქუსლო ფეხსაცმელი. შემდეგ ეს მოდა თანდათან მოისპო და მხოლოდ ოთხი საუკუნის შემდეგ აღორძინდა და ისე, თითქოს მოდა რევანშით აღსდგაო — ფეხსაცმლის ცხვირმა ნახევარ მეტრს გადააჭარბა. მაშინდელი მოდის მიმდევრები, რაკი ამ მოდურ, გრძელ ჭვინტს ვერ თმობდნენ და ამგვარად სიარულიც ძალზე ძნელი იყო, ფეხსაცმლის წვერს წვრილი ვერცხლის ჯაჭვით იმაგრებდნენ წვივსაკრავზე, ხოლო ფორმა რომ არ დაკარგოდა, ფეხსაცმელს ტენიდნენ ბეწვით, თივით, ვეშაპის ულვაშით.

XVI საუკუნეში ფეხსაცმლის ლანჩამ ისეთ ზომას მიაღწია, იძულებული გახდნენ კანონით განესაზღვრათ მისი სისქე, არც იმაში ვართ ორიგინალურები დღევანდელი ქალები მამაკაცებს ჩექმისა და შარვლის ტარებაში რომ შეეცილნენ.

მამაკაცები ხომ საკმაო ხანს ატარებდნენ კაბას. შოტლანდიაში, მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა, მამაკაცები კაბას დღესაც ატარებენ.

მახსენდება დიუმას მიერ აღწერილი ლუდოვიკო XVI მეუღლის მარია-ანტუანეტას სახიფათო თავგადასავალი. ერთხელ, მოდის მიმდევარმა დედოფალმა გადაწყვიტა ხალხს კაბაში კი არა, მამაკაცის შარვალში ჩვენებოდა (ალბათ, ეს იყო პირველი შარვალი, რომელიც ქალმა ჩაიცვა). ამას საშინელი რეაქცია მოჰყვა და დედოფალს გილიოტინით დასჯამდე სიკვდილი არ ასცდებოდა, მოულოდნელ შემთხვევას რომ არ ეხსნა. ამ მწარე გაკვეთილმაც ვერ შეაჩერა ქალთა სქესი და ფრანგმა არისტოკრატმა ქალმა მაინც ჩაიცვა შარვალი. ეს მოდაც უბრძოლველად არ დანერგილა. პარიზის თეატრები არ უშვებდნენ სპექტაკლებზე შარვლით მოსულ ქალებს, აკრძალული იყო თავშეყრის ადგილებში ქალის შარვლით გამოჩენა...



ზოგიერთის აზრით, შარვლის გაჩენა ცხენის მოშინაურებასთან არის დაკავშირებული. ასეა თუ ისე, შარვალი, მართლაც, მეჯოგეების გამონაგონი უნდა იყოს. ცნობილია, რომ ჩვეულებრივად ტუნიკებსა და ტოგებში ჩაცმული ძველი რომაელი მეომარი საბრძოლველად ცხენზე შარვლიანი უნდა ამხედრებულიყო. IX-X საუკუნეებში მრავალი ქვეყნის მოსახლეობა და მათ შორის ქართველებიც კაბით დადიოდნენ. ფეოდალიზმის აღმავალმა განვითარებამ მაინც შარვალს მიანიჭა უპირატესობა, რადგან ფეოდალი თავის მამულს ცხენზე ამხედრებული მეთვალყურეობდა, ბოლოს, დაჩაგრულმა კლასმა, გლეხობამაც ჩაიცვა შარვალი...

მოდა და ჩაცმულობა, იმდენჯერ და იმგვარად იცვლება, რომ ძნელია ამ ცვლილებებში კანონზომიერებათა აღმოჩენა. თუ XIX საუკუნის ლამაზმანს დიდ უბედურებად მიაჩნდა შიშველი ფეხების გამოჩენა, სამაგიეროდ, თითქმის მთლად მოშიშვლებული მკერდით დადიოდა. XX საუკუნის ოციანი წლების შემდეგ კი ქალის კაბამ ინტენსიურად დაიწყო დამოკლება და მუხლისთავებს ზემოთ აიწია.

მოდის ცვალებადობაში დიდ როლს ასრულებს სუბიექტური ფაქტორები — მიჩვევა და მობეზრება. მიუხედავად ცვალებადობისა, განსაზღვრული კანონზომიერი პროცესი მაინც შეიძლება დაინახო. პირველი, რაც შეიძლება აქედან დავასკვნათ, ის არის, რომ ადრეულ პერიოდებში მოდა გაცილებით ნელა იცვლებოდა და გაცილებით მეტ ხანს ძლებდა, ვიდრე უკანასკნელ საუკუნეში და განსაკუთრებით უკანასკნელი საუკუნის მეორე ნახევარში. რაკი მოდის ცვლილებას მობეზრება იწვევს და მობეზრებას კი თვალის შედარებით სწრაფი დაღლა, მაშასადამე, მოდის ცვლილება სწრაფად განვითარებადი საუკუნის პროდუქტი ყოფილა. ლენინგრადელმა ფიზიოლოგებმა გამოიანგარიშეს, რომ ადამიანი ერთი დღის განმავლობაში სამიათასამდე მოძრავ საგანს უყურებს (მხედველობაში უნდა მივიღოთ ყოფაცხოვრების გაძლიერებული ტემპი, ყველაფრის მომცველი ტელევიზორი, კინო თუ თეატრალური სანახაობანი). ამგვარი გარემო ფსიქიკას მეტისმეტად ტვირთავს, ადუნებს და ღლის. ეს კი მოსაბეზრებელი გარემოს შეცვლის საჭიროებას და სურვილს განაპირობებს.

ეს სურვილი უდავოდ მძლავრი ფაქტორია, იგი ავრცელებს და ამკვიდრებს მოდას. ჩვევების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიბაძვის ძალა. შეიძლება პარადოქსი იყოს, მაგრამ ეს სურვილი იმის კვალობაზეც იზრდება, თუ რამდენად შეუთვისებელსა და უცხოს უყურებს სუბიექტი. ამიტომ არის ცუდი, როლის შემსრულებელი მიბაძვა, განსაკუთრებით ხელაღებით მიბაძვაა უარყოფითი ჩვევების გამავრცელებელი. უცხოურმა კინოფილმებმა მართლაც ბევრი მავნე ჩვევის გავრცელებას შეუწყვეს ხელი. გოგონები პაპიროსს ეწევიან, კონიაკს სვამენ, უცნაური სამკაულებით ირთვებიან, ოქროს ბეჭედი ხომ თითქმის ყველა ვაჟს უკეთია, რაც არაერთი მშობლის პროტესტს იწვევს.

რომ გაირკვეს, სამართლიანია თუ არა ბეჭდის ტარების მიმართ წაყენებული პროტესტი, უნდა გავარკვიოთ ე. წ. ,,კონტრამიბაძვის'' საკითხი. კონტრამიბაძვას კლასობრივი შეუგუებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა, კლასობრივი ზიზღი წარმოშობს. ეს მასობრივი უკურეაქციაა იმის მიმართ, რასაც შენი მოწინააღმდეგე კლასი აკეთებს. არც ისე დიდი ხნის წინ ჩვენში ჰალსტუხიან და შლაპიან კაცს ამრეზით უყურებდნენ, მით უმეტეს, თუ მას თითზე ოქროს ბეჭედიც ეკეთა. რამ გამოიწვია ეს? იმან, რომ წლების განმავლობაში ხალხის ფსიქიკაში მჩაგვრელის უარყოფითი მოდელი შეიქმნა. მჩაგვრელისა, რომელიც მორთულია ოქროს სამკაულით, ახურავს განსხვავებული ქუდი და მდიდრულად აცვია...

ამ შემთხვევაში ოქროს ბეჭედი, უპირველესად, მდიდართა, მჩაგვრელთა კლასის წარმომადგენლობაზე მიუთითებს. ამიტომ, არათუ ფორმა არ მოგვწონს ისეთი, რაც უკუღმართ დროს გვაგონებს, არამედ იმისადმი ზიზღსაც განვიცდით, რაც მჩაგვრელის სახელთანაა დაკავშირებული... ასეთი ზიზღით წვავდნენ ჩვენში ნაბატონარ სასახლეს, ანგრევდნენ რკინიგზას, რომელზეც „ბურჟუაზიული მატარებელი" დადიოდა. წვავდნენ, ანგრევდნენ და საკუთარი ხელით ხელახლა აშენებდნენ.



თუ ეს მოვლენა საფსებით გასაგებია იმ თაობისათვის, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული განვლილ კლასობრივ ბრძოლებთან, სრულიად ან ნაწილობრივ გაუგებარია მომდევნო თაობებისათვის, რომლებიც ამ ბრძოლებსა და მის პერიპეტიებს ისტორიის გაკვეთილებით სწავლობენ.

რაკი ოქროს სამკაულმა დაკარგა ძველი შინაარსი, ახლა ცუდი არ არის, თუ რომელიმე ახალგაზრდა ოქროს ბეჭედს ატარებს, ცუდი ის არის, თუ მას სხვის ხარჯზე უპატიოსნო გზით გამდიდრების მიდრეკილება გაუჩნდება.

ჩვენ ხშირად გვავიწყდება და ანგარიშს არ ვუწევთ იმ გარემოებას, რომ ნივთებზე და სიმდიდრეზე შეყვარებული ადამიანი თავისი მეშჩანური სტილისა და გემოვნების ქადაგებაში აქტიურია. მას დიდი სურვილი აქვს თავი გამოიჩინოს სხვის წინაშე. თავგამოსაჩენი და ინტელექტუალური კი არა გააჩნია რა და თავისი სიმდიდრით ტრაბახობს. ერთი სიტყვით, არა მარტო ამ ქადაგებით, თავისი არსებობის ფაქტითაც კი იგი აგრესიულია, შემტევია და ამით ცუდ ზემოქმედებას ახდენს ახალგაზრდობაზე.

ჩვენში „მეშჩანიზმს" თავისი ლიდერები ჰყავს — ესენი ათასგვარი მაქინაციებით გამდიდრებული ხალხია. ჩვენ მათ „გადმონაშთის" იარლიყი მივაკარით და რაკი გადმონაშთი თავისთავად, თანდათან, კანონზომიერად უნდა მოისპოს, მათი არსებობა არცთუ მაინცდამაინც გვაშფოთებს. „გადმონაშთები" კი საღსალამათნი, ფიზიკურად ჯანსაღნი, ჩვენს გვერდით მოფუსფუსე ადამიანები არიან, ამიტომ, ცოტა არ იყოს, უმისამართოდ ვხმარობთ ხოლმე ამ ტერმინს. სინამდვილეში, „გადმონაშთი" ის საფუძველია, რომელმაც მსგავსი უარყოფითი ადამიანები და მათი უარყოფითი ცნობიერების სტილი წარმოშვა, ერთი სიტყვით გადმონაშთი არსებითად ფსიქიკაში ბინადრობს და აქ კი მის წინააღმდეგ ბრძოლა ისე მარტივი არ არის, როგორც გვგონია.

ყოველგვარი აგიტაცია და პროპაგანდა განწირულია, თუ ჩვენ თვითონ კარგად არა ვართ დაუფლებული იმის ცოდნას, რის პროპაგანდასაც ვაპირებთ, საწინააღმდეგო რეაქციას ვიწვევთ და სიკეთის მოტანის ნაცვლად, უნებურად, ხელს ვუწყობთ არაჯანსაღი ტენდენციის აღმოცენებას. ერთ სოლიდურ ცენტრალურ გაზეთს, იმის მაგივრად, რომ სწორად და საფუძვლიანად აეხსნა მოდის თანმხლები უცნაურობანი და „უცნაურობას აყოლილი" ზოგიერთი გამოჩენილი მოაზროვნის ქცევა, ძალზე იოლი გამოსავალი ეპოვნა და წერდა, არც ერთი ცნობილი პიროვნება არ ყოფილა დაინტერესებული მოდითო. აქედან გაზეთი დაახლოებით ასეთ დასკვნას აკეთებდა: თუ თქვენ გინდათ ცნობილი პიროვნება გახდეთ, თავი დაანებეთ მოდას და ხელი მოჰკიდეთ ცოდნის ათვისებას. მაგალითები გნებავთ? — ჰემინგუეი მუდამ თავის უხეშ ჯემპრს ატარებდა, ხოლო აინშტაინს სრულებითაც არ აწუხებდა რას ჩაიცვამდა, სულ ერთთავად შინნაქსოვი შალის სვიტრი ეცვაო.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა დააკლდა ჯორჯ ბაირონის სახელს მისი „ახირებული მოდით". მისი დროისათვის „უცნაურ" — ფართოსაყელოიან ხალათს რომ იცვამდა. ასე დადიოდა შექსპირიც. ბალზაკი ბრჭყვიალა ნივთებზე იყო შეყვარებული. აპოლინერი ლითონისფოლაქებიანი ცისფერი ჟილეტით დადიოდა საზოგადოებაში, პიერ ლოტი აღმოსავლურ ტანსაცმელს ამჯობინებდა. მონტესკიე დღეში რამდენჯერმე იცვლიდა ჩაცმულობას. ოსკარ უაილდი მოდის კანონმდებლად აღიარეს მოკლე შარვლის, ხავერდის ბერეტისა და ღილკილოში გაბნეული მიხაკის (ხანაც მზესუმზირას ყვავილის) გამო. უაილდის „სტილს" მიმდევრების მთელი პლეადა ჰყავდა. მათ შორის ქართველი „ცისფერყანწელებიც". გოტიე მხრებზე ჩამოშლილი თმებით, ხავერდის ქურთუკით დადიოდა და მიუხედავად ამინდისა, ხელში მუდამ გაშლილი ქოლგა ეჭირა.

ბაირონი, შექსპირი, ბალზაკი, უაილდი და სხვები უპირველესად ჭკუით და შრომით ბრწყინავდნენ.

იმდროინდელ მოაზროვნეთა მთელ პლეადას არსებულიდან განსხვავებული კონტრაპოზიციური ცხოვრების სტილი ჰქონდა, ამ „სტილს" ისინი ერთფეროვან მოსაწყენ ბურჟუაზიულ სინამდვილეს უპირისპირებდნენ. „შევარყიოთ ბურჟუაზია", ასეთი იყო მათი დევიზი ცხოვრებასა და შემოქმედებაში. რაც შეეხება შრომას, გენიოსი მწერლებისათვის რომ გადამწყვეტი შრომა იყო, ეს არავისთვის არ არის საიდუმლო და სადავო, ბალზაკის მუშაობის მაყურებელი ახლობლები

გაოცებულნი იყვნენ. ფლობერმა საერთოდ არ იცოდა, რა იყო დასვენება. ლაიბნიცს შეეძლო სამი დღე და ღამე უჭმელ-უსმელი მაგიდას არ მოსცილებოდა. გოეთე წერდა, რომ მან მთელი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე კვირა დაისვენა. ლოპე დე ვეგა ორი ათასი პიესის ავტორი იყო. უჩვეულოდ მძიმე პირობებში ქმნიდნენ ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი. ყველა განცვიფრებაში მოდიოდა ილია ჭავჭავაძის ქედჩაუხრელი მუშაობით.

ჩვენს პირობებში, რაკი ,,ახირების'' კლასობრივი საფუძველი და პირობები არ არსებობს, არც ულტრა კონტრამოდის შექმნის საფრთხეა. ამიტომ ადვილი შესაძლებელია მოდის საზოგადოებრივ რანგში ამაღლება, მისი სტანდარტიზება. უნდა ითქვას, რომ ჩვენში მოდის სახელმწიფოებრივად სტანდარტიზება დიდად ეხმარება ჩვენს ხალხს, საზოგადოებას, ამაღლებული გემოვნების გამომუშავებაში, მაგრამ სტანდარტისა და მოდის წარმოებისა და მოხმარების დამოკიდებულების თვალსაზრისით კვლავ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი.



* * *

გემოვნების, მოდის განვითარება ყველაზე მეტად უკავშირდება წარმოებისა და მოხმარების სფეროებს, როგორც მათი პროდუქტი. ამდენად, ,,მოდურის'' წარმოების საკითხი ურთულესია და იგი მოთხოვნილების შესწავლას, გემოვნების განვითარების მიმართულებათა ანალიზს (ამ თვალსაზრისით მოცემული სოციალური გარემოს შესწავლას) უნდა ემყარებოდეს, რის შედეგადაც აუცილებელია განსაზღვრული დროისათვის მოდა ,,კონსერვირებულ'', ან ,,სტანდარტიზებულ'' იქნას. გემოვნების სტანდარტიზება კი არცთუ მარტივი საკითხია და ეთიკისა და ესთეტიკის მთელ რიგ არსებით მოთხოვნებს შეიცავს.

უპირველესად, გავარკვიოთ საკითხი, შეიძლება თუ არა ლამაზი, სტანდარტულიც იყოს, და თუ ლამაზი ,,სტანდარტულიც'' იქნება, ხომ არ წარმოშობს ეს ერთფეროვნებას და გემოვნების გავულგარებაში, შაბლონურში, ხომ არ გადაიზრდება?

მოდის განვითარებასთან დაკავშირებულ ისტორიულ ცვალებადობებს რომ გადავავლეთ თვალი, დავრწმუნდით, რომ გემოვნების განვითარება და მოდის ცვლილებანი, არსებითად სწორედ სტანდარტულის დარღვევასთან ყოფილა დაკავშირებული ან საზოგადოებრივი ზემოქმედებით, ან სახელმწიფოებრივი კანონით, ან ,,სტიქიური მოთხოვნილების'', თუ ,,კურიოზების'' ზეგავლენით.

ყოფითი-მოხმარების საგნების მანქანური წარმოებით დამზადებამდე გემოვნების განვითარების ხანგრძლივი პერიოდები შეიქმნა. პროცესი, რომელიც ერთი ან ორი საუკუნის განმავლობაში იცვლებოდა, ათჯერ და მეტად დაჩქარებულია ჩვენს დროში. გემოვნების ,,სტანდარტიზებასთან'' დაკავშირებით კი დროის ფაქტორს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

გემოვნების განვითარება, როცა მასობრივი სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი ხდება, თავისთავად მოითხოვს, რომ ლამაზი საგანი საყოველთაო კუთვნილება გახდეს, მაშასადამე, საჭიროა მოდური, ლამაზი საგანი, თუ ნივთი კონვეიერიდან ჩამოვიდეს.

და თუ იდეალურ, მოდურ, ლამაზ ნივთს, მოხმარების საგნებს კონვეიერული წესით გამოვუშვებთ, გახდის თუ არა ეს გარემოება უაზრო მოთხოვნილებად თვით ,,სილამაზის'' ცნებას?

ამ საკითხის დიალექტიკური მიდგომით ახსნა ამტკიცებს, რომ ეს საფრთხე სრულებითაც არ არის მოსალოდნელი.

რატომ? იმიტომ, რომ ესა თუ ის ლამაზი ნივთი, თუ საგანი განსაზოგადოებული წესით ვერ დამზადდება გარემოს ,,ესთეტიზაციის'' გარეშე, რაც, თავის მხრივ, ზემოქმედებას ახდენს ადამიანის გემოვნების განვითარებაზე, ამაღლებს და ახალ საფეხურზე აჰყავს იგი. მაშასადამე, სტანდარტული ლამაზსა და მოდურს კი არა ჰკლავს, არამედ ამაღლებს და ამ ამაღლების საფუძველზე თავადაც იცვლება. თუ ეს ასე არ მოხდა, და ეს ცვლილება დროის თვალსაზრისით საჭირო ტემპსა და მოთხოვნებს არ დაექვემდებარა, მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ,,სტანდარტი'' გემოვნების განვითარების გზაზე შემფერხებელ ძალად და დაბრკოლებად.

ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ეს მოთხოვნები განხორციელდება ეკონომიურად სათანადოდ მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში, როცა მასების გემოვნების განვითარება სახელმწიფოებრივ პოლიტიკამდე არის ამაღლებული, სხვაგვარად ,,სტანდარტი'' და ,,მოდა'' ერთმანეთს არასოდეს ემთხვევიან... ნათქვამის ილუსტრირება ძალზე მარტივია: როცა, ვთქვათ, პური საერთოდ არ იშოვება, შიმშილის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის არავინ არ დაიწყებს პურის ფერისა და ხარისხის გარჩევას, შეჭამს, რაც ხელთ მოხვდება, ასევე სიცივეში, როცა ასარჩევი არ არის, ადამიანი იმას ჩაიცვამს, რასაც იშოვის. გემოვნების მასობრივ განვითარებაზე კი მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა საქონლის სიუხვე მოგვცემს არჩევის შესაძლებლობას.

უკანასკნელ ათწლეულებში, მას შემდეგ, რაც დიდი ყურადღება მიექცა მსუბუქი მრეწველობის განვითარების ტემპების გაძლიერებას, მრეწველობაც საყოფაცხოვრებო სფეროს დანაწევრებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამოცანის წინაშე დადგა, რასაც ჩვენი ქვეყანა ამ ბოლო დროს დიდი წარმატებით ართმევს თავს. დანაწევრებული მოთხოვნილების მხოლოდ ამგვარი



დაკმაყოფილება განსაზღვრავს არჩევის შესაძლებლობას.

რაკი მოდა დამოუკიდებლად არ ვითარდება და არსებითად წარმოებაა მისი შემდგომი განვითარების საფუძველი, გამოდის, რომ გემოვნების დროებითი სტაბილიზება — მოდურისა და ლამაზის სახელმწიფოებრივი მასშტაბით დანერგვა, საქონლის აუცილებელი მინიმუმის არსებობაზე მეტს გულისხმობს.

უკანასკნელ ხანს გატარებული ღონისძიებების შედეგად ჩვენი მსუბუქი მრეწველობის განვითარება გარკვეულად მაღალ დონეზე ავიდა. საკითხი ახლა ისე კი არ დგას, რომ იყოს საქონელი, არამედ უნდა იყოს მაღალხარისხოვანი, მოდური და ლამაზი. ამ ნიშნების ურთიერთშერწყმაა (ესთეტიკური კონსონანსის) დღეს საქონელწარმოების დარგის მნიშვნელოვანი პრობლემა.

საკითხის ამგვარად დაყენებამ — სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება მაღალხარისხოვან საქონელზე, ჩვენს წინაშე დააყენა პრობლემათა მთელი რიგი, რომელთა გადაწყვეტისათვის კვლევის რთული კომპლექსების ჩატარებაა საჭირო, როგორც ეკონომიკის, ისე ფსიქოფიზიოლოგიის უახლესი მონაცემების გათვალისწინებით.

დავიწყოთ იმით, რომ მოთხოვნილების შესწავლა ჩვენთან ისევ პრიმიტიულ დონეზე დგას და საშუალო არითმეტიკულის ანგარიშს არ გასცილებია. ამ საქმეში კვლავ დადგენილი და გატკეპნილი გზით მივდივართ, თუმცა, შიგადაშიგ საკმაოდ გართულებულ სქემებსაც ვიგონებთ, ვქმნით მთელ ინსტიტუტებსა და სოციოლოგიურ ლაბორატორიებს.

მოთხოვნილების შესწავლის პრობლემატურ საკითხთა რთულ და შეუსწავლელ რიგს განეკუთვნება: გაუკუღმართებული, ზედმეტად მიმბაძველობითი, კონსერვატიული, ნიჰილისტური, თუ გულგრილი დამოკიდებულებანი მოდის მიმართ, არანაკლებ სირთულისაა ასაკობრივი ჯგუფების დამოკიდებულების საკითხი (დიფერენცირებულად, რომელი ასაკობრივი ჯგუფი ატარებს უფრო ხანგრძლივად ,,მოდურ'' ტანსაცმელს? ამა თუ იმ ასაკის ადამიანი რაგვარ დამოკიდებულებაშია მოდურ ცვლილებებთან? და სხვ.).

ურთულესი საკითხია მოთხოვნილების ე. წ. ,,გაუკუღმართების'' პრობლემა. ეს გაუკუღმართება არც უცებ ჩნდება და არც მოულოდნელადვარდება ზეციდან, იგი ყოველდღიური ცხოვრების პათოლოგიურ ცვლილებათა თანდათანობითი დაგროვების შედეგია და საბოლოო ჯამში მკვეთრად უარყოფით ტენდენციას წარმოშობს. აქ ორი მხარე შეიძლება გავარჩიოთ: ერთი, როცა ცხოვრების წესს, — თითქოს არავითარი კავშირი არ აქვს გაუკუღმართებულ მოთხოვნებთან, როცა სუბიექტი თითქოს ჩვეულებრივ, დადებით გარემოში ცხოვრობს, მაგრამ გაუკუღმართებული, გაბერილი მოთხოვნები მაინც უჩნდება და, მეორე, როცა პათოლოგიურ მოთხოვნებს საფუძვლად უდევს ცხოვრების პირობები, ცხოვრების მეშჩანური წესი.



პირველი მაგალითი, რომელიც მინდა მოვიყვანო, თითქოს არაფერ კავშირშია მოდის პრობლემატიკასთან, მაგრამ თვალნათლივ აჩვენებს მოთხოვნილების ყალბი ჰიპერბოლიზაციის გზას. ჩვენი პოლიგრაფიული მრეწველობა ყოველწლიურად მძიმე მდგომარეობაშია სახელმძღვანელოების გამოცემის გამო. რატომ? იმიტომ, რომ ყოველ წელიწადს ყოველ მოსწავლეს ყველა საგანში სურს ახალი სახელმძღვანელო ჰქონდეს. რესურსების რაციონალური გამოყენება კი მოითხოვს. ამასთან თანამედროვე პოლიგრაფიის ტექნიკური მდგომარეობაც შესაძლებლობას იძლევა, ერთი სახელმძღვანელო ოთხს თუ არა, ორ-სამ მომდევნო ასაკის ბავშვს მოემსახუროს. რამ გააჩინა ეს ყალბი ჰიპერბოლიზმი—,,სახელმძღვანელოს უქონლობის'' პრობლემა? იმან, რომ თავის დროზე არავის აზრად არ მოსვლია აღეზარდა მოსწავლის მოთხოვნილება. ხელიდან გაშვებული ძაფის ამ ერთმა სუსტმა ბოლომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა მთელი პოლიგრაფიული მრეწველობა.

მაშასადამე, გემოვნების აღზრდა თუ პრობლემატურ-ესთეტიკურ საკითხთა წყებას განეკუთვნება და მეტად მნიშვნელოვანია, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ მოთხოვნილების აღზრდა, რომელიც ეთიკურ პრობლემათა რანგშია ამაღლებული და იმაზე მიგვანიშნებს, თუ რა რთული მიმართულებანი მყარდება სფეროში, სადაც ადამიანს ჰგონია, რომ ყველაფერი მის ნებასურვილს ემორჩილება და მასზეა დამოკიდებული.

მოთხოვნილების გაუკუღმართება ნივთის ულოგიკო სიყვარულიდანაც იწყება. ზოგიერთი ფიქრობს, ცუდი არაფერია იმაში, ვინმეს რაიმე ნივთი ან ნივთების თუ საგნების მთელი ანსამბლი უყვარდეს, ამით ვის რა უშავდება, თუ მეშჩანურია ეს სიყვარული, მით უარესი მისთვისო. ცხადია, ცუდი არაფერია იმაში, რომ რომელიმეს უყვარდეს, ვთქვათ, მწარე ბლისაგან გამოჭრილი მუნდშტუკი, რომელიც ძვირფასი ადამიანის სახსოვარია და განუყრელად თან ატარებს, მაგრამ ცუდია ოქროს ნივთებს ხელში რომ ათამაშებს ან ძველი, დამპალი ჩექმის ყელში დამალულ მონეტებზეა შეყვარებული.

ამიტომ ნივთის ,,სიყვარული'' მთელი პოლიტიკაა საზოგადოებისათვის, და ნივთის სიყვარულის მოდაში შემოსვლა, მაინცდამაინც იმას კი არ გულისხმობს საზოგადოების გემოვნება გაიზარდაო, არანაკლებ იმასაც, რომ ამ საზოგადოებაში ყველაფერი რიგზე არ არის.

ამრიგად, თუ ჩვენს მიერ განხილულ პირველ შემთხვევაში მოთხოვნილების აღზრდა საქმეს შველის და შეიძლება გემოვნება სახელმწიფოებ-



რივ სტანდარტს დავუმორჩილოთ, მეორე შემთხვევაში მოთხოვნილება არ აღიზრდება, მისი წარმომშობი ცხოვრების წესის შეუცვლელად.

წარმოებას გარდაუვალად სჭირდება გაერკვეს მოთხოვნილების ყოველგვარ სოციალურ, თუ ეკონომიურ ნიუანსში, რადგან მისთვის მთავარია, არა ის, რასაც დღეს აკეთებს, არამედ ის, რაც მომავალში უნდა შექმნას. ამისთვის მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სჭირდება სათანადოდ მეცნიერულად მომზადებული, ფორმალიზმის ტყვეობიდან თავდახსნილი კადრები. ამიტომაც არის, რომ ჩვენს მრეწველობას უჭირს „გადაერთოს“ მორალურად მოძველებული საქონლის წარმოებიდან მოდურის წარმოებაზე. წარმოებისათვის პური არსობისა უნდა იყოს ის შედეგები, ან რეკომენდაციები, რომლებიც ჩამოყალიბდება მოთხოვნილების აღმძვრელი მოტივების შესწავლის შედეგად. ჯერჯერობით კი „აღმძრავი მოტივების“ ამ კუთხით შესწავლა არავის უცდია, და ეს იმას ჰგავს, ელექტრონისა და ატომის ეპოქაში სიბნელის გასაფანტავად დაჟინებით ნავთის ლამპას რომ ვხმარობდეთ.

დღეს საზოგადოებრივმა განვითარებამ იმგვარ დონეს მიაღწია, რომ „წმინდა“ ეკონომიურ კვლევა-ძიებას არავითარი ეფექტი არ მოჰყვება, თუ ეს „დონე“ არ გავითვალისწინეთ და თანამედროვე მეცნიერული მიღწევებით არ შევიარაღდით, არ მოვიმარჯვეთ კვლევის სოციალური და ფსიქოანალიზის მეთოდები. მაგალითად, მოდური და არა მარტო მოდური, არამედ ახალი საქონლის გასაღების შესწავლისათვის საკმარისი არ იქნება მოსახლეობის მოთხოვნილების ყოველწლიური ზრდის თუნდაც სტატისტიკური სიზუსტით დადგენა, რადგან რაც არ უნდა აბსოლუტურ სიზუსტეს მივუახლოვდეთ გამოანგარიშებაში, შედეგი მაინც არ იქნება სწორი თუ ამ საქმეში არ ჩავრიეთ საქონლის გასაღებისათვის აუცილებელი მოთხოვნილების „აღმძრავი მოტივების“ კვლევა. ასეთ კითხვათა ჯგუფი კი საკმაოდ დიდია: მაგალითად, თუ ფასს შევამცირებთ (ან გავადიდებთ), რამდენჯერ შემცირდება (ან გადიდდება) მოთხოვნილება ამ საქონელზე? შეძენის რა „აღმძრავი მოტივები“ ექნება მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენტს? რა დაინტერესებას გამოიჩენს ამ საქონლის მიმართ ქალი? მამაკაცი? მცირდება თუ არა მოძველებული ტანსაცმლის ტარების დროის საშუალო ხანგრძლიობა და თუ მცირდება, რა სისწრაფით? რა ზემოქმედებას ახდენს მოთხოვნილებაზე პატივმოყვარეობა, საქონლის გასაღებაზე მისი პოპულარობა, ან ის, რომ ჯერ კიდევ ნაკლებად არის ცნობილი მოხმარების კონკრეტული სოციალური გარემო? (ამ კითხვათა ძიება ჩვენს ამოცანას არც შეადგენს). ასე, რომ არც ისე ადვილია მოდურ საქონელზე მოთხოვნილების „აღმძრავი მოტივების“ მიგნება, მისი შესწავლა და სათანადოდ გამოყენება.

რაკი მოთხოვნილებების სწრაფ ცვლილებებს იწვევს „აღმძრავი მოტივების“, სოციალური გარემოს სწრაფი ცვლა და ეს კი მუდმივი სიდიდეა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, „აღმძრავი მოტივების“ ცვლილებანი მუდამ წინ გაუსწრებს წარმოების განვითარებას. ამავე დროს „აღმძრავი მოტივების“ სოციალური გარემო წარმოების ზრდასთან შედარებით გაცილებით უფრო სწრაფად იცვლება, რადგან მხოლოდ წარმოების არსებული დონე როდია ამ გარემოს განმსაზღვრელი, ამას ხელს უწყობს მეცნიერების, კულტურის განვითარება, ყველაფერი ის, რაც ადამიანის შემეცნების საზღვარს აფართოებს.

მოთხოვნილების დონის კვლევის დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახლა ადამიანს აღარ აკმაყოფილებს საქონლის მხოლოდ უტილიტარული დანიშნულება და ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს მას (გარდა ეკონომიური ხელმოკლეობისა) შეიძინოს არამოდური და უხარისხო საქონელი. ამ „ვეტოს“ წინაშე უძლურია სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, იგი ჩვენგან დამოუკიდებელ ობიექტურ კანონზომიერებათა რიგში შედის.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილების დონის ამაღლების, გემოვნების სწრაფი ზრდის გამო მსუბუქი მრეწველობის მრავალი დარგის ძველებურ ყაიდაზე შექმნილი პროდუქტი გაუსაღებელი დარჩა. სავაჭრო ქსელს მოაწყდა მილიარდობით მანეთის უვარგისი საქონლის ნიაღვარი. აქ უკვე თავი იჩინა უწყებრივი, ბიუროკრატიული ბარიერებით გამაგრებულმა მოტივმა: „ჩემი საქმე არ არის გასაღება, ჩემი საქმეა, საქონლის წარმოება და გეგმის შესრულება“. სინამდვილეში „ჩემი საქმე არ არის“ ულოგიკო საბუთი იურიდიულადაც ხელშეუხებელი აღმოჩნდა და ისე გამოვიდა, რომ უვარგისი საქონლის წარმოებით გამოწვეული მილიარდობით ზარალი, თითქოს ჩვენს გარეშე არსებულმა, ჩვენთვის მოულოდნელმა სტიქიამ მოგვახვია თავს.

ხარისხიანი საქონლის წარმოების საქმეში გადამწყვეტი გარდატეხა მოახდინა ძველი სახელმწიფო სტანდარტის შეცვლამ და ახლის დადგენამ, სახელმწიფო ხარისხის ნიშნის შემოღებამ. ამის შედეგად, მთელი რიგი საქონელი, არათუ გაუტოლდა მსოფლიო სტანდარტებს, არამედ აჯობა კიდეც. როგორც წესი, ხარისხის ნიშანი ენიჭება ისეთ საქონელს, რომელიც აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნას, მაღალხარისხოვანი, საიმედო, მოდური და ლამაზია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემის საბოლოოდ მოსაგვარებლად გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

საქართველოში გაცილებით ნელა იზრდება მოდურ საქონელზე მოთხოვნების დაკმაყოფილების ტემპი, არა მოცულობის, არამედ მოდური

ასორტიმენტის გაზრდის თვალსაზრისით. როდესაც ჩვენი ფეხსაცმლის ფაბრიკები ახერხებენ მოდურ ასორტიმენტზე გადასვლას, მოდა ჩაბარებულია ისტორიას, ან, უკეთეს შემთხვევაში, კვდომის პროცესშია. ამიტომ მოდური საქონლის მცირე ნაწილიღა საღდება. ასევე ითქმის ქალისა და მამაკაცის, ბავშვის მოდური ასორტიმენტის ტანსაცმელზე.

მაშ, სად არის გამოსავალი? თუ ჩვენ ვერასოდეს ვერ „დავეწევით" მოდას? როდის დაემთხვევა ის დონე, რომელსაც მომხმარებელი უყენებს პროდუქციას, იმ დონეს, რომელსაც წარმოება უყენებს საქონელს?

ასეთ ვითარებაში, ცხადია, ცალმხრივად, მარტო წარმოების მხრიდან საკითხის განხილვა საქმეს ვერ უშველის, საჭირო იქნება საქონლის ახალი კატეგორიის ბუნების შესწავლა. ეს კატეგორია დიდად განსხვავდება აქამდე საყოველთაოდ ცნობილი საქონლის ეკონომიური და ტექნიკური კატეგორიებისაგან. ეს გახლავთ საქონლის სოციალური კატეგორია — წარმოებისა და მოხმარების საზოგადოებრივი ფუნქციის საქონლის ბუნებაში თავისმომყრელი და გამაერთიანებელი. აქ უნდა იქნეს მოძებნილი უკუინფორმაცია, წარმოებისა და მოხმარების დონეთა თანაშეფარდება.

ამის საფუძველზე უნდა მოხდეს წარმოებისათვის საჭირო შორეული პროგნოზების დადგენა. წარმოებამ წინასწარ უნდა გაითვალისწინოს მოდის, მოთხოვნილების განვითარების მიმართულებანი არა ერთი მომენტისათვის, არამედ თვით წარმოების გაფართოების საჭიროების ჩათვლითაც. ეს შესაძლებელია მხოლოდ საქონლის სოციალურ ბუნებაში დაფარული „აღმძრავი მოტივების" ღრმა მეცნიერული შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.

უნდა ვაღიაროთ, რომ მოთხოვნილებისა და დაკმაყოფილების დონეთა მკვეთრი სხვაობის გაჩენას ხელი შეუწყო არა მარტო ეკონომიურმა (როცა ჩვენი მოსახლეობის ყიდვითი უნარი წარმოუდგენლად დიდია), არამედ წმინდა ფსიქოლოგიურ-მორალურმა ფაქტორებმა.

სამამულო წარმოების საქონელი სრულიად გასაგები მიზეზების გამო ჩამორჩებოდა და ზოგ შემთხვევაში კვლავ ჩამორჩება ხარისხის მიხედვით იმპორტულ წარმოებას. ეს გაცილებით მკვეთრად გამოჩნდა ათეული წლების წინათ, როცა იმპორტული საქონლის ნაკადი მასობრივად შემოვიდა ჩვენში და ამით შექმნა გასაღების ძალზე ცუდი, ყალბი, ხელაღებით უარმყოფი, მორალური წანამძღვარი: „იმპორტულია? კარგია!" და „სამამულოა? ცუდია!"



ამას წინათ რუსთაველის გამზირზე თბილისური ქალის წინდები იყიდებოდა. ისინი „უცხოურ" ყაიდაზე გაკეთებულ ცელოფანის პაკეტში იდო და ქართული წარწერა უცხოურ ასოებს იყო დამსგავსებული. ამ წინდებზე დიდი რიგი იდგა, ზოგი რამდენიმე წყვილსაც კი ყიდულობდა. მერე ვიღაცამ წაიკითხა, რომ პაკეტზე „თბილისი" ეწერა და წამოიძახა — „უჰ! ეს თბილისის ყოფილაო". იმწამსვე შეწყდა აურზაური და წინდები გამყიდველს მიუყარეს.

ეს გატეხილი სახელი რომ აღდგეს, როგორც ჩანს, მარტო აუცილებელი პირობის შესრულებაც (ნაწარმი იყოს მაღალხარისხოვანი და კარგი) არ კმარა. საჭიროა, აქაც მოიძებნოს მომხმარებლის ფსიქოლოგიური დამუშავების, აღზრდის მეცნიერული საფუძვლები. ჩვენ აქ კვლავ ის დასკვნა გვინდა გავაკეთოთ, რომ საქონლის მიმართ — მოდური იქნება ის, თუ არამოდური, მომხმარებლის დამოკიდებულებას კვლავ „აღმძრავი მოტივები" განსაზღვრავს, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ნამდვილი, ასევე ყალბი.

მოცემულ შემთხვევაში ყალბი მოტივების რიგში უნდა მოვაქციოთ არა საქონლის სიავკარგის ემპირიული განსჯის შედეგი, არამედ მისდამი წინასწარ აკვიატებული დამოკიდებულების გამო ყიდვის უარყოფა.

ერთ-ერთი ძლიერ მოქმედი საშუალება, რომელიც ამ უარყოფითი ფაქტორებისაგან გვიხსნის, რეკლამაა... მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ამ საყოველთაოდ აღიარებული საშუალების დამზადება და ვერც სათანადოდ ვიყენებთ მას. ჩვენი რეკლამა არაფრის მთქმელია. იგი, უბრალოდ, ან ძახილის, ან უკეთეს შემთხვევაში ბრძანებითი წინადადებებია. მაგალითისათვის, რომელიც გნებავთ მოედანზე შეჩერდით და სახურავებს ახედეთ: „დალიეთ ქართული ჩაი!", „ქართული ღვინო საუკეთესოა თავისი თვისებებით!", „ისარგებლეთ რკინიგზის (ან საჰაერო) ტრანსპორტით!", „დალიეთ საბჭოთა შამპანური!", „ტურიზმი საუკეთესო დასვენებაა!", „წიგნი საუკეთესო მეგობარია", „გამოიწერეთ (ან ხომ არ დაგავიწყდათ) ჟურნალ-გაზეთები". სულ ეს არის ჩვენი მილიონიანი დედაქალაქის სარეკლამო რეპერტუარი, სხვა ქალაქებშიც არ გვაქვს უკეთესი მდგომარეობა. საერთოდ კი, თუ ჩვენს მიერ წარმოებული რეკლამა საქონლის თვისებებს ეხება, იგი მენიუს დამხმარე უფროა და უსუსურია.

განა ჩვენი მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია არ საჭიროებს იმას, რომ რეკლამამ სახლის სახურავებიდან პერიოდული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეც დაიდოს ბინა და მას შევხედოთ არა როგორც ქალაქის „დამამშვენებელს", არამედ მატერიალური და კომერციული თვალსაზრისითაც?

რეკლამა მაშინ მიაღწევს თავის დანიშნულებასა და მიზანს, თუ იგი ვითომც სხვათაშორის, სხვა არასარეკლამო, ყოველდღიური მასალების გვერდით დაიბეჭდება და უფრო ქვეცნობიერი ზემოქმედებისათვის იქნება გამიზნული.

ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რატომ არ ეწევიან ჩვენი სამამულო წარმოების საქონლის რეკლამას რესპუბლიკური გაზეთები.



სასაქონლო რეკლამა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და იგი დროულად უნდა მოგვარდეს. საინტერესოდ გაკეთებული რეკლამა არანაკლები ღირებულებისა და მნიშვნელობისაა, ვიდრე,ვთქვათ, რომელიმე პუბლიცისტური წერილი თუ ინფორმაცია. სათანადოდ მაღალმხატვრულ და ესთეტიკურ დონეზე შესრულებული რეკლამა გაზეთის თუ ჟურნალის დამამშვენებელი ჩუქურთმა იქნება და შემოქმედებითი თვალსაზრისითაც ბევრ რამეს შესძენს პრესას.

მაგრამ რეკლამა რომ მაღალმხატვრული იყოს, მას სიტყვისა და ფუნჯის გამოჩენილმა ოსტატებმა უნდა მოჰკიდონ ხელი. მათ, ვისაც რეკლამა ხელოსნობადაც არ მიაჩნიათ და ათვალწუნებით უყურებენ ამ სერიოზულ საქმეს, გვინდა შევახსენოთ, რომ დონატელო ოქრომჭედლად მუშაობდა სახელოსნოში, ვერონეზე ქარგვისათვის ნახატებს აკეთებდა, რაფაელი დაკვეთით ქმნიდა გობელენების თარგებს, შორეულ საუკუნეებსა და რენესანსს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი საუკუნის დასაწყისშიც მრავალი ცნობილი მხატვარი და პოეტი მუშაობდა რეკლამაზე; არც რევოლუციის შემდეგ უთაკილებიათ რეკლამის შექმნაზე მუშაობა ფავორსკის, მოორს, ლებედევს, კუკრინიკსებს და სხვა. მარტო მაიაკოვსკის „Нигде кроме, как Моссельпроме!" რად ღირს. როცა მაიაკოვსკის ჰკითხეს, თავს რატომ იმცირებ, რატომ წერ რეკლამისათვის ლექსებსო, პოეტმა ამაყად უპასუხა: მე მიმაჩნია, რაც ჩემს ხალხს სჭირდება, ის ყველაზე მაღალი რანგის პოეზიააო.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საერთოდ აღიარებული აზრი რეკლამის შესახებ ამტკიცებს — რეკლამა პირველი შუამავალია წარმოებასა და მოხმარებას შორისო. ჩვენ, გულახდილად რომ ვთქვათ, თავიდან მოვიცილეთ რეკლამა კლასობრივი ანტიპათიის გამო (ძველი რეკლამა კაპიტალისტურ კონკურენციას ემსახურებოდა) და საერთოდ, დავკარგეთ შუამავალი, რომელიც გონივრულად აუხსნიდა მომხმარებელს და დაეხმარებოდა მას. იყო დრო, როდესაც ეს შუამავალი არ გვჭირდებოდა—ნგრევისა და შენების წლებში ჯარისკაცულ მაზარასა და რეზინის ჩექმებსაც სიამაყით ვატარებდით, მაგრამ ახლა, პროდუქციის სიუხვეში რომ გაერკვეს მომხმარებელი, მას საიმედო მეგზური სჭირდება.

მოდური საქონელი, როგორც წესი, არსებითად საჭიროებს სერიოზულ და სწორ რეკლამირებას. ამგვარი რეკლამის მრავალგვარი ფორმებია ცნობილი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მოდების სადემონსტრაციო ჩვენებებს ვიყენებთ. მე რამდენჯერმე მინახავს როგორ აწყობენ ამ ჩვენებებს ე. წ. „მოდელების სახლები". შეიკრიბება „სამხატვრო საბჭო", რომლის წევრები იგივე დამკვეთ-შემსრულებლებია, და მათ 15-20 წუთის განმავლობაში 100-ზე მეტ ახალი მოდის ტანსაცმლის მოდელს აჩვენებენ... ახალი მოდების ამ ფორმალურ ფრიალ-ფრიალს რომ თავი დავანებოთ, მიმდინარე წლის აპრილის დასასრულს ზამთრის მოდელების ჩვენება და მის გარჩევაზე რეკომენდაციების მიცემა ულოგიკოა.



საფრანგეთის მოდების (და არა მარტო საფრანგეთის) საკანონმდებლო ფირმა „ქრისტიან დიორი" ერთი წლით და უფრო ადრეც ამტკიცებს მის მიერ შეთავაზებული მოდის გავრცელების საიმედოობას, სანამ მომავალი მოდის პროპაგანდისტებს, სპეციალურად დაქირავებულ მოდის გამავრცელებლებს, რეკლამიორებს აგზავნის თავშეყრის ადგილებში და უცდის უკურეაქციას, უკუინფორმაციას, როგორ შეხვდება მასა — არისტოკრატია, თუ მუშათა ფენა, ამა თუ იმ მოდას.

ჩვენ კი, სამწუხაროდ, ისე ვართ თავში დაჯერებულები, რომ წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში დასანერგად და გასავრცელებლად ვთავაზობთ ამა თუ იმ მოდას ისე, რომ მის შესახებ არც უკურეაქციას ვიცნობთ და არც უკუინფორმაციას. მართალია, მოდების გავრცელებას ბეჭდვითი პროპაგანდა ეხმარება (მოდები სპეციალურ ჟურნალებში იბეჭდება), მაგრამ შედეგით არავინ არის დაინტერესებული და ისე გამოდის, რომ ჩვენ თავს ჩვენვე ვუკრავთ ტაშს.

ამ საკითხის ნამდვილი სახელმწიფოებრივი მოგვარებისათვის საჭიროა დიდი ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობა, თეორიული და პრაქტიკული საკითხების ურთიერთდაკავშირება და კოორდინაცია. ამის სისტემატური გაკეთების შესაძლებლობა კი ჩვენს აღიარებულ ჟურნალ-გაზეთებს არ გააჩნიათ საკითხის სიდიდის, სირთულის და სპეციფიკურობის გამო. განა ჩვენი ხალხის გემოვნების აღზრდა, მოხმარების გიგანტური სფერო — ვაჭრობა, ყოფაცხოვრებითი კულტურა, პრობლემატიკა, რომელიც გადაწყვეტას ელის, პატარა მნიშვნელობის საქმეა და იგი სპეციალურ მზრუნველს, პროპაგანდისტს, ქომაგს, დამცველს და, ბოლოს, კრიტიკოსს არ საჭიროებს? დიდი ხანია დადგა სპეციალური ნაბეჭდი ორგანოს — გაზეთის გამოსვლის დრო.

რაკი მოდაზე, ცოტა არ იყოს, ხანგრძლივი საუბარი გავმართეთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ერთ მეტად მნიშვნელოვან პრობლემატურ საკითხს, საქმე ეხება „მოდურობას", რომელიც არა მატერიალურ, არამედ სულიერ კულტურასთან უფროა დაკავშირებული. „მოდურობა" აქ აშკარა მიბაძვით იწყება და მთავრდება, მისი მატერიალური წანამძღვრების ძებნა მაინცდამაინც დადებით შედეგს როდი გამოიღებს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ადამიანი მთელი თავისი არსებობის განმავლობაში „ბაძავს" ბუნებას, მაგრამ მას ამით არაფერი დაუკარგავს. პირიქით, ტექნიკური პროგრესი მოიპოვა. მაგრამ მიბაძვა სულიერ სფეროში, ისიც არაჯანსაღი ტენდენციებისა მხოლოდ სულიერი დეგრადირების გზაა და დამღუპველია. ასეთი არაჯანსაღი ტენდენციები ჩვენში არათუ წარმოიშვნენ, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმტკიცდნენ კიდეც და ეს არავისთვის არ არის საიდუმლო. ახალგაზრდობა რომ მაგალითით იზრდება, ესეც არ არის საიდუმლო. მაგალითით აღზრდაც მიბაძვაა, მაგრამ, როცა აღმზრდელი მოწოდების სიმაღლეზეა, ეს სულიერი პროგრესის და ჯანსაღი ტრადიციის საფუძველთა საფუძველია. „მოდურობის" სენი კი აღზრდისაგან შორს დგას.

სწორედ ასეთი მიბაძვა და „მოდურობაა" სულის დამღუპველი და აქ უნდა ვიყოთ ჩასაფრებულნი, თორემ რაგინდ ჭრელაჭრულა არ ჩაიცვას ახალგაზრდამ, ან წვერი თუ თმა მოუშვას, კაბა მუხლებზემოთ აიკეცოს, თუ კოჭებამდე დაუშვას, შეიძლება თვალს ეხამუშოს, თორემ არავითარი საზოგადოებრივი ბოროტების მომტანი ეს არ გახლავთ.



ჩვენში მოდის ტექნიკური გავულგარების წინააღმდეგ ადვილია ბრძოლა. ის, რასაც გულით მოიწონებს ახალგაზრდა, შეიძლება სახელმწიფო სტანდარტში გადაიტანო, მაგრამ არავითარ „სტანდარტს" არ ექვემდებარება და ყოველგვარი კონტროლის გარეშე დადგომა სურს სოციალურ მიბაძვას და ეს ასეც იქნება, თუ თავის დროზე არ მივაგენით მის ფესვებს და წარმოშობ მიზეზებს არ ვებრძოლეთ.

ერის სულიერ ცხოვრებაში ოდითგანვე დაუწერელი აღმზრდელობითი კანონი აყალიბებს ტრადიციას. ეს ის გახლავთ, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა და არავითარი შემოსევებისა და გაჩანაგების დროს არ იღუპება, რადგან იგი სულიერი დვრიტაა ერისა და მისი არსებობის სპეციფიკურ ბუნებას ინახავს.

ქართველი კაცი (და არამარტო ქართველი) ამ დაუწერელი კანონების პატივისმცემელი იყო და ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, თითქოსდა თავისთავად, ასრულებდა კიდეც. ასე იქმნება საუკუნეების განმავლობაში ერის ყოფითი ტრადიცია, თუმცა ამ „ქმნადობაში" არა ერთი და ორი ცუდი დანაშრევიც დაგროვებულა, რომელიც ხშირად საზოგადო მსჯელობისა თუ განგაშის მიზეზიც გამხდარა.

აქ როდი გვინდა ადათ-წესებსა და ტრადიციებს შევეხოთ იმ აზრით, თუ რომელია მათში დრომოჭმული და რა დანაშრევია დაგროვებული (ესეც სპეციალურ კვლევას მოითხოვს). რამდენიმე სიტყვა ტრადიციების შექმნის ზოგიერთ ყალბ საფუძველზე და მის წარმომშობ მავნე ზეგავლენაზე, მასზე, რაც ე. წ. „მოდურობას" ეხება.

როგორც ვთქვით, ერის ყოფითი კულტურა აღმავალი გზით ვითარდება და ამ გზაზე ერის სულიერი დვრიტას — ერისკაცობის, მოქალაქეობრივი ღირსების, საზოგადო მოღვაწეობის განმსაზღვრელი და მიმმართველია წინამავალი თაობა. წინამავალი თაობა ყოველთვის არის დაუწერელი ზნეობრივი კოდექსის ძირითადი შემოქმედი და ეს ჯაჭვი უწყვეტია, რადგან, მომდევნო თაობაც იქნება წინამავალი თაობა, ჩვენგან დათესილი სულიერი საზრდო მათში აღმოცენდება.

ეს ჯაჭვი ურთიერთობისა მუდამ არსებულა და არც „მამებისა" და „შვილების" მნიშვნელოვანი დავის დროს გამწყდარა იგი. ეს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდობას თავისი შეხედულებები მოაქვს და ცხოვრების ლოგიკით ამტკიცებს მას. ამ ბუნებრივი საზოგადოებრივი აღზრდის ჰარმონიის დარღვევა მაშინ იწყება, როცა ახალგაზრდობა, აღზრდას განუდგება და „თვითაღზრდას" მიჰყოფს ხელს. ასეთ დროს იქმნება სწორედ საშიშროება ჯაჭვის გაწყვეტისა, რადგან „თვითაღზრდა" (ამ ტერმინს აქ მხოლოდ პედაგოგიური თვალსაზრისით ვხმარობთ და არ უნდა ავრიოთ „თვითაღზრდის" ფილოსოფიურ ცნებასთან), გამორიცხავს საზოგადოებრივი აღზრდის ტრადიციულ გაგებას, ეს გარემოება კი თაობათა შორის კავშირის გაწყვეტის სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

ჩვენ გვაქვს საამაყო — ერთიანი კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც სრულებითაც არ გამორიცხავს გემოვნებათა სხვადასხვაობას, მაგრამ გემოვნების გავულგარების წინააღმდეგ ხმალშემართულია. ამ წერილში აღნიშნული სიძნელეები ერთხელ კიდევ მიგვანიშნებენ, თუ რა რთულია ადამიანის ბუნება და, მისი, როგორც მორალური, ასევე ესთეტიკური სრულყოფის გზა.

☆ ☆ ☆

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## სერგო ზაქარიაძის დღიურიდან

# ფიქრები უშანგი ჩხეიძეზე

ქართული სცენის ორ დიდ მსახიობს — უშანგი ჩხეიძესა და სერგო ზაქარიაძეს მრავალი წლის მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებდათ. ამას ცხადყოფს მათი ერთმანეთისადმი მიწერილი ბარათებიც (იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 1, 1974 წ.). სერგო ზაქარიაძეს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ უშანგი ჩხეიძის დიდმა მსახიობურმა ნიჭმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე.

მეგობრის ხსოვნის უკვდავსაყოფად სერგო ზაქარიაძემ დაგვიტოვა მოგონებები უშანგი ჩხეიძეზე, სადაც იგი დიდი სიყვარულით გვიხატავს უშანგის პიროვნებას და გვიზიარებს იმ შთაბეჭდილებებს, რასაც პირადად მასზე ახდენდა სცენის ამ დიდოსტატის თამაში. „ფიქრები უშანგიზე“ დაწერილია დიდი უშუალობით და ჩვენი თეატრის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია.

1922 წლის მაისის შუა რიცხვები იქნებოდა. მზე გადაიხარა თუ არა, მთელი ზესტაფონის ინტელიგენცია და ახალგაზრდობა გაემართა ხიდზე სასეირნოდ, რომელიც მდინარე ყვირილაზეა გადებული. ეს იყო ზესტაფონის მაშინდელი სასეირნო ადგილი. მეც, ჩემი ამხანაგებით, იქითკენ გავეშურე.

სანამ ხიდს მივაღწევდით, ჩემი ყურადღება მიიქცია მეტად უცნაურმა გარემოებამ. ზესტაფონში ყველასათვის ცნობილი მსახიობი ვასო არაბიძე, რომელიც თბილისის თეატრში მუშაობდა, ჩამოსულიყო და იქვე ხიდთან, მუშებთან ერთად, აგურებით რაღაც უცნაურ და უჩვეულო შენობას აშენებდა. ცნობისმოყვარეობამ ისე გამიტაცა, რომ არც გამიგია, როგორ ჩავები სხვებთან ერთად მუშაობაში. ეს სრულიად უბრალოდ მოხდა: პატივცემულ ძია ვასოს ტკბილმოსაუბრე ენა ჰქონდა და მშვენიერი ამბების მოყოლა იცოდა. მისი საქმიანობით დაინტერესებულებს მოეყარათ თავი მის გარშემო. ის კი შემოკრებილთ უამბობდა ამ შენობის მომავალ მნიშვნელობაზე და თანაც აგურებს აწვდიდა ყოველ მსმენელს. მეც, სხვებთან ერთად, დიდის ინტერესით ვუსმენდი და მის მოწოდებულ აგურებს ხალისით დანიშნულებისამებრ ვალაგებდი.

საუბრიდან გამოირკვა, რომ სულ მალე ამ აგურებიდან დაიბადებოდა ახალი საზაფხულო თეატრი, სადაც გაიმართებოდა წარმოდგენები. მან ჩამოთვალა მსახიობები, რომლებიც წარმოდგენებში მიიღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ვინაიდან მე ისინი არ მენახა არც სცენაზე და არც ცხოვრებაში, არ დამამახსოვრდნენ.

ისე მესიამოვნა აქ ყოფნა და მუშაობა, რომ სულ გადამავიწყდა ხიდიც და სეირნობაც. ასე მოუვიდა ბევრ სხვასაც. ამ მეტად ხალისიანმა საქმიანობამ კარგა ხანს გასტანა. მერეც ხშირი სტუმარი ვიყავი აქაურობისა. თუ არ ვცდები, ერთ თვეზე ადრე აიგო შენობა. მახსოვს, ბოლოს, ერთსულოვან სახალხო მშენებლობად გადაიქცა ეს თეატრი. ყველას უხაროდა, ყველა ჩქარობდა და ჯერ სად იყო აშენებული, რომ ქალაქმა დაწვრილებით იცოდა ყველაფერი. დარბაზი დაახლოებით ხუთას კაცს იტევდა, სცენა კი ვეებერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელა იყო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა.

პირველი წარმოდგენა, რომელიც აქ დაიდგა და რომელსაც, რა თქმა უნდა, დავესწარი, ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი" იყო. ეს წარმოდგენა ორ დღეს იდგმებოდა ზედიზედ, შაბათსა და კვირას. და მაინც ხალხის ტევა არ იყო. შთაბეჭდილებაც დიდი მოახდინა. ასეთი თეატრი, ასეთი პიესა, ასეთი მსახიობები, სახოვანი დეკორაციები, ფერად-ფერადი ქულაჯები და სხვა ტანსაცმელი, რომლებიც ქუთაისის თეატრიდან იქირავეს, უჩვეულო იყო ჩვენი პატარა ქალაქისათვის. წარმოდგენის შემდეგ სახლში გვიან დავბრუნდი. როცა ყველანი ღრმა ძილში იყვნენ, მე ვიწექი თვალებდახუჭული სიბნელეში, გახურებული შუბლით და ეს საოცარი შთაბეჭდილება ხელმეორედ მიედინებოდა და ხელმეორედ მაღელვებდა, მაკვირვებდა და გაუთავებელ სიამოვნებას მგვრიდა. კარგად მახსოვს, რომ ყველაფერი და ყველა მონაწილე მომწონდა, მაგრამ ერთის სახე უფრო ჩამბეჭდოდა მეხსიერებაში. ეს იყო მსახიობი, რომელიც გიორგი სააკაძის როლს ასრულებდა. მისი გვარი ჩხეიძე გალდათ. სახელიც კი არ ვიცოდი, მაგრამ ის იყო ჩემთვის ყველაფერი იმ ღამეს და დიდხანს, ძალიან დიდხანს გამოჰყვა იმ ღამის სიყვარული. ის იყო ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ქმნილება. მას მრავალჯერ აკვირდებოდა, ელოლიავებოდა, ეალერსებოდა ჩემი გონება. მე მაშინ ცამეტი თუ თოთხმეტი წლის ყმაწვილი ვიყავი და შემიძლია ვთქვა, რომ იმ წარმოდგენამ და საერთოდ, მთელი ზაფხულის წარმოდგენებმა მომცეს იმდენი, რასაც, შეიძლება, სხვა დროს წლები დასჭირვებოდა. ამ წარმოდგენამ და იმ ზაფხულმა გადაწყვიტა ჩემი ცხოვრების გზის ბედი და, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ ყმაწვილი, მომამწიფა ისე, რომ ჩემი ცხოვრების გზა გადამაწყვეტინა.

რა გასაკვირია, რომ მაშინდელი გაზაფხული და ამ გაზაფხულზე გაცნობილი ადამიანები მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე დარჩნენ ჩემთვის ძვირფასები. უშანგი კი იყო ღერძი ამ ჩემი გრძნობისა. მე არ ვიტყვი იმას, რომ მისმა ბრწყინვალე შესრულებამ დაბადა ჩემში ეს გრძნობა. არა! ეს არც მესმოდა მაშინ და ამ მხრივ ვერც დავაფასებდი მას, მაგრამ მისი სახით მე ცოცხლად შევითვისე ჩემი ერის ისტორია, რომელსაც წიგნებში ვკითხულობდი, სკოლაში ვსწავლობდი. აქ კი ჩემი თვალით ვხედავდი, საკუთარი გულისყურით განვიცდიდი, ვიტანჯებოდი მის უბედურებასთან ერთად. უსამართლობა გიორგისადმი, რაზეც იყო აგებული მთელი პიესა, მაფიქრებდა, მამაღლებდა და ჩამინერგა სურვილი მებრძოლა უსამართლობასთან. უშანგის გმირი — გიორგი მზრდიდა, მავაჟკაცებდა, მამხნევებდა და იმედს მაძლევდა. უძვირფასესი თვისებები ჩამინერგა ამ გამხდარმა, არც თუ ისე დიდმა, მაგრამ გასაოცარი თვალების მქონე ადამიანმა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი პირველი გამოჩენა: ჟღალი ჩოხა ეცვა გულისპირით, ღია ყავისფერი, ოდნავ გახრილი წაღები, წელზე ქართული ხმალი, წინ ხანჯალი და თავზე თუშური ქუდი, არც გამოუცვლია ტანსაცმელი, ასე იყო სულ. მხოლოდ ბოლოს ნაბადი ჰქონდა მოხურული. სახეზე თხელი გრიმი ესვა, თამაშობდა თავისი თმებითა და არც თუ ისე დიდი ულვაშებით. სიმაღლით საშუალოზე ცოტა მეტი იყო. ახლა მეცინება, როცა მაგონდება, ტანადობით მე მასზე მაღალი ვიყავი და როდესაც გიორგი სააკაძეს ვთამაშობდი, ჩექმები მაღალ ქუსლებზე შევუკვეთე, რომ უფრო დიდი გამოვჩენილიყავი. მაგრამ ქუსლებში და სიმაღლეში როდია საქმე. უშანგი სცენაზე რომ დადიოდა, გჯეროდა მისი გმირობისა, გჯეროდა მისი იშვიათი ძალისა, თუ ვაჟკაცობისა. მე მინახავს სცენაზე მასზე და, თუ გნებავთ, ჩემს მაღალ ქუსლებზე უფრო მაღალზე შემდგარი მსახიობი, მაგრამ მისი გმირობა არ გაჯერებდა ისე, როგორც უშანგისა.

ამბობენ, როსსი ტანით, ძალიან პატარა ყოფილა, მაგრამ ისეთი ძლიერი და დიდი ოტელო ცოტა იყო სცენაზე. არის გმირის სახე, რომელიც გაგიტაცებს მისი მოქმედებით და მისი შემსრულებელი ამ გმირული მოქმედების ხარჯზე თავს გაიტანს, გმირის მოქმედების ხარჯზე ცხოვრობს ხელოვნებაში. მაგრამ არის ისეც, რომ გმირი, მოქმედება და მისი შემსრულებელი ქმნიან ერთ მთელს, ახალს, სულ სხვას, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ ან წაგიკითხავთ. ძნელია სახე გმირისა, ან ამ გმირის მოქმედება წარმოიდგინოთ მისი ახლანდელი შემსრულებლის გარეშე. აი, ასეთი იყო უშანგის გიორგი.

ამ წარმოდგენამდე არავის უნახავს იგი სცენაზე, თითქმის არავინ იცნობდა მას, როგორც მსახიობს. სამი თუ ოთხი საათის განმავლობაში მან მოიგო მთელი დარბაზის გული და წარმოდგენის დამთავრებისას მას იცნობდა 600 თუ 700 ადამიანი, რომლებიც იყვნენ დიდად მადლიერნი იმ გრძნობებისათვის, რაც მათ განიცადეს ამ სულ მოკლე დროში. ვინ იცის, რამდენი ბორგავდა და რამდენს არ ეძინა ჩემსავით. არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ მარტო ის იყო იმ საღამოს. არა, რა თქმა უნდა! პიესაში მონაწილეობდა მეტად მომხიბვლელი და მეტად სანდომიანი შესახედაობის ცაცა ამირეჯიბი, რომელიც თეკლეს როლს ასრულებდა; შადიმანს — ვასო არაბიძე, მეფეს — სანდალა გაჩეჩილაძე, კახაბერს — შალვა ხონელი. საერთოდ, წარმოდგენას დღესასწაულებრივი იერი ჰქონდა. ყველას უხაროდა და ყველა კმაყოფილი იყო. მეორე დღესაც ასევე ხალისიანად წავიდა წარმოდგენა. კვირაში სამი წარმოდგენა იყო — ხუთშაბათს, შაბათს და კვირას. საზოგადოება მეტად გაიტაცა თეატრმა და თვით კოლექტივიც ენერგიულად და ნაყოფიერად მუშაობდა. მსახიობების გარშემო შემოკრებილი იყო ოცდახუთამდე სცენისმოყვარე, რომლებიც პროფესიონალებს არ ჩამოუვარდებოდნენ. მე დიდი პროტექციით დამიშვეს სცენის თანამშრომლად



ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა ჯგუფი.

და მეტად გახარებული მოწმე ვიყავი ყოველი დეტალისა. დაიდგა მრავალი პიესა. უშანგი ყოველ პიესაში თამაშობდა: ,,ღალატი'' — სოლეიმანი, ,,და-ძმა'' — გაიოზი, ,,გადაჭრილი მუხა'' — მოურავი, ,,საბედისწერო დამბაჩა''—რეზიკო, ,,შეშლილი'' — ლეონიდე, ,,სინათლე'' — დავრიში ,,მარგარიტა გოტიე'' — არმანი, ,,დღენი ჩვენი ცხოვრებისა'' — ონუფრი.

როგორც მახსოვს, არ ყოფილა პიესა, რომელშიც უშანგის მონაწილეობა არ მიეღოს. დრო მეტად ხალისიან მუშაობაში მიდიოდა. თეატრი ყოველთვის სავსე იყო, შემოსავალი რიგიანი იყო, რომ, შემოსავლის განაწილებისას ყველა კმაყოფილი იყო. არავითარი გადასახადი, არავითარი პროცენტი ვინმეს. რეპეტიციის თუ წარმოდგენის შემდეგ სულ სიცილი და ტკბილი ღიღინი იყო. სიმღერები უკეთესი ნუ გინდა, ხმები —საუცხოო, ერთმანეთთან შეწყობილი (დავით ავალიანი, კოლია ცერცვაძე, უშანგი, ვასო არაბიძე და სხვები). ახლა რომ მაგონდება, ეს იყო დაუსრულებელი დროსტარება. რეპეტიციები ცოცხლად მიდიოდა, მერე წარმოდგენა — დაძაბული განწყობილებით, წარმოდგენის შემდეგ — ვახშამი ან ვახშმიანი საღამო, როგორც ზესტაფონში იყო მიღებული.

ამ საერთო შრომასა თუ ზეიმში უშანგი ყოველთვის გამოირჩეოდა. მისდამი სხვანაირი დამოკიდებულება ჰქონდა ქალსა და კაცს, დიდსა თუ პატარას. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მეტად სანდომიანი ყმაწვილი იყო და, რაც მთავარია, ეშხიანი. ლამაზი არ ყოფილა, გასაოცარი არაფერი ჰქონდა, თვალების გარდა, რომლის ძალა მე უფრო მოგვიანებით ვიგრძენი. ტანადობით ერთი თხელი ჭაბუკი იყო, მეტად უხდებოდა შუაში გაყოფილი თმა.

არცთუ ისე დიდი იყო მისი ყოფილი თავადიშვილური ოჯახის ქონება და შემოსავალი. მართალია, ზესტაფონში ცხოვრობდა, მაგრამ თეატრიდან მის სახლამდის ორ კილომეტრზე მეტი იქნებოდა და ამ გზის ტკეპნა უხდებოდა დღეში ოთხჯერ: დილით — რეპეტიციაზე, მეორედ — უკან; საღამოს — წარმოდგენაზე და ისევ—უკან. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ გზაზე მუშაობდა იმ როლებზე, რომლებმაც მოუტანეს საერთო სიყვარული მაშინ და რომელიც იყო პირველი საფეხური მისი შემდგომი დიდი შემოქმედებითი ზეიმისა. მე ვფიქრობ, უშანგიმ, როგორც შემოქმედმა, ფრთები აიყარა და აფრინდა სწორედ 1922 წლის საზაფხულო სეზონიდან, ამას ხელი შეუწყო პროფესიულმა გარემომ, ბრწყინვალე როლებმა და უაღრესად თეატრალურმა საზოგადოებამ. მაშინ თითქმის ორი სეზონი დასჭირდა მარჯანიშვილს იმისათვის, რომ ის დაენახა და როგორც კი დაინახა, ერთად შექმნეს მთელი გზა თეატრალური ხელოვნებისა, რომელიც სავსეა სახეების სხვადასხვაობით და ეს ძვირფასი განძეული უთუოდ მოითხოვს მეტად დაკვირვებულ და მეტად ფრთხილ ანალიზს.

მე ვფიქრობ, ჩვენი კორიფეების შემდეგ ასეთი ძვირფასი არაფერი შექმნილა დღემდე. ეს შეიძლება მივიჩნიოთ იმ მთავარ მდინარედ, რომელიც ტოტებივით შეიერთებს ღელეებს თუ ნაკადულებს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მარჯანიშვილის მუშაობაზე საქართველოში, შეუძლებელია ეს უშანგი ჩხეიძის გარეშე და ასევე ვერ ახსენებ უშანგის უმარჯანიშვილოდ, ეს ორი დიდი ტოტი, რეჟისორის და აქტიორის ერთობლივი

შემოქმედება, ერთად შერწყმულია და შედუღაბებული მათ დაშორებაც ვერ მოასწრეს, ისე გადაეშვნენ შავ უკუნეთში. ეს იყო ორი ბედაური თეატრალური შემოქმედებისა და დარჩებიან, როგორც აქტიორისა და რეჟისორის სანიმუშო ძეგლები ჩვენს თეატრალურ ხელოვნებაში.

ჩვენ ცოტა წინ გავიჭერით. ახლა დავუბრუნდეთ იმ გზას, რომლითაც ჩვენი ახალგაზრდა უშანგი მოდიოდა თავისი სახლისაკენ პაპანაქება სიცხეში. ჩეროებით გაივლიდა ბაზარს, დუქნებით ჩამწკრივებულს, სადაც ათასი რჯულის ადამიანი ხვდებოდა. წიგნების მაღაზია კიკნაველიძისა, საპარიკმახერო და სათერძო—დუგლაძისა, ღვინის მაღაზია — ბებიაშვილისა, მჟესტების აფთიაქი, ახლა ხიდი ყვირილაზე, ახლა გაღმა დუქნები, სამიკიტნოები, მერე კელენჯერიძეების სახლი და სასწავლებელი, მერე სასამართლო თავისი ფარღალალა ეზოთი, სადაც მუდამ იდგნენ ან ისხდნენ ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული გლეხები. მერე ჩხეიძეების მორევი და მდინარის პირი. რამდენჯერ ჩამხტარა უშანგი ამ ,,ჩხეიძეების მორევში“ და გაგრილებულა. იშვიათია, რომ ზესტაფონელმა კაცმა ცურვა არ იცოდეს, მაგრამ უშანგის ცურვას უფრო ქუთაისის, რიონის იერი დაჰკრავდა. ეტყობოდა, რომ რიონის ჩქერებთან ბრძოლისას ჰქონდა შესისხლხორცებული ვაჟკაცური მხარული. ქალაქიდან მისი სახლისაკენ გზა სულ აღმართ-აღმართ მიდიოდა, მისი სახლი ზევიდან დაჰყურებდა მიდამოს. ეზოში წინ — ბჟოლები, გვერდით და უკან — ვენახი. სახლი ხის, განიერი აივნით. ოთხი ოთახი ჰქონდათ. მამამისს — ბიქტორს ბავშვები ჭიანჭველებივით ჰყავდა დასეული. თავისი და მოკეთეების შვილები (სოფლიდან ჩამოსულნი სწავლისათვის) გამოუთავებლად იყვნენ შემოხიზნულნი. იშვიათად, აქ სტუმარი არ ყოფილიყო — ჩრდილში ჭილოფზე წამოწოლილი, ხოლო თუ განსაკუთრებულად პატივსაცემი იყო, მაშინ ხალიჩაზე მუთაქები, ნარდი, ხმელი ხილი, ჯანჯუხები, ტკბილი კვერი და ჭურიდან ორშიმოთი ცივი ,,მგალობლიშვილი“ ხვდებოდა.

უშანგის მამას უყვარდა მუსაიფი, მისი ბიძა მღვდელი იყო და ათი ათასი ამბის მოყოლა იცოდა. ახლა მეზობლები, მარტო ჩხეიძეები იმდენია ზემო იმერეთში, რომ ისინი ეყოფა ადამიანს გასაცნობად. ეს გზა იყო უშანგის დაუშრეტელი წყარო, რომელსაც ეცნობოდა, სწავლობდა და ითვისებდა. თავისთავად ნიჭიერსა და დაკვირვებულ ადამიანს გაუჩნდა ისეთი დიდი მარაგი, რომელიც ულევი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამით სარგებლობდა განუწყვეტლივ.

მე მინდა ვთქვა, რომ მან ცხოვრებაში იარა დაუღალავად და ეს ცხოვრება ატარა მთელ თავის შემოქმედებაში.

ამიტომ იყო, რომ ყოველი მისი სიტყვისა გჯეროდა ყოველ წამს და მის ყოველ მოქმედებაში სიხარულს ხედავდი. მისი სიტყვა ცოცხლი იყო და მოძრაობა — ხორციანი. მის მიერ შექმნილ სახეებში თქვენ ვერ კმაყოფილდებოდით იმ სალბავების ყურებით, რომლებიც ადამიანს, მ[illegible]ბას, ცხოვრებას მოგაგონებდათ. როდესაც ის ტიროდა სცენაზე, თქვენ პარტერში ცრემლად იღვრებოდით და როდესაც იცინოდა, თქვენც ბედნიერი იყავით მასთან ერთად.

სწავლობდა არცთუ ისე განთქმული ბეჯითობით, მაგრამ იმ სწავლასაც მისთვის უქმად არ ჩაუვლია. იყო ერთი ჩვეულებრივი კარგი ბიჭი, კარგი ამხანაგი, ტოლში გამოუწყვეტელი. მხიარული მხიარულებაში და სევდიანი—უსიამოვნებაში. საერთოდ, მორიდებული ყმაწვილი იყო—ჩუმი ოხუნჯი, ჩუმი ეშმაკი. ასეთი იყო მაშინ, როდესაც გასაოცრად მოკლე და გასაოცრად მდიდარ, შარავანდედით მოჭედილი ცხოვრების პირველ საფეხურს დაადგა ფეხი.

ბევრი ბრწყინვალე პოეტი წასულა ამ ქვეყნიდან ნორჩი, ნიჭის გაუფურჩქვნელად. უშანგის ცხოვრება შემოქმედებაში უფრო ხანმოკლე იყო, ვიდრე რომელიმე დიდი ნიჭის მქონე ნორჩი პოეტისა. უშანგის სიცოცხლე ხელოვნებაში ისე ხანმოკლეა, რომ ზოგი ასეთ დროს მხოლოდ მომზადებისათვის ხარჯავს ხელოვნებაში მოსასვლელად.

უშანგის დიდმა შემოქმედებამ, რომელმაც შარავანდედი მოჰფინა ჩვენს ქართულ, ეროვნულ თეატრს, აქტიორის ხელოვნებას, მხოლოდ ხუთიოდ წელიწადს იარსება — 1924-25 წელში ამობრწყინდა და 1930-31 წლებში ჩავსვენა. არც ერთ შემოქმედს არ მიუღწევია ასეთი დიდებისათვის ასე მოკლე პერიოდში არც ძველად, არც ახლა, არც ჩვენთან, არც რუსეთში. ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე მან ისეთი გასაოცარი სისწრაფით იწყო ზრდა, რომ ეს ზრდა თვალის დახამხამებას უფრო მოგვაგონებს. მე მგონია, მისმა ზრდამ სისწრაფით თვით დროს გაუსწრო და ყოველგვარი დროის გარეშე უდიდეს დიდებას მიაღწია. იგი მისმა ერმა იწამა, გული გაუხსნა, შიგ ჩაიმარხა — და აგერ ოცდაათი წელიწადია სიყვარულითა და ძვირფასი მოგონებით ატარებს. იშვიათად თუ უცხოვრია ასე ხანმოკლედ შემოქმედს სცენაზე და ასევე იშვიათად დაუმსახურებია მთელი ერის უმწიკვლო და უდიდესი სიყვარული. უშანგის შემოქმედება გაჩნდა უეცრად და დაიწვა, როგორც წმინდა სანთელი მისივე ერის სამსახურში. მისი სიცოცხლე იწვოდა, როგორც პატრუქი, რომელსაც იგი არ ზოგავდა და დაუნანებლად ხარჯავდა, აფრქვევდა. ადამიანმა ხუთი წლის განმავლობაში გაირბინა მთელი ცხოვრება, მისი სულის ბრწყინვალება მზეს ედრებოდა, მაგრამ რამდენადაც განგებამ ანეტარა საწყისში, ერთი ათად აზღვევინა შემდეგ ოც წელიწადზე მეტ ხანს აღმაფრენისაგან მიტოვებულს.

ჩვენი ეროვნული ხელოვნების ტაძრებს — რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატ-

რებს მან უანგაროდ მისცა დიდი ნაწილი თავისი სიცოცხლისა. ის ზურაბივით დაეტანა მარჯანიშვილის თეატრის შექმნასა და აშენებას.

განსაკუთრებული და დიდი სიყვარულით ატარებს მის სახელს ყოველი ქართველი, რომელსაც უნახავს, ან რომელსაც არ უნახავს და ლეგენდად ქცეული მისი თამაში სხვისგან ნაამბობით განუცდია, შეუგრძნია და დაუჯერებია.

ასეთი დიდი შემოქმედებითი ცხოვრების დუღაბით — უშანგის და კოტეს სიცოცხლით არის ნაშენები მარჯანიშვილის სახელობის თეატრი და უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ ამ თეატრის შემოქმედთ, მათ მიერ დანთებული ლამპარი რომ მუდამ ბრწყინავდეს და ჩახჩახებდეს.


უშანგი ჩხეიძე, სერგო ზაქარიაძე (ცენტრში).

ბრწინვალე გასტროლებით გამარჯვებული ქუთაისის სახელმწიფო თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით მწვანე კონცხზე წავიდა საագარაკოდ და თანაც ახალი სეზონის მოსამზადებლად. შესანიშნავი ამინდები, საუცხოო აგარაკები, საამური გარემოცვა მალამოსავით ეცხებოდა ყველას და განსაკუთრებით იმათ, ვინც მეტად გაისარჯა ქუთაისის ამ საისტორიო თეატრის პირველი სეზონისა და თბილისში ბრწყინვალე გასტროლების ჩატარებისას.

ეს, არცთუ ისე დიდი დასი — 30-35 წევრის შემადგენლობით — გამოფენილი იყო მწვანე კონცხის ზღვის სანაპიროზე. რამდენადაც მაგონდება, ჩვენს გარდა არავინ ტკბებოდა აქაურობით, მაშინ სანატორიუმები და დასვენების სახლები არ არსებობდა, გასაქირავებელი აგარაკები ჩვენმა თეატრმა დაიკავა მსახიობებისათვის და მოწყობილი და გამზადებული უფასოდ დაახვედრა მათ. ასე, რომ მწვანე კონცხი თავისი ძვირფასი ბუნებით და ზღვის ნაპირით მარტო ქუთაისის თეატრისათვის იყო განკუთვნილი. ეს ერთი დიდი ოჯახი, ერთი სიყვარულით შეერთებული, მთელი ორი თვის განმავლობაში ლაღობდა და პარალელურად ეწეოდა მეტად საპასუხისმგებლო მუშაობას. რეპეტიციები ტარდებოდა ადრიან დილით და საღამოთი. ამ პატარა დასში ერთსა და იმავე დროს ოთხი რეპეტიცია მიმდინარეობდა. ვახვახიშვილის პანტომიმა „ხანძარი" — ტრიანდაფილდის აგარაკზე, ნიკოლსკის აგარაკზე — დემნა შენგელაიას „თეთრები", ქუთათელის „შუაღამეშ გადაიარა" და შელის „ბეატრიჩე ჩენჩი".

მარჯანიშვილს ყველა პიესაზე ჰყავდა განკუთვნილი რეჟისორი, რომლებიც ამ პიესების დამდგმელებად ითვლებოდნენ და თვით ხან ერთს დაესხმოდა თავს და ხან მეორეს თავისი ამალით (დოდო ანთაძე, არჩ. ჩხარტიშვილი და ივანე, რომელიც ფანრით წინ მირბოდა და ბატონ კოტეს გზას უნათებდა). მარჯანიშვილი ქორივით მოევლინებოდა რეპეტიციას და რამდენიმე წუთში მუშაობას ალმური ასდიოდა. მიასწორ-მოასწორებდა იქაურობას თუ არა, ახლა მეორე აგარაკზე გააჩენდა ცეცხლს და ვაი იმ ჯგუფს, თუ ამ ცეცხლს შეანელებდა.

ერთხელ, მახსოვს, ტრიანდაფილდის აგარაკზე შესვენების დროს შემოგვისწრო. იმდენი გასახედნ ცხენს არ მოხვედრია, რამდენიც ჩვენს რეჟისორს მოხვდა და არა მარტო რეჟისორს; იდგა ყველა მონაწილე კედელზე გაკრული სურათებივით, ამსიმაღლე ხალხი — შალვა ჩხეიძე, ანდრო მურუსიძე, ყალაბეგიშვილი და სხვები. თვითონ მარჯანიშვილი, ტანად პატარა, მიდი-მოდიოდა ოთახის შუაგულში და ხან ერთ კედელზე აკრულთ შეჰყვირებდა და ხან — მეორე კედელზე აკრულთ. როდესაც გული იჯერა, უკივლა თავის ამალას, თქვენ რაღას უდგეხართო, მოტრიალდა და გავარ-

და სარეპეტიციო ოთახიდან, მას სწრაფად დაედევნა ,,ამალაც''.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, არავინ იძვროდა ადგილიდან, თითქოს ყველა მოელოდა მის ხელახალ გამოჩენას. ჩვენი სარეპეტიციო ოთახის ფანჯრები ბაღში გადიოდა, ფანჯრები ღია იყო და მარჯანიშვილის ყვირილი, ეტყობა, გარეთ ისმოდა, რის გამოც სარკმელს რამდენიმე აჭარელი მოსდგომოდა. სამარისებური სიჩუმე დაარღვია გაფითრებული აჭარელის ხმამ: ,,ფუი, თქვენს ვაჟკაცობას, რავა გაგაფუჭათ ამოდენა ხალხი ამ ერთმა ჩიორა კაცმა, ასე რავა შეგაშინათ, მაგას გავვბდღვნიდი აქანაი, ჭოვ'', მისდა მოულოდნელად, ოთახიდან ერთიანი, გულიანი სიცილი დააყარეს მის გაცეცხლებას. აჭარელი სახტად დარჩა, მან სიძულვილის ნაცვლად ნათლად დაინახა სიყვარული ამ ჩიორა კაცისადმი. მეორე დღეს მარჯანიშვილს უთხრეს: მუშაობა ის-ის იყო გავათავეთ და შესვენებას ვაპირებდითო. მან ბევრი იცინა და თქვა: «Дураки, а почему не сказали?» მაგრამ მაშინ ისე იყო გაცეცხლებული, ამას ვინ გაუბედავდა.

მე იმ აგარაკზე ვცხოვრობდი, სადაც ,,ბეატრიჩეს'' რეპეტიციები მიმდინარეობდა, ხშირად ვესწრებოდი რეპეტიციებს, გარდა ამისა, ჩენჩის მსახურს ვთამაშობდი და მერე კი ჩენჩის შვილს— ჯაკომოს. ეს პიესა, რამდენადაც ვიცი, მარჯანიშვილმა აირჩია თამარ ჭავჭავაძისათვის, ვინაიდან წინა სეზონში თამარს ახალი არაფერი უთამაშია მნიშვნელოვანი.

მარჯანიშვილმა პირველი რეპეტიციის დასაწყისშივე დაწვრილებით ილაპარაკა პიესაზე, სახეებზე, დააყენა მუშაობა გზაზე და მიანდო ახალგაზრდა რეჟისორს. რამდენიმე ხნის შემდეგ დაესწრო რეპეტიციას. თამარ ჭავჭავაძით უკმაყოფილო დარჩა. თამარმა მორიდებით ჰკადრა შეკამათება, მან ეს იწყინა და ისე წამოვედით ქუთაისში, რომ რეპეტიციაზე აღარ გამოჩენილა.

ამ პიესაში უშანგი თამაშობდა ბეატრიჩეს მამას, ჩენჩს. ეს იყო მეტად საინტერესო სახასიათო როლი, უცნაური თავისი თვისებებით: ძლიერი, ყოვლისშემძლე, ბოროტი, აღტყინებული ბებერი, საოცრად მოწყურებული ბიწიერებას. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ საინტერესო სახე. მეტად რთული როლის გაკეთება მოუხდა უშანგის ახალგაზრდა, შეიძლება ნიჭიერ, მაგრამ მაინც გამოუცდელ რეჟისორთან. აქ მთავარი იყო თვით უშანგი. მას მუშაობა ჩუმად უყვარდა და ასე ეუფლებოდა ამ როლსაც.

ჩამოვედით ქუთაისში, კოტე გართული იყო ბუხნიკაშვილის ,,კი მაგრამით'', მუსიკალურ კომედიას დგამდა და სხვებისთვის არ ეცალა, ასე რომ, ,,ჩენჩზე'' მუშაობა უმარჯანიშვილოდ მიდიოდა. როდესაც მარჯანიშვილმა მოისურვა პიესის ნახვა, ის უკვე მიზანსცენებში დალაგებული იყო. მარჯანიშვილი მოვიდა რეპეტიციაზე, დაჯდა პარტერში, იღიმებოდა და ამბობდა: სახლში გამოჰჭედეს ყურები, კარგად მიდის ბეატრიჩეს რეპეტიციები და აბა მაჩვენეთო. პირველი მოქმედების სამი სურათი დამშვიდებით მოისმინა, მეოთხე სურათი დიდი პოლონეზით დაიწყო და მას მოჰყვა უშანგი-ჩენჩის დიდი სცენა, სადაც ირკვევა ზეიმის მიზეზი. თურმე მისი ორი ვაჟი დაღუპულა (თუ თვითონ დააღუპვინა?) და ახლა დარბაზობა მოიწვია, რომ ყველას ამცნოს ეს ამბავი! უშანგი ამ სცენაში იყო შემაძრწუნებელი, მის მნახველს პარტერში და სცენაზეც ტანზე ბურძგლებს აყრიდა. ეს იყო გველი, რომელიც სისინებს, მისი სიტყვები და სიხარული ცივ ოფლსასხამდა მაყურებელს, ყველა გაქვავებული იყო, ამ დიდ ზეიმზე იგრძნობოდა, ნამდვილი სიცივე და ამ სიცივეში ხარხარებდა კბილებჩაცვენილი, ბებერი ჩენჩი, ვითომ საწყალი, საცოდავი და ამავე დროს ბედნიერი. მაგრამ როდესაც სტუმართა შორის ვიღაცამ ხმა ამოიღო აღშფოთების გამოსახატავად, ეს გაიგონა მშვიდად მიმავალმა ჩენჩმა, შეჩერდა, ზურგი მშვილდივით მოხარა, თავი მოაბრუნა და გაიხედა იქითკენ, საიდანაც ხმა შემოესმა. ეს გახედვა იყო ცეცხლის ნაპერწკალზე უფრო მწვავე, ძლიერი. ვისაც კი უნახავს ეს წარმოდგენა, ალბათ არასოდეს დაავიწყდება უშანგის გამოხედვა. მან შეხედა სტუმარს და სტუმარი თითქოს გაქრა, განადგურდა, მოისპო. თურმე შეიძლება დიდ მონოლოგში ვერ აჩვენო სიძლიერე ისე მძაფრად, როგორც ერთ გამოხედვაში, ეს იყო გამოხედვა ღამეში შემოფეთებული ნადირისა. პიესის დასაწყისში, კარდინალის კალთაში თავჩარგული ჩენჩი ნამდვილი კრავი იყო. მერე გველივით სისინებდა და მოქმედების ბოლოში მხეცივით ძლიერი ჩანდა. გათავდა მოქმედება, კოტე ყურადღებად იყო ქცეული. უხმოდ დაიწყო მეორე მოქმედება, თითქოს გაგრძელდა დასაწყისი, მაგრამ გამოჩნდა ჩენჩი და ისევ საინტერესო გახდა მოქმედება. აქ ჰქონდა უშანგის წყევლის სცენა თავისი შვილების მიმართ. უნდა ითქვას, რომ ზეცა ჩამოიტანა დედამიწაზე. კარგად მახსოვს ამ ადგილზე დედაჩემმა მითხრა: შვილო, მაგ კაცი დიდხანს არ იცოცხლებსო.

მე მივხვდი რისი თქმაც უნდოდა. ეს იყო ის, რაც სცენაზეც კი გააკვირვებს ადამიანს.

წყევლის სცენის შემდეგ, ჩენჩის გასვლისას მარჯანიშვილმა გააჩერა რეპეტიცია, ავიდა სცენაზე და განუწყვეტლივ კოცნიდა უშანგის. დაუკოცნა სახე, თვალები, რომლებიც ახლა საოცრად ბავშვური და გულუბრყვილონი იყვნენ.

კარგა ხანს გაგრძელდა ეს ალერსი. კოტე ვერ ძღებოდა მისი ყურებით. იგონებდა ადგილებს, ხან თავს, ხან ბოლოს. იქვე მოიგონა ამ როლის შემსრულებელნი. რეპეტიცია აღარ გრძელდებოდა, თითქოს მარჯანიშვილს ამის იქით აღარ უნდოდა რამის ნახვა.

უშანგის ჰქონდა კიდევ ერთი სცენა მესამე მოქმედებაში, რომელშიც ჩენჩი ბეატრიჩეს უცდის ღამით. ეს სცენა მარჯანიშვილმა იქვე ახლად გააკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებინა, მოსაწყევი დარბაზის მაგიერ სცენა საწოლში გადაიტანა. შესანიშნავი იყო სურათი დასაწყისშივე — ზის საწოლში თმააბურძგნული ბებერი, ზურგზე საბნის ყური აქვს წამოდებული, შიშველი ტერფი წინ გამოუშვერია და რაღაცას ბუტბუტებს. ასე იწყებოდა მისი მონოლოგი, საწოლზე შემდგარი ქვევიდან მაღლა ღმერთს ედავებოდა და ბალიშებს ესროდა. აქ ყოველი დეტალი კოტეს მიერ იყო ნაკარნახევი და გაკეთებული. შესანიშნავი იყო ამოცანა, მაგრამ არანაკლები მისი შესრულება, ჩენჩს კლავდნენ მესამე მოქმედების ბოლოს და იქვე კვდებოდა პიესაც.

მე ვფიქრობ, უშანგი ნამდვილი სახასიათო მსახიობი იყო და მის მიერ შექმნილი ყველა სახე იქ არის უფრო ძლიერი, სადაც კონკრეტული ადამიანიდან მომდინარეობს და არა იქ, სადაც „საერთო განწყობილების მატარებლები არიან“.

უშანგი ჩხეიძის შემოქმედებაში მე ვფიქრობ, კულმინაცია ჩენჩი და ყვარყვარეა. ეს არის ორი უკიდურესობა. ეს ის დიაპაზონია დრამატული მსახიობისათვის, როგორც მომღერლებში შალიაპინს ჰქონდა.

მე ვფიქრობ, ამ პირველმა და მეორე სეზონმა მოსწყვიტა წელი უშანგის. მახსოვს ზღვის ნაპირზე ისე, ნახევრად ხუმრობით, დავეჭიდეთ ერთმანეთს. ჩემი ბავშვობიდან მოყოლებული შინაურულად და თავისუფლად ვიყავი მასთან, მიუხედავად ამისა, ჭიდაობის დროს მოვერიდე და ცოტა დავზოგე კიდეც.

ამ ჭიდაობის დროს ელვასავით გამიელვა თავში ერთმა მოგონებამ: უშანგის ახალი ნათამაშები ჰქონდა ჰამლეტი და საზაფხულოდ რამდენიმე დღით ჩამოვიდა ზესტაფონში. სიცხეა, ვწევართ ჩეროში ჭილოფზე უშანგი, მისი ძმა — ჭიჭიკო და მე. უშანგი ჩააცივდა ძმას — დამეჭიდეო. ჭიჭიკო დინჯი იყო და არ აყვა. უშანგიმ დაუჟინა.

— დამანებე თავი, თვარა წაგაქცევო — უთხრა ჭიჭიკომ. უშანგი სწრაფად წამოხტა, დაავლო ხელი ჭიჭიკოს, შეიქმნა ჭიდაობა დაძაბული. არ გასულა დიდი ხანი და უშანგი ბეჭებით მიწაზე გაიშოტა. მისი წაქცევა, წამოვარდნა და სილის გარტყმა ჭიჭიკოსათვის ერთი იყო. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა და სიჩუმეში ჭიჭიკომ თქვა:— მეტი თუ არ შეგეძლო, რას იწვევდი, ჩემო ძმაო. მომაგონდა მისი სიფიცხე და ვფრთხილობდი არ მეწყენინებინა. მან მალე თვითონვე, მოულოდნელად დამანება თვი და იქვე, რიყეზე დაჯდა. რამდენიმე წლის შემდეგ, მისი ავადმყოფობის დროს მომაგონა ეს შემთხვევა და მითხრა: აი, მაშინ, პირველად ვიგრძენი გული, დაგანებე თავი, დავჯექი და რაღაც სევდა შემომაწვა, ეს იყო პირველი გლოვის ზარი ჩემი გულისაო. ეს მოუტანა იმ მძიმე წელიწადმა, რომელმაც ამდენი სიხარული მოჰგვარა ყველას, მაგრამ რა ძვირად დაუჯდა თვითონ უშანგის!

პირველ დეკემბერს სამუდამოდ დაიხურა უშანგის უჩვეულო, დიდი თვალები. ამ დღის შემდეგ უშანგიზე აღარავინ იტყვის, რომ ის არის. იმ დღიდან უშანგი მოგონებაში გადავიდა და ვამბობთ: უშანგი იტყოდა, უშანგის ჰქონდა, უშანგის უყვარდა. მოსცილდა ჩვენს პატარა ქვეყანას ბუმბერაზი შემოქმედი, ბრწყინვალე მსახიობი, მოქალაქე, რომლის გამეორებას შეიძლება ორმოცდაათი წელიწადი დასჭირდეს. ამ ყოველმხრივ შემკული ადამიანის ცხოვრებას, ლეგენდაში გადაზრდილს, ლეგენდებით ატარებს ქართველი ხალხი მანამ, სანამ თავისი ხელოვნება ეყვარება და ექნება.

ის თეატრალურ ცხოვრებაში დარჩება, როგორც ძვირფასი მაგალითი, მაგალითი ყველასათვის მისაბაძი. მისი გაციებული გული საფიცარი იქნება სინდისიერი შემოქმედისა. ბევრი რამ შეიქმნება მის სადიდებლად და პატივსაცემად, დიახ, ის იყო ჭეშმარიტად ბრწყინვალე შემოქმედი, ქართული თეატრალური ხელოვნების მედროშე. იგი მანამდე დარჩება განუმეორებელი, სანამ ვინმე არ გამოუჩნდება ღირსეული, რომ შეენაცვლოს, შეეშველოს. საბჭოთა ქართულ სცენას არ ჰყოლია მსგავსი ბუმბერაზი შემოქმედი. მან თავისი შემოქმედების ხანმოკლე გზაზე იმდენის გაკეთება შეძლო, რამდენსაც სხვები მთელი სიცოცხლის შრომითა და ოცნებით ვერ მისწვდებიან. მისი დაბადება ერის ბედნიერება იყო, სიკვდილმა კი ერს გლოვის ზარი დასცა.

*მასალა დასაბეჭდად მოამზადა*
**გ. ზაქარიაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქ რ ო ნ ი კ ა

● **მოსკოვისა** და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებებმა მოსკოვში, მსახიობის ცენტრალური სახლის დარბაზში გამართეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მედეა ჯაფარიძის შემოქმედებითი საღამო, რომელიც გახსნა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ბ. სმირნოვმა.

საღამო მიჰყავდა თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძეს. იგი დამსწრეთ მოუთხრობდა მედეა ჯაფარიძის შემოქმედებაზე, სახიერად ხატავდა მისი, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის პორტრეტს.

საღამოზე წარმოდგენილი იქნა სცენები სპექტაკლებიდან: „ქრიჭინა", „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე", „რომეო და ჯულიეტა".

მ. ჯაფარიძემ იაკობ ტრიპოლსკისთან ერთად გაითამაშა აგრეთვე სცენა შოუს პიესიდან „კეისარი და კლეოპატრა" (ადრე მედეა ჯაფარიძემ ეს როლი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ როსტისლავ პლიატთან ერთად შეასრულა „მოსსოვეტის" თეატრში).

ეკრანზე ნაჩვენები იქნა ნაწყვეტები კინოფილმებიდან, რომლებშიც მ. ჯაფარიძე თამაშობს.



სცენა ყვავილებით აივსო. მსახიობს მიესალმნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი ელენე გოგოლევა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები — სოფიო გიაცინტოვა, ანასტასია ზუევა, ბორის პეტკერი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ნატალია საცი, რსფსრ დამსახურებული არტისტები — ლიდია ტოლმაჩოვა, ეგორ კვაშა, გენადი ბორტნიკოვი, პოეტი ბელა ახმადულინა, კრიტიკოსი ალექსანდრე ანიქსტი.

საღამოზე წაიკითხეს მისალოცი დეპეშები, რომლებიც გამოგზავნეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებმა: ივანე კოზლოვსკიმ, ბორის ბაბოჩკინმა, იგორ ილინსკიმ, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა ლიდია სუხარევსკაიამ და სხვებმა.

● **რუსეთის** პირველ რევოლუციას მიეძღვნა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალური მუზეუმის, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ მოწყობილი დიდი გამოფენა ბარათაშვილის ხიდის საგამოფენო დარბაზში.

„1905-1907 წლების რევოლუცია სახვით ხელოვნებაში" — ასე ეწოდება ამ გამოფენას, რომელზეც თბილისელები გაეცნენ რევოლუციის მონაწილე და მისი თანამედროვე მხატვრების ნაწარმოებებს. სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალური მუზეუმის ექსპონატებს შორისაა გამოჩენილი რუსი მხატვრების — ი. რეპინის, ვ. სეროვის, ვ. პოლენოვის, ვ. მაკოვსკის, გ. სავიცკის და სხვათა, აგრეთვე საბჭოთა მხატვრების მრავალი ნამუშევარი. წარმოდგენილია ორასზე მეტი ნაწარმოები — ფერწერული ტილოები, სკულპტურული ფიგურები და პორტრეტები, გრაფიკული ნამუშევრები, რომელთა შორის დიდი ადგილი უკავია სატირულ გრაფიკას — მხატვრულ ღია ბარათებს და ნახატებს, პლაკატებს.

ექსპოზიციაშია საქართველოს მხატვართა მიერ შექმნილი ნამუშევრებიც.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალური მუზეუმის დირექტორი ფ. კროტოვი, საქართველოს მხატვართა კავშირის პირველი მდივანი ნ. ჯანბერიძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გურაბანიძე, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი გ. თოთიბაძე. სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალური მუზეუმის სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგემ ვ. დოლინსკაიამ და ლექტორმა ე. ვოლკოვმა დამთვალიერებლებს გააცნეს ექსპოზიცია.

უდიდეს ინტერესს აღძრავს მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც დოკუმენტური სიმართლით, შთამბეჭდავად აისახა რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის გმირული ისტორია.

● **ამას წინათ** ჩვენს დედაქალაქს ესტუმრა ბერძნული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „საბერძნეთის მელოდიები" და რამდენიმე კონცერტი გამართა საქართველოს სახელმწიფო დიდ საკონცერტო დარბაზში. ანსამბლის რეპერტუარში იყო როგორც ხალხური, ასევე საესტრადო მუსიკალური ნაწარმოებები. ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელია ოქროს ფირფიტის მფლობელი მარიცა კოჩი.

● **თბილისის** კინოსახლის დიდი დარბაზის ფოიეში გაიმართა ქართული კინოს ვეტერანის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მხატვარ სერაფიონ ვაწაძის ნამუშევართა გამოფენა.

წარმოდგენილი იყო ესკიზები კინოფილმებისათვის: „ფატიმა", „რაც გინახავს, ველარ ნახავ", „კეთილი ადამიანები", „ჭირვეული მეზობლები".

გარდა კინოესკიზებისა, ექსპოზიცია შეიცავდა საინტერესო დაზგურ გრაფიკულ ნამუშევრებს — ტუშით, გუაშით, ფანქრით შესრულებულ ჩანახატებს, პორტრეტებსა და კომპოზიციებს.



● **საქართველოს სსრ** სახალხო მხატვრის კორნელი სანაძის ნაწარმოებთა პერსონალური გამოფენა, რომელიც 5 ივნისს გაიხსნა სურათების გალერეაში, სრულყოფილად წარმოგვიდგენს ფერმწერის მიერ განვლილ დიდ შემოქმედებით გზას (მიუხედავად იმისა, რომ ექსპოზიციის გარეშე დარჩა მისი ბევრი ნამუშევარი). ეს გზა ხასიათდება სახვით ამოცანათა და შემოქმედებით ინტერესთა მრავალფეროვნებით, რაც ნათელ გამოხატულებას პოულობს ნაწარმოებთა მხატვრულ ფორმაში. სახვითი ენის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს თვით შესრულების ტექნიკა, მასალა, და, ამ მხრივ, მხატვრის ნაწარმოებები (ფერწერული თუ გრაფიკული) აღბეჭდილია მაღალი პროფესიულობით, გამოხატვის ტექნიკური ხერხებისა და საშუალებების ოსტატური მომარჯვებით. მრავალფიგურიანი კომპოზიციები, პორტრეტები, პეიზაჟები ინტერესს იწვევენ სრულიად განსხვავებული იდეურ-მხატვრული და სახვით-პლასტიკური გააზრებით, ცხადყოფენ ავტორის არა მხოლოდ ევოლუციას ვრცელ შემოქმედებით გზაზე, არამედ გამოხატვის სრულყოფისაკენ მუდმივ სწრაფვას.

ბოლო პერიოდის ნამუშევართა შორის, გარდა მასშტაბური ფერწერული კომპოზიციებისა და პორტრეტული ტილოებისა, ყურადღება მიიპყრო მონოტიპიის ტექნიკით განხორციელებულმა პეიზაჟურმა მოტივებმა.

● **ახლახან** ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პლზენის საოპერო თეატრის სცენაზე დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ თეატრის საუკეთესო სოლისტები. მალხაზის პარტიას ასრულებდა დ. ნოვოტნი, კიაზოს — ფ. გაველკა, მაროს — ე. ვულდროვა. დირიჟორობდა კ. ვაშაკა.

ეს დადგმა თეატრის კოლექტივმა მიუძღვნა საბჭოთა არმიის მიერ ფაშიზმისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 30 წლისთავს.

ამ მნიშვნელოვან თარიღს ეძღვნება აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კულტურის დღეები საბჭოთა კავშირის ქალაქებში.

**13** ივნისს საქართველოს ფილარმონიის მცირე დარბაზში გაიმართა სიმფონიური მუსიკის კონცერტი, მსმენელები გულთბილად მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიელ მუსიკოსებს — ჩეხოსლოვაკიის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეს ლუბომირ ჟელეზნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, დირიჟორ მილოშ კონვალინკას, ალტისტ ლუბომირ მალის.

● **12 ივნისს** თბილისის კინოსახლის დიდ დარბაზში ჩატარდა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის XI გაფართოებული პლენუმი, რომელმაც განიხილა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ 1974 წელს გამოშვებული მხატვრული ფილმები.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ს. დოლიძემ.

მოხსენება გააკეთა კრიტიკოსმა ა. ბაქრაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: მწერალმა ჭ. ამირეჯიბმა, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარმა რედაქტორმა ა. ჭიჭინაძემ, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარმა რედაქტორმა გ. დვალიშვილმა, რეჟისორმა ო. იოსელიანმა, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა სახელმწიფო კომიტეტის კინოს თეორიისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ს. დრობაშენკომ, მწერალმა მ. ელიოზიშვილმა, რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კ. ბეჭვაიამ, მუსიკისმცოდნე ე. მაჭავარიანმა, რეჟისორმა რ. ხოტივარმა, კინოკრიტიკოსმა ო. თაბუკაშვილმა, რეჟისორმა ნ. სანიშვილმა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ლ. კულიჯანოვი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ ნ. ჩერქეზიშვილმა.

● **სამხრეთ-ოსეთის** კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოსურმა დასმა სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს მიუძღვნა ვ. გაგლოევის ორმოქმედებიანი პიესა „მიწიერი ღმერთები“.

სპექტაკლი დადგა ოსური დასის მთავარმა რეჟისორმა მ. მაძაევმა, მხატვრულად გააფორმა რ. ჩოჩიევმა, ქორეოგრაფია მ. შავლოხოვი.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები: ნ. ჩაბიევა, ბ. ცხოვრებოვი, გ. თაუგაზოვი; რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: რ. გასიევა, ე. გუგკაევა, ლ. გალავანოვა, ზ. მედოევა, ნ. ჩოჩიევა, ა. გელდიევი, ი. ჯიკაევი, რ. ძაგოევი; მსახიობები: ა ჯუსოევა, შ. გაგოევი, ნ. გოიაევა, რ. ხუგაევა და ა. ჯიოევა.

● **გამომცემლობა** „მერანის“ საგამოფენო დარბაზში ექსპონირებული იყო მოსკოველ მხატვართა წიგნის გრაფიკის გამოფენა. წარმოდგენილი ნამუშევრები ნაწილია მოსკოვსა და ლენინგრადში ახლახან დემონსტრირებული დიდი გამოფენისა.

ლიტერატურული ნაწარმოების ჟანრისა და სულისკვეთების ღრმა გრძნობა, მხატვრული გადაწყვეტის ორიგინალობა, ნატიფი გემოვნება და მაღალი პროფესიული დონე — ასეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა გამოფენის ექსპონატების გაცნობისას.

● მიმდინარე წლის 4 მაისს ქ. დენბურგში სადღესასწაულო ვითარებაში გაიხსნა 1945 წელს კუნძულ ტექსელზე ქართველთა ბატალიონის აჯანყების დროს დაღუპული ჰოლანდიელების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი. „ჩვენს ჰოლანდიელ ძმებსა და დებს. სსრკ, საქართველო. 1975 წელი" — ჰოლანდიურ ენაზე გაკეთებული ასეთი წარწერა ამშვენებს მემორიალს. მემორიალის გახსნას უამრავი ხალხი დაესწრო: ტექსელის მკვიდრნი, ამსტერდამის, როტერდამის, ჰააგისა და თითქმის მთელი ჰოლანდიის წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი პირნი, დაღუპულ ჰოლანდიელთა ოჯახის წევრები.

მემორიალი გახსნა ტექსელის ბურგომისტრმა. საქართველოდან საზეიმო გახსნას დაესწრო ოფიციალური დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მწერალი რ. თაბუკაშვილი, მოქანდაკე გ. ოჩიაური და არქიტექტორი ნ. მგალობლიშვილი, აგრეთვე ტურისტული ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ტექსელის აჯანყების მონაწილეებიც.

ტექსელზე აღმართული ძეგლი წარმოადგენს თითბერისა და სპილენძის ნაჭედი ფურცლებისაგან ოსტატურად შედუღებულ სიმბოლურ „სიცოცხლის ხეს". ნაჭედი ბარელიეფები ასახავენ ომის, გამარჯვებისა და მშვიდობის თემებს.

ძეგლის ავტორები არიან: მოქანდაკეები გ. ოჩიაური, გ. ჯაფარიძე და ზ. საყვარელიძე, არქიტექტორი — ნ. მგალობლიშვილი.



● ახლახან რესპუბლიკაში პირველად ჩატარდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო წარმოდგენების კვირეული.

სტუდენტებმა წარმოადგინეს ქართული, რუსული და საზღვარგარეთული კლასიკური დრამატურგიის ნაწარმოებები.

მესამეკურსელებმა მაყურებელს უჩვენეს ლ. ტოლსტოის „ბნელეთის სამეფო" (ხელმძღვანელი თ. ჩხეიძე), ნ. ანკილოვის „ჯარისკაცის ქვრივი" (ხელმძღვანელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. ლორთქიფანიძე), ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება" (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. სურმავა).

IV კურსის სამსახიობო-სარეჟისორო ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებმა განაახლეს შარშანდელი საკურსო წარმოდგენები: დ. კლდიაშვილის „მსხვერპლი" და გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი", ხოლო სადიპლომოდ აირჩიეს მ. გეგიას კომპოზიცია ა. ფადეევის რომანის მიხედვით „ახალგაზრდა გვარდიის სახელით" (დადგმის მხატვრული ხელმძღვანელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. თუმანიშვილი).

სპექტაკლები — „ახალგაზრდა გვარდიის სახელით" და „ჯარისკაცის ქვრივი" სტუდენტებმა მიუძღვნეს საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 30 წლისთავს.



● მხატვარ-კერამიკოს ნანა ბოტკოველის ნამუშევართა მორიგმა პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა, მრავალი მნახველი მიიზიდა.

ფერადი ჭიქურით დაფარული და მდიდრულად ორნამენტირებული ხელადები, დოქები, ფიალები, ჯამები, ლარნაკები, შანდლები გამოირჩევა ორიგინალური მხატვრული გადაწყვეტით, ფორმათა სისადავითა და პლასტიკურობით.

თრიალეთის ყორღანებში განათხარმა არქეოლოგიურმა მასალამ მხატვარს შთააგონა შეექმნა დიდი ზომის ორყურა ამფორები — „ბედენურა", „მზე და ვერძი", „ირმულა".

ინტერესს იწვევს მხატვრის მიერ სრულიად ახალი ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები: თიხის ფირფიტებზე წერნაქით ამოკვეთილი ქართველ პოეტთა პორტრეტები, სინაზითა და სინატიფით აღბეჭდილი ზღაპრულ ფერიათა სახეები.



ყურადღებას იქცევს აგრეთვე კედლის თასები, რომლებზეც ფერადი ჭიქურით, ფრესკული სტილითაა ხორცშესხმული „ვეფხისტყაოსნის" გმირ ქალთა სახეები, „გაზაფხულის სერენადა" კი ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებებითაა შთაგონებული.

კერამიკული ნამუშევრების გარდა, ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო აგრეთვე აკვარელით შესრულებული პეიზაჟები და პორტრეტები.

მ. კერესელიძე.

**უბერებელი ხელოვნება** — ასე უწოდეს ელენე ახვლედიანის მხატვრობას მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმა. არამცთუ უბერებელი, ახალგაზრდული მღელვარება, გატაცება და შთაგონება თითქოს სულ უფრო ემატება მხატვრის ქმნილებებს, რასაც ცხადყოფს მის სახელოსნოში გამართული ახალი ექსპოზიცია — უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შესრულებული ტილოები. ამ ნამუშევრებში კვლავაც ძირითად ადგილს იკავებს ახალი თვალთახედვით გახსნილი თბილისური მოტივები. ისინი კვლავ გვიზიდავენ მხატვრის ხელწერის არტისტიზმითა და ცხოველმყოფელობით, ნათელი სახიერებითა და რომანტიკული სურნელებით. ჰარმონიულ მთლიანობაში მოყვანილი ფერადოვანი ელვარება, ულამაზესი კონტრასტები, ხაზთა და ფორმათა ახვლედიანისეული პლასტიკა ახალი ძალით გამოჩნდა მხატვრის ბოლოდროინდელ ნაწარმოებებში.



**სოხუმის** ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზურმა დასმა მაყურებლებს მორიგ პრემიერად უჩვენა ბ. ტომასის კომედია „ჩარლის დეიდა“.

სპექტაკლის დადგმა, მხატვრობა და მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს ვ. აბლოთიას, ეს მისი პირველი რეჟისორული ნამუშევარია.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ თეატრის წამყვანი მსახიობები: ა. ტანია, ო. ლაგვილავა, ჩ. ჯენია, რ. ჯოპუა, ს. გაბლია და სხვები.

**ზ. ფალიაშვილის** სახელობის თბილისის მეორე მუსიკალურ სასწავლებელში ყოველი სასწავლო წლის დასასრულს იმართება აკადემიური, საჩვენებელი, პედაგოგთა კლასის ან მოსწავლეთა სოლო კონცერტები, რომლებიც აჯამებენ მთელი წლის მანძილზე ჩატარებულ მუშაობას და ავლენენ მოსწავლეთა პროფესიულ ზრდასა და დაოსტატებას.

ამჯერადაც სასწავლებელი ფართო საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგა მთელი რიგი კონცერტებით.

მოსწავლეთა კამერული ორკესტრი სულ რამდენიმე წლის წინ საორკესტრო განყოფილების პედაგოგმა ჰ. შავერდიანმა ჩამოაყალიბა. იგი უპირველეს ყოვლისა დიდ ყურადღებას უთმობს რეპერტუარის შერჩევას და ცდილობს მის გამდიდრებას ქართული ეროვნული ნაწარმოებებით. მოსწავლეთა კამერული ორკესტრის კონცერტზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა, ვივალდისა და კორელის ნაწარმოებებთან ერთად აჟღერდა ს. ცინცაძის „ხორუმი“, რომელიც კამერული ორკესტრისათვის გადაამუშავა ჰ. შავერდიანმა. კონცერტში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ვოკალური განყოფილების მოსწავლე ქალთა გუნდმა, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობს საგუნდო ხელოვნების კარგი მცოდნე მ. მაზმიშვილი. კამერული ორკესტრის თანხლებით გუნდმა შეასრულა ნაწარმოებები, რომელთა დიდი ნაწილიც თვით მ. მაზმიაშვილმა დაამუშავა ქალთა გუნდისათვის.

ასევე საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეთა სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, რომელიც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა (ორკესტრის ხელმძღვანელი დირიჟორი ჰ. ბაბლუმიანი). შესრულდა ბეთჰოვენის პირველი სიმფონია, მენდელსონის „ბრწყინვალე კაპრიჩიო“, რომლის საფორტეპიანო პარტია დაუკრა II კურსის მოსწავლემ ს. რონენბერგმა (პედაგოგ ე. ფაინშტეინის კლასი) და ინტერმეცო მასკანის ოპერიდან „სოფლის პატიოსნება“.

მოსწავლეთა ერთ-ერთ კონცერტზე წარმოდგენილ იქნა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „წმინდა ომი“, რომელიც მიეძღვნა სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 30 წლისთავს (მხატვრული ხელმძღვანელი პედაგოგი გ. ხუჭუა).

ლ. კაკაბაძე.

**ამას წინათ** საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრის“ მოწვევით თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის სცენაზე წარმოდგენები გამართა რიგის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა.

წარმოდგენილი იქნა ა. ჩეხოვის „ივანოვი“. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ა. შაპირო, კომპოზიტორი — ო. ეხალა.

მთავარ როლებს ასრულებდნენ: ლატვიის სსრ



სახალხო არტისტები — ლ. კუპლე, ვ. სინგაევსკაია, ლ. ბაუმანე; ლატვიის სსრ დამსახურებული არტისტები — ე. ლიეპინი, ვ. სკურსტენე, ტ. აბოლინში; მსახიობები — უ. პუციტისი, ა. მაიზუკი, ა. ზაიცე, ა. მეკში და სხვები.

ლატვიელმა მსახიობებმა მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლში „ბუმბარაში“, რომელიც გასულ წელს რიგის თეატრის ძალებით განხორციელდა. რეჟისორია ა. შაპირო, მხატვარი — ა. ორლოვი, კომპოზიტორი — ვ. დაშკევიჩი, ბალეტმეისტერი — ბ. მატისონი.

თბილისელი მაყურებელი გაეცნო ლატვიელი მსახიობების: ვ. დიკის, ი. კრუსკოპის, ე. ვევერის, ვ. მიხიენკოს, ო. შკატოვის, ტ. დზუბას, ა. ზუბარევის, გ. ტიტოვის და სხვათა ხელოვნებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ამას წინათ პროფკავშირების კულტურის სახლში გაიმართა თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის საანგარიშო - გამოსაშვები საღამო.

აღმზრდელი პედაგოგების, მოწვეული სტუმრების, საზოგადოებრიობის სამსჯავროზე წარსდგნენ მომავალი მოცეკვავეები. რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო — ქართველი, რუსი და საზღვარგარეთელი კლასიკოსი კომპოზიტორების ნაწარმოებებით.

პირველი განყოფილება დაეთმო კომპოზიტორების: ფალიაშვილის, შუბერტის, ჰერტელის, ბიზეს, დელიბის, მშველიძის, ვერდის, მუსორგსკის, ვებერის მუსიკაზე დადგმულ ქორეოგრაფიულ პიესებს.

მეორე განყოფილებაში შესრულდა ერთ-ერთი აქტი მინკუსის ბალეტიდან „ბაიადერა", მესამე განყოფილებაში კი — კრეინის „ლაურენსია" (II აქტი).

დადგმების მხატვრული ხელმძღვანელია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ვ. ჭაბუკიანი, დირიჟორი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი ვ. ფალიაშვილი, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ასკურავა.

● საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა უნგრული კერამიკისა და ქსოვილის გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ფაშიზმისაგან უნგრეთის განთავისუფლების ოცდაათ წლისთავს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო უნგრული გამოყენებით - დეკორატიული ხელოვნების ოსტატთა 80-ზე მეტი ნამუშევარი — კერამიკის, მინის, ფაიფურისა და ლითონის ნაკეთობანი, აგრეთვე მხატვრული ქსოვილები — გობელენები, ხალიჩები, დეკორატიული პანოები.



ფორმათა და ტექნიკურ საშუალებათა ძიებისას

უნგრელი მხატვრები მიმართავენ ხალხური შემოქმედების მდიდარ ტრადიციებს.

ექსპოზიციაში წარმოდგენილ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი დემონსტრირებული იყო სოციალისტური ქვეყნების პირველ საერთაშორისო კვადრიენალზე 1974 წელს ქ. ერფურტში და დიდი წარმატება ხვდა. თბილისელმა დამთვალიერებლებმა იხილეს პრემირებული ნაწარმოებებიც.

● აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატ დიმიტრი თავაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო შექსპირის პიესებისათვის შექმნილი დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები.



გამოფენის ექსპონატთა დიდი ნაწილი უკანასკნელ წლებშია შესრულებული. დამთვალიერებელი გაეცნო აგრეთვე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრისა და ქ. კიროვაბადის დრამატული თეატრის სცენებზე განხორციელებული სპექტაკლების დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზებს.

● სოხუმის ქანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზურმა დასმა მაყურებლებს მორიგ პრემიერად უჩვენა ტ. უილიამსის პიესა „ტრამვაი-სურვილი".

სპექტაკლი დადგა აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. კორტავამ, მხატვრულად გააფორმა აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა მხატვარმა ე. კოტლიაროვმა, მუსიკალურად — ლ. ჩეპელიანსკიმ და კ. გოდუაძემ.

როლებს ასრულებდნენ თეატრის წამყვანი მსახიობები: მ. ზუხბა, მ. ფაჩალია, ნ. კამკია, ს. აგუმაა, შ. გიცბა, ვ. მაანი, ა. ერმოლოვი, ლ. გიცბა, ო. ლაგვილავა, ნ. ლაკობა, ზ. ანქვაბი, ა. მუკბა და სხვები.

● აფხაზეთის ასსრ რუსულმა სახალხო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა მ. როშჩინის კომედია „ძველი ახალი წელი".

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა იური ბიდერმანმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის გ. ტაგანლიკს, მუსიკალური — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორ ს. ესებუას.

მთავარ როლებს ასრულებდნენ მსახიობები: ვ. გეგენავა, ვ. ვინიკოვი, ტ. კარპენკო, თ. კეკელია, ვ. შიტოვი.

ნ. მიქაშავიძე.

«САБЧОТА ХЕЛОВНЕБА»

№ 8, 1975

ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

## «ЗАКАВКАЗСКАЯ МУЗЫКАЛЬНАЯ ВЕСНА»




В Тбилиси, в последних числах мая проходил фестиваль под названием «Закавказская музыкальная весна».

Фестиваль открылся 22 мая. В Большом Государственном Концертном зале собрались многочисленные участники фестиваля — композиторы, музыканты, исполнители из Азербайджана, Армении и Грузии, руководящие партийные и советские работники закавказских республик, многочисленные гости из разных уголков Советского Союза, из-за рубежа.

Торжественный вечер вступительным словом открыл Заместитель Председателя Совета Министров Грузинской ССР, председатель организационного комитета фестиваля О. Е. Черкезия.

От имени Правления Союза композиторов СССР участников фестиваля приветствовал секретарь Правления Союза композиторов СССР П. Савинцев.

С приветственными речами выступили: первый секретарь Союза композиторов Азербайджанской ССР, народный артист республики Т. Кулиев, председатель Союза композиторов Армянской ССР, народный артист республики Э. Мирзоян, первый секретарь Союза композиторов Грузинской ССР, заслуженный деятель искусств Г. Орджоникидзе.

На концерте, посвященном открытию фестиваля «Закавказская музыкальная весна», звучала музыка азербайджанских, армянских и грузинских композиторов. В основном были представлены произведения, созданные в разное время и посвященные Великой Отечественной войне.

Работа фестиваля включала три цикла — музыке каждой республики было уделено по три дня. Ежедневно устраивались два концерта — камерной и симфонической музыки. Вообще за десять дней работы фестиваля (с 22 мая по 2 июня) состоялись 17 концертов и один спектакль (опера Р. Лагидзе «Лела»). В концертные программы были включены произведения симфонической, камерно - инструментальной, кантатно-ораториальной, хоровой и эстрадной музыки, созданной за последние десять лет, а также фрагменты из балетов закавказских композиторов, исполнялась и музыка молодых авторов.

Один из вечеров фестиваля полностью был посвящен музыкальному фольклору народов закавказских республик.

Закавказский музыкальный фестиваль привлек целую армию исполнителей — более 800 музыкантов. Среди них — участники симфонических оркестров, камерных ансамблей, хоровых коллективов, эстрадных ансамблей, оркестров народных инструментов, дирижеры, инструменталисты, вокалисты...

Работа фестиваля ежедневно освещалась на пресс-конференциях.

С участием оркестра Грузинского радио и телевидения концерты состоялись на Тбилисском электровозостроительном заводе им. Ленина и на Тбилисской чаеразвесочной фабрике. Музы-

канты встретились также с ветеранами Отечественной войны в Доме офицеров Закавказского Военного округа и исполнили произведения, созданные закавказскими композиторами на тему войны.

Участники фестиваля и гости познакомились с жизнью республики. Они посетили Тбилисский театр музыкальной комедии им. Васо Абашидзе, Тбилисский дворец пионеров и школьников им. Б. Дзнеладзе, киностудию «Грузия-фильм»; на Тбилисской студии грамзаписей фирмы «Мелодия» они прослушали произведения закавказских композиторов. Для участников фестиваля и гостей были организованы поездки по республике — они осмотрели прославленные памятники грузинского зодчества в Тбилиси и Мцхета, в монастыре «Джвари» послушали старинную музыку в исполнении ансамбля девочек Горийского музыкального училища под руководством Ш. Мосидзе, встретились с трудящимися совхоза села Манави, осмотрели мемориал в Патардзеули, посвященный 30 летию Великой Победы.

В номере публикуются: дневник фестиваля, материалы пресс-конференции: «Беседа об азербайджанской музыке», «Беседа об армянской музыке», «Беседа о грузинской музыке», «О музыкальном фольклоре народов Закавказья»; опубликованы также выступления народного артиста СССР, лауреата Ленинской и Государственных премий, Героя Социалистического Труда, композитора А. Хачатуряна, секретаря Правления Союза композиторов СССР Г. Савинцева, первого секретаря Союза композиторов Азербайджана Т. Кулиева, председателя Союза композиторов Армении Э. Мирзояна, первого секретаря Союза композиторов Грузии Г. Орджоникидзе, первого секретаря Союза композиторов СССР Т. Хренникова.

Публикуемый материал снабжен множеством фотоиллюстраций.

(стр. 2-69).

**Натела Урушадзе.**

«ИМЕНЕМ МОЛОДОЙ ГВАРДИИ»

В статье рецензируется дипломная работа студентов актерско-



режиссерского факультета Тбилисского Государственного театрального института — спектакль «Именем Молодой гвардии». Постановка была осуществлена в связи с завершением 1974-1975 учебного года и посвящена молодежи, погибшей в годы Великой Отечественной войны.

Автором двухчастной композиции по роману А. Фадеева «Молодая гвардия» является М. Гегия. Художественный руководитель постановки — народный артист Грузинской ССР М. Туманишвили, художник — студент 4-го курса Тбилисской Академии художеств Т. Гомелаури; спектакль музыкально оформили И. Бобохидзе и В. Чубинидзе.

Как отмечает автор статьи, спектакль «Именем Молодой гвардии» по своему звучанию вышел за институтские рамки и стал явлением в текущем театральном сезоне. (стр. 70).

**Эдишер Гиоргадзе.**

ПО СЛЕДАМ СТАРЫХ ГРАМПЛАСТИНОК, НОТ И МУЗЫКАЛЬНЫХ ИНСТРУМЕНТОВ

В статье поднят вопрос об основании специального магазина старых грампластинок, нот и музыкальных инструментов. (стр. 76).

ИНТЕРВЬЮ

Не так давно в Тбилиси, при Министерстве Культуры Грузинской ССР открылась Специализированная экспериментальная лаборатория по фиксации памятников искусств.

Наш корреспондент задал ряд вопросов инициатору создания лаборатории и ее постоянному научному консультанту, народному художнику Грузинской ССР, члену-корреспонденту Академии Художеств СССР, профессору С. Кобуладзе.

Ответы С. Кобуладзе знакомят читателей с целью и задачами создания лаборатории, с работой, которая в ней проводится в настоящее время, с техническими новшествами в процессе съемок и с перспективами новооткрытой организации. (стр. 78).



**Ираклий Очиаури.**

## И СНОВА ПРОБЛЕМА ЧЕКАНКИ

Статья представляет собой ответ на письмо А. Чхартишвили «Наболевшие вопросы грузинского искусства чеканки», опубликованное в текущем году в третьем номере журнала «Сабчота хеловнеба».

Известный мастер чеканки И. Очиаури не разделяет мнение А. Чхартишвили по поводу создавшегося в этом виде прикладного искусства положения, не согласен с его критическими замечаниями и выводами и обосновывает свои соображения. **(стр. 80).**

**Гнули Гегелия.**

## РАМАЗ КИКНАДЗЕ

Статья посвящается творчеству молодого архитектора Рамаза Кикнадзе, безвременно ушедшего из жизни.

Автор рассматривает основные работы Р. Кикнаде, характеризует его как деятельного руководителя архитектурной мастерской, талантливого художника, педагога и заключает, что он заслужил признание широкой общественности, ценившей его дарование и прекрасные личные качества.

**(стр. 82).**



ჟურნალში დაბეჭდილია
მ. ბაბოვის, ს. კილაძისა და პ. შევჩენკოს
ფოტოები და ფოტორეპროდუქციები.

**Лия Джинория.**

## ФРЭНСИС СКОТТ ФИТЦДЖЕРАЛЬД И ГОЛЛИВУД

Фрэнсис Скотт Фитцджеральд своим творчеством тесно был связан с Голливудом. Уже при жизни писателя были экранизированы почти все его романы и ряд рассказов. Однако Фитцджеральд рано разочаровался в нравственных устоях голливудской жизни, опирающейся на культ денег.

**(стр. 88).**

**Гиви Маруашвили.**

## МОДА



Автор данной статьи рассматривает вопросы этимологии моды, ее изменчивости, развития вкуса на основе анализа некоторых узловых проблем экономики, эстетики и этики. Подобный комплексный социологический аспект изучения вопроса придает результатам исследования актуальность, злободневность, рождает необходимость их внедрения в практику.

**(стр. 92).**

**Серго Закариадзе.**

## МЫСЛИ ОБ УШАНГИ ЧХЕИДЗЕ

Публикуемый материал представляет страницу из дневника Народного артиста СССР Серго Закариадзе, который вспоминает начало творческого пути известного мастера грузинской сцены Ушанги Чхеидзе, с большой любовью рисует его личность и рассказывает об удивительной силе воздействия его исполнения.

**(стр. 106).**

მხატვრული რედაქტორი ალექსი ბალაბუევი.

საქართველოს კპ ცენტრალური
კომიტეტის გამომცემლობა.
თბილისი, 1975.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/VII-75 წ. უე 07732
შეკვ. № 2596. ტირაჟი 6.000. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 15.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19.75. ფასი 1 მან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქუჩა № 14, ტელ. 93-93-59.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის 5, ტელ. 95-10-24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76177